შესავალი

რა არის აკადემიური წერა?

წერის უნარი ერთ-ერთი იმ უნართაგანია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის აკადემიურ და პერსონალურ წარმატებას მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამ უნარების დაუფლება არ არის რთული ამოცანა, მთავარია იმ საკვანძო პრინციპებისა და ხერხების შესწავლა, რომლებიც აუცილებელია გამართული, არგუმენტირებული და დამაჯერებელი აკადემიური ტექსტის შესაქმნელად.

აკადემიური წერისათვის დამახასიათებელია შემდეგი ზოგადი წესები:

- აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილ ტექსტს აქვს თავისი ფორმა და სტრუქტურა, რომელშიც წარმოდგენილია იდეები და ამ იდეების მხარდამჭერი დებულებები;
- აკადემიურ ნაწერში მოცემული უნდა იყოს ავტორის დამოკიდებულება საკითხისადმი, მისი პოზიცია;
- აკადემიური ნაწერი იქმნება გარკვეული სტილით, მასში პუნქტუაციის, გრამატიკისა და მართლწერის წესების დაცვა აუცილებელია, რათა ავტორმა მკითხველზე განათლებული და მოწესრიგებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოს.

აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილი ტექსტისათვის აუცილებელია შემდეგი ეტაპების გავლა:

- შესავალი ნაწილის შექმნა;
- ანალიზი;
- თეზისების ჩამოყალიბება, მათი განვრცობა და დასაბუთება;
- აუდიტორიის დარწმუნება;
- ციტაციის წესების დაცვა;
- შესაბამისი დასკვნების გამოტანა და ა.შ.

აკადემიური წერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მისი ფორმალური ტონი. რა იგულისხმება ფორმალურ ტონში? როგორც ნებისმიერი

ტიპის ტექსტს, აკადემიურ გარემოში შექმნილ ნაწერსაც აქვს მისთვის დამახასიათებელი ტონი, რაც მოითხოვს კონკრეტული სიტყვებისა და ფრაზების შესაბამის არჩევანს.

ფორმალური, ობიექტური ტონის მისაღწევად:

- თავი აარიდეთ ზედმეტი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც, ზოგადად, ტვირთავს ნაწერს და მნიშვნელობასაც მოკლებულია: ***ნამდვილად, სრულიად*** და ა. შ.
- თავი აარიდეთ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენებას, წერეთ უფრო ზოგადად. მაგალითად: ნაცვლად ფრაზისა ***მე ვფიქრობ,*** სჯობს გამოიყენოთ ***საფიქრებელია, რომ...*** პირველი პირის ნაცვალსახელის ნაცვლად აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყეთ თავაზიანობის ნაცვალსახელი **ჩვენ** .

მიიჩნეულია, რომ ფორმები „ჩემი აზრით“ და „ჩემი თვალსაზრისით“, პირიქით, ასუსტებს ავტორის პოზიციას, არგუმენტის სიმყარეს და მკითხველს უჩნდება განცდა, რომ ესეში მხოლოდ მისი სუბიექტური დამოკიდებულებაა გადმოცემული და არ არის განმტკიცებული ლოგიკითა და მტკიცებულებებით.

ასე რომ, აკადემიური ტექსტი უნდა იყოს: ობიექტური, მკაფიო, ფორმალური.

რჩევები:

- წერეთ მკაფიოდ, ნათლად, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და მეტაფორების გარეშე. აკადემიური ნაწერი არ გულისხმობს მხატვრული ეფექტების ჩართვას და მკითხველზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას. აქ ყველაფერი ცალსახა და გასაგები უნდა იყოს.

- დაუშვებელია ჟარგონის, ბარბარიზმის, დიალექტური ფორმების გამოყენება. ფორმალური ტონი გულისხმობს, აგრეთვე, იმას, რომ თავი უნდა ავარიდოთ სასაუბრო ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გამოყენებას, ემოციურ გამონათქვამებსა და ძახილის წინადადებებს, მოკლე, ერთსიტყვიან წინადადება-პასუხებს. მაგალითად, ნაცვლად ფორმისა „ყიდვა“ გამოიყენეთ „შეძენა“, ნაცვლად „უფროსისა“ დააკონკრეტეთ თანამდებობა: „დირექტორი“; „მენეჯერი“ და ა. შ. **დაიმახსოვრეთ:** ის, რაც განასხვავებს აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილ ნაწერს არაფორმალურ გარემოში შექმნილი ტექსტისაგან, არის სწორედ ფორმალური ტონი. არ უნდა წეროთ იმ ლექსიკური ერთეულებითა და ფრაზებით, რომლებითაც ესაუბრებით მეგობარს ყოველდღიურ სოციალურ სიტუაციაში. გაითვალისწინეთ, რომ აკადემიური ტექსტი განკუთვნილია კონკრეტული აუდიტორიისათვის, მაგალითად: ლექტორი, თანაჯგუფელები, დამსწრეები, საკონკურსო კომისიის წარმომადგენლები, ნაშრომების შემფასებლები, მკითხველი და ა.შ.

კურსის მიზნები და ამოცანები

სასწავლო კურსის ფარგლებში თქვენ შეისწავლით აკადემიურ სივრცეში საჭირო ნებისმიერი ტიპის ტექსტის (ესე, რეცენზია, სამეცნიერო ნაშრომი, სტატია, საკურსო, საბაკალავრო ნაშრომები და ა. შ.) შექმნას, საერთაშორისო პრაქტიკაში აკადემიური წერის დამკვიდრებულ პრინციპებს, სხვადასხვა ტიპის ესეს შექმნის ხერხებსა და საშუალებებს.

კურსი შესაძლებლობას მოგცემთ, დაეუფლოთ არგუმენტისა და კონტრარგუმენტის სწორად ფორმულირებას, მიზნისათვის შესაფერისი სტილის შერჩევას. ცალკე ლექციები დაეთმობა სხვადასხვა ტიპის საჯარო გამოსვლისათვის წერილობითი ტექსტის მომზადებისა და წარდგენის ხერხების გაცნობას.

კურსის გავლის შემდეგ გეცოდინებათ აკადემიურ სივრცეში გამოყენებული ტექსტების სახეები და მათი შექმნის წესები; შეძლებთ თეზისის ჩამოყალიბებას, პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთებასა და მისი გამოხატვის წესების დაცვას, აგრეთვე, კონტრარგუმენტების მოხმობისა და გაბათილების ტექნიკას; შეისწავლით ციტაციისა და აკადემიური ტექსტების სწორად გაფორმების ხერხებს.

კურსის წარმატებით გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ თეზისის (ძირითადი მოსაზრების) ჩამოყალიბებას, პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთებას, კონტრარგუმენტების მოხმობასა და გაბათილებას.

ამასთან ერთად, შეძლებთ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. განსახილველი პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბებას /არგუმენტირებას და მიზნის ადეკვატური ლექსიკის შერჩევასა და შესაფერისი სტილის გამოყენებას. აკადემიური წერის კურსი შესაძლებლობას გაძლევთ შეისწავლოთ წერილობითი ტექსტების შექმნა აუდიტორიის ინტერესებისა და ფონური ცოდნის გათვალისწინებით.

კურსის გავლის შემდეგ შეძლებთ, ასევე, აკადემიური ურთიერთობისათვის საჭირო ზეპირი და წერილობითი ტექსტების შექმნას შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობას ეთიკური ნორმების დაცვითა და ვერბალური თუ არავერბალური (ჟესტები, მიმიკა) კომუნიკაციური წესების გამოყენებით.

გარდა ამისა, ჩამოგიყალიბდებათ ობიექტური და დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი შესწავლილი მასალის საფუძველზე და შეძლებთ მიღებული დასკვნების განზოგადებას.

I ნაწილი

ესეს შექმნის ძირითადი პრინციპები

I თავი

განხილული საკითხები:

1. თემის განსაზღვრა;
2. სტრატეგიები თემის მოსაძებნად;
3. საგნობრივი სფეროს ამორჩევა;
4. ინფორმაციის შეკრება;
5. სტრატეგიები ინფორმაციის შესაგროვებლად;
6. მასალის დაჯგუფება და გაანალიზება;
7. ინფორმაციის ორგანიზება;
8. სათაური.

1. თემის განსაზღვრა

ესესთვის თემის შერჩევისას აუცილებელია მიზნისა და კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორმა წინასწარ უნდა გაიაზროს ის პოზიცია და დამოკიდებულება, რომელიც მას განსახილველი საკითხისადმი ექნება და რის გამოც იწერება ესე.

თემის შერჩევა არ არის იოლი პროცესი. იგი მოიცავს ორ თეორიულ შესაძლებლობას: 1) ავტორი თავისი ინტერესების გათვალისწინებით თავად შეარჩევს საკვლევ თემატიკას; 2) ავტორი ნაშრომს ქმნის დაკვეთით (მოსწავლე ქმნის თემას მასწავლებლის დავალებით, სტუდენტი – ლექტორის მითითებით, ჟურნალისტი - გაზეთის რედაქტორის დაკვეთით...). კარგი ავტორი ორივე შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმიანობას მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. სოციალური მოთხოვნების მიხედვით ხშირად დაკვეთით იქმნება სხვადასხვა ტიპის ტექსტი. ეს ეხება არა მხოლოდ ოფიციალური ხასიათის ტექსტებს (სამართლის ძეგლები, კანონები, აქტები, მატიანეები), არამედ მხატვრულ ლიტერატურასაც.

2. სტრატეგიები თემის მოსაძებნად

როდესაც ავტორი თავად არჩევს თემას, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ინტერესთა სფერო და შეირჩევა შესაბამისი სტილი.

ტექსტის შექმნის პროცესის უმნიშვნელოვანესი და გამოკვეთილი პრინციპია **აუდიტორიისა** და **მიზნის** განსაზღვრა.

აუდიტორია: მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ **ვისთვის** იქმნება ნაშრომი. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: 1. აუდიტორიის ასაკი; 2. სოციალური სტატუსი; 3. განათლების დონე და წინასწარი (ფონური) ცოდნა; 4. ინტერესი; 5. აუდიტორიის მოლოდინი; 6. აუდიტორიის წინასწარი განწყობა.

მიზანი: აქაც უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე საკითხი: რატომ ვქმნით ტექსტს? რა არის ჩვენი მიზანი? 1. ინფორმაციის მიწოდება, 2. საკითხის დასმა, 3. საკითხის ანალიზი, 4. საკითხის ისტორიულ ასპექტში გაანალიზება, 5. საკითხის განვითარების დინამიკა, 6. საზოგადოებრივი აზრის შექმნა, 7 ავტორის მოსაზრების დაფიქსირება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, 8. პრობლემის გადაჭრა თუ სხვა რამ.

ეს ის საკითხებია, რომლებზე პასუხიც წერის პროცესის დაწყებამდე უნდა გვქონდეს.

3. საგნობრივი სფეროს ამორჩევა

წერა შეიძლება ნებისმიერ თემაზე, მაგრამ კარგი ნაშრომის შესაქმნელად არ არის საკმარისი მხოლოდ ავტორის სურვილი ან გადაწყვეტილება, აუცილებელია რამდენიმე საკითხების გათვალისწინება. საგნობრივი სფეროს ამორჩევამდე შეგიძლიათ თავს დაუსვათ შემდეგი კითხვები:

- რა ვიცი ამ სფეროს შესახებ ზოგადად?
- კონკრეტულად რა მაინტერესებს ამ სფეროში?
- რა მასალა მაქვს და რა მასალა შემიძლია მოვიპოვო?
- რა მოსაზრებები ვიცი ამ საკითხის შესახებ და მაქვს თუ არა საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არ ვიცი და შემიძლია თუ არა ამ ინფორმაციის მოპოვება?
- რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩემი მოსაზრება ამ საკითხის გაანალიზებისათვის, რატომ ვფიქრობ ასე?
- რატომ ან როგორ მივიღე ეს გადაწყვეტილება?
- რამდენად აქტუალური და ღირებულია არჩეული პრობლემატიკა თანამედროვე საზოგადოებისთვის?

4. ინფორმაციის შეკრება

წერის პროცესის პირველი ეტაპია ინფორმაციის მოძიება და შეკრება. ამისთვის რამდენიმე გზა არსებობს. იმის მიხედვით, თუ რა საკითხზე ვწერთ, შეიძლება დაგვჭირდეს ყველა მათგანის გამოყენება ან მხოლოდ რამდენიმე შეიძლება იყოს საკმარისი:

I ეტაპი – ინფორმაციის მოპოვების ძირითადი საშუალებები:

- **ზეპირი წყარო:** ზეპირი კონსულტაცია პედაგოგთან ან ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებთან;
- **წერილობითი წყარო**: სახელმძღვანელო (რა ინფორმაციას გვაწვდის ძირითადი სახელმძღვანელო ამ საკითხის შესახებ), პერიოდული გამოცემები, სამეცნიერო ჟურნალები, ენციკლოპედიები და ა. შ.;
- **სამეცნიერო ლიტერატურა:** რა კვლევებია ჩატარებული მოცემულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში;
- **ინტერნეტი:** ინტერნეტში ხელმისაწვდომია როგორც კლასიკურად მიჩნეული, ისე უახლესი კვლევები.

II ეტაპი – ინფორმაციის მოპოვების დამატებითი საშუალებები:

- ექსპერიმენტი;
- ექსპედიცია;
- ინტერვიუ;
- მასალის მოძიება იმ პირებთან, რომლებიც დაკავშირებულები არიან ჩვენთვის საინტერესო სფეროსთან.

5. მასალის დაჯგუფება და გაანალიზება

მასალის მოძიების შემდეგ ადამიანს დიდი ინფორმაცია უგროვდება. გარდა ამისა, განსახილველი საკითხის შესახებ იგი გარკვეულ ინფორმაციას თავადაც ფლობს. ამ ინფორმაციიდან კონკრეტული მიზნისათვის ზოგი მნიშვნელოვანია, ზოგი ნაკლებად, ზოგი კი, შესაძლებელია, სრულიადაც შორდებოდეს ძირითად სათქმელს. ამდენად, თქვენ მიერ მოძიებულ და მოგროვილ მასალაში ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს მიზნისათვის შეუსაბამო, არაადეკვატური და ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან მსჯელობა. მაგალითად: თუ ჩვენ ვმსჯელობთ რუსთაველის ვინაობის შესახებ, აქ უნდა წარმოვაჩინოთ მისი წარმოშობის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული მოსაზრებები და ფაქტები. ამ შემთხვევაში სრულიად შეუსაბამო შეიძლება აღმოჩნდეს თამარ მეფის მოღვაწეობის პერიოდში გამართული ბრძოლების შესახებ საუბარი.

განვიხილოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში:

ნიმუში:

IV. **ბუნებრივი სამზარეულო**

აღმოსავლეთ ალჟირის მთებში ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთ საჭმლის დასამზადებლად არ სჭირდებათ შეშა და ღუმელი. ***მართალია, ამ ადგილს ტურისტები ხშირად არ სტუმრობენ, მაგრამ აქაური ბუნება დიდი სილამაზით გამოირჩევა. მთის წყაროები და ჩანჩქერები განსაკუთრებით თვალწარმტაცი და ეგზოტიკურია.*** ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს ბუნებრივი სამზარეულოთი. ქვის უზარმაზარ „ქვაბში“ თუხთუხებს ცხელი წყალი. საკმარისია, მასში ჩაუშვათ ბალახების დაწნული ბადე უმი ხორცით, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მოხარშული და დამარილებული ხორცი მზადაა. ცხელი წყარო შეიცავს ქლორიანი ნატრიუმის (სუფრის მარილის) ხსნარს, ხოლო მისი ტემპერატურა პლუს 90-95 გრადუსს უდრის. ბუნებამ იზრუნა სამზარეულოს სათანადო გაფორმებაზეც: „ქვაბის” კედლები შეღებილია თეთრი ფერის მარილის ხსნარით.

ნიმუშში მოყვანილი ტექსტი ინფორმაციულია და გვაცნობს ბუნებრივ სასწაულს. ეს მიზანი კი გამოკვეთილია სათაურითაც, მაგრამ მიზნისათვის სრულიად შეუსაბამოა ალჟირის ერთ-ერთი სოფლის ბუნების სილამაზის აღწერა, რადგან ორგანულად არ უკავშირდება ტექსტის ძირითად სათქმელს. თუმცა, თუ მიზანს შევცვლით და შევეცდებით დავაინტერესოთ ადრესატი ალჟირის ბუნების სილამაზით მისი მონახულების მიზნით და ტექსტს სარეკლამო ფუნქციას მივანიჭებთ, შესაძლებელია ეს ისეთივე მთავარ ინფორმაციადაც იქცეს, როგორიც სასწაულის აღწერაა.

გახსოვდეთ: *ტექსტისათვის მთავარი და არამთავარი ინფორმაცია განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა მიზანი გვაქვს დასახული და რამდენად შეესაბამება ინფორმაცია ან მსჯელობა კონკრეტულ მიზანს.*

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ აღნიშნული პრობლემა, თავდაპირველად ჩამოწერეთ იდეები ლოგიკური თანმიმდევრობით, განსაზღვრეთ ტექსტის მიზანი და სწორედ მიზნის მიხედვით გამოყავით **ცენტრალური, ძირითადი საკითხი,** ხოლო შემდეგ მის შესაბამისად დაახარისხეთ და დააჯგუფეთ მასალა.

ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ მეორეხარისხოვანი ინფორმაციაც კი წერის პროცესის გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ანალიზის ლოგიკური განვითარების პარალელურად დამატებითი ინფორმაცია შეიძლება საინტერესოდ დაუკავშირდეს ძირითად საკითხს. **მაგალითად,** თუ ტექსტი იქმნება ყაზბეგის ერთ-ერთი ნაწარმოების მხატვრული ანალიზის შესახებ, სასურველია, გარკვეულწილად, გავითვალისწინოთ ის გარემოც, რომელშიც ჩამოყალიბდა ყაზბეგი, როგორც მწერალი და შემოქმედი და ვიმსჯელოთ იმაზეც, თუ რა გავლენა მოახდინა ამ გარემომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

- *ანალიზის პროცესში შეიძლება უამრავი იდეა გაჩნდეს, მაგრამ დაახარისხეთ ისინი მიზანთან მიმართებისა და მნიშვნელობის მიხედვით და საბოლოოდ გადაწყვიტეთ, რომელი მათგანი წარმოაჩენს ეფექტურად თქვენ მიერ დასახულ მიზანს.*

6. ინფორმაციის ორგანიზება

ინფორმაციის ორგანიზებისას განსაკუთრებით დაუკვირდით, როგორ გამოხატეთ თქვენი აზრი, არის თუ არა თქვენ მიერ განვითარებული მსჯელობა ლოგიკური, მიზნის ადეკვატური, ისევე ნათლად გასაგები და აღსაქმელი სხვებისთვის, როგორც თქვენთვის. იყავით თვითკრიტიკული და, ამასთანავე, წერეთ მარტივად, სადად და ნათლად. ნუ დაგენანებათ გაათავისუფლოთ თქვენი ნაწერი იმ იდეებისა და აზრებისაგან, რომლებიც თქვენთვის, შესაძლებელია, ღირებულია, მაგრამ მიზანთან ნაკლებადაა დაკავშირებული ან სულაც აცდენილია თქვენს სათქმელს. შესაძლოა, ეს იდეები სხვა თემის განვითარებისათვის გამოგადგეთ. დაიმახსოვრეთ, ზედმეტი ინფორმაცია გადატვირთავს თქვენს ნაწერს და, შესაბამისად, დაღლის აუდიტორიას, დაგაშორებთ მიზანთან როგორც თქვენ, ისე მკითხველს.

7. სათაური:

აუდიტორიისა და მიზნის განსაზღვრის შემდეგ ავტორმა უნდა შექმნას ეფექტური სათაური, რადგან ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია ტექსტისა. მას შემდეგ, რაც ავტორი მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მისთვის საინტერესო სფეროსა და საკითხს, მნიშვნელოვანი ხდება სათაურის სწორად შერჩევა, რადგან იგი ხშირად თემის განვითარების იმპულსიც ხდება ავტორისათვის. სათაურს, ფაქტობრივად, ავტორისათვის მაკონტროლებელი ფუნქცია ეკისრება. სწორად შერჩეულ სათაურს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ესეს წარმატებისათვის, რადგან მკითხველს სწორედ სათაური უქმნის პირველ

შთაბეჭდილებას ტექსტის შესახებ. იგი აღძრავს ინტერესს და წარმოაჩენს ტექსტის მიზანს.

◈ **სათაურის მიზანია:**

- აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა;
- ინტერესის აღძვრა, განწყობის შექმნა;
- ძირითად იდეაზე აქცენტის გაკეთება.

◈ **სწორად შერჩეული სათაურის მახასიათებლებია:**

- **ტექსტთან ბმულობა** - სათაური აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ძირითად სათქმელს, მიზანს, წარმოაჩენდეს ავტორის დამოკიდებულებას საკითხისადმი.

- **ლაკონურობა** - სათაური უნდა იყოს მოკლე, ტევადი, სხარტი, მოქნილი, ერთგვარად სტილის განმსაზღვრელი. არსებობს ამა თუ იმ სტილისათვის დამახასიათებელი ფორმულები: მაგ.: სამეცნიერო სათაური – ***მყოფადი ქართველურ ენებში; მყოფადის წარმოებისათვის სვანურში***. საგაზეთო სტატიის სათაური - ***სხვისი ფულით ქვეყანას ვერ ააყვავებ; ომი ერაყში ვიეტნამის ომს ემსგავსება.***

- **ინფორმატიულობა -** სათაური უნდა მიგვანიშნებდეს ავტორის ძირითად სათქმელზე ან პოზიციაზე.

შემოთავაზებულ ნიმუშში სათაური უშუალოდ უკავშირდება ავტორის მთავარ სათქმელს, ადვილად დასამახსოვრებელი და ეფექტურია. გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ აქ ცხადად არის წარმოჩენილი ავტორის თვალსაზრისი, თუ რამდენად ფასეულია, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალები ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

◣ ნიმუში:

წვრილმანები კარგი ურთიერთობების წინაპირობაა

I. ცნობილი სოციოლოგი, სტივენ ქოვი, ამტკიცებს, რომ ჩვენი ემოციური სტაბილურობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები, პარტნიორის, კოლეგის, ახლობლის ან უბრალოდ გამვლელის სურვილებისა და შინაგანი მდგომარეობის გათვალისწინება. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ თუ ამას შევასრულებთ, გავაცნობიერებთ, რომ გავხდით უკეთესები. ეს კი ბედნიერებას მოგვანიჭებს ცოტა ხნით მაინც. ჩვენ შევძლებთ ემოციების საბანკო ანგარიშზე არსებული დადებითი რეზერვის გაზრდას. საჭიროა იცოდეთ, თუ რა არის სხვა ადამიანის უპირატესობები და ისინი თქვენთვისაც ღირებული გახადოთ. როდესაც ადამიანის ღირებულებებს აღიარებთ, ამით მას აჩვენებთ, რომ ბოლომდე სცემთ მას პატივს - ეს კი სოლიდური შენატანია თქვენი ურთიერთობების ანგარიშზე.

◈ **რჩევები ეფექტური სათაურის შერჩევისათვის:**

- სათაური უნდა იყოს ინტერესის აღმძვრელი, მაგრამ არასკანდალური. სკანდალური სათაური ხშირ შემთხვევაში ეთიკური ნორმების დარღვევას, საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაღიზიანებას იწვევს და მკითხველს ნეგატიურად განაწყობს. უარყოფითია აუდიტორიის დამოკიდებულება იმ ტექსტისადმი, რომლის სათაურიც ხელოვნურია და აშკარად ჩანს, რომ იგი მხოლოდ ინტრიგის მიზნით არის შექმნილი, რეალურად კი ნაკლებად შეესაბამება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.

- სათაური უნდა იყოს მარტივი, ლაკონური და, ამასთანავე, ნათელი.

- სათაური არ უნდა იყოს დატვირთული სპეციალური ტერმინებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფართო აუდიტორიისათვის გაუგებარია.

- არ შეიძლება სათაური იყოს ძალიან ზოგადი, როცა ავტორი კონკრეტულ საკითხს განიხილავს. ეს მკითხველის მოლოდინის გაცრუებას იწვევს. როდესაც ვწერთ ბარათაშვილის პირად წერილებზე, არ უნდა დავარქვათ თემას შემდეგი სათაური: ***ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა*** და, პირიქით, როდესაც ვწერთ ერეკლე II-ის საბრძოლო სტრატეგიის ზოგად მახასიათებლებზე, არ უნდა დავარქვათ ესეს ***კრწანისის ბრძოლის მიმოხილვა.***

- ზოგ შემთხვევაში ეფექტურია სათაურად ცნობილი გამონათქვამის, აფორიზმის გამოყენება.

- სათაური შეიძლება ჩამოყალიბდეს შეკითხვის სახითაც. ამ ტიპის სათაური უფრო მეტად აღუძრავს მკითხველს ინტერესს და ტექსტის ბოლომდე წაკითხვის სურვილს. მაგალითად: ***მითრიდატე უმცროსი - არის თუ არა ის რომის მოკავშირე?***

ნიმუში:

არაეფექტურია შემდეგი ტიპის სათაური: ***წერითი ნაშრომის არქიტექტონიკის განმსაზღვრელი კონცეპტუალური ფაქტორები და მათი ეფექტური რეალიზაციის საშუალებები.*** ნაცვლად ამ ბუნდოვანი სათაურისა, გაცილებით მოქნილია შემდეგი სათაური: ***როგორ დავწეროთ კარგი ნაშრომი?*** ან ***რას მოიცავს კარგი ნაშრომი?***

საკითხის შეჯამება:

დაიმახსოვრეთ, კარგი ესეს შექნისათვის აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპის გავლა:

I ეტაპი – სფეროს, თემის, აუდიტორიისა და მიზნის განსაზღვრა, სტილის შერჩევა, სათაურის შექმნა;

II ეტაპი – თეორიული ინფორმაციის მოპოვება და მოძიება;

III ეტაპი – მოპოვებული მასალის გაანალიზება.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ დააკავშირეთ ტექსტი და სათაური, იმსჯელეთ, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

თავმდაბლობა თუ სისუსტის გამოვლენა?

თანაზიარობა

სიტყვის გატეხა

I. პიროვნების მიმართ სიყვარული და ზრუნვა მცირე ყურადღებითაც გამოიხატება. მცდელობა, ასიამოვნო ადამიანს, უმნიშვნელო საჩუქრები, ღიმილი – ყველაფერი ეს ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანურ ურთიერთობებში. ალბათ, თავადაც ხშირად გითქვამთ: მთავარი ყურადღებაა! გაცნობიერებულად უნდა ვეცადოთ, ვიყოთ გულისხმიერნი სხვა ადამიანის მიმართ, ეს განწყობა აუცილებლად აისახება ჩვენს საქციელსა თუ მოქმედებაზე და დადებით გავლენას მოახდენს ურთიერთობაზე. უმნიშვნელო უყურადღებობა და უპატივცემულობა გაუცხოებას იწვევს.

II. სიტყვის გატეხა ურთიერთობებისათვის უდიდესი ზიანის მომტანია. არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე ადამიანს დაჰპირდე რაღაცას და არ შეუსრულო. სხვა დროს უბრალოდ არ დაგიჯერებენ, რაც, აგრეთვე, გაუცხოებასა და ბზარს გამოიწვევს. ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, გააზრებულად მივცეთ ადამიანებს დაპირება და არა სპონტანურად, სიტუაციიდან გამომდინარე, წამიერად გულის მოგების მიზნით დავდოთ არარეალური პირობა. გვახსოვდეს, რომ პირობის აღსრულებას ყოველთვის ელოდებიან. და თუ ეს თქვენი მხრიდან შეუძლებელია, ჯობია, გულახდილად ავხსნათ ვითარება და ბოდიში მოვიხადოთ.

III. ნუ გეშინიათ შეცდომების აღიარებისა და პატიების თხოვნისა. ეს სულაც არ შებღალავს თქვენს ღირსებას. პირიქით, ადამიანებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან საკუთარ თავში, არ უძნელდებათ ბოდიშის მოხდა და ამას გულწრფელად აკეთებენ. ხოლო ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა აკლიათ, რომლებსაც სისუსტის გამოვლენისა ეშინიათ და რომლებიც

თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ, მუდმივად შფოთავენ იმაზე, თუ რას იფიქრებენ მათზე სხვები. როგორც წესი, ამგვარი ადამიანები დარწმუნებულნი არიან საკუთარ სიმართლეში და თავიანთ საქციელს სხვების ნაკლოვანებებით ამართლებენ. მათ არც ბოდიშის მოხდა შეუძლიათ. ეს კი ადამიანური ურთიერთობების გაფუჭების გარდაუვალი წინაპირობაა.

▣ *დაასათაურეთ შემოთავაზებული ტექსტები:*

I. XIX საუკუნეში, კონკრეტულად 1864, 1867 და 1877 წლებში, მრავალ ათას აფხაზს სამშობლო დაატოვებინეს და ოსმალეთში გადახვეწეს. ეს საერთო-კავკასიური პროცესი ისტორიაში მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი, რომელიც, აფხაზების გარდა, ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსაც შეეხო.

მუჰაჯირობა XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის მიერ წარმოებულ კავკასიის ომებთანაა დაკავშირებული. იმპერიას დაუმორჩილებელ კავკასიელთა ოსმალეთში გადასახლებით რეგიონში პოლიტიკური სიმშვიდის მიღწევა და გამოთავისუფლებული მიწების კოლონიზაციისათვის გამოყენება სურდა.

II. კაცობრიობის მთელ ისტორიაში, უძველესი დროიდან დღემდე, მიმდინარეობს შეუნელებელი ბრძოლა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა აქვს და ყოველივე ეს კი დამოკიდებულია კონკრეტული ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებსა და რიგ სხვა ფაქტორზე. ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრა საზოგადოებაში ყოველთვის წარმოადგენდა ისლამის რელიგიის განსაკუთრებული ყურადღების საგანს სხვადასხვა განზომილებითა და ასპექტით.

მუსლიმ იდეოლოგებს ორი განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ქალების მიმართ: 1. ისინი მხარს უჭერენ ქალის ბიოლოგიური და გონებრივი ჩამორჩენილობის მოძველებულ კონცეფციას და ხედავენ ქალში მხოლოდ დედასა და ცოლს; 2. ან ისინი ამტკიცებენ, რომ ისლამმა მისცა ქალს ისეთი უფლება, რომელიც უცნობია ქალებისათვის ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში.

მუსლიმური სამართლით, ქალებს არ შეუძლიათ დაიკავონ ისეთი სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც ითვალისწინებს მათ ხელმძღვანელობას მუსლიმ მამაკაცებზე. ეს პრინციპი კი ეფუძნება ყურანს. მასში ნათქვამია, რომ მამაკაცები არიან ქალების მმართველები და გამგებლები. ეს პრინციპი კი გამოიყენეს მუსლიმმა კანონმდებლებმა ქალთა დისკრიმინაციის

გასამართლებლად ყველა იმ შემთხვევაში, რომელთა შესახებ ყურანში არაა პირდაპირი მითითება.

III. ამერიკელმა მეცნიერებმა ახლახან დაადგინეს იმის მიზეზი, რატომ ცოცხლობენ ქალები მამაკაცებთან შედარებით 6-7 წლით დიდხანს. გაირკვა, რომ ქალებს უფრო ღრმა ძილით სძინავთ. მეცნიერთა აზრით, ასეთი სასაგებლო უნარი დედობრივი მოვალეობის შესრულების შედეგად განვითარდა. დედა ჩვილის მოსავლელად ღამით რამდენჯერმე იღვიძებს, ღრმა ძილი კი დაკლებული ენერგიის კომპენსაციას ახდენს.

▣ დასათაურეთ მოცემული ტექსტები, განმარტეთ და დასაბუთეთ, თუ რატომ შეარჩიეთ ამგვარი სათაური. იმსჯელეთ სათაურის ფუნქციისა და მახასიათებლების შესახებ .

I

2006 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჭარბი წონის მქონე ადამიანების რიცხვმა ნახევარ მილიარდს გადააჭარბა და ჭარბი წონა მრავალი ავადმყოფობის რისკის მთავარ ფაქტორად დაასახელა. ბოლო ხანს ჩატარებული გამოკვლევების თანახმად კი მსუქანთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, რადგან ენდოკრინოლოგები სერიოზულად დააფიქრა ამ პრობლემამ, დაიწყო ეფექტური სამკურნალო მეთოდების შემუშავება და მათი პოპულარიზაცია. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილი ამ ფაქტს უარყოფს. ისინი აცხადებენ, რომ სიმსუქნე XXI საუკუნის მთავარ პრობლემად კვლავაც რჩება.

ბევრს საუბრობენ ასევე ჭარბი წონის, როგორც დაავადების, ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზების შესახებ. ტრადიციულად, სიმსუქნის მთავარ მიზეზად მაღალკალორიული, ნახშირწყლებით მდიდარი საკვების ჭარბად მიღებაა მიჩნეული, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევები მოწმობს, რომ პრობლემის თავიდათავი კვება კი არა, ფიზიკური აქტივობის დეფიციტია. მეორე მიზეზად ნერვულ სტრესს ასახელებენ – ადამიანთა უმეტესობა სტრესის დროს თავდავიწყებით ეტანება საკვებს, ძირითადად კი ტკბილეულს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – გენეტიკა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რამდენადაა შესაძლებელი ჭარბი წონის თავიდან აცილება და როგორ უნდა აკონტროლოს ადამიანმა თავი? მათ, ვისაც ჭარბი წონისადმი მიდრეკილება აქვთ, ენდოკრინოლოგები ურჩევენ, რომ საჭიროა ზომიერების დაცვა და კვების კულტურის გამომუშავება. მეოცე საუკუნის მეორე

ნახევრიდან ტექნიკის განვითარებამ ადამიანის ფიზიკური შრომა თითქმის განდევნა. ადამიანი გაზარმაცდა. ფიზიკური შრომა გონებრივმა აქტივობამ შეცვალა, ეს კი, თავის მხრივ, ნივთიერებათა ცვლის შემაფერხებელი ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან დღეს მხოლოდ იაპონიაშია შენარჩუნებული ჯანსაღი თანაფარდობა მიღებულ კალორიებსა და დახარჯულ ენერგიას შორის.

II

იაპონიას მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად დაახლოებით 180 მლრდ აშშ დოლარი და 5 წელი დასჭირდება - ასეთია იაპონელი ექსპერტების ვარაუდი. აქამდე ექსპერტები აღდგენისთვის საჭირო 60 მლრდ აშშ დოლარზე საუბრობდნენ, თუმცა, ყოველდღიურად ნათელი ხდება, რომ სტიქიური უბედურების შედეგი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნისთვის გაცილებით მძიმე იქნება.

დადგენილია სტიქიური უბედურებების შედეგად იაპონიის ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალი. ცუნამის შედეგად სენდაის სანაპიროზე განადგურებულია უმსხვილესი პორტი; ხანძრის გამო დახურულია 6 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომლებიც დღე-ღამეში 1,4 მლნ ბარელ ნავთობს გადაამუშავებდა. ბევრი კომპანია, მათ შორის „სონი“ და „ტოშიბა“, იძულებული გახდა ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით წარმოება შეეჩერებინა. მთელი იაპონიის მასშტაბით „ტოიოტამ“ ავტომობილების აწყობა შეწყვეტა და სხვა.

იაპონიაში 11 მარტს 9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი ტოკიოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, 373 კილომეტრის მოშორებით, დაფიქსირდა. მიწისძვრამ ცუნამი გამოიწვია, ტალღების სიმაღლემ 10 მეტრს მიაღწია. რაც ყველაზე ტრაგიკული დ სავალალოა, ხელისუფლების ბოლო ინფორმაციით, სტიქიური უბედურებების შედეგად დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა 13 000-ს აჭარბებს.

III

ყველაფერი კარგია ზომიერად. ჩვენი ცხოვრების ისეთ აუცილებელ ატრიბუტს, როგორიცაა კომპიუტერი, შეუძლია სერიოზული დაავადებები გამოიწვიოს, თუ მის წინ ძალიან დიდ დროს გაატარებთ. განსაკუთრებული რისკის ზონაშია რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანო და სისტემა: ხერხემალი, კუნთები, სახსრები. რაც უფრო მეტ ხანს ვსხედვართ კომპიუტერთან, მით მეტი დატვირთვა მოდის ხერხემლის, კისრისა და წელის განყოფილებაზე. ხერხემალი მრუდდება, ნერვები და არტერიები იჭიმება, თითების, მაჯისა და წინამხრის სახსრები იტანჯება. შედეგი - მუდმივი ტკივილი თავში, კისერსა და ზურგში. განსაკუთრებით მძიმეა სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები. როდესაც სხეული მუდმივად ერთსა და იმავე მდგომარეობაშია, სისხლის

მოძრაობა ნელდება, სითხე გროვდება (განსაკუთრებით ფეხებსა და მცირე მენჯის ვენებში). კომპიუტერთან დიდხანს ჯდომისას სისხლძარღვები სისხლის დიდ მოცულობას ვერ უმკლავდება, მათი კედლები ფართოვდება, ხოლო სარქველები დახურვას ვეღარ ახერხებს. ასე ვითარდება ვარიკოზი და ჰემოროი. გარდა ამისა, ეკრანის ციმციმი მხედველობას აუარესებს, გამოსხივება ლორწოვან გარსს აშრობს. პრობლემები ექმნება ნერვულ სისტემასაც. კომპიუტერის მეშვეობით უზარმაზარ ინფორმაციას ვამუშავებთ და ინტენსიური ელექტრომაგნიტური გამოსხივების ქვეშ ვიმყოფებით. ეს გადაღლას, მეხსიერებისა და ინფორმაციის აღქმის გაუარესებას იწვევს. შესაძლებელია უამრავი სხვა უარყოფითი შედეგის დასახელებაც, მაგალითად: უძილობა, თვლემა, გაღიზიანებულობა ან ცუდი განწყობა. შეიძლება ითქვას, რომ გამოსხივება კანის გაუწყლოებასა და ნაადრევ ნაოჭებს წარმოშობს.

IV

არსებობის განმავლობაში კაცობრიობამ ბევრი საინტერესო და სასარგებლო რამ შეისწავლა: ცეცხლის დანთება, საჭმლის მოპოვება, ათამდე დათვლა და ბატკნების კლონირებაც კი, მაგრამ რაშიც ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, ესაა საკუთარი პლანეტის განადგურებისა და აღსასრულის დღის იმიტაცია. ამ საქმის გურუდ, უდავოდ, ამერიკელი კინემატოგრაფისტები მიიჩნევიან, რომლებიც დღე ისე არ გავა, რომ ერთი შტატი მაინც არ აღგავონ პირისაგან მიწისა. მოგეხსენებათ, რომ აპოკალიფსი ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი საკვანძო იდეაა, რომლის რწმენაც წლების სვლასთან და პროგრესთან ერთად არათუ განელდა, არამედ უფრო მეტი სიცხადე შეემატა და თვალხილულიც კი გახდა. ამერიკული კინემატოგრაფია წლების განმავლობაში და თანაც მეთოდურად ცდილობდა, შეემუშავებინა ყველაზე ღირსეული და, რაც მთავარია, ყველაზე ბუნებრივი აღსასრული. საინტერესოა, რას ემსახურებოდა ამგვარი ქმედება? საქმე მხოლოდ ფილმებით მიღებულ კოლოსალურ შემოსავლებში იყო თუ ადამიანთა მოდგმის აღსასრულის დღესთან შეგუების მცდელობაში? 2004 წლის კინომოვლენად აღიარებული ფილმი-კატასტროფა „The Day after Tomorrow“ იმდენად რეალისტურად და შთამბეჭდავად აღწერს მოვლენებს, რომ მაყურებელს მცირედი ხელოვნურობის განცდასაც კი არ უტოვებს. – ეს არის ის, რაც სამყაროს გლობალური დათბობის შემდეგ მოელის! – აცხადებს ფილმის რეჟისორი როლანდ ემერიხი, რომლის შთაგონების წყაროდაც ართ ბელისა და უითლი სტრიმბერის სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის ნაშრომი ,,მოახლოებული წარღვნა" იქცა. – ის, რაც თქვენ ნახეთ, შეიძლება ძალიან მალე რეალობად გვექცეს, ამიტომ ამასთან ხუმრობა არ შეიძლება! – გვაფრთხილებს ემერიხი და გვიტოვებს ფილმს, რომელიც ძალიან მალე შეიძლება კაცობრიობის თვითგადარჩენის სახელმძღვანელოდაც იქცეს ბუნებრივ კატაკლიზმებთან ბრძოლაში. ამერიკას თავს სუპერშტორმი „სენდი“ დაატყდა. ჩვენ დავინახეთ პარალიზებული და ჩაბნელებული ქალაქები, გარდაცვლილთა და დაშავებულთა მზარდი რაოდენობა, დატბორილი და ახლა

უკვე დათოვლილი ქუჩებიც. ამერიკის წამყვანი საინფორმაციო არხები მაყურებელს პირდაპირ ეთერს სთავაზობენ მოვლენათა ეპიცენტრიდან. მსოფლიოს ყურადღება დღეს ამერიკისკენაა მიპყრობილი, რომელიც თავს დამტყდარ სტიქიას ებრძვის. სოციალურ ქსელებსა და ტელევიზიებში ერთმანეთს ენაცვლება ახალ-ახალი შემზარავი კადრები დაზარალებული რეგიონებიდან... სიტუაცია უკონტროლოა... ამერიკელი ხალხი შიშით ელოდება ხვალინდელ დღეს... არ ვიცი, თქვენ როგორ, მაგრამ ვუყურებ ამ კადრებს და მიჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი უკვე ნანახი და განცდილი მაქვს.

V

ხშირად ადამიანებს წარმატების მიღწევა ადვილი ჰგონიათ: ავიწყდებათ მწვერვალამდე მისაღწევი უსწორმასწორო გზა. ამ გზაზე შემხვედრი გაუთვალისწინებელი უსიამოვნებანი და სირთულეები ხშირად მოტივაციისა და შემართების გრძნობას უქვეითებს. ისინი თავს ანებებენ დასახული მიზნისკენ სწრაფვას. უმრავლესობამ არ იცის, რომ იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ძალიან წარმატებულ პიროვნებებს, ჰქონდათ წარუმატებლობებიც.... ამიტომ მინდა გაგაცნოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი ჩვენთვის ცნობილი წარმატებული ადამიანების ბიოგრაფიებიდან:

უინსტონ ჩერჩილი მე-6 კლასში „ჩარჩა“. სანამ 62 წლის ასაკში პრემიერმინისტრი გახდებოდა, ის მუდამ მარცხდებოდა საჯარო ოფისის არჩევნებში! ამას მასზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია და თქვა: „არასდროს აქციო ზურგი მოსალოდნელ საფრთხეს და არ ეცადო გაქცევით თავის შველას. ამგვარი ქცევით მხოლოდ გააორმაგებთ მას, ხოლო თუკი პირისპირ და წარბშეუხრელად შეეგებებით, გაანახევრებთ.“

თომას ედისონის მასწავლებლები ამბობდნენ, რომ: „ის გონებრივად იმდენადაა ჩამორჩენილი, ვერაფერს ვერ სწავლობსო.“ „არანაყოფიერი“ შრომისთვის პირველი ორი სამსახურიდან გამოაგდეს. 1000 წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა, სანამ გამოიგონებდა ელექტრონათურას და როცა მას ჰკითხეს, თუ როგორი გრძნობა იყო 1000-ჯერ დამარცხება, მან თქვა: „მე არ დავმარცხებულვარ 1000-ჯერ, უბრალოდ, ნათურის გამოგონებამდე 1000 ნაბიჯი გადავდგი.“

ალბერტ ეინშტეინმა ლაპარაკი მხოლოდ 4 წლის ასაკში ისწავლა, ხოლო კითხვა - 7 წლისამ. მისი ერთ-ერთი მასწავლებელი მას ახასიათებდა, როგორც „გონებრივად სუსტ, არაკომუნიკაბელურ ბავშვს, რომელიც სულ მუდამ თავის უაზრო სიზმრებში დაფრინავდა.“ საშუალო სკოლიდან იგი გარიცხეს. მან უარი მიიღო ციურიხის პოლიტექნიკური სკოლიდან.

VI

ლიდერობა - ***ეს*** *არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დასახული მიზნის მისაღწევად გაძღოლის ცოდნა, უნარი და უფლება.*

თუ ჩვენ მოგვთხოვდნენ ლიდერის აღწერას საერთო ნიშნების მიხედვით, ალბათ, დავასახელებდით ისეთ თვისებებს/ნიშნებს, როგორებიცაა: ჭკუა, ქარიზმა, ქედუხრელობა, ენთუზიაზმი, სიმტკიცე, გაბედულება, პატიოსნება, საკუთარი ძალების რწმენა და ა.შ. შეიძლება თუ არა გამოვყოთ ერთი ან რამდენიმე ისეთი თვისება/ნიშანი, რომლებიც ახასიათებდათ საყოველთაოდ აღიარებულ ლიდერებს, მაგალითად, უისტონ ჩერჩილს, დედა ტერეზას, მარტინ ლუთერ კინგს და ა.შ., მაგრამ არ გააჩნიათ „ჩვეულებრივ მოკვდავებს?“

ეს საკმარისად რთული ამოცანაა. 1960-იან წლებში ჩატარებულმა ოცმა სხვდასხვა გამოკლევამ გამოავლინა პიროვნების ოთხმოცამდე ნიშანი, რომლებიც ლიდერებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აქედან მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა ყველა ლიდერისათვის საერთო. ესენია: **ამბიციურობა; ენერგიულობა; ადამიანთა ჯგუფის ხელმძღვანელობის სურვილი; პატიოსნება; საკუთარი ძალების რწმენა; ჭკუა; საკუთარი მოქმედების კონტროლის უნარი; ღრმა პროფესიული ცოდნა.**

თუკი პიროვნება ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებას ფლობს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ლიდერად ჩამოყალიბდება, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მას ეს თვისებები არ გააჩნია, ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობა მინიმალურია.

▣ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური მიგაჩნიათ არაეფექტურად, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე:

- მერიაში დასაქმებული „ფეშენმომღერლების“ სკანდალური სია და განტევების ვაცად ქცეული თეატრალური კვარტეტი;
- როგორ ავარჩიოთ ბავშვისთვის ძიძა – შვიდი უმნიშვნელოვანესი წესი;
- საკონსტიტუციო ცვლილებების გასატანად 9-10 ხმა აკლდებათ და უმცირესობაზე ზემოქმედება ძლიერდება;
- აეროფობია და საინტერესო ფაქტები ფრენის შესახებ;
- თაფლისფერთვალა ადამიანები განსაკუთრებულები არიან;
- რეალითიშოუში მონაწილე პაწია ბუბუს დედა ენერგეტიკულ სასმელს ასმევს;
- კიდევ 49 წიგნი, რომლებიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ! - ახალი პროექტის დეტალები;
- პრინცმა უილიამმა და ქეითმა პირმშოს დაბადების თარიღი დაასახელეს;
- ვის გამო დაასრულა ცნობილმა მსახიობმა ძველი ურთიერთობა?
- იმუნიტეტის დამაქვეითებელი ფაქტორები;
- ოცდამეხუთის ეფექტი – მოკავშირე;
- რატომ ინგრევა შობის წინ ყველაზე მეტი ოჯახი?
- კოდექსი: ბრძოლის თუ შრომის?!
- რას იტყვის ხალხი? ანუ ჩვილთა კვლის მიზეზი სოციალური ფობიაა?!
- ხახვი გაციებისა და ბრონქიტის დროს - ხალხური მედიცინა გაციების წინააღმდეგ;
- ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე შესაძლოა გაზაფხულზე დაბრუნდეს და ბოთლი სულ მცირე 300 რუბლი ეღირება;
- არასაიმედო სესხებმა ბანკების მოგება „შეჭამა“.

▣ რომელი მონაკვეთი არ უკავშირდება ორგანულად მოცემულ ტექსტებს და იმსჯელეთ, თუ რატომ თვლით ასე:

I. სომხური წყაროები საქართველოს შესახებ

ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სომხურ წერილობით წყაროებს.

სომხურ საისტორიო მწერლობაში მისი ჩამოყალიბების დროიდანვე ჩნდება ცნობები საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ.

IV–Vსს. საქართველოს ისტორიის შესახებ საკუთრივ ქართულ და ბერძნულ წყაროებში გარკვეული ცნობები გვხვდება, თუმცა ისინი ძალიან მწირია. უცხოური წყაროების არარსებობის შემთხვევაში ბევრი ფაქტი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან უცნობი იქნებოდა. სომხური წყაროებიდან უნდა აღინიშნოს კორიუნის, აგათანგელოსის, ფავსტოს ბუზანდის, ელიშეს, ლაზარ ფარპეცის, მოვსეს ხორენაცის ცნობები.

კორიუნის თხზულებაში აღწერილია სომეხთა დიდი განმანათლებლის, მესროპ მაშტოცის, ცხოვრება, მისი მოღვაწეობა და დამსახურება სომხური ანბანის შექმნის საქმეში. აქვე მოთხრობილია ალბანეთის ისტორიის ზოგი ფაქტი. ეს ძეგლი იძლევა უძვირფასეს ცნობებს იბერიის შესახებ 348 წლიდან 443 წლამდე.

ფავსტოს ბუზანდის (V საუკუნის II ნახევარი) „სომხეთის ისტორიაში" მოთხრობილია სომხეთის თავგადასავალი 319 წლიდან 384 წლამდე. თხზულებაში დაცულია უძვირფასესი ცნობები სომხეთის ისტორიიდან. ამავე წყაროში დაცულია ცნობები ქართლისა და სომხეთის ურთიერთობის, იბერიაში ფარნავაზიანთა დინასტიის მეფობის შესახებ.

ადრეფეოდალური ხანის უკანასკნელი პერიოდის საქართველოს სრულყოფილად წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა არაბული წყაროების გათვალისწინების გარეშე. ამ წყაროებში დაცულია ცნობები, რომლებსაც შემდგომში არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი დაეყრდნო.

II. დროის მენეჯმენტი

არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გადაანაწილებ, მაგრამ დღეღამეში მხოლოდ 24 საათია. იმისათვის, რომ ადამიანი წარმატებული იყოს, მან კარგად უნდა გამოიმუშავოს დროის განაწილების უნარი, ანუ დროის მენეჯმენტის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ყოვლდღიურ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა იტვირთოთ იმაზე მეტი, რის გაკეთებაც შეგიძლიათ. დასახული ამოცანები და შესასრულებელი სამუშაო უნდა აკეთოთ თანმიმდევრულად, საყვარელი სატელევიზიო პროგრამები და „სასიცოცხლოდ აუცილებელი სერიალები" კი დროებით უნდა გადადოთ გვერდზე. ე. წ. „საპნის ოპერა", რომელიც ლათინოამერიკულ ქვეყნებში წარმოიშვა, ფიტავს ადამიანს, ავიწროებს

მისი ინტერესების სფეროს და უკარგავს რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს. საქმის მეორე დღისთვის გადადება დროის მენეჯმენტის პირველი მტერია. თუ ამას კარგად გააცნობიერებთ, წარმატება გარანტირებული გექნებათ.

III. მზის ძირითადი მახასიათებლები

მზე, სფეროს ფორმის გავარვარებული პლაზმური ციური სხეული, დედამიწასთან მდებარე უახლოესი ვარსკვლავი, მზის სისტემის ცენტრალური სხეულია. სიმძიმის ძალის აჩქარება მზის ზედაპირზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დედამიწაზე. დედამიწის ორბიტის ელიფსურობის გამო მზიდან დედამიწამდე მანძილი წლის განმავლობაში იცვლება 147-152 მლნ კმ-ის ფარგლებში. საშუალო მანძილს ეწოდება ასტრონომიული ერთეული და იხმარება მანძილთა საზომად როგორც მზის სისტემაში, ისე გალაქტიკაში.

ქრისტიანული თვალთახედვით, მზე უხილავი ღმერთის ხატია, ხოლო ქართულ მითოსში მზე ღვთაებათა უმთავრესი სამეულის წევრია. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, სტრაბონის გეოგრაფიაში მოცემული მზის ბომონის, სალოცავის წინაშე ალბანელთა თაყვანისცემისა და სამსხვერპლო რიტუალების, აღწერა იმდროინდელ იბერიულ-ქართულ რწმენასაც უნდა ახასიათებდეს.

როგორც ვარსკვლავი, მზე ჰერცშპრუნგრესელის დიაგრამის მთავარი მიმდევრობის შუა ნაწილშია. იგი ჩვენი გალაქტიკის ერთ-ერთ სპირალურ შტოშია, გალაქტიკის ცენტრიდან 10 კპს მანძილზე. უახლოეს ვარსკვლავთა ერთობლიობის მიმართ მზე 19,7კმ/წმ სიჩქარით მოძრაობს ქნარის თანავარსკვლავედის მიმართულებით. გალაქტიკის ცენტრის მიმართ კი გარემოიქცევა 200 მლნ/წ პერიოდით.

მზის თვალისმომჭრელი კაშკაშა ზედაპირი არის ფოტოსფერო, საიდანაც ჩვენამდე მოდის მზის ხილული გამოსხივება. იგი ატმოსფეროს ყველაზე დაბალი ფენაა.

მზე ყველა ენის ხატოვან გამოთქმებში გამოიყენება. ქართულში, როცა მზიან ამინდში წვიმს, იტყვიან, მზე პირს იბანსო; მზე და მთვარე მასზე ამოსდისო, ნიშნავს, რომ ძალიან უყვარს; მისი მზე ჩაესვენა – დასრულდა მისი ზეობის, ძლიერების ხანა და ა. შ.

მზე ბრუნავს იმავე მიმართულებით, რომლითაც დედამიწა. ბრუნვის პერიოდი მზის ეკვატორული რაიონებისათვის 25,38 საშუალო მზისებრ დღე-ღამეს უდრის, პოლარული რაიონებისათვის კი დაახლოებით 35 დღე-ღამეს შეადგენს.

IV. ვიტამინი - სიცოცხლის წყარო

ვიტამინები ისეთი საკვები ნივთიერებებია, რომლებიც კვების პროდუქტებში მცირე რაოდენობით შედის, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობისათვის იმდენად

მნიშვნელოვანია, რომ მათ გარეშე შეუძლებელია სიცოცხლის შენარჩუნება, ამიტომაც ეწოდა მათ ვიტამინები. ლათინურად „ვიტა“ სიცოცხლეს ნიშნავს.

მეცნიერული გამოკვლევით, საკვებ პროდუქტებში აღმოჩენილია სხვადასხვა ვიტამინი, რომელთაც ეწოდათ ლათინური ანბანის პირველი ასოების სახელწოდებები. ლათინური ახლა მკვდარი ენაა და მასზე არც ერთი საზოგადოება აღარ ლაპარაკობს. ლათინური გამოიყენება სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ვიტამინებით კვება განსაკუთრებით აუცილებელია მოზარდი ორგანიზმისთვის.

▣ შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო საპრეზენტაციო თემა/საკითხი და შეასრულეთ შემდეგი აქტივობები:

1. განმარტეთ, თუ რატომ დაინტერესდით ამ საკითხით/პრობლემით, რატომ არის მნიშვნელოვანი ეს პრობლემა თქვენთვის, გაკავშირებთ თუ არა ამ საკითხთან/პრობლემასთან პირადი გამოცდილება?
2. ჩამოაყალიბეთ, რამდენად საინტერესო და აქტუალურია თქვენ მიერ შერჩეული საკითხი/პრობლემა საზოგადოებისთვის?
3. ჩაატარეთ გამოკითხვა თქვენ მიერ შერჩეულ თემასთან/პრობლემასთან დაკავშირებით;
4. გაესაუბრეთ დარგის/საგნის სპეციალისტს ან ექსპერტს და ჩაწერეთ მასთან ინტერვიუ;
5. მოიძიეთ თქვენ მიერ შერჩეულ თემასთან დაკავშირებული 3 პუბლიკაცია (ელექტრონული ან ბეჭდური რესურსი);
6. დაწერეთ ჩატარებული სამუშაოს ანგარიში.

ჯგუფური სამუშაო:

შექმენით თქვენთვის საინტერესო თემაზე ან საკითხზე მცირე მოცულობის ტექსტი. დაასათაურეთ იგი, შემდეგ წარმოადგინეთ აუდიტორიის წინაშე და ჯგუფთან ერთად იმსჯელეთ მის შესახებ: რა სტრატეგიები გამოიყენეთ თემის შერჩევისას, ტექსტისა და სათაურის შექმნისას და რატომ?

II თავი

განხილული საკითხები:

1. მიზნის განსაზღვრა და მისი შესაბამისი სტილის მოძებნა;
2. ფუნქციური სტილები.

1. მ ი ზ ნ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა

წერის პროცესს წინ უძღვის მოსამზადებელი ეტაპი. პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს ტექსტის შექმნის მიზანი:

• ვისთვისაა განსაზღვრული ტექსტი;
• რა დანიშნულება აქვს ტექსტს;
• რა მიზანს ისახავს ავტორი.

ამ ჩამონათვალის მიხედვითაც ჩანს, რომ ტექსტი სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა დანიშნულებისაა და, შესაბამისად, სხვადასხვა ხასიათისა. ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ტიპის ტექსტს ვხვდებით, ზეპირს თუ წერილობითს, რომლებიც სხვადასხვა აუდიტორიისა და სიტუაციის შესაფერისია. მაგალითად:

• **სამეცნიერო ხასიათის ტექსტი,** ძირითადად, სამეცნიერო საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი;

• **მხატვრული ტექსტი** განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის და ემოციის გამომწვევი, ექსპრესიული ფუნქციისაა;

• **ოფიციალური ინფორმაციის შემცველი ტექსტი** მიმართულია, აგრეთვე, ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ, მხატვრული ტექსტისაგან განსხვავებით, მისი მიზანი არ არის ემოციის გამოწვევა, არამედ მისი დანიშნულება გარკვეული ინფორმაციის მიწოდება და გავრცელებაა;
• **სარეკლამო ტექსტი** შექმნილია ამა თუ იმ პროდუქციის უკეთ გასაღების ან ამა თუ იმ მოვლენის პროპაგანდის მიზნით; ამგვარ ტექსტებში ხაზგასმითაა

წარმოჩენილი ის დადებითი მხარეები, რომლებიც საგანს ან მოვლენას ახასიათებს და გამიზნულია იმისათვის, რომ ინტერესი აღუძრას საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს. ენობრივად იგი მარტივი, ნათელი, მაგრამ, ამავე დროს, ემოციის შემცველიც უნდა იყოს.

• **სასწავლო ტექსტი** შეიცავს მწყობრად მიწოდებულ ინფორმაციას და აუდიტორიის ასაკისა და ფონური ცოდნის გათვალისწინებით ლოგიკური მსჯელობის ელემენტებს.

• **საქმიანი ტექსტები** ბიზნესის სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვისაა განკუთვნილი და საქმიან და ოფიციალურ დოკუმენტთა რიცხვს მიეკუთვნება.

• **ყოფითი ტექსტები** ყველაზე ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში და სასაუბრო მეტყველების შემადგენელი ნაწილია.

ამ ჩამონათვალის მიზანი არაა ყველა ტიპის ტექსტის განსაზღვრა, არამედ მხოლოდ მიმოხილვა ტექსტის ძირითადი სახეებისა და მცდელობა იმის ჩვენებისა, რომ ტექსტის შექმნა არ არის მხოლოდ ავტორის სურვილსა და ხედვაზე დამყარებული, იგი მოიცავს ზოგად პრინციპებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი ტექსტის შექმნის დროს. ყოველივე ამას ჩვენ შევისწავლით აკადემიური წერის კურსში.

ძირითადი დებულების ფორმულირება შეიძლება ამგვარად მოხდეს: ტექსტის **მიზანი** განსაზღვრავს მის **ხასიათს, სტილს,** ხოლო **შინაარსი** განმაპირობებელია **ფორმისა.**

2. რა არის სტილი და როგორ იქმნება იგი?

სტილი არის მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც სიტყვიერი გამოხატვის თავისებურებები ახასიათებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ენობრივ საშუალებათა შერჩევას გულისხმობს.

მეტყველება ორგვარია: სასაუბრო და მწიგნობრული.

სასაუბრო მეტყველება - ესაა არაფორმალურ გარემოში ნაცნობ ადამიანთა შორის აგებული მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც ინფორმაციის გადაცემას გულისხმობს უშუალო გზით. ამ სტილს ენაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება. მისი მახასიათებლებია:

• არაოფიციალურობა;
• უშუალობა, ემოციურობა;

• ბუნებრივობა;
• მეტყველების ავტომატიზმი (დაუგეგმავია და სიტუაციის შესაბამისად სპონტანურად იქმნება);
• ყოფითი შინაარსი;
• დიალოგური ან პოლილოგური ფორმა;
• ახასიათებს ეკონომიურობა;
• არანორმირებული (იგუეებს სალიტერატურო ნორმების დარღვევას);
• ახასიათებს ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკა (ფამილარული ფორმები, ფრაზეოლოგიზმები, სლენგი, ჟარგონი...);
• დამახასიათებელია უსრული წინადადებები.

მწიგნობრული მეტყველების უმთავრესი ნიშანია აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემა; მისი მახასიათებლებია:

• სალიტერატურო ენის ნორმების მკაცრი დაცვა;
• საყოველთაო გამოყენების ნეიტრალური ლექსიკა;
• ნეიტრალურობა (ნაკლებად ექსპრესიულობა);
• წინასწარ დაგეგმილია;
• ლოგიკურად განვითარებულია;
• საზოგადოებრივი დანიშნულების შინაარსი;
• მსჯელობის მოცულობითობა;
• ძირითადად მონოლოგური ხასიათისაა.

მწიგნობრულ მეტყველებაში გამოიყოფა რამდენიმე სტილის ტექსტი:

◈ სამეცნიერო სტილი

მწიგნობრული მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი სახე არის სამეცნიერო სტილი, რომელსაც ახასიათებს ყველა ნიშანი მწიგნობრული სტილისა და, ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის მოწოდების თავისებური ფორმა:

• საკითხის შესახებ არსებული მოსაზრებების მიმოხილვა;
• საკითხის ირგვლივ ჩატარებული მუშაობის ანალიზი;
• ინფორმაციის შეჯერება;
• შეფასება და ლოგიკური დასკვნა.

სამეცნიერო სტილი წარმოდგენილია მონოგრაფიებში, სტატიებში, სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომებში, ენციკლოპედიებში, რეცენზიებში, სპეციალურ სახელმძღვანელოებში და ა. შ.

სამეცნიერო სტილს სხვა სტილთაგან გამოარჩევს შემდეგი:

- ზოგადმეცნიერული ლექსიკა (კვლევა, არგუმენტი, ფაქტი, მსჯელობა, ანალიზი...);
- სპეციალურ/სამეცნიერო ტერმინთა სიუხვე, რაც ქმნის დარგის მწყობრ ტერმინოლოგიურ სისტემას;
- მსჯელობის ლაკონურობა;
- მტკიცებითობა, შედეგობითობა.

ნიმუში:

ნიჰილიზმის ცნება ჰაიდეგერის ფილოსოფიაში

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰაიდეგერი ნიცშეს ფილოსოფიის ინტერპრეტაციას საკუთარი ფილოსოფიის წინაშე მდგარ ამოცანებს უქვემდებარებს. მან ნიცშეს ფილოსოფია თავისი მოძღვრების შესავლად გამოიყენა, თუმცა წამოაყენა კონკრეტული არგუმენტაცია, რითაც გარკვეული თვალსაზრისით დაუპირისპირდა ნიცშეს მოძღვრებას.

ამოდის რა თავისი ცნობილი თეზისიდან ყოფიერების დავიწყების შესახებ, ჰაიდეგერი მთლიანად ეთანხმება ნიცშეს წინამავალი ფილოსოფიისა და კულტურის კრიტიკაში. ამ თვალსაზრისით, ისინი იდეურ შეთანხმებას აღწევენ.

◈ პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი ს ტ ი ლ ი

პუბლიცისტური სტილი ფართო აუდიტორიისათვისაა გამიზნული და გამოიყენება ძირითადად მასმედიაში. მისი უმთავრესი მახასიათებელია **საინფორმაციო და შემოქმედებითი ფუნქციების ერთიანობა.** მიზანია არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ პოზიციის დაფიქსირება, აგიტაცია, საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

პუბლიცისტურ სტილს ახასიათებს:

- ემოციურობა;
- ექსპრესიულობა;

• ლოგიკურობა;
• ოფიციალურობა;
• საჯაროობა;
• სტანდარტულობა (სხვადასხვა ხასიათის ტექსტში გარკვეული კლიშეების გამოყენება: საინფორმაციო სააგენტო იუწყება; დაუზუსტებელი ინფორმაციით; ანონიმი ინფორმატორის ცნობით...);
• აზრობრივი და ენობრივი სიცხადე;
• ავტორის ინდივიდუალური სტილის რეალიზება;
• დასაშვებია როგორც სამეტყველო ენისათვის დამახასიათებელი, ისე მწიგნობრული ენის ნიშნები.

ნიმუში:

წერას გავაგრძელებ - დიდი კოლუმბიელის პირობა...

მეოცე საუკუნის კოლუმბიელმა მწერალმა, ერის სიმბოლომ, გაბრიელ გარსია მარკესმა, 2006 წლის იანვარში ესპანურ გაზეთთან „ლა გარდია" ინტერვიუში განაცხადა, რომ აღარასოდეს დავწერო. „გასულ წელს პირველად ჩემს სიცოცხლეში ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. ჩემი გამოცდილების პატრონს არ გაუჭირდებოდა ახალი რომანის დაწერა, მაგრამ ხალხი მაშინვე მიხვდებოდა, რომ მასში გული არ ჩამიდია." მიუხედავად ამისა, ლიტერატურის პატრიარქის თაყვანისმცემლები ქვეყნის ოთხივე კუთხიდან იმედოვნებენ, რომ ცოცხალი ლეგენდა ან, უბრალოდ, გაბო, როგორც მას თანამემამულეები უწოდებენ, დაასრულებს მოგონებათა ტრილოგიას და მოთხრობების კრებულს „აგვისტოში შევხვდებით". მან ხომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ბრძანა: „წერას გავაგრძელებ... თავს ვიიმედებ, რომ უზენაესი მომცემს ძალას ჩანაფიქრის აღსასრულებლად, მემუარების დასრულება მეჩქარება. მეჩქარება კიდევ ბევრი რამის გაკეთება. ვცდილობ ვიცხოვრო ისე, როგორც ყოველთვის ვცხოვრობდი. ძველებურად ბევრი სურვილი და ოცნება მაქვს. ამ სურვილების ასრულებამდე კი გაბო თავის უერთგულეს მეუღლესთან, მერსედესთან, ერთად აგრძელებს ცხოვრებას. მათ ღირსეულად და ბედნიერად გალიეს ახალგაზრდობა, მოწიფულობის ხანა და ღირსეულადვე შეაბიჯეს სიბერეში.

◈ ოფიციალურ-საქმიანი სტილი

ოფიციალურ-საქმიანი სტილი გამოიყენება სამართლებრივი ურთიერ-თობებისას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. მისი გამოყენების სფერო ფარ-თოა და ასევე მეტად მრავალფეროვანია: კანონები, დადგენილებები, ბრძანებები, ხელშეკრულებები, განცხადებები, ხელწერილი და ა. შ.

ოფიციალურ-საქმიან სტილს ახასიათებს:

- სტანდარტულობა;
- აზრის ფორმირების სიზუსტე;
- ლაკონურობა;
- კონკრეტულობა;
- არაექსპრესიულობა;
- ობიექტურობა;
- მარტივი კონსტრუქციები;
- აღწერითი ფორმები (დანიშნულ იქნა, მიღებულ იქნა...);
- მკაცრად განსაზღვრული ფორმატი (დასახელება, თარიღი, ხელმოწერა...).

ნიმუში:

ც ნ ო ბ ა

ნინო გიგაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. ძირითად (Major) პროგრამად მას არჩეული აქვს არაბისტიკა. სტუდენტი წარმატებით ეუფლება არაბულ ენასა და ლიტერატურას.

ნინო გიგაური კონკურსის გზით შეირჩა იმ 5 სტუდენტს შორის, რომლებიც ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის იქნა გამოყოფილი 2008-2009 სასწავლო წლისთვის.

ნინო გიგაური კაიროს უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბრიდან შეუდგება სწავლას.

◈ **მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ტ ი ლ ი**

მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელია:

- ემოციურიობა;
- ექსპრესიულობა;
- ავტორის მაქსიმალური ინდივიდუალიზმი;
- მხატვრული ხერხების სიჭარბე;
- მხატვრული სახეებით აზროვნება;
- საჭიროების შემთხვევაში სასაუბრო მეტყველების ელემენტების გამოყენება;
- სიტყვათქმნადობა;
- სტილის მრავალგვარობა.

ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:

თავფარავნელი ჭაბუკი

თავფარავნელი ჭაბუკი დიდ ველზე ლაღად მიიწევდა, აალმასებული ცელი ეპყრა ხელთ, ბალახს თიბავდა. შარვლის ტოტები დაეკარწახებინა, წელზემოთ შიშველი იყო. ჰეიი, ცხელოდა... ღონივრად იქნევდა დაჭიმულ მკლავებს და დაკუნთული მხრები უბზინავდა თავფარავნელ ჭაბუკს. წარბშეკრული, მკაცრად მიაბიჯებდა ველზე და ნაკვალევზე მოთბიული ბალახ-ბულახი რჩებოდა, შიგადაშიგ გვირილაშერეული, გაკვირვებულთვალება... მადიანად სუნადენილი, წოწოლა ძნების ჩრდილში გოგოები იდგნენ, გვერდზე გადახრილნი, კოკებით ხელში... თავფარავნელი ჭაბუკი ვერც იმათ თვალებს ამჩნევდა, შხუილით მიიკვლევდა გზას, მოცელილ ბალახში უზარმაზარ წვეთებად გაბნეულიყო ყაყაჩო, ველზე მიიწევდა ჭაბუკი, მიწა - დიდი ქალი იყო, ტკბილად ოხშივარადენილი, ქალი იყო და მწვანე კაბა ეცვა, წითელკოპლება... ბალახს თიბავდნენ! წელამდე ბალახს თიბავდა ბიჭი, ბეჭებს უთვალიერებდნენ ჩრდილში მდგარი გოგოები, უჭვრიტინებდნენ... ბალახს რა - სხვებიც თიბავდნენ, მაგრამ ეს ბიჭი, ეს ბიჭი მაინც სუუულ სხვა იყო და...

გურამ დოჩანაშვილი

პრაქტიკული სამუშაო:

▣ განსაზღვრეთ შემოთავაზებული ტექსტების სტილი და იმსჯელეთ, თუ ტექსტში მოცემულმა რომელმა ენობრივმა ფორმებმა მოგცათ ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალება:

I. ბიზანტიასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს ნუმიზმატიკური მასალა. X საუკუნიდან ბიზანტიური ოქრო კვლავ იწყებს დენას ამიერკავკასიაში, ხოლო XI საუკუნის I ნახევრიდან 70-80-იან წლებამდე დიდი რაოდენობა ოქროს მონეტებისა მთელ ამიერკავკასიას დაფარავს კასპიის ზღვამდე. ეს მოწმობს იმას, რომ, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ბიზანტიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმულა საქართველო, სომხეთი და ძველი ალბანეთის სამხრეთის პროვინციები.

II. ჩვენ დროს სინათლე არ იყო, შვილო, იყო ქონის სანთელი, კვარი, იყო ჭრაქი. ჭრაქს გზელი ცხვირი ქონდა და პატრუქი იყო შიგ და იმას უკიდებდნენ. ოთხი ჭრაქი ქონდათ, თუ სტუმარი მოუვიდოდათ, აანთებდნენ ოთხივეს, თუ არა და ერთი ბჟუტამდა. თქვენ რო განებივრებულები ხართ, ეგრე კი არ ვიყავით, სუ წვალებაში და ჯაფაში ვიყავით. ჩვენ ჭკუაზე ვერცა ვთხოვდებოდით, ვერც ცოლი მოგვყავდა. უწინ ქალი მაჭანკლით თხოვდებოდა. ეხლა დრო შეიცვალა, გენაცვალე, თქვენ უფრო გალაღებულები ხართ, ღმერთმა კარგად გამყოფოთ.

III. ახლა შევეცდებით, გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ცენზურისადმი. ცენზურა, დამეთანხმებით, თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს, ის ძირეულად არადემოკრატიულია, რადგან ზღუდავს გამოხატვის საშუალებას და ნებას აძლევს უმცირესობას, უკარნახოს უმრავლესობას, რისი ნახვა, წაკითხვა ან მოსმენა შეუძლია ან არ შეუძლია. მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკიდან ნებისმიერი მიზეზით საკამათო წიგნის ამოღება მის ავტორს გზას უჭრის მრავალი მკითხველისკენ. ინდივიდების „რჩეული“ ჯგუფი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას წიგნის შესახებ, ფაქტობრივად, უკრძალავს საზოგადოებას ამ წიგნის წაკითხვას. ეს ქმედება, აქედან გამომდინარე, დიქტატურას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე დემოკრატიას. ვფიქრობთ, საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა გამოხატოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

IV. ტელეკომპანია „განთიადის“ დირექტორთა საბჭომ განიხილა საკითხი ზოგიერთ გადაცემაზე ცენზურის დაწესების შესახებ.

დირექტორთა საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა სახიფათოა საზოგადოებისათვის, საჭიროა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები ზოგიერთ გადაცემაზე.

დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა შეიზღუდოს ისეთი გადაცემების ჩვენება, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობის, ეროვნული და სარწმუნოებრივი უმცირესობების დისკრიმინაციის პროპაგანდას.

ინფორმაცია უნდა გავრცელდეს როგორც პრესით, ისე ტელევიზიით.

▣ განსაზღვრეთ შემოთავაზებული ტექსტების სტილი, გამოკვეთეთ თითოეულის მახასიათებელი ნიშნები. იმსჯელეთ, ვისთვის არის განკუთვნილი თითოელი ტექსტი და რა მიზანი აქვს ავტორს:

I. საერთოდ, ისმის კითხვა, თუ რამდენად მართებულია საუბარი გერმანელი რომანტიკოსი პოეტისა და ფილოსოფოსის – ნოვალისის – ენის ფილოსოფიის შესახებ მაშინ, როდესაც, მაგალითად, ვ. ფონ ჰუმბოლდტის ან ი. გ. ჰერდერისაგან განსხვავებით, მას ენის ფილოსოფიის საკითხებზე არ მოუცია ფუნდამენტური გამოკვლევა. შეიძლება თუ არა, რომ მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ ფრაგმენტებში გაბნეულ მოსაზრებებს ენის შესახებ ეწოდოს ენის ფილოსოფია? მართალია, ნოვალისის ენის ფილოსოფია სისტემურობასა და მთლიანობას მოკლებულია, რაზეც მართებულად მიუთითებს ჰ. გიპერიც, მაგრამ აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ნოვალისის ფილოსოფიური სპეციფიკა, რომელიც სისტემურობას, საკითხის სისტემურ გადმოცემას უკუაგდებს.

II. საქართველოში მენეჯერთა შორის რეკლამის შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებაა დამკვიდრებული. ერთნი სატელევიზიო რეკლამის მაგალითზე მიიჩნევენ, რომ რეკლამა ფუჭად გადაყრილი ფულია და არაფრის მომტანია კომპანიისათვის. მათი აზრით, სატელევიზიო რეკლამას ისედაც მცირერიცხოვანი აუდიტორია ჰყავს, ხოლო რეკლამის გავლენის ქვეშ მოქცეული მაყურებლის რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა. მეორეთა აზრით, ეფექტიანი რეკლამა წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. ხალხმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს კომპანია და რას სთავაზობს მომხმარებელს. შეიძლება ითქვას, რომ თქვენი რეკლამის ეფექტიანობას სულაც არ განსაზღვრავს მისი წარმატება რომელიმე ფესტივალზე, რეკლამის ხარისხი ბევრად უფრო ობიექტურად და მარტივად უნდა განვსაზღვროთ.

III. „ახალი სასწავლო წლიდან თითო პირველკლასელის საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისთვის დაფინანსება 235 ლარიდან 250 ლარამდე გაიზრდება, ხოლო სრული განაკვეთის მქონე პედაგოგებს ხელფასი 200 ლარზე ნაკლები აღარ ექნებათ. ახალი სასწავლო წლისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მთლიანად 80 მილიონი ლარი დაჯდა,'' – აღნიშნა განათლების მინისტრმა. საქართველოში არსებული საჯარო სკოლების 45 პროცენტში დირექტორი უკვე არჩეულია. იქ, სადაც ეს ჯერ ვერ მოხერხდა, ახალი სასწავლო წლიდან სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უხელმძღვანელებს, ოქტომბერში კი, სავარაუდოდ, დირექტორების შესარჩევი ხელახალი კონკურსი გაიმართება.

IV. მოულოდნელად ქუჩაში ხმაური გაისმა. ფალიაშვილისა და კავსაძის ქუჩების კუთხეში ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. ისინი გაცხარებით საუბრობდნენ, თუმცა საუბრის თემა გამვლელ-გამომვლელთათვის გაურკვეველი რჩებოდა. ყველაზე აქტიური ყმაწვილი, რომელსაც ლურჯი ქურთუკი ეცვა, ხელების ინტენსიური მოძრაობით უხსნიდა დანარჩენებს, თუ რატომ უნდა წასულიყვნენ საქმის გასარჩევად ვერის უბნელებთან. მართალია, ზოგი ცდილობდა მისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ გიორგი მაინც თავისას არ იშლიდა და ყველას მოუწოდებდა მეგობრის ცემისათვის სამაგიეროს გადახდისაკენ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საღამოს გიო შუღლაძესთან შეხვდებოდნენ ერთმანეთს, დააწყობდნენ სამოქმედო გეგმას და მხოლოდ ამის შემდეგ იძიებდნენ შურს. ბიჭები დაიშალნენ, მათი ხმამაღალი საუბარი კი ქუჩის ჩვეულებრივმა გუგუნმა შეცვალა, თუმცა რაღაცის მოლოდინი თითქოს დარჩა.

V. ამერიკას საუკუნეზე მეტი დასჭირდა მარკეტინგის ამჟამინდელ დონემდე მისაყვანად. დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რეკლამა ხელოვნებისა და მეცნიერების ნაზავია, ხოლო მარკეტინგული ხარჯები ინვესტიციად განიხილება. საქართველომ ეს გზა დაჩქარებულად უნდა გაიაროს. ოციოდე წლის წინ საქართველოში ცოტამ თუ იცოდა მარკეტინგის შესახებ. დღეისთვის დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ – უახლოეს მომავალში რეკლამის ეფექტიანობა ისეთივე სტანდარტული ცნება გახდება ჩვენთვის, როგორიც დასავლეთშია მიღებული და მისი გამოყენების საჭიროება ეჭვს არ გამოიწვევს.

▣ განსაზღვრეთ შემოთავაზებული ტექსტის სტილი და გამოყავით სტილის მახასიათებელი ნიშნები:

I. ქუჩაში ცხრა წლის სახემშვიდი გოგონა მიდის. ზურგზე სასკოლო ჩანთა ჰკიდია, ხელები მერცხლისფერი ხავერდის პალტოს ჯიბეში ჩაუყვია, მერცხლისფერივე ბერეტი ჰხურავს, – ოდნავ დიდი, ოდნავ გვერდზე და თანაც ძირსდაწეული. მარცხენა წარბი მარჯვენაზე ცოტა უფრო მეტად აქვს აჭიმული, მაგრამ არ ემჩნევა, – შუბლზე სწორად ჩამოვარცხნილი ბაცი წაბლისფერი თმა ისე დაბლა აქვს შეჭრილი, წარბებიც შიგ ემალება. მარტო წარბები კი არა, გეჩვენება, რომ დიდი, კეთილი თვალებითაც თმის წვერებს არის ამოფარებული, თმის წვერებსა და ძირსდაწეული ბერეტის კიდეს, და სულ ასე, ამ თმის წვერებსა და ბერეტის კიდეს ამოფარებული იყურება. შეიძლება არც გეჩვენებოდეს, შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს.

II. მარინე ჭეიშვილი არის კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადანიანი. იგი დიდი გულისხმიერებით გამოირჩევა, ამიტომ ყოველთვის იმსახურებს თანამშრომელთა კეთილგანწყობას. მას არ უჭირს კოლექტივთან ერთად მუშაობა, გულმოდგინედ ასრულებს ჯგუფურ დავალებებს და, ამავე დროს, არის ინიციატივიანი პიროვნება. მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო თემაზე მუშაობს სამი თანამშრომელი. იგი კარგი ორგანიზატორია. ყოველთვის დროულად და უნაკლოდ აბარებს მისთვის განკუთვნილ დავალებას.

III. ავთანდილი სავსეა როგორც სულიერებით, ისე ნივთიერებით. იგი სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის. თუ საჭიროა, იგი მაშინვე იყენებს ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შეწყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელი ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობას თუ დაინახავს. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარსმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმაში ხელი, როგორც კი ხვეწნამ და ტკბილმა სიტყვამ არ გაჭრა. არც მაშინ უყოყმანია ავთანდილს, როცა

ს საყვარელი ჭაშნაგირი მოკლა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მას არ დაურღვევია წონასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

IV. მსოფლიოში პირველ ტენორი, ყველასათვის და ყველა დროის საყვარელი საოპერო მომღერალი ენრიკო კარუზო 1973 წლის 25 თებერვალს ნეაპოლში დაიბადა. მიუხედავად მშობლების დიდი წინააღმდეგობისა, მან ინჟინრობას მუსიკალური კარიერა ამჯობინა. ენრიკო დაიბადა ოჯახში, რომელშიც, მის გარდა, კიდევ ოცი ბავშვი იზრდებოდა და-ძმისა და ნათესავების ჩათვლით.

კარუზომ ადრეულ ასაკშივე გააცნობიერა, რომ განსაკუთრებული ხმის პატრონი გახლდათ. თხუთმეტი წლისას დედა გარდაეცვალა და იძულებული

გახდა, მუშაობა დაეწყო. პარალელურად ეკლესიაში გალობდა. მალე სამხედრო სამსახურში წასვლა მოუხდა, მაგრამ ეს ნაბიჯი მის ცხოვრებაში საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ენრიკომ თავისი ხმით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა უფროსებზე, რომ ვოკალის პედაგოგი თვითონ აუყვანეს, რათა უნიკალური ხმა დაეხვეწა.

▣ ამოიღეთ ტექსტიდან ის ფრაზები, რომლებიც არ შეესაბამება ძირითად სტილს და იმსჯელეთ, თუ რატომ ფიქრობთ ასე:

განსხვავებული თვალსაზრისების არსებობა გარდაუვალია და ხშირად სასურველიც. გეუბნებით, ეს ნამდვილად ეგრეა. როცა ადამიანები ერთობლივად იკვლევენ რაღაც პრობლემას, ისინი ხშირად თვლიან, რომ, რაკი ერთსა და იმავე ფაქტებზე მუშაობენ, დასკვნაც ერთნაირი უნდა გააკეთონ. მაგათ ძალიან ეშლებათ. ეს ასე არ არის. ერთსულოვნებას კიდევ უფრო ნაკლებ უნდა ველოდოთ, თუ ჩვენ "ბუნებრივ" განსხვავებულობასთან ერთად გავითვალი-სწინებთ მთელ რიგ სხვა ფაქტორებსაც: სტატუსს, ძალაუფლების ხარისხს, ასაკს, სოციალურ მდგომარეობას.

კონფლიქტები ცხოვრების ნაწილია. იქნება მითხრათ, არაო, სულ ტყუილად, ჩემო კარგებო, გეშლებათ. კონფლიქტები წარმოიშვება მაშინ, როცა ერთმანეთს ეჯახება სხვადასხვა ადამიანის ინტერესები.

◙ წარმოადგინეთ ტექსტი მწიგნობრული მეტყველების რომელიმე სტილით. არ შეცვალოთ ტექსტში მოცემული ძირითადი ინფორმაცია, შექმენით ტექსტი ახალი ფორმითა და განსხვავებული სტილით.

ინგლისში მიგვქონდა შექსპირის „რიჩარდი“. ერთი რამე ვიცოდი – ეს იყო რისკი, მაგარი რისკი. შექსპირი მიგვქონდა მის სამშობლოში. ხო ხვდები, რას ვაკეთებდით. არა, მაინც რა არის ახალგაზრდობა. ახლა შეიძლება ვერც გაგვებედა. ხალხს მოეწონა სპექტაკლი. „კავკასიურმა ცარცის წრემაც“ გაქაჩა. ერთი ორასი ქალი იცდიდა ხოლმე სპექტაკლის შემდეგ. ეჰ, კარგია მოგონებები.

იქაურმა პროდიუსერმაც ბევრი არაფერი იცოდა საქართველოზე. მერე გვითხრა, მარტო ის ვიცოდი, რომ ქართველი იყო ფიროსმანიო. აზრზე ხარ, რა ავანტიურაზე მიდიოდა, როცა ჩვენ გვეპატიჟებოდა? ეტყობა ინტუიცია მაინც არსებობს. თეატრი სულ გადაჭედილი იყო. იცი რა? ეს შექსპირის დამსახურებაა და არა ჩვენი. რუსები ამბობენ, თავმდაბლობა ამშვენებს ადამიანსო.

რაღაც ძალიან ბევრს ვლაპარაკობ. ერთსაც გეტყვი – ინგლისური გასტროლების შემდეგ მაყურებელი დარწმუნდა, რომ ქართული თეატრი არ იყო პროვინციული თეატრი, ეს იყო ჩვენი მთავარი გამარჯვება. მაგარი მოგონებები მაქვს.

◙ სასაუბრო მეტყველებით შექმნილი ტექსტი შეცვალეთ პუბლიცისტური ან სამეცნიერო სტილით და დაასათაურეთ ტექსტი:

ასეთი სიცხე რამდენი ხანია არ ყოფილა თბილისში! სუნთქვა აღარ შეიძლება... შარშან არ ცხელოდა ასე... არა, ნამდვილად არ ცხელოდა, იმიტომ, რომ მახსოვს, თითქმის მთელი ზაფხული თბილისში გავატარე და ასეთი სიცხე ნამდვილად არ მახსოვს... ყველაფერი უარსედება და ეს ამინდიც შეიცვალა... აბა რა იქნება, ადამიანი ბუნებას აღარ უფრთხილდება და ყველაფერი უკან მოგვიბრუნდება, აბა რა იქნება.... გაზაფხულზე წყალდიდობებია, შემოდგომაზე თოვლი მოდის, ზაფხულში ზოგ ადგილას სუნთქვა აღარ შეიძლება, ისე ცხელა, ზოგ ადგილას კი წყალს მიაქვს ყველაფერი... ნახე ტელევიზიით, რა საშინელი ტაიფუნი იყო კორეაში? საშინელებაა პირდაპირ.... ის თუ გახსოვს, შარშან როგორი ზამთარი იყო? თებერვალში ხეები რომ აყვავდა? არა, ნამდვილად შეიცვალა ყველაფერი.... ხომ ვამბობ, ყველაფერი მოგვიბრუნდება, როგორც ადამიანი ექცევა ბუნებას, ისე მოექცევა ბუნება ადამიანსაც...

◙ წაიკითხეთ ინფორმაცია და შექმენით ტექსტი მოცემული სტილით:

1. **სასაუბრო მეტყველება (დიალოგის სახით);**
2. **პუბლიცისტური სტილი (წარმოადგინეთ ტექსტი საგაზეთო ინფორმაციის სახით);**
3. **ოფიციალური სტილი.**

I. 15 სექტემბერს ზემოაჭარაში გადაუღებლად წვიმდა. ჩამოწვა მეწყერი, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ხულოს რაიონს. დაინგრა გზები. საინფორმაციო საშუალებების გადმოცემით, ხულოში მყოფი სპეციალისტები ვერ აკონკრეტებენ, როდის აღდგება მოძრაობა ბათუმი-ახალციხის მაგისტრალზე. უგზოობამ მთავარი პრობლემა ადგილობრივებს შეუქმნა, რადგან მოსახლეობას ამ დროს საზაფხულო საძოვრებიდან საქონელი ჩამოჰყავს.

II. 2007 წლის 25 სექტემბერი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იუნესკოს დელეგაცია.

მიზანი - რეგიონის ისტორიული ძეგლების დეტალურად შესწავლა.

მასპინძელი - რეგიონის კულტურის სამსახური.

ვიზიტები - მცხეთის, სტეფანწმინდის, ფშავ-ხევსურეთის ღირსშესანიშნაობები.

შეხვედრები - რეგიონის კულტურის მუშაკები, ადგილობრივი მოსახლეობა.

შედეგი - იუნესკოს შესაბამისი სამსახურებისთვის ამ რეგიონის მნიშვნელობის გაცნობა და მიზნობრივი მატერიალური დახმარება ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციისათვის.

III. ნოემბერში სეულში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა რაგბისტებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

◙ რით განსხვავდება სასაუბრო მეტყველება და მწიგნობრული მეტყველება ერთმანეთისაგან? რომელი ფუნქციური სტილით არის შესრულებული ქვემოთ მოყვანილი ტექსტი? რა არის ამ სტილის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ:

გაცნობებთ, რომ 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ვიმყოფებოდი კა-ფოსკარის უნივერსიტეტში, სადაც მოვისმინე სალექციო კურსები იტალიურ ენასა და ლიტერატურაში. ჩავაბარე გამოცდები, მაქვს მიღებული მაღალი შეფასება და შესაბამისი კრედიტები. გთხოვთ,

გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და მიღიაროთ კა-ფოსკარის უნივერსიტეტში გავლილი საგნები, კერძოდ, იტალიური ენა (5 კრედიტი) და იტალიური ლიტერატურის ისტორია.

◘ რით განსხვავდება სასაუბრო მეტყველება და მწიგნობრული მეტყველება ერთმანეთისაგან? რომელი ფუნქციური სტილით არის შესრულებული ქვემოთ მოყვანილი ტექსტი? რა არის ამ სტილის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ:

ამერიკის შეერთებულ შტატებს ქარიშხალმა „სენდიმ“ გადაუარა. ორშაბათს საღამოდან 130 კმ/სთ სიჩქარით მოძრავმა ქარიშხალმა და მასთან ერთად ძლიერმა წვიმებმა 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 8 მილიონზე მეტი აბონენტი კი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. სამხრეთ მანჰეტენის ქუჩები, მთლიანად მოქცეული წყლის ქვეშ, ტალღების მიერ წაღებული მანქანები, ნიუ- ჯერსიში დანგრეული კაშხალი - ამგვარია სამწუხარო სურათი, რომელიც ქარიშხალმა „სენდიმ“ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუტოვა. გათენებისას ნიუ-იორკი მოჩვენებების ქალაქს ჰგავდა. სამხრეთ მანჰეტენის ნახევარზე მეტი ბნელით იყო მოცული, მხოლოდ გენერატორით აღჭურვილი რამდენიმე შენობიდან ანათებდა შუქი. მეტროს გვირაბები დაიტბორა. ზღვის წყალმა ამოვასო დერეფნებიც. ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალი 10-დან 20 მილიარდ ევრომდეა. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც სახელმწიფო ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსიში მცხოვრებ მოსახლეობას მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებს.

◘ რით განსხვავდება სასაუბრო მეტყველება და მწიგნობრული მეტყველება ერთმანეთისაგან? რომელი ფუნქციური სტილით არის შესრულებული ქვემოთ მოყვანილი ტექსტი? რა არის ამ სტილის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრი (შემდგომში „დამკვეთი“) იღებს ფასების დასახელების წინადადებებს შემდეგი სამუშაოების ჩასატარებლად: სათამაშო და დასასვენებელი სკვერის მოწყობა ქ. ქუთაისში ყოფილი „სამხედრო ლიცეუმის“ დევნილთა ჩასახლებაში, ხარებავას ქ. 52. იმისათვის, რომ გაგიადვილდეთ ფასების წინადადების მომზადება, დოკუმენტს თან ვურთავთ ინფორმაციას სამუშაოთა მოცულობების შესახებ, ფასების წინადადების ფორმასა და ხელშეკრულების ფორმას.

◘ რით განსხვავდება სასაუბრო მეტყველება და მწიგნობრული მეტყველება ერთმანეთისაგან? რომელი ფუნქციური სტილით არის შესრულებული ქვემოთ მოყვანილი ტექსტი? რა არის ამ სტილის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ:

არსებობს ასეთი ფორმულა: „ბედნიერებაა არა აკეთო ის, რაც გინდა, არამედ გინდოდეს ის, რასაც აკეთებ". თუკი ორშაბათის გათენება თქვენთვის კოშმარია, ე. ი. პატარა ტრენინგი არ გაწყენდათ ამ თემაზე. გული არ გაიტეხოთ, თუ დილაადრიან მაღვიძარას ზართან ერთად მთელი დღე მძიმე გრაფიკით წამიერად ჩაგივლით თვალწინ, რადგან თქვენი მსგავსი ადამიანები მრავლად არიან. პირველ რიგში, უნდა გააცნობიეროთ, რომ ამ სამუშაოს გინაზღაურებენ. ეს გარკვეული ვალდებულება და თანამედროვე ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ამიტომ სამუშაოზე ისე კი არ უნდა მიდიოდეთ, თითქოს სასაკლაოზე, არამედ - პირიქით, სიამოვნება უნდა მიიღოთ. გამუდმებით სამსახურზე ცუდის ფიქრი ცხოვრებას გვიწამლავს. დათვალეთ, დღეში რამდენ საათს ატარებთ სამსახურში? დამეთანხმეთ, რომ საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ამ პერიოდში მუდამ ცუდ ხასიათზე და გაძლებაზე იყოთ. ასე ხომ ჩვენი ცხოვრება ერთ ნაცრისფერ და უინტერესო მოგზაურობად შეიძლება გადაგვექცეს. ამიტომ უთხარით „არა" უარყოფით განწყობას. განწყობის გასახალისებლად სამსახურის მიმართ დამოკიდებულება შეცვალეთ, საკუთარ თავს ჩააგონეთ, რომ ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ყოველი ადამიანი თავად ქმნის განწყობას და ეს მნიშვნელოვნად მოქმედებს მის ცხოვრებაზე. ასე რომ, ფრაზამ - „არ მინდა მუშაობა, მეზარება და ა.შ" - შესაძლოა, ქრონიკულად ცუდ ხასიათზე გამყოფოთ.

◘ რით განსხვავდება სასაუბრო მეტყველება და მწიგნობრული მეტყველება ერთმანეთისაგან? რომელი ფუნქციური სტილით არის შესრულებული ქვემოთ მოყვანილი ტექსტი? რა არის ამ სტილის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, **ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.**

კანონი ქორწინებას უცილობლად უკავშირებს მისი რეგისტრაციის ფაქტს. არარეგისტრირებული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, თუნდაც იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდეს, არ ითვლება ქორწინებად და არ წარმოშობს ქორწინების სამართლებრივ შედეგებს. საქართველოს სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, მაგრამ მას მაინც არ ათანაბრებს სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულ ქორწინებასთან. შესაბამისად, არც ჯვარდაწერილ და არც სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებულ წყვილს არ ჩამოუყალიბდება ერთმანეთის მიმართ ის სამართლებრივი უფლება-მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით.

დაქორწინების ასაკად დადგენილია 18 წელი. თუმცა ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი. 16 წელს მიღწეულ პირებს შეუძლიათ დაქორწინება მშობლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. თუ მშობლები არ იძლევიან თანხმობას და არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი (მაგალითად: ორსულობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები), მაშინ დაქორწინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ დაქორწინების მსურველი პირის განცხადების საფუძველზე.

ქორწინება აუცილებლად ნებაყოფლობითი უნდა იყოს ორივე მხრიდან. დაუშვებელია ქორწინების იძულება ერთ-ერთი დასაქორწინებლის მიერ, მშობლების ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ. დანიშვნის შემდეგ ორივე მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ქორწინებაზე. კანონში აღნიშნულია, რომ ნიშნობის დროს მიღებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ.

ჯგუფური სამუშაო:

დაიყავით ჯგუფებად და მითითებული სტილით შექმენით ტექსტი მოცემულ საკითხებზე:

1. ეკოლოგია - პუბლიცისტური სტილი;
2. თანამედროვე ახალგაზრდობა - მხატვრული სტილი;
3. თამარ მეფის ეპოქა - სამეცნიერო სტილი;
4. დემოკრატია - პუბლიცისტური სტილი;
5. ფოტოგამოფენა თემაზე „მე და უნივერსიტეტი“; პროექტის ანგარიში - ოფიციალურ-საქმიანი სტილი.

III თავი

განხილული საკითხები:

1. ესე;
2. ესეს სტრუქტურა.

1. ესე

ესე ფრანგული სიტყვაა და ტრადიციული გაგებით ნიშნავს თავისუფალი ფორმის ნარკვევს, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა პრობლემები. შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს ესეს რამდენიმე შინაარსობრივი ტიპი:

- ლიტერატურულ-პუბლიცისტური;
- კრიტიკული;
- ფილოსოფიური;
- ისტორიული;
- სამეცნიერო;
- ბიოგრაფიული;
- ფსიქოლოგიური;
- სოციოლოგიური და ა.შ.

თანამედროვე გაგებით, ესემ თავისი ძირეული მნიშვნელობა შეიცვალა და ის შეიძლება ასე განვმარტოთ: ესე არის არც თუ ისე დიდი მოცულობის (დაახლოებით 1700 და მეტი სიტყვა) თხზულება, რომელსაც აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული ფორმა და სტრუქტურა.

წერაში გაწაფულმა ადამიანმა ნებისმიერი სირთულის იდეა მოკლედ, კომპაქტურად უნდა ჩამოაყალიბოს, რათა არ გადაღალოს მკითხველი და არ დააკარგვინოს ინტერესი.

2. ესეს სტრუქტურა

ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ნაწილისაგან - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა:

◈ შესავალი

შესავალს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. მასში გამოკვეთილია მიზანი, დასმულია საკითხი ან მოცემულია ესეში განსახილველი ძირითადი დებულებები. შესავალი ნაწილის დანიშნულებაა, მკითხველი დადებითად განაწყოს ტექსტისადმი, გაუღვივოს ინტერესი და შეუქმნას მოტივაცია იმისათვის, რომ ნაშრომი ბოლომდე წაიკითხოს. არსებობს რამდენიმე მარტივი გზა იმისათვის, რომ შესავალი ეფექტური გამოვიდეს:

- შესავალში უნდა გამოკვეთოთ მიზანი, ანუ თავიდანვე უნდა გააცნოთ მკითხველს, თუ რა საკითხს ეხება ტექსტი;
- დასვით შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძლება ისაუბროთ ესეში;
- დაიწყეთ შესავალი მკითხველისათვის ნაცნობი სიტუაციის აღწერით, რათა მიიზიდოთ და დააინტერესოთ იგი;
- მხოლოდ ამის შემდეგ უჩვენეთ მკითხველს, რომ სიტუაცია იშლება, ვითარდება, საკითხი ღრმავდება. თქვენი ესე მოწოდებულია იმისათვის, რომ მკითხველმა ამომწურავი პასუხი მიიღოს ესეს ძირითად ნაწილში.

მაგალითად: *როდესაც ვსაუბრობთ მზის დაბნელების შესახებ, სულაც არ არის აუცილებელი, პირველივე წინადადებაში გამოვიყენოთ რთული სამეცნიერო ტერმინები ან წარმოვადგინოთ ფორმულები, რომლებიც მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო წრისათვის იქნება გასაგები. ამან შეიძლება დააფრთხოს მკითხველი. მაგრამ საკითხის დასმისა და მკითხველის ყურადღების გაღვივების შემდეგ შესაძლებელია ესეში უფრო რთული მეცნიერული მსჯელობის ჩამოყალიბებაც. გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, თუ ჯერ გავიხსენებთ რომელიმე პოპულარულ მოვლენას, რომელიც მზის დაბნელებას უკავშირდება. მაგ.: ეს შეიძლება იყოს საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა. შემდეგ უკვე მსჯელობა შეიძლება გაგრძელდეს შედარებით რთულ და მნიშვნელოვან საკითხებზე.*

◈ როგორ უნდა დავწეროთ შესავალი?

• ეცადეთ, მოიფიქროთ ორიგინალური დასაწყისი, რომელიც მკითხველს აღუძრავს ინტერესს. ეცადეთ გამოიყენოთ ორიგინალური იდეა ან

განსახილველი პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულება. შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტიც კი შექმნათ და მათ შორის ამოარჩიოთ საუკეთესო.
• მოერიდეთ შაბლონურ და პათეტიკურ წინადადებებს. ეს დაბალ ენობრივ კულტურაზე მიანიშნებს და გემოვნებიან მკითხველში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

◣ ნიმუში:

მიუღებელია ასეთი ფრაზები:
ქართული პოეზიის ცისკაბადონზე მეტეორივით გაიელვა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელმა;
ქართველ პროზაიკოსთა გალერეაში გამორჩეული ადგილი ეკუთვნის ლეო ქიაჩელს;
ილეწებოდნენ საუკუნენი, მაგრამ წარუშლელად რჩებოდა ერეკლე II-ის სახელი;
ყველა ადამიანისათვის სამაგიდო წიგნად ქცეული კონსტიტუციის პატივისცემა მოეთხოვება როგორც საზოგადოებას, ისე მის თითოეულ წარმომადგენელს.

• მოერიდეთ ზოგად და ბუნდოვან ფრაზებს. ამის სანაცვლოდ ეცადეთ, თქვენი ნააზრევი დაიწყოთ ორიგინალურად, მარტივად და, ამასთანავე, ნათლად. გეგმაშივე მიუთითეთ, თუ როგორ დაიწყებთ თქვენს სათქმელს, რადგან ეს იმპულსს მოგცემთ მსჯელობის შემდგომი განვითარებისათვის, ამასთანავე, სწორედ პირველივე ნაწილით განისაზღვრება სტილი და ესეს ტიპი. სწორედ მისი მეშვეობით მყარდება კავშირი მკითხველთან.

• შესავლის შექმნის დროს კარგად უნდა გქონდეთ განსაზღვრული თქვენი მიზანი, რომელიც შეიძლება პუნქტებადაც ჩამოაყალიბოთ. შესავლით, ფაქტობრივად, თქვენ ამზადებთ მკითხველს ესეს ძირითად ნაწილზე გადასასვლელად.

• თუ ფიქრობთ, რომ თქვენი თემა ან განსახილველი საკითხი უცნობია პოტენციური მკითხველისათვის, აუცილებელია შესავლის შექმნისას გაითვალისწინოთ ეს და მას თავიდანვე მიაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია, რათა მკითხველი მზად იყოს უფრო კონკრეტული ან დეტალური მსჯელობის ან ანალიზის მისაღებად და აღსაქმელად.

➢ **იმისათვის, რომ შესავალი ეფექტური იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი საშუალებები:**

- ცნობილი გამონათქვამი;
- შეკითხვა;
- ფაქტები და სტატისტიკა;
- რაიმე ცნობილი ისტორია ან პირადი გამოცდილება.

ესეს ავტორის მოვალეობაა, სწორად განსაზღვროს, თუ რომელი მათგანი შეესაბამება მის ესეს.

◈ ძირითადი ნაწილი

ძირითად ნაწილში მოცემულია ავტორის მთავარი სათქმელი, განმარტებული და დასაბუთებულია მთავარი დებულებები, ლოგიკურად განვითარებულია მსჯელობა, აქვე გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი და წარმოდგენილია იგი სხვა ავტორების მოსაზრებებთან მიმართებით.

◈ როგორ დავწეროთ ძირითადი ნაწილი?

• ძირითად ნაწილში ჩამოაყალიბეთ ის დებულებები, რომლებიც შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს და მათ დაეყრდნოს შემდგომ განვითარებული მოსაზრებები.

• შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ნაწილში ხდება ესეს გაშლა, მსჯელობის განვითარება, არგუმენტაცია, გარკვეული პრინციპით დაჯგუფებული მასალის ანალიზი, პარალელების მოხმობა. ზემოთ **ნათქვამი მიგვანიშნებს, რომ ეს არის ესეს ყველაზე მნიშვნელოვანი** ნაწილი, სწორედ აქ უნდა განავითაროს ავტორმა შესავალში მოცემული ძირითადი დებულებები.

• ძირითად ნაწილში მიუთითეთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ამა თუ იმ წყაროს მიმართ, რათა ესე არ დაემსგავსოს სხვათა მოსაზრებების გამეორებას.

• ძირითად ნაწილში წარმოდგენილი ნებისმიერი დებულება აუცილებელია გავამყაროთ **არგუმენტებით.** თქვენი მსჯელობისათვის საჭირო არგუმენტი უმჯობესია მოკლედ მაინც მიუთითოთ გეგმაში, რათა არ დაგავიწყდეთ და

შემდგომ მისი გაშლა ადვილად შეძლოთ. უფრო ვრცლად არგუმენტის შექმნის შესახებ საუბარი იქნება ცალკე თავში.

❖ **შენიშვნა:**

მსჯელობის აგების ორი გზა არსებობს: **ინდუქციური** და **დედუქციური**. **ინდუქცია** აზროვნების მეთოდია, როდესაც კერძო ფაქტებიდან და ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკნვა გამოგვყავს: **კონკრეტული → ზოგადი**, ხოლო **დედუქცია** მსჯელობის ხერხია, როდესაც ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა ხდება: **ზოგადი → კონკრეტული.**

ნიმუში:

ინდუქციური მსჯელობა:

ოჯახების მტრობის მიუხედავად, ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, რომეოსა და ჯულიეტას, ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. ერთმანეთის გარეშე ცხოვრებას მათ სიკვდილი არჩიეს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგჯერ სიყვარული სიცოცხლეზე ძვირფასიც კი შეიძლება იყოს.

დედუქციური მსჯელობა:

ზოგჯერ სიყვარული სიცოცხლეზე ძვირფასიც კი შეიძლება იყოს. ამის ნათელი მაგალითია უილიამ შექსპირის ტრაგედია. ოჯახების მტრობის მიუხედავად, ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, რომეოსა და ჯულიეტას, ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. ერთმანეთის გარეშე ცხოვრებას მათ სიკვდილი არჩიეს.

- **იმისათვის, რომ ძირითადი ნაწილი ეფექტური იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა საშუალება.**

- ***გაითვალისწინეთ ისიც, რომ თითოეულ ამ საშუალებას უნდა ახლდეს ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება, ლოგიკური დასაბუთება ან დასკვნა-შეჯამება. სწორედ ეს განასხვავებს ძირითად ნაწილში წარმოდგენილ საკითხებს შესავალ ნაწილში წარმოდგენილი საკითხებისაგან. ამ ნაწილის შექმნისას ავტორს დაეხმარება შემდეგი საშუალებები:***

  - მაგალითები;
  - ფაქტები და სტატისტიკა;
  - გარკვეული სიტუაციის გადმოცემა, ანალიზი;
  - მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნები;
  - ვარაუდი, რომელიც ეყრდნობა გარკვეულ ლოგიკას;
  - სხვათა მოსაზრებები/თქვენეული ინტერპრეტაცია;
  - წყაროები და ა. შ.

◈ დასკვნითი ნაწილი

ესეს დასრულებისათვის აუცილებელია სათქმელის ლოგიკური შეჯამება, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდება ძირითადი დებულებები და გამოიკვეთება ავტორის პოზიცია. ეს მკითხველს უადვილებს კარგად აღიქვას და მთლიანობაში გაიაზროს დასმული საკითხის არსი, შეჯერებული სახით მიიღოს ინფორმაცია. დასკვნით ნაწილში ტექსტის შემქმნელმა კიდევ ერთხელ უნდა გამოკვეთოს საკვლევი თემის მთავარი მიზანი, რათა თვალნათლივ წარმოაჩინოს კვლევის აქტუალობა. აქვე შესაძლებელია მკითხველს შევთავაზოთ კვლევის პერსპექტივები. ამდენად, შემაჯამებელი ნაწილი ისეთივე მნიშვნელოვანი კომპონენტია ტექსტისა, როგორიც სათაური და ძირითადი ნაწილი.

შეიძლება ითქვას, რომ დასკვნითი ნაწილი ერთგვარად შეჯამებაა ესეში გადმოცემული მოსაზრებებისა, რომლებიც მკითხველს კიდევ ერთხელ ხაზგასმით უკონკრეტებს ავტორისეულ მიზანს, წარმოაჩენს თემის აქტუალობას და სახავს პერსპექტივას.

დასკვნითი ნაწილი მოცულობით არც ისე დიდია და მასში კონცენტრირებული უნდა იყოს ძირითადი სათქმელი. დასკვნითი ნაწილის შექმნისას გახსოვდეთ:

- ძირითადი ნაწილიდან გამოიყენეთ თქვენი მიზნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ან მოსაზრება;

- ეცადეთ სიტყვასიტყვით არ გადმოწეროთ ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული აზრი და გამოხატოთ იგი სხვა წინადადებებითა და ენობრივი საშუალებებით;

- გაითვალისწინეთ, ესეს დასკვნითი ნაწილი ისეთივე ორიგინალური და შთამბეჭდავი უნდა იყოს, როგორც შესავალი და, ამასთანავე, ლოგიკური დასკვნების პარალელურად ნუ მოერიდებით თქვენი პოზიციის გამოხატვასაც.

➢ **იმისათვის, რომ დასკვნითი ნაწილი ეფექტური იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი საშუალებები:**

- ძირითადი დებულებების გამეორება;
- დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
- პრობლემის გადაჭრის შეთავაზება;
- რეკომენდაცია;
- წინასწარი ვარაუდის გამოთქმა;
- პერსპექტივების დასახვა.

ნიმუში:

ჰერმან ჰესე

სიბერე

შესავალი:

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურია, რომელსაც, ისევე როგორც მის სხვა ეტაპებს, აქვს საკუთარი სახე, საკუთარი ატმოსფერო და ტემპერატურა, საკუთარი სიხარული და დარდი. ჩვენ, ჭაღარა მოხუცებს, ისევე როგორც ჩვენს უმცროს თანამოძმეებს, გვაქვს ამოცანა, რომელიც აზრს აძლევს ჩვენს არსებობას. ისევე როგორც სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფს, მომაკვდავსაც - რომლის სარეცლამდეც საეჭვოა, მიაღწიოს ხმამ ამქვეყნიური სამყაროდან - აქვს თავისი ამოცანა, მანაც უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე.

მთავარი აზრი:

იყო მოხუცი - ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორიც იყო ახალგაზრდა, ისწავლო სიკვდილი ისეთივე საპატიო ფუნქციაა, როგორიც სხვა ნებისმიერი იმ პირობით, თუ ეს სრულდება ყოველგვარი სიცოცხლის

აზრისა და სიწმინდის წინაშე მოწიწებით, კრძალვით. მოხუცი, რომლისთვისაც სიბერე, ჭაღარა და სიკვდილის სიახლოვე მხოლოდ საძულველი და საშინელია, ისეთივე უღირსი წარმომადგენელია თავისი ცხოვრების ამ ეტაპისა, როგორიც ახალგაზრდა და ძლიერი ადამიანი, რომელსაც სძულს თავისი საქმიანობა, ყოველდღიური შრომა და ცდილობს მისგან თავი დაიძვრინოს.

ძირითადი იდეის მოკლე შეჯამება:

მოკლედ რომ ვთქვათ, სიბერეში შენი დანიშნულება რომ შეასრულო და თავი გაართვა შენს ამოცანას, შეთანხმებული უნდა იყო სიბერესთან და იმ ყველაფერთან, რაც მას თან მოაქვს, უნდა შეძლო და უნდა თქვა: „დიახ“.

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ სიბერეს ახლავს ათასგვარი ტვირთი და რომ ის სიკვდილით მთავრდება. წლიდან წლამდე მსხვერპლი უნდა გაიღო და ბევრ რამეზე უარი თქვა. უნდა ისწავლო, აღარ ენდო შენს გრძნობებსა და ძალებს. გზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენთვის პატარა გასეირნება იყო, გრძელი და რთული ხდება და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც შევძლებთ მის გავლას. უარის თქმა გვიხდება საჭმელზეც, რომელიც მთელი ცხოვრება გვიყვარდა. ფიზიკურ სიამოვნებასა და სიხარულს სულ უფრო იშვიათად განვიცდით და ამ სიამოვნებისთვის სულ უფრო ძვირი უნდა გადავიხადოთ. შემდეგ ყოველგვარი სნეულება და ავადმყოფობა, გრძნობების დაჩლუნგება, ორგანოების დასუსტება და ათასნაირი ტკივილი, განსაკუთრებით ღამღამობით, ხშირად ასეთი ხანგრძლივი და საშინელი... ამ ყველაფერს თავს ვერ დააღწევ, ეს მწარე სინამდვილეა. მაგრამ საცოდაობა და სამწუხარო იქნებოდა, რომ მარტოოდენ დაკნინების, დაცემის ამ პროცესს მისცემოდი და ვერ დაგენახა, რომ სიბერესაც აქვს თავისი კარგი სანუგეშო და სასიხარულო მხარეები, უპირატესობა. როცა ორი მოხუცი ერთმანეთს ხვდება, მათ კი არ უნდა ილაპარაკონ მხოლოდ წყეულ ნიკრისის ქარებზე, სხეულზე, რომელიც აღარ გემორჩილება და ქოშინზე, კიბეზე ასვლისას რომ გაწუხებს, არამედ სასიხარულო და სასიამოვნო შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებზე. ასეთები კი მრავლადაა.

მეორე მთავარი იდეა:

მას შემდეგ, რაც შეგახსენებთ მოხუცთა ცხოვრების ამ დადებითსა და შესანიშნავ მხარეზე და იმაზე, რომ ჩვენ, ჭაღაროსნებს, გვსმენია ძალის, მოთმინების, სიხარულის ისეთი წყაროების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრებაში არავითარ როლს არ ასრულებს, მე არ შემფერის ვილაპარაკო რელიგიისა და ეკლესიის ნუგეშისცემაზე. ეს მღვდლის საქმეა, მაგრამ შემიძლია, ჩამოვთვალო ის საჩუქრები, რომლებიც ჩვენთვის სიბერეს მოაქვს. მათგან ყველაზე ძვირფასია საგანძური იმ სურათებისა, რომლებიც ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ გონებაში აღგბეჭდვია და რომლებსაც, როცა შენი აქტიურობა ცხრება, სრულიად სხვა თანაგრძნობით უმზერ, ვიდრე ოდესმე. იმ ადამიანთა ხატებანი და სახეები, რომლებიც უკვე სამოცი-სამოცდაათი წელია წასულან ამ ქვეყნიდან, ისევ ჩვენთან არიან, გვიცქერენ ცოცხალი თვალებით. უკვე გამქრალ და სრულიად გადასხვაფერებულ სახლებს, ბაღებსა და ქალაქებს ვხედავთ ცოცხალთ და უვნებელთ, როგორც ოდესღაც და შორეულ წლებში, ზღვისპირეთს,

სადაც ათეული წლების წინ ვიმოგზაურეთ, ისევ მთელი თავისი ფერადოვნებით აღვიქვამთ ამ ჩვენს სურათებიან წიგნში.

მზერა, დაკვირვება, ჭვრეტა სულ უფრო მეტად გადადის ჩვევაში და განწყობილება და დამკვირვებლის პოზიცია განსაზღვრავს ჩვენს საქციელს.

...სურვილების, ოცნებების, გატაცებებისა და ვნებებისგან დევნილები, ჩვენც, როგორც ადამიანთა უმრავლესობა, ჩვენი ცხოვრების წლებსა და ათასწლეულებში მივქროდით მოუთმენლად, ცნობისმოყვარეობითა და იმედებით, მტკივნეულად განვიცდიდით წარმატებებსა და იმედგაცრუებებს, დღეს კი ჩვენი საკუთარი ცხოვრების დიდი, ილუსტრირებული წიგნის ფურცვლისას გვიკვირს, როგორი მშვენიერი და საამური გრძნობაა, გამოხვიდე ამ რბოლიდან და სწრაფვიდან და მიეცე „Vita Contemplativa-ს“.

აქ, მოხუცთა ამ ბაღში, ყვავის უამრავი ყვავილი, რომელთა მოვლაზეც კი არ გვიფიქრია. აქ ყვავის ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი კეთილშობილებისა, ჩვენ ვხდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვაქვს ჩავერიოთ და ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას, კრიტიკის გარეშე ვადევნოთ თვალი მის მსვლელობას და გვიკვირდეს მისი მრავალფეროვნება, ზოგჯერ - თანაგრძნობითა და ჩუმი სევდით, ზოგჯერ - სიცილით, ნათელი სიხარულით, იუმორით.

ამას წინათ ბაღში კოცონთან ვიდექი და ცეცხლში ვყრიდი ფოთლებსა და გამხმარ ტოტებს. ეკლიანი ღობის იქით ჩაიარა მოხუცმა ქალმა, რომელიც ალბათ 80 წლის იქნებოდა. იგი შეჩერდა და ყურება დამიწყო. მე მივესალმე, მაშინ მან გაიცინა და მითხრა: „სწორად მოიქეცით, კოცონი რომ გააჩაღეთ. ჩვენს ასაკში დროა, ნელ-ნელა შევეგუოთ ჯოჯოხეთს“. ამან მისცა მიმართულება ჩვენს საუბარს, რომლის დროსაც ერთმანეთს შევჩივლეთ ათასგვარი ტკივილისა და გაჭირვების შესახებ, მაგრამ სულ ხუმრობით (ხუმრობის კილოთი).

საუბრის ბოლოს ვაღიარეთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ საშინლად მოხუცები მანამდე, სანამ ჩვენს სოფელში ცხოვრობს ყველაზე უხუცესი, ასი წლის ადამიანი.

დასკვნა:

როცა სრულიად ახალგაზრდები თავიანთი ძალის უპირატესობითა და გულუბრყვილობით ჩვენს ზურგს უკან იღიმებიან, სასაცილოდ ეჩვენებათ ჩვენი მძიმე სიარული და დაძარღვული ყელი, ჩვენ ვიხსენებთ დროს, როცა ასეთი ძლიერები და ასეთივე მიამიტები ვიყავით, ოდესღაც ჩვენც ვიცინოდით და სრულიად არ მიგვაჩნია, რომ დამარცხებულები ვართ, არამედ გვიხარია, რომ ცხოვრების ამ საფეხურს გადავაბიჯეთ და გავხდით უფრო ჭკვიანნი და მომთმენნი.

ესეს სტრუქტურა:

შესავალი	**ავტორის პოზიციის დაფიქსირება**
	ესეს მიზნის გამოკვეთა
	• ცნობილი გამონათქვამი
	• ცნობილი ისტორია ან პირადი გამოცდილება
	• შეკითხვა
	• ფაქტები და სტატისტიკა
ძირითადი ნაწილი	**მსჯელობის განვრცობა**
	• მაგალითები
	• ფაქტები და სტატისტიკა
	• გარკვეული სიტუაციის გადმოცემა
	• მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნები
	• ვარაუდი
	• სხვათა მოსაზრებები
	• წყაროები და ა. შ.
დასკვნა	**ავტორის პოზიციის შეჯამება**
	• ვარაუდის გამოთქმა
	• დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა
	• პრობლემის გადაჭრის შეთავაზება
	• ძირითადი დებულებების გამეორება
	• რეკომენდაცია
	• პერსპექტივების დასახვა

მოცემული სქემა გარკვეულწილად პირობითია. რა თქმა უნდა, აქ მოცემული თითოეული საშუალება საჭიროების მიხედვით ესეს ყოველ ნაწილში შეიძლება გამოვიყენოთ. რასაკვირველია, ცნობილი გამონათქვამი ან პირადი გამოცდილება, შესაძლებელია, ძირითად ნაწილშიც მოხვდეს და დასკვნაშიც. ეს დამოკიდებულია ავტორის მიზანსა და პოზიციაზე.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ *მოძებნეთ და გამოყავით მოცემული ტექსტებიდან დასკვნითი მსჯელობა:*

I. XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთმა გადაწყვიტა ყირიმის სახანოს შეერთების საკითხი და მთელი ძალები მობილიზებულ იქნა შავი ზღვის აუზში გაბატონებისათვის. აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც. სამხრეთ კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ თურქეთსა და ირანს რუსეთიც შეემატა. ამ სამ სახელმწიფოს შორის რუსეთი აშკარად ყველაზე ძლიერი იყო. ცხადი ხდებოდა, რომ ვერც თურქეთი და ვერც ირანი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ერეკლე II ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ხვდებოდა. იგი ცდილობდა თავისი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთის სწრაფვა სამხრეთ კავკასიისაკენ.

გიორგიევსკის ტრაქტატის დადება იყო უდიდესი დიპლომატიური მარცხი. მისი შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც. მის შედეგებს ჩვენი ქვეყანა დღემდე იმკის.

რუსეთს ხელს აძლევდა კავკასიაში პლაცდარმის შექმნა და კავკასიონის ქედის უბრძოლველად გადმოლახვა. ორმხრივი დაინტერესება აშკარა იყო, მაგრამ რუსეთს სურდა საქმე ისე წარმოეჩინა, რომ ხელშეკრულების დადების ინიციატორი ერეკლე II ყოფილიყო. ამიტომ 1872 წლის 21 დეკემბერს, რუსების რჩევით, ერეკლე II-მ ოფიციალური თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შესახებ. 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში ციხესიმაგრე გეორგიევსკში ტრაქტატს მოაწერეს ხელი.

ერეკლე II იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით სამეფო ხელისუფლებას განამტკიცებდა, ლეკთა თარეშს აღკვეთდა, ირანისა და თურქეთისაგან საიმედოდ იქნებოდა დაცული და, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს გააერთიანებდა. მაგრამ ერეკლე ცდებოდა. რუსეთს, ისევე როგორც საქართველოს დაპყრობის მსურველ ყველა ქვეყანას, არ სჭირდებოდა ერთიანი და ძლიერი საქართველო. მისთვის ხელსაყრელი იყო სუსტი ქვეყანა, რომელსაც მის იქით გზა აღარ ექნებოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოები აგრესიით შეხვდნენ. ამ ფაქტმა ყველას დაანახა, რომ ერეკლე რუსეთის მოკავშირე იყო. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ხელს არ აძლევდა ინგლისსა და საფრანგეთსაც.

II. როდესაც კრიტიკოსები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ შესახებ საუბრობენ, აცხადებენ, რომ მიუხედავად ინტერესების პრინციპული შეუთავსებლობისა, ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში გიორგი მეფესაც და მის მოწინააღმდეგეებსაც ერთი და იგივე პოზიცია აქვთ. ამ პოზიციის საფუძველთა საფუძველი იმის გაცნობიერებაა, რომ ბევრი ჩვენი ეროვნული უბედურების თავი და თავი ბიზანტიაა. ყოველივე ამის აღწერას „დიდოსტატის მარჯვენაში“ იმიტომაც ექცევა ესოდენ დიდი ყურადღება, რომ იგი არა მარტო XI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიული სინამდვილის მნიშვნელოვან პერიპეტიებს აცოცხლებს მკითხველის ცნობიერებაში, არამედ რუსული კოლონიალიზმისადმი მწერლის ოპოზიციურ დამოკიდებულებასაც გამოხატავს შენიღბულ-ქვეტექსტური ფორმით. ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ის მიზანმიმართული მსგავსება-ანალოგიები, რომლებიც ბიზანტიასა და რუსეთს შორის არსებობს.

▣ *დაალაგე ლოგიკური თანამიმდევრობით მსჯელობა:*

I. მიგვაჩნია, რომ ბატონი ვახტანგი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება მაღალი კატეგორიის მთარგმნელ პროფესიონალს. იმედი გვაქვს, თავის ცოდნასა და გამოცდილებას იგი გამოიყენებს მთარგმნელთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში.

შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა განიხილეს ვ. გოგრიჭიანის მოსაზრებები. მისი კონცეფცია შეფასდა დადებითად, თუმცა გამოითქვა რამდენიმე არაარსებითი ხასიათის შენიშვნაც, რომლებიც ბატონმა ვახტანგმა გაითვალისწინა.

2007 წლის 11 იანვარს გამომცემლობა „აისის” კანცელარიიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატში შემოვიდა წერილი, (N# 01-10/შ -261) რომელშიც ითხოვენ დასკვნას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ვახტანგ გოგრიჭიანის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაზე თარგმანის ახალი სკოლის შესახებ.

პატივისცემით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანი, პროფესორი .....

II. ამის დადასტურებაა ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც 1988 წლიდან ხდება საქართველოში. კერძოდ, 1989 წლის აპრილის ტრაგედია, 1991

წლის 31 მარტის რეფერენდუმი საბჭოთა იმპერიიდან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნით და სხვა.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული მწერლობის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრმა აღმავლობამ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს არა მარტო მაშინდელი, არამედ მთელი შემდგომი პერიოდის ქართული მწერლობის ბედი.

ჩვენი ლიტერატურის ყველა თაობის მწერალი უკვე აშკარად და პირდაპირ ავლენდა დაუოკებელ სწრაფვას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გამოხატვა 80-იანი წლების დასასრულიდან ქართული მწერლობის მაგისტრალურ მიმართულებად იქცა.

ქართველმა პატრიოტებმა აქტიური ბრძოლა დაიწყეს საფუძვლებშერყეული იმპერიის წინააღმდეგ.

80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ იმდენად ფართო მასშტაბები შეიძინა, რომ მთელი ქვეყანა მოიცვა.

ყოველი ქართველის ცნობიერებაში აღბეჭდილი ეს თარიღები იმ პერიოდში საერთოდ უცნობი იყო ანდა დამახინჯებულად იყო მიწოდებული ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის.

განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა უახლესი ისტორიის ისეთი ეპიზოდები, როგორებიცაა: 1921 წლის თებევრლის ტრაგედია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, 1956 წლის 9 მარტი. …

III. ალბათ ახალგაზრდობის ასაკში შექმნილი ლექსები უფრო საერთო განწყობილების გავლენა-კარნახით არის დაწერილი, ვიდრე უშუალოდ საკუთარი ანალიზისა და დაკვირვების შედეგად. ადამიანებს საერთოდ სჩვევიათ სოფლის სამდურავი, ჩივილით, ვიშვიშით პრანრჭიაობა და გონებრივი სიღრმის მოჩვენებითი დემონსტრაცია. ამ ტრაფარეტულ, სულიერ მდგომარეობას ადამიანი ყმაწვილკაცობაში ადვილად ემორჩილება, ბუნებრივია, ეს მორჩილება არც ილიას ასცდენია.

ჩვეულებრივ, ადამიანი აღტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას, მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი, სიცივე და სუსხი მატულობს. მოახლოებული სიბერე და სიკვდილი საბოლოოდ ნერგავს უსასოობის გრძნობას და ყველაფერს არაარსებობის დამთრგუნველი აჩრდილი ეუფლება. ილიასთან კი პირიქით არის. ასაკმა, დრომ მხნეობა და იმედი უფრო განუმტკიცა, ვიდრე შიში და უიმედობა.

როცა ილია ჭავჭავაძის ლირიკას თავიდან ბოლომდე გადაავლებ თვალს, პირველი შეხედვით მოულოდნელი სურათი დაიხატება. მისი ჭაბუკობის დროინდელი ლექსები სავსეა უიმედო, სასოწარკვეთილი, სევდიანი განწყობილებით. მერე კი ეს იცვლება სატირული, მამხილებელი, მოურიდებელი დამოკიდებულებით და ბოლოს მთავრდება დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით.

▣ *ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ესე, გამოყავით შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა და იმსჯელეთ ესეს მახასიათებლებზე:*

- რამდენად ორიგინალურია შესავალი?
- ჩანს თუ არა შესავალ ნაწილში ავტორის პოზიცია და მიზანი?
- რა ხერხებს იყენებს ავტორი შესავლის შექმნისას პოზიციის ჩამოსაყალიბებლად?
- როგორ და რა საკითხებზე მსჯელობით განავრცობს ავტორი ესეს ძირითად ნაწილს?
- როგორია ესეს დასკვნითი ნაწილი?
- როგორ აჯამებს ავტორი საკუთარ დამოკიდებულებას?
- რა საშუალებებს იყენებს ავტორი დასკვნითი ნაწილის აგებისას?

ვუდი ალენი

მიმართვა კურსდამთავრებულებს

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არასდროს ჩავარდნილა კაცობრიობა ასეთ საგონებელში. ერთ გზას სასოწარკვეთისა და სრული უიმედობისკენ მივყავართ, მეორეს – საბოლოო გადაშენებისკენ. ვილოცოთ, რომ სწორი არჩევანის გასაკეთებლად საკმარისი სიბრძნე აღმოგვაჩნდეს.

სხვათა შორის, ამ ყველაფერზე ამქვეყნიური ამაოების შეგრძნებით კი არა, ყოფიერების აბსოლუტურ უაზრობაში კოშმარული დარწმუნებულობით ვსაუბრობ, რაც შეიძლება შეცდომით ვინმემ პესიმიზმად აღიქვას.

არა, ეს არ არის პესიმიზმი. ეს ჯანსაღი დამოკიდებულებაა თანამედროვე ადამიანის ტრაგედიისადმი („თანამედროვე ადამიანში" იგულისხმება ნებისმიერი, დაბადებული ნიცშეს განცხადების - „ღმერთი მოკვდა" - შემდეგ და ჰიტის „მინდა, ხელს ხელზე გიჭერდე" ჩაწერამდე). ეს ტრაგედია ორნაირად შეიძლება აღიწეროს, თუმცა ლინგვისტ-ფილოსოფოსებს ურჩევნიათ, მათემატიკურ განტოლებამდე დაიყვანონ იგი - ადვილი ამოსახსნელიც იქნება და საფულეში ჩადებულს თან იოლად ატარებ. ყველაზე მარტივი სახით პრობლემა ასე წარმოგვიდგება: შესაძლებელია თუ არა ცხოვრების აზრის წვდომა ჩემი შარვლის ზომისა და წელის გარშემოწერილობის გათვალისწინებით?

ეს ძალიან რთული შეკითხვაა და ვხვდებით, რომ მეცნიერებამ ვერ გაამართლა მოლოდინი. რა თქმა უნდა, მან ბევრი სნეულების დამარცხება შეძლო, გენეტიკური კოდი გაშიფრა, ადამიანები მთვარეზეც კი აიყვანა, მაგრამ დატოვეთ ოთხმოცი წლის მოხუცი ოთახში ორ ახალგაზრდა მედდასთან ერთად და არაფერიც არ მოხდება. ნამდვილი პრობლემები ხომ უცვლელია.

ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანის სული მიკროსკოპით დავინახოთ? ალბათ კი – მაგრამ აუცილებლად ძალიან კარგი უნდა იყოს, ორი ოკულარული მილით. ვიცით, რომ ყველაზე თანამედროვე კომპიუტერის ტვინიც კი არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორც მწერების. ჰო, ეს ზოგიერთ ჩვენს ახლობელზეც შეიძლებოდა გვეთქვა, მაგრამ მათ ხომ მხოლოდ ქორწილებზე და მსგავს განსაკუთრებულ შემთხვევებში ვხვდებით.

მეცნიერება ისეთი რამ არის, რაზეც მუდმივად ვართ დამოკიდებულნი. მკერდის არეში ტკივილს თუ ვიგრძნობ, მაშინვე რენტგენზე გავლა მომიწევს. ნეტა დასხივებისგან უფრო დიდი პრობლემები ხომ არ გამიჩნდება? სანამ ამას შევიტყობდე, ქირურგიულ განყოფილებაში მაწვენენ. ბუნებრივია, როცა ჟანგბადის ბალიშს მაძლევენ, სწორედ მაშინ გადაწყვეტს სტაჟიორი, რომ სიგარეტს მოუკიდოს.

ამის შემდეგ კი მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს პიჟამაში გამოწყობილი გადავუფრენ. ეს არის მეცნიერება?

რა თქმა უნდა, მეცნიერებამ ყველის პასტერიზება გვასწავლა. რა გვეთქმის - მთვრალ კომპანიაში ყველი თავშესაქცევი რამ არის, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით წყალბადის ბომბზე. გინახავთ ვინმეს, რა ხდება, თუ მაგიდიდან შემთხვევით გადმოგორდა?

განა დაეხმარება მეცნიერება მას, ვინც მარადიულ გამოცანებს შეეჭიდა? როგორ გაჩნდა სამყარო? რამდენი ხნის წინ? ყველაფერი აფეთქებით დაიწყო თუ ღვთის სიტყვით? თუ ამ უკანასკნელმა მისცა დასაბამი, ნუთუ არ შეეძლო უფალს, ორი კვირით ადრე წარმოეთქვა იგი, სანამ უფრო თბილი ამინდი იყო? კონკრეტულად რას გულისხმობენ, როცა ამბობენ, რომ „ადამიანი მოკვდავია"? ცხადია, ეს კომპლიმენტი არ არის.

სამწუხაროდ, რელიგიაც ვეღარ ზემოქმედებს განწყობაზე. მიგელ დე უნამუნო კი წერს აღფრთოვანებით „გონის მარადიულ ურყევობაზე", მაგრამ ამაზე ხომ ყველას არ მიუწვდება ხელი. განსაკუთრებით თეკერეის კითხვისას ხშირად ვფიქრობ ხოლმე, როგორი საამური იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, ყოვლისშემძლე, კეთილი შემოქმედის რომ სჯეროდა. წარმომიდგენია ამ კაცის იმედგაცრუება, როცა შეამჩნია, როგორ გასუქდა მისი ცოლი. თანამედროვე ადამიანს, რა თქმა უნდა, ასეთი სულიერი სიმშვიდე არა აქვს. ის ურწმუნოების უფსკრულშია გადაჩეხილი. მოდური სიტყვა რომ ვიხმაროთ, „გაუცხოებულია". მას ომის საშინელებები უნახავს, საკუთარ თავზე გამოუცდია სტიქიური უბედურებები და მარტოხელათა ბარებშია ნამყოფი.

ჩემი უახლოესი მეგობარი ჟაკ მონო ხშირად საუბრობს ხოლმე სამყაროს ქაოსურობის შესახებ. მას სჯერა, რომ ამქვეყნად ყველაფერი შემთხვევითობის შედეგად გაჩნდა, გარდა მისი საუზმისა, რომელიც – არა, ამაში ეჭვი არ ეპარება – დიასახლისმა მოუმზადა. რა თქმა უნდა, ღვთაებრივი ჩანაფიქრის რწმენა სიმშვიდით გვავსებს, თუმცა ადამიანური პასუხისმგებლობისგან არ გვათავისუფლებს. განა ჩემი მოყვასის დარაჯი არა ვარ? ვარ. თუ გაინტერესებთ, პირადად მე ამ პატივს და ღირსებას ქალაქის ზოოპარკის მცველებთან ვიყოფ.

ღმერთის გარეშე თავს მიუსაფრად ვგრძნობთ, რის გამოც ტექნიკური პროგრესი გავაღმერთეთ. როგორ ახსნის ტექნოლოგია იმას, რომ ახლალთახალი „ბიუიკი", რომელსაც ჩემი საუკეთესო მეგობარი ნატ ზიპსკი მართავდა, პირდაპირ რესტორან „ფრინველთა ნეტარების" ვიტრინას შეაფრინდა და ასობით მოსადილე აქეთ-იქით მიმოფანტა?

ოთხი წლის განმავლობაში ჩემს ტოსტერს ერთხელაც არ უმუშავია ისე, როგორც საჭიროა. ინსტრუქციის მიხედვით, ჭრილში პურის ორ ნაჭერს ვდებ და რამდენიმე წამში მათ შაშხანასავით გაისვრის ხოლმე. ადრე ცხვირიც კი გაუტეხა ჩემს საყვარელ ქალს. ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ქანჩები, ჭანჭიკები და ელექტროობა ყველა პრობლემას გადაგვიჭრის?

ჰო, ტელეფონი კარგი რამ არის, მაცივარიც, კონდიციონერიც. მაგრამ არა ყველა კონდიციონერი. მაგალითად, ჩემი დის, ჰენის კონდიციონერი. მისი საშინლად ხმაურობს და არ აგრილებს. ხელოსანი გამოიძახეს, რის შემდეგაც უარესი დაემართა. „მეტი რა გზაა, ახალი უნდა შეიძინოთ", - უთხრა მან. ჩემმა დამ დაიჩივლა, მაგრამ ხელოსანმა სთხოვა, აღარ შემაწუხოთო. ნამდვილად გაუცხოებული იყო ეს კაცი. არადა, სულ იღიმებოდა.

უბედურება ის არის, რომ ტექნოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის არ მოგვამზადეს. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსები ან არაკომპეტენტურები არიან, ან კორუმპირებულები. ხან ერთიცა და მეორეც. მთავრობა პატარა ადამიანის მოთხოვნილებებს არ ითვალისწინებს. საღამოს შვიდის ხუთ წუთზე შენს კონგრესმენთან დარეკვას უკვე აზრი აღარა აქვს. არ უარვყოფ, რომ დემოკრატია ჯერ კიდევ მართვის საუკეთესო ფორმაა. დემოკრატიულ ქვეყანაში, სულ ცოტა, ადამიანის უფლებებს მაინც იცავენ. არც ერთი მოქალაქის წამება ან უსაფუძვლოდ დაპატიმრება არ შეიძლება, არც ბროდვეის ზოგიერთი შოუს ძალდატანებით ჩვენება.

რა თქმა უნდა, შედარებაც არ შეიძლება იმასთან, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ადამიანი,მხოლოდ სტვენის გამო შეიძლება ოცდაათი წლით მოხვდეს შრომა-გამასწორებელ კოლონიაში. ხოლო თუ თხუთმეტი წლის შემდეგ სტვენას კიდევ არ შეწყვეტს, მას აუცილებლად დახვრეტენ. ამ მხეცურ ფაშიზმთან ერთად მისი მეწყვილე – ტერორიზმიც დააბიჯებს. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანს ასეთი შიშით არასოდეს დაუჭრია ხბოს კატლეტი – უცებ რომ აფეთქდეს?! ძალადობა ძალადობას შობს, 1990 წლისთვის კი, სავარაუდოდ, ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ერთმანეთის გატაცება იქნება.

მოსახლეობის სიჭარბე პრობლემებს უკიდურესად გაამწვავებს. ციფრები გვეუბნება, რომ დედამიწაზე იმაზე ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ყველაზე მძიმე როიალის გადასაადგილებლად არის საჭირო. თუ ხალხს გამრავლების შეწყვეტისკენ არ მოვუწოდებთ, 2000 წლისთვის სასადილო ოთახიც აღარ შეგვრჩება და მოგვიწევს, მაგიდა უცნობებს დავადგათ თავზე. ისინიც მთელი ერთი საათი გაუნძრევლად უნდა ისხდნენ, სანამ სადილობას დავასრულებთ. რა თქმა უნდა, ენერგეტიკული კრიზისიც იქნება და ავტომფლობელებს ზუსტად იმდენ ბენზინს ჩაუსხამენ, მანქანების ნახევარი

მეტრით უკან დაწევა რომ შეძლონ. ამ გამოწვევის მიღების ნაცვლად, ნარკოტიკებითა და სექსით თავშექცევას გადავყევით. ჩვენ დაუშვებლად, ზედმეტად ლიბერალურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. არასდროს ასე არ აყვავებულა პორნოგრაფია. თან ეს ფილმებიც რა უხარისხოა, დეტალებს ვერაფრით გაარჩევს კაცი!

ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებსაც გამოკვეთილი მიზნები არა აქვთ. ჩვენ არასოდეს გვისწავლია სიყვარული. ჩვენ ლიდერების და თანმიმდევრული პროგრამების ნაკლებობას განვიცდით. სულიერი საყრდენი დავკარგეთ. მარტოები დავეხეტებით ამ სამყაროში და ტკივილისა თუ სასოწარკვეთისგან ერთმანეთს ხშირად მხეცური ძალადობით შეურაცხვყოფთ. საბედნიეროდ, ზომიერების გრძნობა არ გვღალატობს.

ამ ყველაფერს თუ შევაჯამებთ, ცხადი გახდება, რომ მომავალი წარმოუდგენელ შესაძლებლობებს გვთავაზობს, თუმცა მახეც ბევრგან არის დაგებული. როგორღაც უნდა მოვახერხოთ ხაფანგებს შორის გაძრომა, შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და საღამოს ექვსი საათისთვის შინ დაბრუნებაც.

ირმა ტაველიძის თარგმანი

ჯგუფური სამუშაო:

დაიყავით ჯგუფებად, წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ესე, იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- ტექსტისა და სათაურის მიმართება;
- ესეს ძლიერი და სუსტი მხარეები;
- გამოყავით შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
- გაამახვილეთ ყურადღება რამდენად ეფექტურადაა შეექმნილი ესეს თითოეული ნაწილი;
- მოცემულ საკითხზე შექმენით ესეს თქვენეული ვარიანტი.

მაღალი ტექნოლოგიების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მაღალი ტექნოლოგიების განვითარებამ, დიდ სარგებლობასთან ერთად, არაერთი პრობლემა შეუქმნა მომხმარებლებს. ადამიანები გახდნენ ზედმეტად დამოკიდებული მობილურ ტელეფონზე, კომპიუტერზე და, შესაბამისად, ტვინს ნაკლებად ავარჯიშებენ. თავისი განვითარების განმავლობაში კაცობრიობა უფრო და უფრო სრულყოფდა ტექნოლოგიებს. ცეცხლის დანთება, ბორბლის შექმნა, საირიგაციო სისტემის შექმნა, ელექტროენერგიის გამოგონება – ყოველივე ეს მიმართული იყო იმისკენ, რომ ადამიანის ყოფა უფრო კომფორტული გახდარიყო. უკანასკნელი ორი საუკუნე პროგრესის თვალსაზრისით გარდამტეხი აღმოჩნდა – შეიქმნა ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი. ამ ყველაფერს, მრავალ სიკეთესთან ერთად, უარყოფითი მხარეებიც აქვს: ადამიანები კარჩაკეტილნი გახდნენ, მათ ურჩევნიათ ტელეფონის ან კომპიუტერის საშუალებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ვიდრე პირადად მოინახულონ ახლობლები; ტელევიზიამ თითქმის დაიკავა თეატრის, მუზეუმების ადგილი, რადგან ადამიანებს საშუალება აქვთ, სახლიდან გაუსვლელად ნახონ მათთვის სასურველი გადაცემა ან კომპიუტერის მეშვეობით დაათვალიერონ ცნობილი მხატვრის შედევრები. თუმცა მობილური ტელეფონი კომუნიკაციის ყველაზე მოხერხებული საშუალებაა, მაგრამ ხელს უშლის ბავშვებს მობილიზებული იყვნენ სასწავლო პროცესში და, ამასთანავე, ეს სიამოვნება სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და

ოჯახს მატერიალურ პრობლემებს უქმნის. უმთავრესი კი ჯანმრთელობის პრობლემაა, ტელევიზორი, კომპიუტერი და მობილური საფრთხეს უქმნის მხედველობას, გულსისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებს, ამიტომ ადამიანმა უნდა ისწავლოს მისი გონივრული გამოყენება.

ამ მცირე ზომის ესეში ჩვენ შევეცადეთ, მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა ის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებს ახლავს. თუკი ზემოთ ნათქვამს გაიზიარებს, ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, გახდება თუ არა მათი მომხმარებელი და თავადვე იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესზე.

IV თავი

განხილული საკითხები:

1. არგუმენტი და მისი მიზანი;
2. ქვეარგუმენტი;
3. კონტრარგუმენტი.

ნებისმიერი მსჯელობითი ტექსტი მოიცავს ავტორის პოზიციის ჩვენებას, საკითხის/პრობლემის დასმას, მის განვრცობასა და დასაბუთებას მაგალითებით, სტატისტიკური მონაცემებით, კონკრეტული ფაქტებით და ა. შ. ტექსტის ბოლოს კი წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო არგუმენტების გარეშე მსჯელობითი ტექსტი კარგავს ფუნქციას, მოკლებულია დამაჯერებლობას, სანდოობას და სცდება ავტორისეულ მიზანს. ამდენად, არგუმენტი აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილი ტექსტის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია. ნებისმიერი პოზიცია დასაბუთებული უნდა იყოს ადეკვატური არგუმენტებით, რათა იგი მისაღები ან გასაზიარებელი იყოს აუდიტორიისათვის.

მაგალითად, როდესაც სტუდენტი საუბრობს მისთვის ყველაზე რთული საუნივერსიტეტო კურსის შესახებ, მან უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია, თანმიმდევრულად უნდა ჩამოაყალიბოს ყველა სირთულე და გაამყაროს თავისი სათქმელი კონკრეტული მაგალითებით. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: რატომ/რა მიზეზების გამო მიაჩნია მას ეს საუნივერსიტეტო საგანი ყველაზე რთულად? რა ქმნის ამ სირთულეებს: სასწავლო მასალა, ჭარბი ტერმინოლოგია, ლექტორი, მწირი ფონური ცოდნა, ლექციების გაცდენა თუ სხვა რამ? თითოეული მიზეზის ჩამოყალიბებისას ავტორმა უნდა მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები, აქვე შეიძლება პარალელების მოყვანა სხვა სტუდენტების გამოცდილებიდან. ამ შემთხვევაში ავტორმა უნდა შეადაროს თავისი და თანაკურსელების პოზიცია, ისაუბროს მსგავს და განსხვავებულ შეხედულებებზე და კონტრარგუმენტების გაბათილების შემდეგ გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

პოზიციის დასაბუთება, ანუ არგუმენტების მოხმობა აუცილებელია სხვადასხვა აკადემიურ თუ სოციალურ გარემოში: დებატებისას, პრეზენტაციისას, გასაუბრების დროს, შესყიდული ნივთის დაბრუნებისას და ა. შ. წინამდებარე თავში განხილულია არგუმენტის რაობა და ფუნქცია, არგუმენტირებული მსჯელობის მახასიათებლები და მისი ჩამოყალიბების ხერხები, კონტრარგუმენტის არსი და მისი გაბათილების მნიშვნელობა ავტორის პოზიციის გასამყარებლად.

1. რა არის არგუმენტი და რა არის მისი მიზანი?

არგუმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მსჯელობისათვის ნათელის მოფენას. მისი მიზანია მსჯელობის ჭეშმარიტების ჩვენება. **არგუმენტი** არის საბუთი, რომელიც რაიმე აზრის დასამტკიცებლად მოჰყავთ. ის გვეხმარება მსჯელობის განვითარებასა და ლოგიკურად გამართვაში. არგუმენტის მეშვეობით ჩვენ ეფექტურად და დამაჯერებლად წარმოვაჩენთ ჩვენს დამოკიდებულებას და ვასაბუთებთ ჩვენს მოსაზრებას; ანუ არგუმენტაციის მიზანია არა მხოლოდ ავტორის პოზიციის დაფიქსირება, არამედ მისი დამტკიცება და ამ გზით მკითხველის დარწმუნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არგუმენტი არის დებულება და/ან ლოგიკური მსჯელობის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ავტორის პოზიციისა და მოყვანილი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცებას.

◈ რა შეიძლება იქცეს არგუმენტად და რა – არა?

არგუმენტად შეიძლება იქცეს ნებისმიერი **დებულება, მოსაზრება, ფაქტი, სტატისტიკური მონაცემი, პარალელი, ანალოგია** და ა. შ., რომლებიც გამოგვადგება ჩვენი პოზიციის დასამტკიცებლად და, რაც მთავარია, ლოგიკურად და ადეკვატურად უკავშირდება ჩვენს სათქმელს. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რა იქნება ჩვენი მსჯელობისას ყველაზე მყარი და ეფექტური არგუმენტი. უამრავი შესაძლებლობიდან ავტორმა თავად უნდა შეარჩიოს მისთვის სასურველი, საჭირო, ადეკვატური და მკითხველისათვის იოლად აღსაქმელი. ამისათვის შეგიძლიათ წერის დაწყებამდე შეადგინოთ სია, რომელშიც, უბრალოდ, ჩამოწერთ ყველა იმ იდეას ან მონაცემს, რომლებიც მსჯელობისას არგუმენტად იქცევა. ფიქრისა და გაანალიზების შემდგომ შეგიძლიათ გამიჯნოთ, რომელი იქნება მთავარი არგუმენტი და რომელი შეიძენს დამხმარე ფუნქციას, რომელი იქცევა მეორეხარისხოვნად ან არამნიშვნელოვნად. შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი წერის პროცესში აღარც გამოიყენოთ.

რა შეიძლება იქცეს არგუმენტად? გთავაზობთ ჩამონათვალს, თუმცა ეს არ არის სრული სია და კონკრეტული მიზნისა და საჭიროების მიხედვით შეიძლება სხვა სახის არგუმენტიც შეირჩეს.

გახსოვდეთ, არგუმენტის შერჩევისას უმთავრესი მოთხოვნაა, იგი ლოგიკურად ებმოდეს თქვენს სათქმელს და იყოს ცხადი და დამაჯერებელი.

არგუმენტად შეიძლება იქცეს *(აქვე გთავაზობთ თითოეული ტიპის არგუმენტის შექმნისათვის საჭირო ენობრივ საშუალებებს):*

- **ციტატა** (*ზემოთ ნათქვამს / ვარაუდს ადასტურებს შემდეგი სიტყვები...; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფრაგმენტს ნაწარმოებიდან...; ავტორის დამოკიდებულება მჟღავნდება შემდეგ სიტყვებში...; ამაზე მიგვითითებს შემდეგი სიტყვები...; ამ ვარაუდს ადასტურებს...);*

- **საზოგადოდ ცნობილი დებულება ან აქსიომატური ჭეშმარიტება** *(როგორც ცნობილია, არავინ დავობს იმის შესახებ, რომ...; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ...; საზოგადოდ მიღებული თვალსაზრისის თანახმად...*);

- **სხვათა მოსაზრებები** *(ამ საკითხის შესახებ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ...; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი...; სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია...*);

- **ისტორიული ფაქტები** *(როგორც ცნობილია...; ისტორიიდან ვიცით, რომ...; ისტორიული წყაროები გვაუწყებს...; ისტორიული მონაცემების მიხედვით...; ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს...; საისტორიო წყაროების მიხედ-ვით...);*

- **პირადი გამოცდილება** *(გავიხსენებ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებიდან...; მახსენდება ერთი შემთხვევა...; მინდა გაგიზიაროთ ჩემი დამოკიდებულება...; ამგვარი რამ თავად განმიცდია...*);

- **სტატისტიკა** *(სტატისტიკური მონაცემებით...; სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად...; როგორც ინტერაქტიულმა გამოკითხვებმა აჩვენა...;);*

- **თქვენეული ლოგიკა** *(დარწმუნებული ვარ, რომ...; თუ ეს ასეა, მაშინ...; ...ფაქტი გვიჩვენებს, რომ...; მინდა აღვნიშნო, რომ...; ამ საკითხის შესახებ ვფიქრობ, რომ...);*

- **პარალელი** *(მსგავსი მახასიათებლები შეიძლება გამოვყოთ ასევე... შეიძლება პარალელი მოვიყვანოთ... მსგავსი მოვლენა დაფიქსირდა... ანალოგიური მოვლენა იქნა აღწერილი... ანალოგიური შემთხვევა მახსენდება...*

მსჯელობისას მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ზუსტად იგივე შემთხვევა, მომხდარი...)

◈ როგორი უნდა იყოს კარგი არგუმენტი? კარგი არგუმენტის სტრუქტურა.

ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტს მსჯელობისას, ახლა გამოვკვეთოთ, როგორი უნდა იყოს კარგი არგუმენტი:

• უშუალოდ უნდა ეხებოდეს თემას, რომელზეც თქვენ მსჯელობთ;

• პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს ესეში გადმოცემულ საკითხს;

• უნდა იყოს მიზნის ადეკვატური;

• კარგი არგუმენტი უნდა იყოს ადვილად აღსაქმელი, ნათელი. კარგი არგუმენტის შექმნისას თავი უნდა ავარიდოთ ბუნდოვანებას;

• კარგი არგუმენტი არ უნდა ავიწროვებდეს სამსჯელო თემას. მაგალითად, როცა ვსაუბრობთ თანამედროვე მედიცინის მიღწევებზე, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხით, არამედ შეძლებისდაგვარად შევეხოთ მედიცინის ყველა სფეროში მოპოვებულ წარმატებებს;

• კარგი არგუმენტი არ შეიძლება იყოს ძალიან ზოგადი, არ გამოგვადგება არგუმენტად ის, რომ XXI საუკუნეში მედიცინამ დიდი პროგრესი განიცადა, ამ საკითხს ესაჭიროება დეტალიზაცია და კონკრეტული მაგალითებით ილუსტრირება. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ შედარება წინა საუკუნეების მიღწევებთან.

• არგუმენტად არ გამოგვადგება არარაციონალური, მკვეთრად პირადი და ემოციური დამოკიდებულება რაიმე საკითხისადმი, გემოვნება, რწმენა, ანუ ისეთი საკითხები, რომელთა შემოწმების ობიექტური მექანიზმები არ არსებობს.

2. რა არის ქვეარგუმენტი?

ქვეარგუმენტი – ეს არის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ლოგიკურად ან აზრობრივად არის დაკავშირებული არგუმენტთან და ავტორს ეხმარება, განამტკიცოს თავისი პოზიცია და კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადოს თავისი სათქმელი. შეიძლება ითქვას, რომ ქვეარგუმენტი არის არგუმენტის დასაბუთება, დაკონკრეტება და განმტკიცება შესაბამისი მაგალითებით.

ნიმუში:

ქალს ნებისმიერ ასაკში სურს მოხდენილად გამოიყურებოდეს, ჩვენი ორგანიზმი კი ისეა მოწყობილი, რომ წონის კონტროლი გამუდმებითაა საჭირო. ამ მიზნით დიეტის დაცვას გოგონები ჯერ კიდევ მოზრდილობის ასაკიდან იწყებენ. კარგ ფორმაში ყოფნა და კარგი ფიგურის შენარჩუნება ბევრადაა დამოკიდებული ქალის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, რომლებიც ყველა ასაკს განსხვავებული აქვს და რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ჯანმრთელობისათვის. როდესაც ვსაუბრობთ მოზარდობის ასაკში წონის პრობლემებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მკაცრი დიეტის დაცვა 16 წლის ახალგაზრდისათვის სახიფათოა. მოზარდობის ასაკში ორგანიზმი აქტიურად ვითარდება, აქედან გამომდინარე, მას მუდმივად ესაჭიროება ცილები (დამატებითი უჯრედების საშენად), ცხიმები (სწორი ნივთერებათა ცვლისათვის) და ნახშირწყლები (როგორც ენერგიის წყარო). გარდა ამისა, აუცილებელია ვიტამინებისა და მინერალების საჭირო რაოდენობა, ხოლო საკვებ პროდუქტებში მათი დეფიციტის შემთხვევაში შენელდება ნივთიერებათა ცვლის პროცესები.

მოზარდებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ამ ასაკში კვების შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან, ერთი შეხედვით, შეუმჩნევლად, მაგრამ **(არგუმენტი)** უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. **(ქვეარგუმენტები) პირველ რიგში,** მათ უნდა იცოდნენ, რომ კვების ფორმისა და რეჟიმის დარღვევა მოქმედებს არა ზედმეტ კილოგრამებზე, არამედ სიმაღლეში ზრდაზე. **გარდა ამისა,** ეს აისახება გარკვეული ორგანოების განვითარებასა და იმუნიტეტის დაქვეითებაზე (იმუნური უჯრედების წარმოქმნისათვის საჭიროა საკმარისი ცილები). **ასევე უნდა ითქვას,** რომ ამ ასაკში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა გამონაყარია, სწორი კვების შემთხვევაში კი მასთან გამკლავება უფრო ადვილი იქნება. **ამავე დროს,** დიეტა ნეგატიურად აისახება ტვინის მუშაობაზე. **ამის მიზეზია** ორგანიზმში არასაკმარისად მიწოდებული ნახშირწყლები და გლუკოზა. **სპეციალისტების რჩევით, ეფექტური გამოსავალი** ვარჯიში და ჯანმრთელი ცხოვრების წესია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჭარბი წონა სერიოზული პრობლემაა, გონივრული გამოსავალი დიეტოლოგთან ვიზიტია.

2. რა არის კონტრარგუმენტი და რა ფუნქცია ენიჭება კონტრარგუმენტს?

კონტრარგუმენტი არის არგუმენტის საწინააღმდეგო დებულება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონტრარგუმენტი ეწინააღმდეგება არგუმენტს. კონტრარგუმენტი შეიძლება იყოს სხვათა მოსაზრება, დამოკიდებულება თქვენთვის საინტერესო საკითხისადმი. გაითვალისწინეთ, რომ არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება. არგუმენტები კი, როგორც ვიცით, მაშინ არის საჭირო, როდესაც მსჯელობის საგანი სადავოა ან საბოლოო ცალსახა პასუხი დადგენილი არ არის. სადაც ყველაფერი გარკვეულია და პოზიციები შეთანხმებული, ბუნებრივია, იქ მსჯელობა და კამათი საჭირო აღარ არის. ზემოაღნიშნული მოითხოვს იმას, რომ კარგად იცოდეთ თქვენი არგუმენტის საპირისპირო პოზიცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვიდრე დაიწყებდეთ მსჯელობას იმის შესახებ, რომ თქვენი შესაძლო ოპონენტი ცდება, ჯერ კარგად გაიაზრეთ და ნათლად წარმოაჩინეთ მისი მოსაზრებები და პოზიცია. ეს არის ეთიკურად გამართლებული, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი დამოკიდებულება დაემსგავსება მიკერძოებულ თავდასხმას და არა არგუმენტირებულ, ლოგიკურ კამათს.

კონტრარგუმენტის ფუნქციაა თქვენი მსჯელობის უკეთ წარმოჩენა და კონტრარგუმენტის გაბათილებით თქვენი არგუმენტების დამაჯერებლობის გამოკვეთა.

იმისათვის, რომ კარგად ჩამოაყალიბოთ თქვენი მსჯელობა და თქვენ მიერ მოყვანილი არგუმენტები ლოგიკურად დაალაგოთ, შეგიძლიათ ამგვარ ხერხსაც მიმართოთ: ფურცელი გაყავით ორ ნაწილად და ერთ რიგში ჩამოწერეთ არგუმენტები, ხოლო მეორეში - კონტრარგუმენტები, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს თქვენს შესაძლო ოპონენტს ან მკითხველს. შემდეგ ეცადეთ, თქვენი არგუმენტირებული მსჯელობა წარმართოთ ისე, რომ გააბათილოთ კონტრარგუმენტები ან მოიხმოთ ისეთი დამატებითი არგუმენტები, რომლებიც დაგეხმარებათ ამაში. არ დაგავიწყდეთ, რომ აუცილებელია თქვენი მსჯელობის შეჯამება მცირე დასკვნის სახით, რომელშიც კიდევ ერთხელ მკვეთრად წარმოაჩენთ არგუმენტის ან კონტრარგუმენტის მოხმობის მიზანს. მაგალითად ავიღოთ შემდეგი საკითხი: **მავნებელია თუ არა მოზარდისათვის კომპიუტერული თამაშები?**

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
• ზრდის ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს	• მოზარდი დიდ დროს ატარებს კომპიუტერთან
• მოზარდი ეუფლება კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს	• მოზარდს უჩნდება აგრესია
• მოზარდს უვითარდება სწრაფი რეაქციის უნარი	• მოზარდს ეზღუდება ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარი
• უჩნდება მოტივაციისა და წარმატების მიღწევის სურვილი	• მოზარდს ექმნება ჯანმრთელობის პრობლემები უმოძრაობის გამო
• ამაღლებს ენობრივ კომპეტენციას, რამდენადაც, როგორც წესი, ინსტრუქცია მოცემულია უცხო (ინგლისურ) ენაზე	• მოზარდი საკუთარ თავში იკეტება და ვერ ეუფლება გუნდური მუშაობის წესებს

◈ როგორ უნდა ავაგოთ არგუმენტირებული მსჯელობა?

არგუმენტების მექანიკური ჩამონათვალი ჯერ კიდევ არ არის მსჯელობა, მით უფრო, არგუმენტირებული მსჯელობა. შეიძლება ითქვას, რომ არგუმენტაცია არის თანმიმდევრული პროცესი **საკითხის დასმით, დასაბუთებითა და შეჯამებით.** სწორედ ამ დროს ხდება ჩვენი სათქმელის განვითარება, მსჯელობა, განსჯა, ლოგიკური დასაბუთება. აქვე უნდა წარმოვაჩინოთ, თუ როგორ მოვედით ამ პოზიციამდე და ცხადად გამოვკვეთოთ, თუ რა იყო ჩვენი მიზანი, რა არის ჩვენი მთავარი სათქმელი და რა არის დასკვნა. საზოგადოდ, მსჯელობას რამდენიმე მიზანი შეიძლება ჰქონდეს:

- ჭეშმარიტების დადგენა;
- სხვების დარწმუნება ჩვენი აზრის სისწორეში;
- მრავალთაგან ერთი შეხედულების დასაბუთება და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წერის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპია არგუმენტების ჩამოთვლა, ამის შემდეგ სასურველია ამ ჩამონათვალიდან

განსაზღვროთ, თუ რომელი არგუმენტი შეიძლება იქცეს თქვენი მსჯელობისათვის ძლიერ, მეორეხარისხოვან ან სუსტ არგუმენტად. არგუმენტირებული მსჯელობის დროს სწორედ ამ არგუმენტთა განაწილების რამდენიმე შესაძლებლობა შეიძლება არსებობდეს, რომელსაც გთავაზობთ სქემის სახით:

I.

ძლიერი არგუმენტი
საშუალო სიძლიერის არგუმენტი
სუსტი არგუმენტი

II.

სუსტი არგუმენტი
საშუალო სიძლიერის არგუმენტი
ძლიერი არგუმენტი

III.

საშუალო სიძლიერის არგუმენტი
სუსტი არგუმენტი
ძლიერი არგუმენტი

IV.

ძლიერი არგუმენტი
სუსტი არგუმენტი
ძლიერი არგუმენტი
სუსტი არგუმენტი
ძლიერი არგუმენტი

რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს სქემები არ ამოწურავს არგუმენტირებული მსჯელობის გაშლის შესაძლებლობებს. მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, შესაძლებელია თქვენი მსჯელობის სხვაგვარად აგებაც.

გაითვალისწინეთ, რომ ერთი არგუმენტიდან მეორე არგუმენტზე გადასვლისას აუცილებელია არგუმენტების ერთმანეთთან ლოგიკური გადაბმა მაკავშირებელი ფრაზებითა და სათანადო ენობრივი საშუალებებით. სწორედ ამგვარი გადაბმა აქცევს მსჯელობას ერთიან ლოგიკურ პროცესად, რაც ვერ მიიღწევა ცალკეული არგუმენტების ჩამოთვლით.

მაგალითად: საყოველთაოდ ცნობილია, რომ თამბაქოს მოწევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის. **(პირველი არგუმენტი)** ნიკოტინი იწვევს ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორებიცაა: ფილტვის კიბო, ანემია, სისხლძარღვთა შევიწროება და ა.შ. **(მეორე არგუმენტი) გარდა ამისა,** თამბაქოს მოწევა არანაკლებ პრობლემებს უქმნის გარშემომყოფებსაც. სწორედ ამის გამო გაჩნდა ტერმინი - პასიური მწეველი. **(მესამე არგუმენტი) სამედიცინო გამოკვლევების თანახმად**, მწეველი ადამიანი ნაკლებად აქტიურია და, ასევე, ორგანიზმიც ძნელად ერევა სხვადასხვა ტიპის დაავადებას.

◈ რამდენი არგუმენტია საჭირო იმისათვის, რომ მოსაზრება დავასაბუთოთ?

რასაკვირველია, ზუსტი რიცხვი და მითითებები არ არსებობს ესეში არგუმენტის რაოდენობის შესახებ, თუმცა ოპტიმალური რაოდენობა მაინც სახელდება. კერძოდ, სამიდან ხუთამდე ძლიერი არგუმენტი საკმარისია მსჯელობის დასაბუთებისათვის. გავრცელებულია ამგვარი შეხედულება, რომ თუ სამი არგუმენტი არ აღმოჩნდა იმისათვის საკმარისი, რომ გამოთქმული მოსაზრება გაიზიარონ, მაშინ ვერც, მაგალითად, ოცდახუთი არგუმენტი დაარწმუნებს მკითხველს თქვენი პოზიციის სისწორეში. ამდენად, არგუმენტთა სიმრავლე კი არ წყვეტს საკითხს, არამედ თავად არგუმენტის ხარისხი და სიძლიერე.

◈ არგუმენტირებული მსჯელობის ენობრივი საშუალებები:

თქვენი არგუმენტირებული მსჯელობა (არგუმენტი ან ქვეარგუმენტი) შეიძლება გამყარდეს სხვადასხვა ხერხით, რაც გარკვეული ენობრივი საშუალებებით შეიძლება გამოიხატოს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ენობრივი საშუალებები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი მიზნისთვის, თუმცა ჩამონათვალი არ არის სრული და თქვენი მიზნისა და ამოცანების მიხედვით შეგიძლიათ გაამრავალფეროვნოთ.

დამხმარე ენობრივი საშუალებები	
	აგრეთვე *ამასთანავე*

ინფორმაციის დამატება	*გარდა ამისა* *არა მხოლოდ, არამედ* *უფრო მეტიც* *ისევე როგორც* *შესაბამისად* *სათანადოდ* *მაგალითად* *ასე, მაგალითად*
გამომწვევი მიზეზები/შედეგები	*რადგან* *იმდენად რამდენადაც* *იმიტომ რომ* *ამდენად* *ამიტომ* *აქედან გამომდინარე* *ზემოთქმულიდან გამომდინარე* *ვინაიდან* *რადგანაც* *შესაბამისად* *...შედეგად*
შედარება	*ისევე, როგორც* *მსგავსად* *მასთან შედარებით* *ისეთი, როგორიც*
დაპირისპირება	*მაგრამ* *მაშინ, როცა* *ამისაგან განსხვავებით* *ერთი მხრივ* *მეორე მხრივ* *უპირველეს ყოვლისა* *თუმცა* *...ნაცვლად* *ხოლო*
აზრის ლოგიკური განვითარება	*ჯერ ერთი...* *მეორე...* *ერთი მხრივ* *მეორე მხრივ* *თანაც* *პირველი* *მეორე* *უპირველეს ყოვლისა* *რაც ყველაზე მთავარია*

აღიარებული ჭეშმარიტების მოხმობა	*მართლაც* *ნამდვილად* *ფაქტობრივად* *ჩვეულებრივ* *როგორც წესი* *წესის თანახმად* *საერთოდ* *სხვათა შორის* *ცნობილია, რომ...* *სტატისტიკური მონაცემების მიხედვით...* *როგორც ცნობილია* *როგორც ყოველთვის* *როგორც ხშირად ხდება ხოლმე* *საზოგადოდ*
პირობითობა	*თუ* *მაშინაც კი, როცა* *იმ შემთხვევაში, თუ*
კონტრარგუმენტის გაბათილება	*მართალია, მიჩნეულია.... მაგრამ* *მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს... უნდა აღინიშნოს, რომ* *თითქოს არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრება, მაგრამ* *ერთი მხრივ, აღიარებულია, რომ... მაგრამ, მეორე მხრივ*
არგუმენტთა დამაკავშირებელი ფრაზები	*არანაკლები სიძლიერის არგუმენტად მიგვაჩნია...* *არანაკლებ მნიშვნელოვანია...* *ვფიქრობ მსჯელობას კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის...* *გასათვალისწინებელია ისიც, რომ...*

◈ რას უნდა ავარიდოთ თავი?

იმისათვის, რომ თქვენი მსჯელობა იყოს ლოგიკურად გამართული, დამაჯერებელი, საქმიანი, არაგამაღიზიანებელი, მისაღები და კორექტული, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

• ეცადეთ ამომწურავად მიაწოდოთ მკითხველს თქვენ მიერ განხილული საკითხი;

• ეცადეთ თქვენი მსჯელობა იყოს კარგად ორგანიზებული და ლოგიკურად დალაგებული;

• არ უნდა დაშორდეთ ძირითად მიზანსა და სათქმელს და არ უნდა მოიხმოთ შეუსაბამო და არაადეკვატური არგუმენტები;

• არ უნდა გაგიტაცოთ მჭერმეტყველებამ, მაშინ როცა საჭიროა ძლიერი არგუმენტაცია და მკაფიო დებულებების მოხმობა თქვენი ნათქვამის განსამტკიცებლად;

• არ შეიძლება გადაუმოწმებელი მონაცემების მოხმობა და მათი ბოროტად გამოყენება;

• თქვენი მსჯელობა უნდა იყოს ანალიტიკური, არგუმენტირებული და არა მხოლოდ აღწერითი;

• არ უნდა გადმოსცეთ მხოლოდ სხვების მოსაზრებები თქვენი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, ანუ არგუმენტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასებით დამოკიდებულებას;

• საჭიროების გარეშე არ უნდა გამოიყენოთ გამეორებები;

• თავი აარიდეთ ზედმეტად ემოციურ მსჯელობას;

• გამოხატეთ პატივისცემა შესაძლო ოპონენტებისა და მკითხველის მიმართ.

ნიმუში:

I.

უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმებია.

არგუმენტი - ამას, ბუნებრივია, თავისი წინაპირობები ჰქონდა: ჯერ ერთი, სკოლა მეტად დაშორდა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც აბიტურიენტებს

უყენებდნენ და მეორეც, აუცილებელი გახდა სწავლების სისტემის თანამედროვე მიღწევების მიხედვით გარდაქმნა.

II.

საქართველოში ბოლო დროს გრანდიოზული მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო არა მხოლოდ პოლიტიკურად ვითარდება, არამედ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისკენაც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

არგუმენტი - ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებები: ერთი მხრივ, მოსახლეობის გარკვეულ ფენას უკვე აქვს შესაძლებლობა გაიუმჯობესოს საყოფაცხოვრებო პირობები, ხოლო, მეორე მხრივ, მას ასევე აქვს შესაძლებლობა, აიღოს ბანკიდან კრედიტი და ცხოვრება მოიწყოს დღეს, მაგრამ გადაიხადოს ხვალ.

III.

ძირითადი დებულება - ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, თბილისის ისტორიული უბნების რესტავრაცია და კონსერვაცია დაიწყო.

არგუმენტი - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, ეს ემსახურება ქალაქის ისტორიული იერსახის შენარჩუნებას.

ქვეარგუმენტი - ძველი უბნების აღდგენას თავისთავად მოჰყვება ტურისტების ნაკადის ზრდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას და, საბოლოოდ, ქალაქის ბიუჯეტის შევსებას.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ მოცემულ ტექსტში გამოყავით არგუმენტი და ქვეარგუმენტი:

მონარქია – წარსულის გადმონაშთი თუ მმართველობის პროგრესული ფორმა?

მონარქია თანამედროვეობის უნიკალური ინსტიტუტია. დღესდღეობით 40 ქვეყანა მმართველობის ფორმად მონარქიას ირჩევს. მათ შორის უმეტესობა განვითარებული ქვეყნებია: გაერთიანებული სამეფო (ინგლისი), იაპონია, კანადა, ავსტრალია, ნიდერლანდები, სკანდინავიის ქვეყნები და ა. შ. ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე ძალიან მაღალია. ეს კი ნიშნავს, რომ მონარქიის ინსტიტუტი, სხვა ფაქტორებთან ერთად, საკმაოდ ქმედითი და ძლიერია. საზოგადოება დადებითადაა განწყობილი სამეფო ოჯახის წევრების მიმართ, ამას კი იძულებით ვერ მიაღწევ.

XXI საუკუნეში დემოკრატიული მმართველობის პრიორიტეტი სადავო არ არის, მაგრამ როცა ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, მოსახლეობის 85% მხარს უჭერს სახელმწიფოში მონარქიის არსებობას, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ XXI საუკუნეში მონარქია და დემოკრატია ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

მონარქია გახლავთ მსოფლიოში არსებული თანამეგობრობის შემკვრელი ძალა. მაგალითად, თანამეგობრობას ძალიან დიდი როლი აქვს ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში. ეს არის ყოფილი იმპერია, სადაც დღესდღეობით ორმოცდათოთხმეტი ქვეყანაა. თანამეგობრობის ქვეყნებიდან 32 რესპუბლიკური ქვეყანაა და ემორჩილება ბრიტანეთის მონარქს. ასევე, მაგალითად, მაღალგან-ვითარებული კანადა დიდი რვიანის შემადგენლობაში შედის, არის აბსო-ლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ მისი მონარქი არის ინგლისის მეფე. უფრო მეტიც, ბრიტანეთის მეფეს ორგანიზაციის ლიდერად აღიარებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პაკისტანი, ნიგერია და ინდოეთი. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მონარქიული მმართველობა პოზიტიურ როლს ასრულებს ქვეყნების ცხოვრებაში.

▣ მოცემულ ტექსტში გამოყავით არგუმენტი, ქვეარგუმენტი და კონტრარგუმენტი, აგრეთვე მათი დამაკავშირებელი ენობრივი საშუალებები. იმსჯელეთ, რამდენად ადეკვატური, ამომწურავი და დამაჯერებელია ტექსტში მოყვანილი არგუმენტები:

ინტერნეტი – დადებითი და უარყოფითი მხარეები
ჩემი პოზიცია

ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი იმდენად ერთვება ვირტუალურ სამყაროში, რომ მასზე დამოკიდებულიც ხდება. ჩემი აზრით, ეს იმ ადამიანებს ემართებათ, რომელთაც პრობლემები აქვთ საზოგადოებასა და რეალურ სამყაროსთან. ისინი შვებას პულობენ ვირტუალურ სამყაროში. ინტერნეტი შეიძლება გახდეს იმედების, სურვილების ასრულების და, ამავე

დროს, შიშისა და დეპრესიის საგანი. პირადად ჩემთვის, ინტერნეტი ინფორმაციის წყაროა. ამასთანავე, მისი წყალობით შევძელი ევროპის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, უცხოეთში მცხოვრები ადამიანების გაცნობა, ახალი მეგობრების შეძენა. მაგრამ, თუ ადამიანი რეალურ სამყაროს ვირტუალურზე გაცვლის, ეს დეპრესიასაც გამოიწვევს. შეიძლება მას სამყაროსთან ურთერთობის შიშიც გაუჩნდეს. არსებობენ სუსტი ფსიქოლოგიის ადამიანები, რომელთაც უჭირთ ყოფითი პრობლემების დაძლევა. ასეთ შემთხვევაში ინტერნეტი არის უმარტივესი გზა, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ თავი დააღწიონ სხვადასხვა გართულებასა და სიძნელეს, რომლებსაც ცხოვრება გვთავაზობს. ამ მომენტში ინტერნეტი იქცევა საგნად, რომელზე დამოკიდებულიც ხდება სუსტი ნებისყოფის ადამიანი.

რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერს ამქვეყანაზე, ინტერნეტსაც აქვს უარყოფითი მხარეები. ის იმდენის საშუალებას აძლევს მომხმარებელს, რომ ადამიანს სულ უფრო ნაკლები მიზეზი რჩება გარეთ გამოსასვლელად და ის შეიძლება გაზარმაცდეს კიდეც. ზოგიერთის აზრით კი, ინტერნეტმა თანამედროვე ცხოვრებაში წიგნების როლი იკისრა. საზოგადოებაც ორ ნაწილად გაიყო. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ძალიან ცუდია, ის, რის მიცემაც წიგნს შეუძლია მკითხველისთვის, ინტერნეტი ვერასოდეს მისცემს თავის მომხმარებელს. მეორენი ამბობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში აუცილებელიც არის, რომ წიგნი კომპიუტერით შეიცვალოს. ჩემი აზრით, თუ ადამიანი საკითხავ მასალას ინტერნეტის საშუალებით ეძებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფურცლიდან კითხვას მას მონიტორზე კითხვა ურჩევნია. ვფიქრობ, რომ ეს ორი მომენტი ერთმანეთს არ გამორიცხავს. ადამიანმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ისე უნდა მოიპოვოს, როგორც შეუძლია.

ქეთევან ქუსიკაშვილი,
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

▣ მოცემულ თემაზე ჩამოწერეთ არგუმენტები და კონტრარგუმენტები:

უნდა ტარდებოდეს თუ არა სკოლების გამოსაშვები (საატესტატო) გამოცდები?

არგუმენტი	**კონტრარგუმენტი**
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა იყოს თუ არა ტრადიციების უპირობო დაცვა ადამიანის მოვალეობა?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

არის თუ არა საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი განათლება
წარმატებული კარიერის საწინდარი?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა აეკრძალოთ თუ არა მძღოლებს მობილური ტელეფონით სარგებლობა
ავტომობილის მართვის დროს?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა ვასწავლოთ თუ არა მცირეწლოვან ბავშვებს უცხო ენა?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა არსებობდეს თუ არა უფასო გამაჯანსაღებელი კომპლექსი
უმაღლეს სასწავლებლებში?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•

თანამედროვე ადამიანები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ინტერნეტმაღაზიებს. არის თუ არა ვაჭრობის ეს თანამედროვე გავრცელებული ფორმა ეფექტური, საიმედო და წარმატებული?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა ეცვათ თუ არა სკოლის მოსწავლეებს ფორმები?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

ადამიანის ცხოვრება თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია. არის თუ არა დღეს ადამიანი მთლიანად დამოკიდებული თანამედროვე ტექნოლოგიებზე?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა უზრუნველყოს თუ არა სახელმწიფომ ყველა მოქალაქის უფასო სამედიცინო მომსახურება?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

არის თუ არა ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებული მის კვების რეჟიმზე?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

აძლიერებს თუ არა სტრესი ადამიანს?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა იყოს თუ არა ადამიანი ახალგაზრდობიდანვე ფინანსურად დამოუკიდებელი?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

სრულყოფილად აფასებს თუ არა გამოცდები სტუდენტის ცოდნას საგანში?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

ახდენს თუ არა ტელესერიალები ადამიანის ცხოვრებაზე უარყოფით გავლენას?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა იყოს თუ არა ადამიანი ახალგაზრდობიდანვე ფინანსურად დამოუკიდებელი?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

უნდა მიიღოს თუ არა საზოგადოებამ გარკვეული ზომები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ?

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
•	•
•	•
•	•
•	•
•	•

▣ მოცემულ თემებზე ჩამოაყალიბეთ არგუმენტირებული მსჯელობა, გამოიყენეთ ნაცნობი ენობრივი საშუალებები:

I. უნდა აიკრძალოს თუ არა მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?

II. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუ არა უფასო სამედიცინო მომსახურება?

III. უნდა მიეცეს თუ არა თექვსმეტი წლის მოზარდს მართვის მოწმობის აღების უფლება?

▣ მოცემულ თეზისებზე დაყრდნობით შექმენით ტექსტი და გამოიყენეთ საკითხის გაშლის თქვენთვის ნაცნობი საშუალებები (ფაქტები, წყაროები, სტატისტიკა, კითხვის დასმა):

I.

სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის თანაარსებობა და პრობლემები არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი იმ ადამიანებისათვის, რომელთაც თვითონ უწევთ ამგვარ გარემოში ცხოვრება. ქართულ სინამდვილეში სხვადასხვა კონფესიის თანაარსებობის პრობლემა არსებითად არ დგას, თუმცა საქმე სხვაგვარადაა შერეული ქორწინების დროს.

II.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არსებობდა სიტყვები ტოლერანტობა, სამოქალაქო ინტეგრაცია, მულტიკულტურიზმი, მულტილინგვიზმი, საქართველოში არსებობდა ანდაზა: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ, ისევე, როგორც არსებობდა ტრადიცია კულტურული მრავალფეროვნებისა, სხვადასხვა ხალხის ენების, კულტურისა და აღმსარებლობის პატივისცემისა.

III.

XIX საუკუნის ბოლოს იწყება ქალის როლის ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სუსტი სქესის წარმომადგენლებს გაუჩნდათ პრეტენზია, რომ მათ ზუსტად ისეთივე უფლებები და მოვალეობები ჰქონოდათ, როგორებიც მამაკაცებს. ამ პროცესს გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ისე მოწინააღ-მდეგეები.

---

1. მოცემულ დებულებებზე დაყრდნობით შექმენით არგუმენტირებული მსჯელობა:

I

რამდენიმე წლის წინ დასავლურ მედიაში გავრცელდა სოციალური რეკლამა, რომელიც მოუწოდებს მძღოლებს, მანქანის ტარების დროს არ გააგზავნონ მოკლე ტექსტური შეტყობინებები. რეკლამაში ნაჩვენებია საჭესთან მობილური ტელეფონით სარგებლობის სავალალო შედეგები, რაც ხშირ შემთხვევაში მძღოლის ან მგზავრების სიკვდილიანობაა. საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ამგვარი რეკლამა პროპაგანდის საუკეთესო და ეფექტური საშუალებაა მსგავსი ფატალური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

II

ბევრ ქვეყენაში ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვა და შენახვა კანონითაა დაშვებული და ეს თავდაცვის საუკეთესო საშუალებადა მიჩნეული. თუმცა, ისეთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია, კანადა, დღეს უკვე ბევრს მსჯელობენ ამ საკითხზე, რადგან ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, კრიმინალის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს.

III

დღეს მოდაში შემოვიდა ბავშვის ადრეული განვითარების მეთოდიკა, მათ შორის, უცხო ენების შესწავლის მხრივ. თუმცა ფსიქოლოგები და პედაგოგები ადრეულ ასაკში ბავშვისთვის უცხო ენის შესწავლაში, პლუსებთან ერთად, მინუსებსაც ხედავენ. ორენოვან ოჯახებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვის მეტყველების განვითარება ასეთ ოჯახებში დუნედ მიმდინარეობს, ისინი შედარებით გვიან იწყებენ ლაპარაკს და ხანდახან მეტყველების სირთულეები და დეფექტებიც აღენიშნებათ.

IV

ჩვენ, ყველა, ხანდახან ვფიქრობთ: უფრო ბევრი ფული რომ მქონდეს უფრო ბედნიერი ვიქნებოდიო; ან რომ მქონდეს უფრო დიდი სახლი, დიდი ბაღი, ახალი მანქანა...

მართალია, ზემოთ ჩამოთვლითაგან ყველაფერი რომ გვქონდეს, ჩვენ გავბედნიერდებით, თუმცა მცირე ხნით, რადგან მატერიალური უზრუნველყოფა ჩვენ ბედნიერს გვხდის მხოლოდ დროებით. ეს არაა ნამდვილი გრძელვადიანი ბედნიერება. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ადამიანები, რომლებმაც ლატარიაში დიდი ფული მოიგეს, სამი წლის შემდეგ ისევ ბედნიერების იმ საფეხურს დაუბრუნდნენ, რომელიც ამ ბედნიერ შემთხვევამდე, ლატარიის მოგებამდე ჰქონდათ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ფული ჩვენ არ გვხდის ბედნიერს. აღმოჩნდა, რომ ბანალური ფრაზა - „ყველაფერი შენს ხელშია“ - უბრალო სიტყვები არ არის.

ჯგუფური სამუშაო:

დაიყავით ჯგუფებად, ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ესე და შეასრულეთ შემდეგი აქტივობები:

1. უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

- გამოკვეთილია თუ არა ტექსტის მიზანი?
- გამოკვეთილია თუ არა ტექსტში ავტორის პოზიცია?
- დასაბუთებულია თუ არა ავტორის პოზიცია?
- რა არგუმენტები მოჰყავს ავტორს თავისი პოზიციის გასამყარებლად?
- მოჰყავს თუ არა ავტორს ქვეარგუმენტები და კონტრარგუმენტები?

2. გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია:

- იზიარებთ თუ არა ავტორის პოზიციას?
- რომელი არგუმენტია თქვენთვის მისაღები ან რომელს არ იზიარებთ და რატომ?
- გაამყარეთ თქვენი პოზიცია თქვენეული არგუმენტებით.

3. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილია არგუმენტის სახეები. მოიძიეთ ტექსტში შესაბამისი არგუმენტები, მათი დამაკავშირებელი ენობრივი საშუალებები და შეავსეთ ცხრილი.

ციტატა	ენობრივი საშუალებები
ფაქტი	**ენობრივი საშუალებები**
პარალელი	**ენობრივი საშუალებები**
სხვათა მოსაზრებები	**ენობრივი საშუალებები**
პირადი გამოცდილება	**ენობრივი საშუალებები**

ავტორისეული მსჯელობა	**ენობრივი საშუალებები**
სხვა	**ენობრივი საშუალებები**

ლევან ბრეგაძე
ევროპა ვართ თუ აზია?

1997 წლის სექტემბერში თბილისში სტუმრად მყოფ ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს ვკითხე: „როგორ ფიქრობთ, სად იმყოფებით ამჟამად: აღმოსავლეთში თუ დასავლეთში?“ გერმანელი პოეტის პასუხი ასეთი იყო: „უფრო დასავლეთში. ადამიანთა აზროვნების მანერა აქ დასავლურია. აღმოსავლურია ყოველდღიური ცხოვრება, ეს იგრძნობა ქუჩაში, სუფრასთან... წეს-ჩვეულებებში ბევრი რამ აღმოსავლურია, მაგრამ სულიერების მხრივ საქართველო, მე ვფიქრობ, უფრო ევროპული ქვეყანაა“. ეს არ ყოფილა მოულოდნელი პასუხი. მსგავს შეკითხვაზე სხვა უცხოელებიც დაახლოებით ასე პასუხობენ.

ევროპა ვართ თუ აზია? – ეს საკითხი ჩვენი ინტელიგენციის რეფლექსიის (განსჯის) საგანი გახდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ანუ იმ დროიდან, როცა რეალური შეიქნა რუსეთის იმპერიიდან თავდაღწევის შესაძლებლობა და ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე ჩვენი ქვეყნის მომავალი ორიენტაციის საკითხი დადგა დღის წესრიგში. ჩვენს დროშიც, როცა საქართველოს კიდევ ერთხელ გაუჩნდა შანსი დამოუკიდებლობის მოპოვებისა, კვლავ აქტუალური გახდა საკითხი „ევროპა ვართ თუ აზია?“ და ამასთან დაკავშირებული პრობლემა: დასავლური ორიენტაციის გზას დავადგეთ თუ უარი ვთქვათ დასავლურ

იდეალებზე, ცხოვრების დასავლურ წესზე და აღმოსავლური ელემენტი გავაძლიეროთ ჩვენში? მაგრამ ისევ 20-იან წლებს დავუბრუნდეთ. იმ დროს ამ პრობლემას დასტრიალებდა თავს მაშინდელ ქართველ ინტელექტუალთა ახალგაზრდა თაობის აზრი – ამაზე სერიოზულად ფიქრობდნენ და წერდნენ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, აკაკი პაპავა და მრავალი სხვა მათი თანამედროვე, რომელთა ნაფიქრ-ნააზრევს ამ თემაზე შეგიძლიათ ერთად თავმოყრილს გაეცნოთ კრებულში „ევროპა თუ აზია?“.

კრებულში თავმოყრილი მასალების გაცნობისას სამგვარი პოზიცია გამოიკვეთება. ერთნი მთლიანად დასავლეთისაკენ არიან მიმართულნი და ქართული კულტურის ხსნას ევროპულ ორიენტაციაში ხედავენ. გერონტი ქიქოძის აზრით, „ევროპულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა... თუკი აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო აღმართული”.

დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ვახტანგ კოტეტიშვილი: „ევროპამ შეგვშალა და, ალბათ, წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა. აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერდით აზიას. ამიტომ ჩაგვიქრა შემოქმედება, მკვდარმა მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა. ასე იყო და არის. ასე ვეღარ გაგრძელდება (...). დევიზი: „უკან, აზიისაკენ, წინ წასასვლელად“. უფრო მრავალრიცხოვანი მომხრე ჰყავდა იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოში ოდითგანვე ევროპული და აზიური კულტურების ორიგინალური სინთეზი ხორციელდებოდა და მომავალშიც ამ გზით უნდა ვიაროთ. ამ პოზიციის გამომხატველი იყო ტიციან ტაბიძის ფორმულა: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე. გრ. რობაქიძის სიტყვით, „ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ... და საქართველოც თითქოს ამისთვისაა შობილი. აბა, დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსის გაქანებისა!“

ეს კითხვა - ევროპაა თუ აზია? - ევროპისა და აზიის საზღვართან ახლომდებარე კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიმართ დაისმის ხოლმე, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა არც ერთ შემთხვევაში ისეთი რთული არ არის, როგორც საქართველოსთან დაკავშირებით.

1992 წელს გაზეთ „რაინიშე მერკურში“ გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სტატია სათაურით „სად გადის ევროპის კონტინენტის საზღვრები?“ (ავტორი ჰელმუთ სვობოდა). მერე ეს სტატია დაიჯესტის ტიპის გაზეთმა „დოიჩე ტრიბიუნემაც“ გადაბეჭდა. ვნახოთ რა არის იქ ნათქვამი ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ქვეყნის შესახებ.

თურქეთთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„ერთ დროს, როდესაც შეიქმნა ნატო, როგორც დასავლეთის ფარი ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ, თურქეთი ამ ევრო-ატლანტიკური კავშირის წევრად მიიღეს, მაგრამ თუ ამგვარ სტრატეგიულ და აქტუალურ პოლიტიკურ მიზანდასახულობებს გვერდზე გადავდებთ, ძალიან გაგვიჭირდება თურქეთი ევროპას მივაკუთვნოთ, მით უფრო, რომ მეოცე საუკუნის დამდეგამდე თურქეთი ევროპის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა, რომელმაც თითქმის მთელი ბალკანეთი დაიპყრო, ორჯერ მიაღწია ვენამდე და მხოლოდ ამ ქალაქის კარიბჭესთან იწვნია მარცხი (თუმცა პრეზიდენტმა ბუშმა თურქეთს „ევროპის ცაზე გამობრწყინებული ვარსკვლავი“ უწოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილოვანი დიპლომატიური ფრაზა იყო)“.

რუსეთის შესახებ ავტორი წერს:

„ცხადია, შეიძლება სანკტ-პეტერბურგი, რომელიც საგანგებოდ იმისთვის დაარსდა, რომ დასავლური ორიენტაციით მოსკოვს დაპირისპირებოდა, როგორც დასავლეთისკენ გაჭრილი კარი, ასევე ლემბერგი (ლვოვი), რომელიც ჯერ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის, ხოლო შემდეგ პოლონეთის ნაწილი იყო, ევროპულ ქალაქებად ჩავთვალოთ, მაგრამ ამის გამო რომ რუსეთი ან უკრაინა და ბელორუსია ევროპას მივაკუთვნოთ, ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა რუსული კულტურა უეჭველად ევროპული კულტურის შემადგენელი ნაწილია; რა იქნებოდა საკონცერტო დარბაზები და საოპერო სცენები ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, სტრავინსკის გარეშე? ან განა ჩეხოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი და თუნდაც გორკი მსოფლიო ლიტერატურას არ ეკუთვნიან? რა თქმა უნდა. მაგრამ მსოფლიო ლიტერატურა მეტია, ვიდრე ევროპული ლიტერატურა და, გარდა ამისა, ისეთი ავტორები, როგორებიც არიან დოსტოევსკი და ახლო წარსულში სოლჟენიცინი, სრულიად მკაფიოდ მოითხოვენ რუსეთის კულტურული და პოლიტიკური როლის თვითმყოფადობას, რაც სულიერების სფეროში მკვეთრად უპირისპირდება ევროპულ-ამერიკულ დასავლეთს“.

ჰელმუთ სვობოდას ამ სტატიაში სომხეთი და აზერბაიჯანიც არის ნახსენები, იქ სადაც ევროპასა და აზიას შორის კავკასიაზე გამავალ საზღვარზეა საუბარი და ამ ქვეყნების შესახებ ნათქვამია, რომ მათ უპირატესად აზიას მიაკუთვნებენო. ყველა წესითა და კანონით აქვე, სომხეთისა და აზერბაიჯანის გვერდით, საქართველოზეც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ არაფერია ნათქვამი უთუოდ იმის გამო, რომ ძნელია მისი მიკუთვნება ევროპისა ან აზიისადმი.

ისე კი, ამ სტატიაში საქართველო ორჯერ არის მოხსენიებული. ვნახოთ ეს კონტექსტები. სტატიის ავტორი წერს: „ჩვენ, გერმანიაში და აგრეთვე ავსტრიაში მცხოვრებნი, უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ რუსეთი განვიხილოთ როგორც ევროპის შემადგენელი ნაწილი, რადგან 1918 წლამდე იგი ჩვენი მეზობელი სახელმწიფო იყო. მაგრამ თუ ესპანელს ან პორტუგალიელს ჰკითხავთ, გასაგები მიზეზების გამო ისინი სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკასთან მეტ სიახლოვეს გრძნობენ, ვიდრე საქართველოსა თუ ურალთან; ამის მსგავსია დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულება ჩრდილოამერიკის მიმართ“. მეორე კონტექსტი, სადაც ქართველები ვიხსენიებით, ასეთია: „თუკი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების უმეტესობას ევროპას არ მიაკუთვნებენ,

ეს არ ნიშნავს, თითქოს ვინმე უგულებელყოფს ან აკნინებს ამ ქვეყნების კულტურულ, პოლიტიკურ თუ ისტორიულ მნიშვნელობას. ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ირანი და მალაიზია, ეგვიპტე და ნიგერია, ცხადია, არ არიან ევროპის ნაწილი, მაგრამ ყოველგვარ ეჭვგარეშეა მათი კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობა - ჩვენ ვაფასებთ, პატივს ვცემთ ევროპის საზღვრებს გარეთ მოსახლე ხალხებს, როგორც ჩვენს გლობალურ თანამოქალაქეებს და იგივე ითქმის ბრესტ-ლიტოვსკისა და ვლადივოსტოკს შორის არსებულ ქვეყნებსა და ხალხებზე – იქნებიან ესენი ბელორუსები, ციმბირელები, ქართველები თუ თურქმენები“.

მთელი სტატია იმ პათოსით არის გამსჭვალული, რომ ყველა მცდელობა, ზუსტად დავადგინოთ ევროპის საზღვრები, წარუმატებლობისთვის არის განწირული. ეს იმიტომ, რომ დღეს ევროპა აღარ არის არც მხოლოდ გეოგრაფიული, არც მხოლოდ ისტორიული, არც მხოლოდ პოლიტიკური, არც მხოლოდ ეკონომიკური და არც მხოლოდ კულტურული ცნება. შეიძლება ქვეყანა გეოგრაფიულად უეჭველად ევროპას განეკუთვნებოდეს, მაგრამ იგი მაინც არ იყოს ევროპა დღევანდელი გაგებით, მაგალითად, ალბანეთი. მეტიც, ნაციზმისდროინდელი გერმანია არ იყო ევროპა დღევანდელი გაგებით. დღეს ევროპისადმი კუთვნილებას ყველა სხვა ნიშანზე მეტად განსაზღვრავს საერთოევროპული, საერთოდასავლური იდეალებისადმი ერთგულება. რა სულიერი ფასეულობებია ეს? – წამოჭრის კითხვას სტატიის ავტორი და ასე უპასუხებს მას: „ეს ფასეულობები გამომდინარეობენ განმანათლებლობისა და საფრანგეთის რევოლუციის იდეალებიდან (არა პრაქტიკიდან). ესენია: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, დემოკრატია, თვითგამორკვევა, თანაბარი შანსები ყველასათვის, ხელისუფლების დანაწილება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ადამიანის უფლებები, პრესის თავისუფლება. როგორც არ უნდა გასტეხოდა სახელი ამ იდეალებს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, მაინც ისინი შეადგენენ ევროპული აზროვნების ფასეულობათა კარკასს და საბოლოო ანგარიშით ევროპელად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, ვინც ამ ცნებებთან შინაგან კავშირს გრძნობს“. ალბათ შეამჩნევდით: ეს ის იდეალებია, რომელთა ერთგულება აუცილებელია ქვეყნისათვის, რომ იგი ევროგაერთიანების (ევროკავშირის) წევრად მიიღონ. მაგრამ ყველა ეს პირობა რომ შეასრულოს, ვთქვათ, ინდოეთმა, სრულიად ცხადია, რომ იგი მაინც ვერ გადაიქცევა ევროპად.

და, აი, ახლა ასეთ საკითხს მივადექით: მსოფლიო გაყოფილია ორ კულტურულ სივრცედ - დასავლურ და აღმოსავლურ კულტურულ სივრცეებად. დასავლური და აღმოსავლური კულტურები ურთიერთდაპირისპირებულნი არიან, მათ შორის არსებობს წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა ანტაგონისტურია (შეურიგებელია). მაგრამ ანტაგონისტურია რიგითი ადამიანების დონეზე. კაცობრიობის დიდი მოაზროვნეების, დიდ შემოქმედთა, დიდ ჰუმანისტთა დონეზე ამ წინაღმდეგობას ანტაგონისტური ხასიათი არა აქვს. დიდ ჰუმანისტებს, რიგითი ადამიანებისაგან განსხვავებით, არათუ აღიზიანებთ მშობლიურისაგან ტიპოლოგიურად გასხვავებული კულტურული ფაქტების

არსებობა, არამედ დიდი ინტერესითა და გატაცებით სწავლობენ მათ, რაც მათთვის ახალი შემოქმედებითი იმპულსების წყარო ხდება. ევროპელთაგან ამგვარი შემოქმედისა და მოაზროვნის ნიმუშად შეიძლება იოჰან ვოლფგანგ გოეთე დავასახელოთ, ხოლო აღმოსავლელთაგან XIII საუკუნის დიდი სირიელი სწავლული და მწერალი, ქრისტეს სჯულის აღმსარებელი, გრიგოლ-იოანე აბუ ლ-ფარაჯ ბარ ჰებრაია. მაგრამ გოეთეს იმედი - „აღმოსავლეთი და დასავლეთი აღარასოდეს არ გაიყოფაო“ - ამ დიდი ჰუმანისტის კეთილ სურვილად დარჩა.

ვიმეორებ: დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის წინააღმდეგობა დღემდე ძალიან მწვავეა, ანტაგონისტურია. ვგონებ, ერთადერთი ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის დაპირისპირებულობა თვით რიგითი ადამიანების დონეზეც კი არ არის ანტაგონისტური, საქართველოა.

თბილისი დღეს ევროპული სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთი ცენტრია, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ქართველი გულგრილია აღმოსავლური ჰანგების მიმართ, ხოლო ორიგინალური ქართული ხალხური მუსიკა სრულიად განსაკუთრებული ფენომენია.

თბილისი არქიტექტურული ნოველების, არქიტექტურული მოულოდნელობების ქალაქია. თავისუფლების მოედანს ცოტას გასცდებით და გოთიკა შემოგეფეთებათ. მახსოვს გერმანელი პოეტის, მარტინ ბუხჰორნის, გაოცებული წამოძახილი, როცა საქართველოს მწერალთა კავშირის შენობის (მაჩაბლის 13) ინტერიერს მოავლო თვალი: „იუგენდშტილ!“. თბილისი ის ქალაქია, სადაც ერთმანეთის ახლომახლო „მშვიდობიანად“ თანაარსებობენ ვენეციური სტილით ნაგები რუსთაველის თეატრი და ფსევდომავრიტანული სტილის ოპერისა და ბალეტის შენობა. არაფერი აქვთ ერთმანეთთან სადავო არც აღმოსავლური მანერით ნაგებ ქალაქის მერიის შენობასა და იქვე წამომართულ „ქორთიარდ მარიოტის“ შთამბეჭდავ თანამედროვე ევროპულ ნაგებობას. რაც შეეხება რელიეფთან არაჩვეულებრივად შეხამებულ ძველ უბნებს მტკვრის გაღმა-გამოღმა, ესენი თბილისს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, განუმეორებელ იერსახეს უქმნიან.

ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ევროპელობისა თუ აზიელობის დასადგენად შეიძლება გამოდგეს ქალის ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში. 1905 წლის ამბოხების დროს გურიაში მოუწია ყოფნა ერთ ძალიან დაკვირვებულ და ჭკვიან უცხოელს, ედუარდ იუონს, რომელმაც შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები სოლიდურ გერმანულ ჟურნალ „ვესტერმანს მონატსჰეფტეში“ გამოაქვეყნა 1907 წელს სათაურით „ერთი წელი ამბოხებულ გურიაში“.

ერთ-ერთი მისი დაკვირვებათაგანი ასეთია:

„ოჯახში ქალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, თავის ოთხ კედელს შორის იგი სრული მბრძანებელია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც არაფრით დგას მამაკაცზე უკან - თვით კონსერვატიულ წრეებშიც კი, რომლებიც ახალ სოციალურ იდეებს არ თანაუგრძნობენ. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ეს ხალხი მუდამ მაჰმადიანებით გარშემორტყმული ცხოვრობდა და ახლაც მათი უშუალო მეზობელიაო“.

საინტერესოა მისი ეს დაკვირვებაც:

„უცნაურია, რომ მხოლოდ მამაკაცები იცვამენ მთლიანად ეროვნულ ყაიდაზე, ხოლო ქალები, თითქმის უკლებლივ, ევროპულ ტანსაცმელს ამჯობინებენ; თვით კოხტა, მოქარგული ქუდიც კი მთლიანად განდევნა მოდურმა შლაპამ“.

ქალის აქტიური როლი ოჯახსა და საზოგადოებაში ის მიჯნა იყო, რომელიც ზღვარს უდებდა ჩვენს ინტეგრაციას აღმოსავლეთთან.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები: „დევიზი: უკან, აზიისაკენ, წინ წასასვლელად“. ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ამას წერს ევროპულად განათლებული ადამიანი, მაგრამ ევროპულად განათლებული რომ არის, სწორედ იმიტომ წერს ასე. ამ პარადოქსში რომ გავერკვეთ, გავიხსენოთ, რომ ვ. კოტეტიშვილის ეს წერილი 1920 წელს გამოქვეყნდა. ახალი დამთავრებულია პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ევროპა გააჩანაგა. იმედგაცრუებული ევროპელი ინტელექტუალები ხსნას აღმოსავლურ კულტურებში ეძებენ. აღმოსავლეთი მაშინდელი ევროპიდან ერთობ მიმზიდველი ჩანდა. 1918 წელს წერს აღმოსავლეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ჰერმან ჰესე ზღაპარს სათაურით „ევროპელი“, რომელშიც მან დაღუპვა უქადა ევროპულ კულტურას და პირდაპირ განაცხადა, მომავალი აღმოსავლეთისაო. ვიმეორებ: აღმოსავლეთის კულტურული მისიის გადაჭარბებული შეფასება, აღმოსავლეთის გაიდეალება დასავლეთის დაკნინების ხარჯზე, იმდროინდელ მოაზროვნეთა შორის მაშინდელი ევროპული სინამდვილით იმედგაცრუებამ გამოიწვია. ნამდვილად კი აღმოსავლეთი სულაც არ იყო ესოდენ იდილიური. აღმოსავლეთი როდია მარტო „ათას ერთი ღამე“, დიდებული სპარსული, ჩინური და იაპონური პოეზია, არაჩვეულებრივი ინდური არქიტექტურა ან, თუნდაც, იმავე ჰერმან ჰესესაგან ხოტბაშესხმული აღმოსავლური „ღვთაებრივი უსაქმურობა“, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს თავიანთ თავშიც ჩაღრმავდნენ და დედაბუნებასაც შეერწყან, განიცადონ მედიტაციით მოგვრილი ნეტარება. აღმოსავლეთი, ამავე დროს, არის - შაჰსე-ვაჰსეი, ხარაკირი, კამიკაძე... მოკლედ, აღმოსავლეთი არის აღმოსავლური ფანატიზმიც. ამ ფანატიზმმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა და გონიერების ყველა საზღვარი გადალახა. სულ სხვაგვარი გახდა ჰერმან ჰესეს საყვარელი ჩინეთი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ნეტა რას იტყოდა დღეს დიდი მწერალი იმის შემხედვარე, რაც ხდება ირანში, ავღანეთში... ხოლო ხდება კი ის, რომ ადამიანს მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის, თუ იგი სასულიერო წრეებმა მკრეხელობად მიიჩნიეს, შეიძლება ოფიციალური ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გამოუტანონ სასიკვდილო განაჩენი (სალმან რუშდი) ან სასტიკად დაისაჯოს ვინმე ევროპელი კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოების არა მარტო შესრულებისათვის, არამედ მოსმენისთვისაც...

მეორე მხრივ, არც ევროპაა მხოლოდ პრესის თავისუფლება, პიროვნების უფლებების დაცვა და მატერიალური კეთილდღეობის მაღალი დონე; ევროპა არის „ჰომო ფაბერიც“, სულიერებისაგან დაცლილი ადამიანი-მანქანა, რომელსაც სერიულად აწარმოებს დასავლური რაციონალიზმი და ტექნიციზმი.

ჩვენი დასკვნა ასეთი იქნება:

ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და ალბათ არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული ან წმინდად აზიური. ჩვენთვის არ არის უცხო ევროპული იდეალები, მაგრამ უცხოა ევროპული რაციონალიზმი და ტექნიციზმი. ჩვენთვის არ არის უცხო აღმოსავლური კულტურული ფასეულობანი, მაგრამ უცხოა აღმოსავლური მისტიციზმი და ფანატიზმი. ამ უკიდურესობათაგან თავისუფალი ქართული სული დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტაციებს შორის მანევრირების კარგ უნარს ამჟღავნებს და, ვინ იცის, იქნებ იგი მართლაც გამოდგეს ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად.

სხვათა შორის, ამ აზრის არის იტალიელი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტო, რომელიც 1982 წელს ვენეციაში გამოცემულ კრებულში „ავანგარდიზმი თბილისში“ წერს: თანამედროვე ევროპული გადასახედიდან საქართველო მოიაზრება როგორც „ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“.

P.S.

არ დაფიქრებულხართ, რამ შეიძლება მოხიბლოს ლამის ყოვლისმნახველი მდიდარი უცხოელი საქართველოში? არადა, უეჭველია რაღაც ხიბლავთ ისეთი, რასაც, ეტყობა, სხვაგან ვერ პოულობენ.

1974 წელს საბჭოთა კავშირს ერთი კვირით ეწვია ამერიკელი სენატორი ედუარდ კენედი. მან სამი ქალაქი მოინახულა: ჯერ, თავისთავად ცხადია, მოსკოვი, შემდეგ დიდებული პეტერბურგი (ლენინგრადი) და ბოლოს თბილისი. სამშობლოში გამგზავრების წინ სენატორმა პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. მოსკოვის ფრანგულენოვანმა გაზეთმა „ლე ნუველ დე მოსკუმ“ (4 მაისი, #18) პრესკონფერენციის ანგარიში გამოაქვეყნა. ამ ანგარიშის ერთ ქვეთავს ასეთი სათაური აქვს: „მხოლოდ ერთი შეკითხვა დარჩა პასუხგაუცემელი“.

ეს „პასუხგაუცემელი“ შეკითხვა (რატომ ჩავსვი სიტყვა „პასუხგაუცემელი“ ბრჭყალებში, თვითონ მიხვდებით) ქართულად ასე ჟღერს: „რომელი რეგიონი მოგეწონათ ჩვენში ყველაზე მეტად?“ კენედიმ გაიღიმა და თქვა: „მე კარგა ხანია პოლიტიკის სფეროში ვმოღვაწეობ და ვიცი, რომ ამგვარ შეკითხვებს პასუხი არ უნდა გავცე. ყველა ძალიან მომეწონა. მოგზაურობა ზღაპრული იყო, როგორც საქართველოში, ასევე სხვაგანაც“.

გაზ. „ახალი საქართველო“, 21-27. 05. 1998.

V თავი

განხილული საკითხები:

1. აბზაცი;
2. აბზაცის სახეები.

ესე, როგორც აღინიშნა, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: **შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა**. თითოეული ეს ნაწილი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანობა, რომელსაც აქვს თავისი შინაგანი სტრუქტურა და ემსახურება კონკრეტული იდეის განვითარებას. თუმცა სამივე მათგანი ერთად ქმნის უფრო მოცულობით მთლიანობას. თითოეული ნაწილი შეიძლება შეიცავდეს ან ავითარებდეს ერთ ან რამდენიმე ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ იდეას, რომლებიც შეიძლება გადმოიცეს ერთი ან რამდენიმე აბზაცით. ერთი იდეის განვითარებისთვის გამოყენებულ წინადადებათა ერთობლიობა ქმნის აბზაცს.

1. აბზაცი

აბზაცი რამდენიმე წინადადების ერთობლიობაა. ქართულ ენაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, აბზაცი იწყება ახალ ხაზზე მარცხენა არიდან მცირეოდენი დაშორებით.

აბზაცში წინადადებებს ერთი აზრი და თემა აკავშირებთ. მათ შორის აზრობრივი, ლოგიკური ურთიერთმიმართებაა. პირველ წინადადებას შეიძლება ხსნიდეს მომდევნო წინადადებით გადმოცემული აზრი, ხოლო მესამე წინადადებით კი დასაბუთებული იყოს მეორე წინადადება. საბოლოოდ კი სათქმელი აუცილებლად უნდა შეჯამდეს.

შესაბამისად, აბზაცში გამოიყოფა შემდეგი სახის წინადადადებები:

- **მთავარი წინადადება;**
- **ამხსნელი წინადადება;**
- **შემაჯამებელი წინადადება.**

მთავარი წინადადება გადმოსცემს აბზაცის ძირითად აზრს. ამავე დროს, ავტორი ამ წინადადებით აკონკრეტებს და შემოსაზღვრავს თავის სათქმელს, რათა არ დაირღვეს აზრის ლოგიკური მდინარება. სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მთავარი წინადადება ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია აბზაცისა. ის ნათლად

მიგვითითებს, თუ რაზე იქნება საუბარი აბზაცში, ამდენად, ერთგვარი შუალედური რგოლია ავტორსა და მკითხველს შორის და ეხმარება პირველს, რომ მკაფიოდ გადმოსცეს, თუ რის შესახებ აპირებს საუბარს, ხოლო მკითხველს კი განაწყობს იმისათვის, რომ ადეკვატურად და სწორად აღიქვას მოწოდებული ინფორმაცია და წინასწარ შეემზადოს ინფორმაციის მისაღებად. იმისათვის, რომ ეფექტური იყოს მთავარი წინადადება, ავტორი უნდა ეცადოს:

- წინადადება იყოს მარტივი;

- წინადადება იყოს ნათელი;

- წინადადება არ იყოს გადატვირთული ზედმეტი ტერმინოლოგიით, რთული კონსტრუქციებით, აბრევიატურით.

ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ენობრივი და სტილისტური საშუალება:

- კითხვის დასმა (რატომ უნდა მომხდარიყო ასე?);

- დიალოგური ფორმა მკითხველთან (მაგ.: შევეცადოთ გამოვკვეთოთ ამ პრობლემის ძირითადი არსი; დავსვათ შემდეგი საკითხი);

- ცნობილი გამონათქვამი, ან საზოგადოდ მიღებული ჭეშმარიტება (რიტორიკაში წერია, ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმა (ილია)).

ამხსნელი წინადადება ხსნის, აკონკრეტებს, განმარტავს, ავითარებს მთავარ წინადადებაში დასმულ იდეას. ის ხსნის ან იძლევა დამატებით ინფორმაციას მთავარ წინადადებაში გამოთქმული აზრის შესახებ. დამწყებ ავტორებს ხშირად უჭირთ ადეკვატურად განავითარონ მთავარი წინადადება ამხსნელი წინადადების საშუალებით. ამხსნელი წინადადების შექმნის რამდენიმე საშუალება არსებობს:

- მაგალითებისა და ფაქტების მოყვანა;

- სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;

- ციტირება.

მაგალითისა და ფაქტის მოყვანა ყველაზე მარტივი საშუალებაა, რადგან ის შეიძლება აღებული იყოს თქვენი პირადი გამოცდილებიდან ან უკვე მიღებული ინფორმაციიდან. ასეთი მასალისა და ნიმუშების მოყვანა უფრო სახალისოსა და

საინტერესოს გახდის თქვენს ნაშრომს და მკითხველსაც ადვილად დაამახსოვრდება მიწოდებული ინფორმაცია.

შემაჯამებელ წინადადებას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

I. იგი მიგვანიშნებს, რომ აბზაცი მთავრდება;

II. იგი კიდევ ერთხელ გამოკვეთს აბზაცის მთავარ სათქმელს;

ეს მიიღწევა სამი გზით:

• აბზაცში გამოთქმული ძირითადი მოსაზრების შეჯამებით;

• მთავარი წინადადების აზრის სხვაგვარად გადმოცემით;

• შესაძლებელია ორივე ეს ხერხი ერთდროულად გამოვიყენოთ.

შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ენობრივი საშუალებებით:

ერთი სიტყვით, ამგვარად, ამრიგად, მაშასადამე, დასასრულ, როგორც ვთქვით, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთქმულის მიხედვით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვიმეორებთ, ასე რომ, უფრო მეტიც, მით უმეტეს, მოკლედ, ამასთანავე, სხვათა შორის, თუ ჩვენს მსჯელობას გავიაზიარებთ / შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ... თუკი ჩვენი არგუმენტები გასაზიარებელია, მაშინ..., ეს ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ...

ჩვენ ვიმსჯელეთ სამი ძირითადი სახის წინადადებაზე აბზაცში, მაგრამ, ბუნებრივია, იგი არ მოიცავს მხოლოდ სამ წინადადებას. აზრი უნდა განვითარდეს იმის მიხედვით, თუ როგორ სურს ავტორს წარმოაჩინოს დასმულ საკითხი ისე, რომ არ შეიზღუდოს აზრთა ლოგიკური მდინარება და არც დაშორდეს მიზანს. ამდენად, აბზაცი რამდენიმე (შესაძლებელია ათზე მეტ) წინადადებასაც მოიცავდეს, მაგრამ ავტორის წინაშე დგას ამოცანა, ეს წინადადებები ისე წარმოადგინოს, რომ აბზაცის აგების ძირითადი სტრუქტურა არ დაირღვეს, ანუ მასში გამოკვეთოს **ძირითადი აზრის შემცველი წინადადებები, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები.** ამასთანავე, ყოველი წინადადება ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს წინა წინადადებას და იყოს მომდევნო წინადადების ამოსავალი.

ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:

ოქრო

(მთავარი წინადადება) ოქრო ძვირფასი ლითონია, რომელიც ფასდება ორი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით: **(ამხსნელი წინადადებები)** პირველ ყოვლისა, ოქრო მდგრადია კოროზიის მიმართ და ამიტომაც მუდმივი ბრწყინვალება ახასიათებს. ამავდროულად, ის გამოიყენება საიუველერიო საქმიანობაში, მონეტების მოსაჭრელად და მოსავარაყებლად. ოქროს შემადგენლობა არ იცვლება და მუდმივად მშვენიერია. მაგალითად, მაკედონელის დროინდელი მონეტები დღესაც არ კარგავს ბზინვარებას და ზუსტად ისევე გამოიყურება, როგორც ოცდახუთი საუკუნის წინ. ამ მეტალის შემდეგი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ იგი გამოიყენება ინდუსტრიასა და მეცნიერებაში. დიდი ხნის განმავლობაში ოქრო გამოიყენებოდა ფოტოგრაფიასა და სტომატოლოგიაში, ამჟამად კი კოსმონავტების აღჭურვილობასა და სკაფანდრებში. სწორედ ასეთი სამოსი იცავთ მათ, როდესაც ისინი გადიან ღია კოსმოსში. **(შემაჯამებელი წინადადება)** დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოქრო ფასეულია არა მარტო მისი მშვენიერების, არამედ პრაქტიკული დანიშნულების გამო.

აბზაცში წინადადებათა გადაბმის რამდენიმე ხერხი არსებობს**: პარალელური გადაბმა, ჯაჭვური გადაბმა, და გადაბმის ნარევი სახე.**

პარალელური გადაბმა ისეთ წინადადებათა კავშირია, რომელიც გულის-ხმობს სხვადასხვა, მაგრამ თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების კავშირს. პარალელური გადაბმისთვის დამახასიათებელია სიტყვათა ერთნაირი რიგი, წინადადების წევრები გადმოცემულია ერთი და იმავე გრამატიკული ფორმებით, ან მეორდება წინადადების პირველი სიტყვა. ზოგჯერ წინადადებებს აერთებს რომელიმე წევრი და ეს წევრი ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულითაა გადმოცემული. პარალელური გადაბმა ხშირად გამოიყენება აღწერაში, საჯარო გამოსვლისას და პუბლიცისტური ან ექსპრესიული სტილით შექმნილ ტექსტებში.

✍ ნიმუში:

"ხშირია შემთხვევა, როცა ვწერთ თავისუფლებაზე, მაგრამ ვერ ვქმნით თავისუფლების ლეგენდას, ვწერთ სიყვარულზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიყვარულის ლეგენდას, ვწერთ სიძულვილზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიძულვილის ლეგენდას, ვწერთ მზაკვრობაზე, მაგრამ ვერ ვქმნით მზაკვრობის ლეგენდას, ვწერთ დანაშაულზე, მაგრამ ვერ ვქმნით დანაშაულის ლეგენდას... ერთი სიტყვით, ვყვებით ამბავს და მეტი არაფერი." (ა. ბაქრაძე)

აბზაცში წინადადებათა გადაბმის მეორე ხერხია **ჯაჭვური გადაბმა**. ჯაჭვური გადაბმისას აბზაცის ყოველი მომდევნო წინადადება უნდა ხსნიდეს ან ავითარებდეს წინამავალ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ჯაჭვური გადაბმა თითქმის ყველა სტილში გამოიყენება, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია **სამეცნიერო სტილში**, რაც იმით აიხსნება, რომ იგი ყველაზე უკეთ ასახავს აზროვნების თანმიმდევრულობას, მოიცავს მყარ და ლოგიკურ მსჯელობას. აზრი ამ შემთხვევაში გადმოიცემა სწორხაზოვნად, მიზეზ-შედეგობრივად, ყოველი მომდევნო წინადადება ხსნის წინამავალს. ყოველივე ეს კი ავტორისეულ იდეას გასაგებს და ნათელს ხდის. აბზაცში ჯაჭვური გადაბმისას ავტორის დამოკიდებულება ამგვარი მიმდევრობით გადმოიცემა: **მთავარი წინადადება (აზრი), ამხსნელი წინადადება (მაგალითი, განმარტება, მიზეზის გამოკვეთა, დეტალური ანალიზი), შემაჯამებელი წინადადება (დასკვნა, შედეგი, შენიშვნა)**.

❖ **შენიშვნა:**

შესაძლებელია, ამხსნელ წინადადებაში წარმოდგენილი იყოს ჩამოთ-ვლილთაგან მხოლოდ ერთი, რამდენიმე ან ყველა სახის წინადადება.

გადაბმის ნარევი სახე წინადადებების იმგვარი კავშირია, როცა პარალელური და ჯაჭვური გადაბმის ხერხები აბზაცში ერთმანეთს ენაცვლება. გადაბმის ნარევი სახე შედარებით იშვიათად გამოიყენება, რადგან სტილურ არაერთგვაროვნებას იწვევს, თუმცა შესაძლებელია, გარკვეული მიზნის მისაღწევად მაინც გამოიყენოს ავტორმა.

ნიმუში:

დააკვირდით, როგორ ავითარებს მოსაზრებას ავტორი მოცემულ აბზაცში:

სიტყვისა და საქმის შეთავსება-შეუთავსებლობა ურთულესი და მარადიული პრობლემაა (**აზრი**). მეტად იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელიც იმას აკეთებდეს, რასაც ამბობს. (**მაგალითი**). ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ადამიანები თვალთმაქცობენ (რა თქმა უნდა, ასეთიც უამრავია, მათ რა გამოლევს), არამედ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ მათი გაერთიანება (**განმარტება**). ერთიანობას ბევრი რამ უშლის ხელს – სუბიექტურიც და ობიექტურიც (**მიზეზის გამოკვეთა**). ჯერ ერთი, თქმა ადვილია, ქმნა კი – უძნელესი. მეორეც, თქმა ყოველთვის პიროვნებაზეა დამოკიდებული, ქმნა კი – პიროვნებაზეც და საზოგადოებაზეც. ქმნისთვის აუცილებელია საზოგადოების მიმხრობა. ამისთვის კი საზოგადოება ყოველთვის მზად არ არის (**დეტალური ანალიზი**), საზოგადოების მომზადება და მიმხრობა თვით არის ურთულესი პრობლემა. ასეთ გარემოებაში სიტყვისა და საქმის ერთიანობისთვის მებრძოლი, უხშირეს შემთხვევაში, მსხვერპლია (**დასკვნა**). ამიტომ, ვისაც სურს სიტყვა და საქმე ერთიანი ჰქონდეს, უნდა შეეძლოს თავის ზვარაკად გაღება. ეს აუცილებელი პირობაა. უამისოდ სიტყვა და საქმე ყოველთვის გათიშულია (**შედეგი**). თუ ასეა, გიორგის პიროვნება უკვე მსხვერპლია. ასე იქნება თუ ისე, იგი მაინც დაიღუპება (**შენიშვნა**). (ა. ბაქრაძე)

---

2. აბზაცის სახეები

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ აბზაცის სტრუქტურა, გავარკვიოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – აბზაცის ფუნქცია. პარაგრაფი შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე აბზაცს, რომელთა შორის არსებობს გარკვეული მიმართება. წინასწარი დაგეგვმისა და გააზრების გარეშე მათ დაკავშირებას სათქმელის გაბუნდოვანებამდე მივყავართ.

თავისი დანიშნულების მიხედვით, აბზაცის ორი ძირითადი სახეობა შეიძლება გამოიყოს: **დამოუკიდებელი აბზაცი**, რომელიც გადმოსცემს ძირითად ინფორმაციას (ფაქტობრივს ან კონცეპტუალურს) და **დამხმარე აბზაცი,** რომელიც აერთებს ტექსტის ამა თუ იმ ფრაგმენტს. დამხმარე აბზაცი, თავის მხრივ, ორი სახისაა: **ერთმიმართულებიანი**, რომელიც აჯამებს, აერთებს ტექსტის ამა თუ იმ ფრაგმენტს და **ორმიმართულებიანი**, რომელიც აჯამებს და აერთებს ტექსტის მოცემული ფრაგმენტის შინაარსს და, ამავე დროს, არის ერთგვარი გადასვლა ახალ თემაზე.

დამხმარე აბზაცი ხშირად წარმოდგენილია ერთი წინადადებით. დამოუკიდებელი აბზაცი კი ლოგიკურად ავითარებს აზრს და ამდენად უფრო ვრცელიცაა. თუმცა იშვიათად ისიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი

წინადადებით, თუ ავტორს სურს, რომ ხაზგასმით გამოკვეთოს თავისი სათქმელი.

თუ ტექსტის მონაკვეთი დამხმარე აბზაცის როლს არ ასრულებს, მაშინ იგი დამოუკიდებელ აბზაცად ჩაითვლება.

✍ ნიმუში:

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი:

დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა ბ ზ ა ც ი

ჩემი აზრით, ისტორიულ თემას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მასალას, ორ შემთხვევაში მიმართავს მწერალი (**მთავარი აზრი**). პირველი მაშინ, როცა სურს ესა თუ ის ისტორიული სული გადმოსცეს, ხოლო მეორედ მაშინ, როცა ისტორიული მასალა გამოადგება იმისათვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოთქვას აზრი (**განმარტება**). თუ კონკრეტული ნიმუშების დასახელებაა საჭირო, შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“, „რაინდები“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ (**მაგალითი**). მართალია, ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის შენიშნავს, რომ მის მოთხრობებში „არაისტორიული ამბავია“ აღწერილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს გადმოსცეს საქართველოს ისტორიის სული. „დიდოსტატის მარჯვენა“ კი ძირითადად ალეგორიული რომანია. ამის საბუთად თავად კ. გამსახურდიას ნათქვამიც კმარა: ამ რომანით ჩემი პოეტური მრწამსი გადმოვეციო (**დეტალური ანალიზი**).

დ ა მ ხ მ ა რ ე ა ბ ზ ა ც ი

ამ წერილში ნიკო ლორთქიფანიძის ზემოხსენებულ სამ მოთხრობაზე იქნება საუბარი. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათ შევეხებოდეთ, ჯერ ყურადღება მოვაპყროთ რამდენიმე კონცეფციას, გატარებულს „ქართლის ცხოვრებაში“, ხოლო მერე კი ვნახოთ, რა გადაიტანა მატიანიდან თავის მოთხრობებში მწერალმა (ა. ბაქრაძე).

დამხმარე აბზაცში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ენობრივი საშუალება:

მართლაც; ამის მიუხედავად; ზემოთქმულის გათვალისწინებით; ერთი თვალსაზრისით; აქვე ისიც უნდა ითქვას; მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს;

ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზე, რომ..;, დავაკვირდეთ; განვიხილოთ; თუ ეს ასეა, მაშინ...

ჩვენ განვიხილეთ აბზაცისა და პარაგრაფის აგების ზოგადი სტრუქტურა და მისი ძირითადი ფუნქციები, თუმცა ბევრი რამ ავტორის მიზანსა და გემოვნებაზეა დამოკიდებული. ყველა ავტორი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ამ პრინციპებს, მაგრამ ინდივიდუალური მიდგომა ზოგჯერ განმსაზღვრელი ხდება ტექსტის აგებისას.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ მოცემული ტექსტებიდან გამოყავით მთავარი, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები:

II. ადამიანის უფლებები და პრესა

როგორც ვიცით, ტერმინი „ადამიანის უფლებები“ აერთიანებს იმ უფლებებს, რომელთა გარეშე ადამიანს არ შეუძლია სრული განვითარება და თავისი ინდივიდუალური თვისებების, ინტელექტის, ტალანტის გამოვლენა. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პუბლიცისტიკას, ხოლო ქართული პუბლიცისტიკის შესახებ შთაბეჭდილების შექმნა შეუძლებელია პრესის მასალების განხილვის გარეშე. პუბლიცისტური ნაწარმოები განიხილავს საზოგადოების მიმდინარე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს და მოვლენებს, შეიცავს დიდძალ ფაქტობრივ მასალას და შეფასებებს ავტორის სოციალური პოზიციის შესაბამისად. ბეჭდვის გამოგონებამ პუბლიცისტიკა გახადა მრისხანე იარაღად მმართველი ფენების წინააღმდეგ ბრძოლასა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ის აძლევს პიროვნებას საშუალებას, გამოხატოს თავისი პოზიცია (თუნდაც ოფიციოზისათვის არასასურველი). ამდენად, პრესა მძლავრი იარაღია მისთვის, ვინც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობს.

III. როგორ შევხვდეთ გარდატეხის ასაკის სირთულეებს?

ნებისმიერი ოჯახის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც შვილები იცვლებიან, ხდებიან უფრო ჯიუტები, ვიდრე გუშინ იყვნენ, უფრო უხეშები, უფრო მომთხოვნები. იწყებენ საუბარს ისეთ თემებზე, რომლებზეც მანამდე არასოდეს უფიქრიათ და ახლაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ - ეს ჩემი უფლებაა, მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და მაქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება... თქვენს შვილს გარდატეხის ასაკი აქვს. ნებისმიერმა მოზრდილმა ადამიანმა იცის, რომ გარდატეხის ასაკს ახლავს სირთულეები და ამ სირთულეებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ მომზადებულები უნდა შევხვდეთ. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩვენი და ჩვენი შვილის ცხოვრება დაემსგავსება „ბრძოლას წესების გარეშე", ოღონდ ისეთს, სადაც გამარჯვებული არ არსებობს. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ასაკში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქო–სოციალური ცვლილებები იწვევს მოზარდის ხასიათის უარესობისკენ ცვალებადობას და ეს არაა მისი კაპრიზი. პირველ ყოვლისა, ოჯახური გარემო უნდა იყოს სოლიდარული და კომფორტული. თუმცა მოზარდი უნდა გრძნობდეს, რომ მისი ნებისმიერი კაპრიზის ასრულება არ შეიძლება. ეს მას ლოგიკურად უნდა დავუსაბუთოთ. თუ მომზადებულები შევხვდებით ამ პრობლემებს და ბავშვის ინტერესებსაც გავითვალისწინებთ, თავიდან ავიცილებთ ბევრ უსიამოვნებას.

▣ მოცემული ტექსტებიდან გამოყავით მთავარი, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები:

I. სტუდენტების წვლილზე ბოლონიის პროცესის განხორციელებაში საუბარია სტუდენტების გიოტებორგის დეკლარაციაში და მასში დასმულ პრინციპებს ემყარება საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ორივე დოკუმენტის თანახმად, სტუდენტობა, როგორც კომპეტენტური, აქტიური და კონსტრუქციული პარტნიორი, ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს განათლების სფეროში ცვლილებების შესატანად. ბოლონიის პროცესში სტუდენტების ჩართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტუდენტების მუდმივი და ფორმალიზებული მონაწილეობისა ყველა იმ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სადისკუსიო ფორუმებში, რომლებიც შეეხება ევროპაში უმაღლეს განათლებას.

II. ქართველებს, სხვებთან შედარებით, საერთოდ გვიყვარს ჭირის გამხელა, თანაგრძნობის აღძვრა, ზოგჯერ გაზვიადებაც საკუთარი ტკივილისა. ჩვენს დიდ

პოეტებსაც არ ეთაკილებოდათ საკუთარ სატკივარზე გოდება, მათ შორის გვირგვინოსნებსაც. ეს შეიძლებოდა უბრალოდ აგვეხსნა: გულჩვილობით, ზედმეტი ექსპანსიურობით. მაგრამ მთავარი ფსიქოლოგიური მიზეზი ტკივილის გამხელის მოთხოვნილებისა, ჩემი აზრით, სხვა უნდა იყოს. ეს სიტყვა უკვე წამომცდა: „თანაგრძნობა“.

გურამ ასათიანი, სათავეებთან

III. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი უცნობი იქნებოდა, თვითონ ნაწარმოებში რომ არ ყოფილიყო ამის შესახებ ზუსტი ცნობა. თხზულებაში ერთხელ, მაგრამ გარკვევით აღნიშნულია, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერელი (ე. ი. დამწერი) არის გიორგი მერჩულე, რომელსაც დახმარებიან ხანძთის მონასტრის წინამძღვარი თევდორე და მისი ძმა იოვანე. ცხადია, ძნელია ზუსტად იმის დადგენა, კონკრეტულად როგორ და რაში დაეხმარნენ მერჩულეს თევდორე წინამღვარი და იოვანე, მაგრამ უდავოა, რომ „ცხოვრების“ აღმწერელი, ანუ ავტორი, არის მხოლოდ გიორგი მერჩულე.

▣ მთავარი წინადადების მიხედვით შექმენით ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები:

I. უბრალო ხალხს არ შეუძლია დაეხმაროს უპოვარ და დაჩაგრულ ადამიანებს.

II. დასავლური კულტურისათვის ბუნებრივია, რომ ხანშიშესული ადამიანები მოხუცთა თავშესაფარს მიაბარონ, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც წესი, ხანდაზმულებს ოჯახები პატრონობენ.

III. საუკუნეებს ნაზიარები ქართული ხალხური სამუსიკო კულტურა განცვიფრებას იწვევს არა მარტო უაღრესად ღრმა და რთული აზროვნებით, არამედ ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ორიგინალური და განუმეორებელი ჟღერადობით, პოლიფონიური ჰანგებით.

IV. ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და მისი განვითარება ხშირად, ერთი შეხედვით, აუხსნელ კანონებს ექვემდებარება. ყველა ქალაქს აქვს თავისი სახე, სტრუქტურა, რომელიც წლების ან საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ასეთი სახე აქვს თბილისსაც, სახე, რომლის შექმნაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა რელიგიური, სოციალური ყოფა, სამყაროსადმი ქართველების დამოკიდებულება, ეთნოკულტურული თავისებურებანი.

V. საქართველო, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ადამიანს შესაძლოა ხუმრობისა და ცეკვა-თამაშის განწყობა შერჩეს.

VI. გლობალიზაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალური და მტკივნეულია პატარა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

VII. მობილური ტელეფონის ისტორია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იწყება. პირველი აპარატი 1,5 კილოგრამს იწონიდა და მხოლოდ რამდენიმე ასეულ ადამიანს მიუწვდებოდა მასზე ხელი. ამჟამად ძნელად წარმოგვიდგენია ჩვენი ცხოვრება მობილური ტელეფონის გარეშე. ის უკვე ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

▣ ამხსნელი წინადადებების მიხედვით შექმენით მთავარი და შემაჯამებელი წინადადებები

I. საკუთარი ავტომობილებით მგზავრობაზე დიდი ქალაქის მოსახლეობა ხშირად გზებზე წარმოქმნილი საცობების გამო ამბობს უარს. მეტროთი მგზავრობა გაცილებით იაფიც არის და უფრო სწრაფადაც მიდიხარ დანიშნულების ადგილას.

II. სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პედაგოგები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ტელესერიალები მოზარდებს უქვეითებს არა მხოლოდ სწავლის ინტერესს, არამედ საკუთარ თვითშეფასებასაც. ისინი იწყებენ სხვა ადამიანების ცხოვრებით ცხოვრებას და აღარ ცდილობენ თავიანთი ინდივიდუალობის განვითარებას, მოვლენებსა და ფაქტებს აფასებენ სერიალებში დამკვიდრებული სტერეოტიპების მიხედვით.

III. ტყე შემოსავლების ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვის არა მარტო გათბობის, ლუკმაპურის შოვნის საშუალებაც გახდა, რამაც გაზარდა დაწოლა ქვეყნის ამ უნიკალურ რესურსზე, შედეგად კი გამოიკვეთა ტყეების განადგურების ტენდენცია.

IV. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია, ერთი მხრივ, მატერიალური სახსრების მოძიება, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინება.

V. ნარკომანია საწყის ეტაპზე არის მავნე ჩვევა, რომელიც დროულად თუ არ აღმოიფხვრა, იქცევა მძიმე დაავადებად. თუმცა, მიუხედავად მთელი სიმძიმისა, ამ პრობლემის გამოსწორება შესაძლებელია, თუ იქნება სათანადო ხელისშემწყობი ფაქტორები და პირობები.

ჯგუფური სამუშაო:

დაიყავით ჯგუფებად, წაიკითხეთ ესე, იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- როგორ აგებს ესეს ავტორი? გამოყავით შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.
- როგორ ავითარებს ავტორი მსჯელობას აბზაცებში? თითოეულ აბზაცში გამოყავით მთავარი, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები.
- იყენებს თუ არა ავტორი გარდამავალ აბზაცებს?
- გამოყავით ტექსტში გამოყენებული აბზაცების აგების ენობრივი საშუალებები.
- რომელ აბზაცში გხვდებათ ჯაჭვური და პარალელური გადაბმის ხერხები?
- გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ესეში მოცემული მსჯელობისადმი, თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ტექსტიდან მოხმობილი მასალით.

ამინ არ-რეიჰანი

ახალი არაბული ლიტერატურის კლასიკოსი, XX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არაბი მოაზროვნე და კულტურის მოღვაწე. ლიბანელი მარონიტი, ლიბანში დაბადებული და 11 წლის ასაკში ამერიკაში საცხოვრებლად გადასული. სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. წერდა არაბულად და ინგლისურად.

მწერლები

ამბობენ, რომ მწერლების ორი ტიპი არსებობს – ერთნი წერენ, რომ იცხოვრონ და მეორენი ცხოვრობენ, რათა წერონ. ამ გამონათქვამის მთქმელს გამოეპარა, რომ სხვა ტიპის მწერალიც არსებობს, იმ ორზე მაღლა დაყენებას რომ იმსახურებს. კერძოდ კი ის, რომელიც ცხოვრობს და წერს. სხვაობა მასა და ზემოხსენებულ ორი ტიპის მწერალთა შორის გარეგნულად უმნიშვნელოა. ის სულ რაღაც ,,და'' კავშირში გამოიხატება, მაგრამ სინამდვილეში მეტად სერიოზული და ყურადსაღებია. ურიგო არ იქნება ამ გარემოებაზე დაწვრილებით და საფუძვლიანად შეჩერება, თუნდაც რომ ამან სიტყვა გაგვიგრძელოს.

იმის თქმა საჭიროდაც არ მიგვაჩნია, რომ ვინც იმისთვის წერს, რომ იცხოვროს, არაფერს საყურადღებოს და შთამბეჭდავს არ წერს. ის დაქირავებული მწერალია, რომელიც კალამს ისე ატრიალებს, როგორც მის ბატონს სურს. ის ლიტერატურის მეეტლეა, თავისი ცოდნის ეტლზე სამთავრობო ტარიფი რომ გამოუკიდებია და კალამს იმგვარად და იქით მიერეკება, როგორც და საითაც მისი ეტლის მგზავრს ნებავს. ევროპელებთან ამგვარ მჯღაბნელ-გადამწერებს ადგილი უკვე მიჩენილი აქვთ. ისინი მათთან მწერლებისა და ლიტერატორთა ფენად არ ითვლებიან. მათი უმრავლესობა გაზეთებს უშვებს და კორესპონდენტობს მათში. წერა ხელობად გაუხდიათ და დიდი ხნის მანძილზე ისე მისდევენ მას, რომ არც ერთი მათგანის სახელი იმ გაზეთის რედაქციას არ გასცდება ხოლმე, რომელშიც ისინი მსახურობენ. და როცა მათთან, ევროპაში, ხალხი ჟურნალისტზე ლაპარაკობს, ისე ლაპარაკობს, როგორც, მაგალითად, ვაჭარზე, მეწაღეზე, გლეხზე ან ზარაფზე. ეს საუბარი მოგება-წაგების, გამომწერთა და განცხადებების დამკვეთთა თემით შემოიფარგლება და იშვიათად რომ მწერალი, რედაქტორი ან კორესპონდენტი ახსენონ.

შესაძლოა, ამ დიდი მოდგმიდან მომდინარეობს კიდევ ერთი ტიპი, თავისი ღირსეული სახელით გამორჩეული და სულ მცირე, ავტორთა შორის მაინც კარგად ცნობილი, თუმცა მათთვის არცთუ საყვარელი და დაფასებული. კერძოდ, ყოვლისმცოდნე კრიტიკოსების ტიპი. ისინი მიმოიხილავენ იმ ახალ წიგნებს, შეუჩერებლად რომ გამოსცემენ საგამომცემლო სახლები, აკრიტიკებენ მათ, ედავებიან და განაქიქებენ. იშვიათად რომ კარგი გამოხმაურება მისცენ და შეაქონ. დიახ, მართალი უნდა იყოს, რომ კრიტიკოსი უჩინო, უნიჭო მწერალია, ლიტერატურული ნაწარმოების თხზვისთვის ძალა რომ არ ჰყოფნის და თავის სამწერლო ცხოვრებას ახალ-ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების

გაკრიტიკებაში ფლანგავს. ძნელად რომ სახელი გაითქვას ამ შემტევი, მეომარი მოდგმის რომელიმე წევრმა, ლიტერატურის ზღურბლზე კარავი რომ გაუშლიათ. ძნელად რომ მათში გამოირჩეს ბელადი, შეიხი ან ემირი. არენაზე ისინი ყველანი ერთნაირები არიან: „ვინც კაცად ითვლება, ყველა წინამძღოლია". და მიუხედავად მათ მიერ ატეხილი ხმაურისა და გრგვინვა-ქუხილისა, ზუსტად დამიზნებული კრიტიკის განმგმირავი დარტყმებისა, ისინი მწერლებად და ავტორებად არ მიიჩნევიან. ისინი იმათთაგანნი არიან, ვინც წერენ, რათა იცხოვრონ. იმათ განეკუთვნებიან, ვისაც თავიანთი კაბინეტის კარზე ოფიციალური ტარიფი აქვთ გამოკრული.

მწერალთა მეორე კატეგორიას ისინი შეადგენენ, რომლებიც ცხოვრობენ, რათა წერონ. მათი თხზულებებიდან სარგებელი, შესაძლოა, დიდიც იყოს და მცირეც. გააჩნია, თითოეული მათგანი რამდენად ახლოს ცხოვრობს მოუსვენარი ადამიანური ცხოვრებიდან და ბუნების წყნარი ყოფიდან. ის, ვინც მუდმივად საკუთარ კაბინეტშია გამოკეტილი და ცხოვრების ორომტრიალს და მის მოვლენებს მოცილებული, წიგნებში, ფურცლებსა და სამელნეებში ჩაფლული თხზავს, ის უდავოდ ბევრს წერს, მაგრამ, სინამდვილეში, არ ცხოვრობს. შესაძლოა, რომ ის ბევრ თავის ნაწარმოებში იმავე შეცდომებსაც სჩადის, რასაც პირველი ტიპის მწერალი თავის ანაზღაურებად სტატიებში. ნიჭი იშვიათი რამაა, ჩემო მეგობარო! და როცა მას ბუნება რომელიმე თავის შვილს უწყალობებს ხოლმე, აძლევს მხოლოდ დრაჰმობით* ან კარატობით*. ცნობილ ავტორთა უმრავლესობამ მათთვის ღვთით ბოძებული ნიჭი თავიანთი მრავალრიცხოვანი წიგნებიდან ერთ ან ორ წიგნს შეალია, მათი სხვა დანარჩენი თხზულებები კი იმ ტიპის ნაწერებს განეკუთვნება, როგორებსაც ოფიციალურ ტარიფიანი მწერლები წერენ.

ამერიკელ მწერლებში ისეთებსაც იპოვი, იძულებულნი რომ არიან, ყოველ წელს ერთი ან ორი რომანი დაწერონ. ეს იმისთვის, მათი სახელი ხალხს რომ მუდამ პირზე ეკეროს და თვალებში ეჩხირებოდეს. ასეთ შემთხვევაში არც მკითხველს დაავიწყდება ისინი და არც გამომცემლობა იზარალებს მათი თხზულებების გამოცემით. მწერალი, რომელიც იძულებულია, განუწყვეტლივ, შეუჩერებლად წეროს, რათა მას იცნობდნენ და მოიხსენიებდნენ, უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ უხარისხო პროდუქციას გვთავაზობს და თუ რამე ფასეულს დაწერს, ეს მხოლოდ შემთხვევით, მამლის კვერცხივით. მისი ათობით თხზულებიდან მხოლოდ ერთი თუ მოგეწონება.

მწერალს, რომელიც ცხოვრობს, რათა წეროს, რაღაც საერთო აქვს იმასთან, რომელიც სტატიებს სახელდახელოდ ჯღაბნის, რომ იცხოვროს. ორივე მათგანი იმას წერს, რაც წაკითხვისთანავე გავიწყდება. ორივე მათგანი კალმის ტყვეა, რომელიც წერას აუტანია და ისე მისდევს თხზვა-წერას, როგორც კომერსანტი ვაჭრობას, მთრიმლავი თავის ხელობას, გლეხი კი - ხვნა-თესვას. რომელი მათგანი მოიცლის, მაგალითად, გონებრივი და სულიერი ტკბობისთვის და განსჯა-განჭვრეტისთვის, ან თუნდაც ფიზიკური ვარჯიშისთვის?! რომელი მათგანი გასცდება თავისი ხელობის ჩაკეტილ, ვიწრო წრეს და ცხოვრების მინდორ-ველებზე გაინავარდებს თუნდაც კვირაში ან თვეში ერთხელ?! ვინ,

რომელი მათგანი გავა ბუნებაში მისი ძვირფასი, იშვიათი წიგნიდან ყოველ დღე თითო ან ორი გვერდის ამოსაკითხად?!

ამრიგად, ის, ვინც წერს, რათა იცხოვროს, ის ცხოვრობს კიდეც, მაგრამ არ წერს, ხოლო ვინც ცხოვრობს, რათა წეროს, წერს კიდევაც, ოღონდ არ ცხოვრობს.

მესამენი კი თავიანთ დროს ბრძნულად ანაწილებენ და მას უთმობენ ბუნებას, ცხოვრებასა და ლიტერატურას. ეს მესამენი ცხოვრობენ ერთსა და იმავე დროს გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ცხოვრებით. და ეს მაშინ, როცა პირველი ორი ნაკლული, მშრალი ცხოვრებით ცხოვრობს – ერთი მათგანი მატერიალური და მეორე კი გონებრივი ცხოვრებით. ორივე მათგანი შორსაა იმ სულიერი, მეცნიერული ელემენტისგან, რომელიც დომინანტი უნდა იყოს ყველაფერში, რასაც კი დღეს ვწერთ. მესამე ტიპის მწერალი ისაა, რომელიც ცხოვრობს და წერს. ის არ ქმნის ვიქტორ ჰიუგოსა და ვოლტერის მსგავს თხზულებებს, მაგრამ არც ვერლენის ან ადიბ ისჰაკის ცხოვრებით ცხოვრობს. ის მხოლოდ აღმაფრენისა და შთაგონების ჟამს წერს. შენთვის მოინიშნე ახლოს მდგომი მაგალითი, რომელიც ნათლად განგიმარტავს ამ ჩემს აზრს. მოდი, შევადაროთ ვოლტერი და რუსო ან ჰიუგო და ჰაინე. რამდენი აქვს ნაწერი ვოლტერს – რამდენი სტატია აქვს ერთი ხელის მოსმით შექმნილი, რამდენი ლექსი და ეპისტოლე დაწერილი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ის თავის პირად ცხოვრებაში ოფიციალური პირობითობების და ცერემონიალურობის ზღვარს არასოდეს გადასულა, ყველაფერი, რაც კი მას სოციალურ თემატიკაზე უწერია, არასრულყოფილი აღმოჩნდა და ასე ბევრის მწერმა ვოლტერმა სამყარო ისე ვერ შეიცნო, როგორც რუსომ. და ის მცირედი, რაც კი რუსოს დაუწერია, იმ ბევრის ტოლფასია, ვოლტერს რომ შეუთხზავს. რომელ ჩვენგანს ახსოვს დღეს ვოლტერის უთვალავი ნაწარმოებიდან რამე მისი წერილებისა და რამდენიმე რომანის გარდა. რუსოს რაც შეეხება, მისი ნაწერების უმრავლესობა ჩვენს დროშიც იკითხება. "აღსარებანს", "ემილის" ან "საზოგადოებრივ ხელშეკრულებას" ვინ არ კითხულობს დღესაც იმგვარად, როგორც მას მეთვრამეტე საუკუნის მკვიდრნი რევოლუციის ეპოქაში კითხულობდნენ?!

ფილოსოფოსი რუსო ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ოფიციალური პირობითობებისა და ხელოვნურობისგან შორს იყო. მიღებული და დამკვიდრებული ნორმებიდან გადახვევისას ხშირად ცდებოდა კიდევაც, მაგრამ ყველაფერს, რასაც წერდა, წერდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ განცდილსა და ნაგრძნობს. თავისი ცნობილი წიგნები კი მხოლოდ მას მერე აქვს დაწერილი, რაც თვითონ გამოსცადა წამება და სასტიკი დევნა. ხოლო ვოლტერი, მხიარეული და სიცოცხლისმოყვარე, ნაკითხი და ნიჭიერი, თავის კოლეგებს ნიჭითა და გამჭრიახობით რომ აოცებდა, დიდწილად თავის კაბინეტში, სამელნეებსა და ქაღალდებში ცხოვრობდა, ისე შორს ხალხისგან, როგორც ემირი ან მეფე ცხოვრობს და თუ ოდესმე გარეთ გამოვიდოდა, მეფეთა სასახლეებს და წარჩინებულთა სახლებს სტუმრობდა. ასე ქმნიდა, რასაც ქმნიდა და მის სულში ამ ორმაგმა ცხოვრებამ დიდი კვალი დატოვა.

ასეთივე შედარება მართებული იქნება ჰიუგოსი და გერმანელი პოეტის ჰაინესი. მე ჩვენი მწერლების გახსენებას ვისურვებდი ამ ევროპელების ნაცვლად.

დღეს ხომ ჩვენ ბევრი ავტორი გვყავს, ვისაც ასეთი შედარება მიესადაგება. მაგრამ რა შემიძლია ვთქვა, როცა ისევ ალაჰის მოციქულის სიტყვებს ვიმეორებ ჰადისიდან, გუშინ რომ წავიკითხე: „ალაჰი არავის აძლევს ცოდნას ისე, რომ მისგან შეპირება არ მიიღოს – არ დაუმალოს იგი არავის!''

მოდი, ახლა სხვაგვარად დავყოთ მწერლები. ვთქვათ ასე – ორი ტიპის მწერალი არსებობს. ერთი წერს, რათა ხალხს ასიამოვნოს და მეორე კი იმისთვის, რომ საკუთარ თავს მიანიჭოს სიამოვნება. ერთი მალავს თავის ცოდნას საკუთარი ქისის სიყვარულით და მეორე კი აბნევს ამ ცოდნას საკუთარი ლიტერატურის სიყვარულით. ის, ვინც ხალხის სიამოვნებისთვის წერს, თავის მკითხველს უნდა იცნობდეს, – იმათ მორალს, აღზრდას, – და სულაც არ აინტერესებს, რომ ამ მკითხველს ურთიერთგანსხვავებული შეხედულებანი, სპეციფიკა ან გემოვნება აქვს. ის ფეხს უწყობს მკითხველის ყველა სურვილს, ზღვის მორევში გადაეშვება და ტალღებს ასდევს, საყოველთაო დინების მიმართულებით ცურავს. უმთავრესი, რისი შესწავლაც მას მოეთხოვება, მისი მკითხველის საზოგადოებრივ-კულტურული ყოფით, მისი გემოვნებით შემოიფარგლება. ისიც წერს ამ ყველაფრის შესაფერად და დამცინავად ეღიმება, თან კალამს სარკაზმსა და უხამსობას შორის მიმოატარებს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ ის მცოდნეა და გაქნილი. ხოლო თუ თავდაჯერებული სულელია, თავის სათქმელს ისე ამბობს, რომ მართლა სჯერა, თითქოს ჭეშმარიტება მხოლოდ მასთანაა და სხვა არავისთან. წარბებაწეული და ლოყებდაბერილი, აღტაცებით ამბობს თავისთვის: მართლაც კაცი თავისი ორი უმცირესი რამით ფასობს!**

ნამდვილად მცოდნე, გულმართალ და პატიოსან მწერალს, რომელიც უპირველესად საკუთარი სიამოვნებისთვის წერს, უსაზღვროდ ბევრი კითხვა, სწავლა, ზედმიწევნითი კვლევა და უდიდესი ლიტერატურული გამბედაობა ესაჭიროება.

პირველი თავს იმცირებს ამა თუ იმ ბეგის წინაშე, პირმოთნეობს ამა თუ იმ ფაშასთან, ამა თუ იმ მიტროპოლიტის გულს იგებს, ამა თუ იმ ემირის ხოტბაში სიტყვებს არ იშურებს და ქება-დიდებას ასხამს ძალაუფლების მქონე ყველა ხელისუფალს განურჩევლად იმისა, სამართლიანია ის თუ ტირანი, მცოდნე თუ უმეცარი, კეთილშობილი თუ საძაგელი, სულმაღალი თუ მდაბალი.

მეორე ლიტერატურის კეთილშობილებას იცავს, რათა განადიდოს მისი სიბრძნე და გაავრცელოს იგი უეშმაკოდ და მიუკერძოებლად. წინაღმდეგ შემთხვევაში ის მცოდნედ კი არა, ჯაბანად იწოდებოდა. ასეთ მწერალს თავისი აზრები სააშკარაოზე გამოაქვს იმის მიუხედავად, აღშფოთდება ამით მკითხველი თუ ისიამოვნებს. ის თავის ცოდნას არავისგან არ მალავს. ის არც ჭეშმარიტებას დააშორებს ხალხისგან და არც ხალხს – ჭეშმარიტებისგან.

პირველი ტიპის მწერალი მოპოვებულ ცოდნას თავისი ქმედებებით წარხოცავს (თუკი რამე ჰქონდა საერთოდ მოპოვებული) და ამის შემდეგ ხალხის მასის მსგავსი ხდება. დგას მათ წინაშე და ვერას არგებს მათ, ვერაფრით ეხმარება მათი ყოფის გაუმჯობესებაში, მეტიც, თვითონ იქცევა მათსავით ყოველგვარ ქმედებაში, ფეხდაფეხ მისდევს მათ გზას.

მეორე ტიპის მწერალი ხალხის ყოფას შეისწავლის, ყურადღებით აკვირდება ხალხს, იკვლევს მათ განსხვავებულ ხასიათებს, თუკი წერს, ამით სარგებლობა მოაქვს და თუკი აკრიტიკებს, მართალია ამ კრიტიკაში.

პირველი თავის ნაწერზე პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი ჯიბის წინაშე, მეორე კი პასუხისმგებელია თავისი სინდისის წინაშე. მეცნიერი, მცოდნე, რომელიც თავის ცოდნას იმის შიშით მალავს, რომ მისმა სიტყვებმა მკითხველს გუნება-განწყობა არ გაუფუჭოს, იმ ექიმს ჰგავს, ოპერაციისგან თავს რომ იკავებს იმის შიშით, რომ ავადმყოფს ტკივილი არ მიაყენოს, ანდა მოსამართლეს, რომელსაც განაჩენი არ გამოაქვს დამნაშავისთვის და სასჯელს არ უსჯის მას იმის შიშით, რომ ძვირფასი გუნება-განწყობა არ გაუფუჭოს. ისლამის წინასწარმეტყველის რა ჩინებული გამონათქვამია, რომელსაც ჰადისი გვამცნობს: "ალაჰი არავის აძლევს ცოდნას ისე, რომ მისგან შეპირება არ მიიღოს – არ დაუმალოს იგი არავის!"

რა სიმდაბლე და სისულელეა, როცა წამხდარი საზოგადოებრივი გემოვნების ტყვე ეს კონსერვატორები რაიმე სასარგებლო სტატიის წაკითხვისას, რომელშიც ნოვატორული აზრებია, გულმოსულები ცხვირს იბზუებენ და სტატიის ავტორზე კიცხვით ამბობენ: "ეს ხალხს არ გამოადგება, მათ გემოვნებას და განწყობილებებს არ შეესაბამება!" ასეთებს და მათნაირებს ვეტყოდი: "წამხდარი საზოგადოებრივი გემოვნების გამოსწორებას როგორ შეძლებთ, თუკი თქვენს ნაწერებში საწუხარზე არაფერს იტყვით, გულში მოსახვედრ აზრს არ წარმოაჩენთ და მართალი კრიტიკით არ გააკრიტიკებთ?! თუკი აპირებთ, საზოგადოებრივი გემოვნება თქვენი ნაწერების უნივერსალურ საზომად აქციოთ, მაშ, თქვენთვის უმჯობესია, განზე გადგეთ და სიტყვა ხალხს მისცეთ. ის მეტ ცოდნას მოგცემთ თავაზიანობაზე და განგიმტკიცებთ თქვენთვის ჩვეულ ზრდილობის სიყვარულს და მკითხველის მოსაზრებებისა და განწყობილების გათვალისწინების სურვილს".

თავისუფალი მწერალი - ეს ნამდვილი მეცნიერია, რომელიც ხალხს თავისი ცოდნის რეზულტატებს და თავისი კვლევა–ძიების ნაყოფს სთავაზობს. მას სარგებლობა მოაქვს ერისთვის ყველა ასპექტით და ამასთანავე იცავს მეცნიერების კეთილშობილებას და ლიტერატურის ღირსებას. ის თავის სათქმელს მაინც ამბობს, თუნდაც იგი საყოველთაო, საზოგადოებრივი განწყობის საწინააღმდეგო იყოს, ან ინდივიდთა გემოვნებებს და ხელისუფალთა მიდრეკილებებს არ თანხვდებოდეს. ის, ვინც მომავლისთვის წერს, თავისი გარჯა-შრომისთვის აწმყოში საზღაურს არ იღებს. ხოლო ის, ვინც აწმყოსთვის წერს, მომავალს მისი ხსოვნა არ შემორჩება ხოლმე.

ჩვენ ყველას გვმართებს მაგალითის აღება და იმგვარად მოქცევა, როგორც ამ გამოთქმის მთქმელი გვეუბნება: "ღმერთმა გამყოფოს იმათ შორის, ვინც მეცნიერებას ყურადსაღებად ეძიებს და არა მოსაყოლად; ვინც ქმედებაში, საქმეში აღმოაჩენს ჭეშმარიტებას იმისა, რისი ცოდნაც აქვს".

უფრო ცხადად რომ ვთქვათ: თუ იცი, რით განსხვავდება ერთმანეთისგან მწერალი, რომელიც წერს ხალხის საამებლად და მწერალი, რომელიც წერს ჭეშმარიტების საამებლად?! – ნუ შემაწყვეტინებ, უკვე ვამთავრებ. პირველი

მათგანი ფინიკის ნაყოფია, მეორე კი კურკა. პირველი მიირთვი და შეგარგოს ღმერთმა, მაგრამ იცოდე, – ალაჰიმც გფარავდეს! – რომ კურკა, რომელსაც გარეთ მოისვრი, ნიადაგს გაარღვევს და იქ ჩაიმალება მიწის ქვეშ გარკვეულ დრომდე. შემდეგ ღმერთი გაუგზავნის მას ღრუბელს და წყლით დანამავს, გააცოცხლებს სიკვდილის შემდეგ და ისიც ამოიწვერება, გაიზრდება და ჩრდილს შემოიყენებს გარშემო. მის ნაყოფს კი შენი შთამომავლობა, შენი შვილები და შვილიშვილები შეექცევიან.

არაბულიდან თარგმნა ***დარეჯან გარდავაძემ***

VI თავი

განხილული საკითხები:

1. ესეს ტიპები

როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, ესეს მრავალნაირი სახე არსებობს. ესეს ტიპის შერჩევა დამოკიდებულია ჩვენს კონკრეტულ მიზანსა და ამოცანებზე. წერის დაწყებამდე ავტორი განსაზღვრავს, თუ რომელი ტიპის ესე უფრო შეესაბამება მის მიზანს და უპასუხებს სათაურს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა შინაარსის და ტიპის მასალაზე მიუწვდება ხელი ავტორს. ზოგიერთი თემა შეიძლება მოითხოვდეს ვრცელ თხრობას, ამა თუ იმ საკითხის დეტალურ აღწერას, ზოგჯერ კი აღწერა არ არის საკმარისი ან საჭირო და აუცილებელია არგუმენტების მეშვეობით ავტორისეული პოზიციის დაფიქსირება და შემდგომ მისი დასაბუთება. ბუნებრივია, ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ამ შემთხვევაში განსხვავებული მიდგომები, წესები და თხრობის აგების საშუალებები. აკადემიურ სივრცეში ძირითადად გამოიყენება აღწერითი და არგუმენტირებული ესეს ტიპები. თითოეული მათგანი მოიცავს ქვეტიპებს, რომლებიც იქმნება მცირე სხვაობითა და კონკრეტული ამოცანის მიხედვით. აღწერითი ესე აერთიანებს შემდეგ ქვეტიპებს: ილუსტრაციული ესე; განმარტებითი ესე; განვითარებითი ესე. არგუმენტირებული ესე კი მოიცავს შემდეგ ქვეტიპებს: ინტერპრეტაციული ესე; მიზეზ-შედეგობრივი ესე; შედარება-დაპირისპირებითი ესე.





❖ **აღწერითი ესე**

აღწერით ესეში ავტორი მკითხველს სთავაზობს მოვლენის, ფაქტის, ადგილის, პიროვნების აღწერას. ამ ტიპის ესეში გადმოცემულია ავტორის პირადი დამოკიდებულება, ემოცია ან შთაბეჭდილება. სასურველია, ავტორმა შესავალშივე მიაწოდოს ინფორმაცია მკითხველს, თუ რატომ შეექმნა მას ეს განწყობა და რამ გამოიწვია ინტერესი ამ საკითხის მიმართ. ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმის გადმოცემას, თუ რით არის გამორჩეული ან განსაკუთრებული აღწერილი მოვლენა, ემოცია ან პიროვნება. ავტორმა უნდა ისაუბროს მხოლოდ მნიშვნელოვან და კონკრეტულ დეტალებზე, თუმცა ეს დეტალები არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე. სასურველია, ესეში ერთი ან ორი ძირითადი საკითხი აღიწეროს, რათა არ გაიფანტოს მკითხველის ყურადღება.

აღწერითი ესეს შექმნისას ავტორი მეტ-ნაკლებად თავისუფალია სტილისა და ფორმის არჩევაში, თუმცა თხრობის ენა უნდა იყოს მარტივი.

თხრობა სასურველია იყოს ემოციურიც, რათა მკითხველმა აღწერილი სიტუაციის უშუალო თანამონაწილედ იგრძნოს თავი.

შესაძლოა, ერთმა ავტორმა მხოლოდ შეფასებები შესთავაზოს მკითხველს, მეორემ კი მხოლოდ კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გადმოსცეს სათქმელი.

აღწერითი ესე შეიძლება შემდეგნაირად აიგოს:

I. საკითხის განსაზღვრა, ანუ რის ან ვის აღწერას აპირებთ;

II. რატომ შეარჩიეთ კონკრეტულად ეს საკითხი?

III. საკითხის მიმოხილვა, ანუ ჩვენება იმისა, თუ რატომ არის ეს საკითხი თქვენთვის საინტერესო ან მნიშვნელოვანი;

IV. კონკრეტული მაგალითებისა და დეტალების გადმოცემა;

V. საკითხის შეჯამება.

◈ ილუსტრაციული ესე

ილუსტრაციული ესე მიზნად ისახავს საკითხის ირგვლივ არსებულ ყველა თვალსაზრისისა და თეორიის გაცნობას მკითხველისათვის. ეს ე. წ. მიმოხილვითი ხასიათის ტექსტია, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ნაშრომებსა და პუბლიკაციაში, განსაკუთრებით კი ეკონომიკური მიმოხილვის ან ანალიზის ტიპის ტექსტებში. ამგვარ ესეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკა და სხვა ობიექტური მონაცემები. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ესეში ავტორი ნაკლებად წარმოაჩენს საკუთარ პოზიციასა და დამოკიდებულებას საკითხისადმი და მისი დასკვნები უშუალოდ ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებსა და საილუსტრაციო მასალას, შესაბამისად, პერსპექტივაც სწორედ ამ კონტექსტში წარმოჩნდება. ილუსტრაციული ესე სტრუქტურულად იმეორებს კლასიკური ესეს მოდელს. ამ ესეს ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია დეტალური და კონკრეტული მაგალითების მოყვანა საკითხის არსის ამომწურავად წარმოჩენისათვის. ავტორი მაგალითების შერჩევაში არ არის შეზღუდული, თუმცა ფოკუსირება უნდა მოახდინოს თემასთან ზუსტად და პირდაპირ დაკავშირებულ არგუმენტებზე. გაითვალისწინეთ, რომ ყველა შემთხვევაში მსჯელობა უნდა იყოს რელევანტური, კარგად ორგანიზებული და მიზნისკენ თანმიმდევრულად მიმართული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ილუსტრაციული ესეს ელემენტები შეიძლება გახდეს არგუმენტირებული ესეს ნაწილიც.

◈ ნიმუში:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში 1.1 მილიარდი მწეველია. ყოველწლიურად მწეველთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება და ვარაუდობენ, რომ 2025 წლისათვის 1.64 მილიარდს მიაღწევს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გამოთვლებით, ყოველწლიურად მსოფლიოში თამბაქოს მოხმარების შედეგად 4 მილიონი ადამიანი იღუპება. თუ მწეველთა რაოდენობა არ შემცირდება, 2030 წლისათვის მოწევის მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები 10 მილიონს მიაღწევს. თუ ვითარება არ შეიცვალა, თამბაქოს მოხმარება იქნება მთელ მსოფლიოში სიკვდილიანობის გამომწვევი მთავარი მიზეზი, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე შიდსით, ორსულობისა და მშობიარობის დროს, ავტოკატასტროფების შედეგად, მკვლელობებითა და

თვითმკვლელობებით გარდაცვლილთა ერთიანი რაოდენობა. ეს პრობლემა არამწეველებსაც ეხებათ, იმ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მწეველთა გვერდით უწევთ ყოფნა. ისინი ე. წ. „პასიურ მწეველებს“ წარმოადგენენ. მწეველები არა მხოლოდ საკუთარ თავს უქმნიან პრობლემებს, არამედ მათ გარშემო მყოფებსაც. ეს მიზეზი საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აიკრძალოს.

რადგან თამქბაქოს ინდუსტრია საკმაოდ დიდი და გავლენიანია და ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ და ძალიან მნიშვნელოვან სფეროებზე, თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები საკმაოდ დეტალური განხილვის საგანი უნდა გახდეს და მათი დანერგვაც დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დასავლეთში ბევრი ორგანიზაცია საქმიანობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის ფილტვის ასოციაცია (ALA) ცდილობს, შეამციროს თამბაქოს მოხმარება მთელ აშშ-ში. ამ ორგანიზაციის არგუმენტები შემდეგია: „მოწევა და მოწევით გამოწვეული ზარალი იწვევს ყოველწლიურად 4000 ადამიანის სიკვდილს ამერიკაში. სწორედ მოწევაა ფილტვის კიბოს გამომწვევი მიზეზი შემთხვევათა 87 პროცენტში. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მოწევის შედეგად მცირდება ადამიანების პროდუქტიულობის ხარისხიც. თამბაქოს მომხმარებლები ხშირად ავადდებიან ემფიზემითა და ქრონიკული ბრონქიტით“ (ALA). გარდა ამისა, აშშ ხარჯავს 97.2 მილიარდ დოლარს სიგარეტით გამოწვეული დაავადებებით მკურნალობაზე. აქედან გამომდინარე, ALA-ს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ამერიკის შეერთებულ შტატებში უწევთ თამბაქოს რეკლამირებისას, ასევე მისი წარმოებისა და დისტრიბუციის დროს.

http://www.professays.com/wp-content/uploads/2009/12/illustration-essay-sample-1.jpg

---

◈ განმარტებითი ესე

განმარტებით ესეში ავტორი აწვდის მკითხველს ფაქტის ან მოვლენის გამომწვევ მიზეზებს, უჩვენებს მოსალოდნელ შედეგებს და საკითხის არსის წარმოსაჩენად მოჰყავს სხვადასხვა მოსაზრება ან ფაქტი. ასეთი ესე კარგად გაარკვევს საკითხის არსში მკითხველს.

ამ ტიპის ესეში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს იმ ცნებების არსი, რომელთა შესახებაც ვითარდება მსჯელობა. მაგალითად, თუ ვმსჯელობთ საკითხზე - გვაქვს თუ არა თავისუფალი ნება, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა განისაზღვროს, თუ რას მოვიაზრებთ ცნებაში "თავისუფალი ნება" და

შემდგომ შეიძლება განვითარდეს არგუმენტირებული და ლოგიკური მსჯელობა მოცემულ საკითხზე.

◣ ნიმუში:

დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში

საქართველოსთვის, როგორც ნებისმიერი პატარა ქვეყნისათვის, დემოგრაფიული საკითხი მწვავე პრობლემათა რიგში დგას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ათწლეულში მკვეთრად დაეცა საქართველოში შობადობის დონე, შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთმანეთს გაუთანაბრდა. საქართველოს ისტორიას ახსოვს პერიოდი, როდესაც ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა 12 მილიონს აღწევდა. ეს იყო საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის პერიოდი, თუმცა, ერეკლე მეორის დროს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 800 000-ს.

მეცნიერები შობადობის შემცირების რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, მათ შორის: 1. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი; 2. მიგრაციის პროცესი; 3. ქალის სოციალური ფუნქციის ზრდა; 4. შობადობის დაგეგმვა; 5. ტრადიციული და რელიგიური ფასეულობების რღვევა.

დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ თუ სიტუაცია უკეთესობისაკენ არ შეიცვალა, გარდაუვალია ერის დაბერება, რაც, საბოლოოდ, კატასტროფულ შედეგამდე მიგვიყვანს.

◈ განვითარებითი (ევოლუციური) ესე

განვითარებითია ესე, რომელშიც მოსაზრებები თანმიმდევრულად ვითარდება. მოხმობილი არგუმენტებიც, ასევე, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად განლაგდება მსჯელობით ხაზზე. მაგალითად: ესეში თუ ვმსჯელობთ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, პირველ რიგში, უნდა გამოიკვეთოს რეფორმის გატარების აუცილებლობა, ხოლო შემდგომ უნდა დასახელდეს ყველა ის არგუმენტი, რომლებიც რეფორმის გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. განვითარებით ესეში სასურველია მარტივი ან ყველაზე უფრო აშკარა, მნიშვნელოვანი არგუმენტის გადმოცემით დავიწყოთ მსჯელობა და შემდგომ დავამატოთ სხვა არგუმენტები, ან პირიქით, დავიწყოთ ყველაზე უფრო სუსტი არგუმენტით და დავასრულოთ ყველაზე მნიშვნელოვანი, აშკარა არგუმენტით. მაგალითად, განვითარებითი, ევოლუციური ესეს სტრუქტურა შეიძლება მისაღები იყოს ისეთ საკითხებზე მსჯელობისას,

როგორებიცაა: რომელიმე მუსიკალური მიმდინარეობის ისტორია, გენდერული პრობლემის ანალიზი, ადამიანის უფლებების, აღზრდის პრინციპები უძველესი დროიდან დღემდე, რომელიმე ცივილიზაციის ისტორია და ა.შ.

ნიმუში:

ქართველი ქალის ისტორიული როლი

კიტი მაჩაბელი

საქართველოს დღევანდელობა, მისი მომავალი ყოველი ქართველისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, გვაიძულებს გავიაზროთ თითოეულის ადგილი ახალი, თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში, სად უნდა ვეძიოთ სულიერი სიმტკიცე უამრავ გადაუდებელ პრობლემათა გადასაწყვეტად, რას უნდა დავეყრდნოთ მომავლის იმედის განსამტკიცებლად. უნებურად ვიყურებით წარსულისაკენ, რათა შორეული თუ ახლობელი ნამყოს მაგალითებში ვიპოვოთ ძალა ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანათა დასაძლევად. სწორედ წარსულის სურათებში იკვეთება ქართველი ქალის განსაკუთრებული წვლილი ქვეყნის ისტორიაში, მის განვითარებასა და არაერთგზის სასწაულებრივ გადარჩენაში. განუზომელია ქალის დამსახურება საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ამგვარი შეხსენება და გააზრება დღევანდელი თვალთახედვით უთუოდ აუცილებელია, რათა ქართველი ქალის შეგნებაში აღდგეს საკუთარი ძალების რწმენა, საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება, განმტკიცდეს ქართველი ქალის უსასრულო შესაძლებლობათა შეგნება.

ქალის როლის განსაკუთრებულობა ასახულია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ქართულ ენაში. მოვიყვანთ სულ რამდენიმე მაგალითს: საქართველოს მთიანეთში დღესაც შემორჩნილია უძველეს ტრადიციათა გადმონაშთები. ერთ - ერთი ასეთთაგანია „ადგილის დედის“ რწმენა. ხალხს რწმენით, თითოეულ ადგილს - მთას, გორას, ხევს - ჰყავს თავისი „დედა“ (ივ. ჯავახიშვილი). ღრმა აზრია ჩაქსოვილი ქართულ სიტყვაში „დედამიწა“ - ღვთაების მნიშვნელობით (დღევანდელი მნიშვნელობის „დედამიწა“ ძველ ქართულში აღინიშნებოდა სიტყვით „ქუეყანა“). ხალხის მეტყველებაში შემორჩენილია ქალის განსაკუთრებულობის აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა: „გუთნისდედა“, „დიასახლისი“ (მეურნეობაში, მის წარმართვაში უპირატესობის აღმნიშვნელი), „დედაბოძი“ (სახლის მთავარი საყრდენის აღმნიშვნელი), „დედაქალაქი“, „დედააზრი“, „დედაარსი“ და სხვა. ქართველი ხალხის უძველეს რწმენაში შემორჩენილია მზის ქალღმერთის - დიდი დედის, ღმერთების დედის რწმენის კვალი.

ქართველთა მოქცევა, მათი გაქრისტიანებაც ქალთან არის დაკავშირებული. ქართველებს ქრისტიანობის მქადაგებლად, ქვეყნის განმანათლებლად, ახალი რწმენის გამავრცელებლად კაპადოკიელი ტყვე (მას როგორც უცხოტომელს ტყვეს

უწოდებენ) ქალი ნინო, მოევლინათ. ქართულ ლიტერატურაში შემონახული შუშანიკის ამბავი ქართელთათვის ქალის სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა. მეხუთე საუკუნის თხზულების გმირი ქალის მოქმედება დღესაც ცოცხალ მაგალითად გვევლინება. ისტორიამ შემოგვინახა იმ ქართველ ქალთა სახელები, რომელთაც ღრმა კვალი დაამჩნიეს ქვეყნის ცხოვრებას, მის ბედ-იღბალს. მდგარი სული, სიმტკიცე, გონიერება, უსაზღვრო „ჭირთა თმენა“ თაობიდან თაობამდე სჩვეოდათ ჩვენს წინაპრებს. ჩვენთვის მათი თავგანწირვა მხოლოდ ისტორიული ფაქტების ნუსხა როდია, ეს დიდი ზნეობრივი გაკვეთილებია, რომელნიც ძალას უნდა გვმატებდნენ ჩვენს დღევანდელ პრობლემებთან გასამკლავებლად.

არ არსებობს ქვეყნის ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც თავი არ გამოეჩინათ ქართველ ქალებს: პოლიტიკა, დიპლომატია, ხელოვნება, რელიგიური ცხოვრება. ყველგან ჩანს მათი ნამოღვაწარის კვალი. ზოგი რამ შემორჩა მატიანეებსა და საისტორიო საბუთების ფურცლებს, მაგრამ „დღემდე მოღწეული ცნობები მხოლოდ მცირედი ნაწილია ქართველ ქალთა ნამოღვაწარისა.

გავიხსენოთ ჩვენი ისტორიული წარსულიდან ზოგიერთი ფაქტი. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მეშვიდე საუკუნის ქართული ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ძეგლი - ქვასვეტი უსანეთიდან (ქართლი), რომელზედაც ამ შორეული ეპოქის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მაღალი წრის ერთ-ერთი საგვარეულოს „საოჯახო პორტრეტია“ წარმოდგენილი. უსანეთის ქვასვეტი წარმოადგენს ადრექრისტიანული ხანის საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქვაჯვარების დიდმნიშვნელოვან ნიმუშს. ამგვარ ქვაჯვარებს მემორიალურ საკულტო ძეგლებს დიდებულები აღმართავდნენ ძველ საქართველოში, როგორც შესაწირავ და, იმავდროულად, საკუთარი სოციალური სტატუსის დამამტკიცებელ საბუთებს.

უსანეთის ქვასვეტი მრავალმხრივ არის საყურადღებო, მაგრამ ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მის წახნაგებზე გამოსახულ რელიეფურ პორტრეტებზე. ერთ წახნაგზე მამაკაცთა პორტრეტებია წარმოდგენილი, მის საპირისპირო წახნაგზე კი ვერტიკალურად განთავსებულია ქალთა პორტრეტების წყება. ამ გამოსახულებებს გსანსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანმხლები წარწერები. წარწერები დაზიანებულია, მაგრამ ერთ-ერთ გამოსახულებასთან იკითხება სახელი „მარიამ“ მეორესთან კი - „დინარი“ თუ „ლიტავრი“. მდიდრულ საერო კოსტიუმებში გამოწყობილი მანდილოსნების მწკრივი ქართლის რომელიღაც დიდებული საგვარეულოს წევრებს ასახავს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მამაკაცის გამოსახულებასთან კარგად იკითხება: „გრიგოლ ვიპატოსი“, რაც იმას მოწმობს, რომ ქვაჯვარი აღმართულია ბიზანტიური ტიტულის მქონე ქართლის წარჩინებული გვარის წარმომადგენლის მიერ.

ადრეული შუა საუკუნეების მიერ ქართული საკულტო ხელოვნების ძეგლზე ქვაჯვარის სვეტზე, რომელიც იმდროინდელ ქართლის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს, ქალთა გამოსახულებების მოთავსება მამაკაცთა თანაბრად ნათელი დადასტურებაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველი ქალის საპატიო მდგომარეობისა. ეს რომ უფრო ნათელი

გახდეს, შეგახსენებთ, რომ გაცილებით უფრო გვიან ხანაში, მეცხრამეტე საუკუნეში, ქართველ დიდებულთა საგვარეულო ნუსხებსა და გენეალოგიურ საქმეებში ქალები საერთოდ აღარ ჩანან, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პრაქტიკის ანარეკლი უნდა იყოს.

ქალი - მოღვაწე, ქალი შემოქმედი არც თუ იშვიათი იყო შუა საუკუნეების საქართველოს სიმანდვილეში. ძველ მატიანეებსა და ლაპიდარულ წარწერებში ქართველ ქალთა მოღვაწეობის მრავალი ფაქტია უკვდავყოფილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტაძრების აღმშენებელთა შორის ქალთა სახელების მოხსენიება:

თავისი ღვთისმოსაობითა და საქველმოქმედო საქმეებით გაითქვა სახელი მეფე ვახტანგ გორგასლის დედამ დედოფალმა საგდუხტმა (მე - 5 ს.), სამშვილდის სიონის ტაძრის მშენებელმა, რომლის შესახებ ,,ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: ,,მაშინ საგდუხტ გულისხმა ყო და იცნა სჯული ჭეშმარიტი...ნათელიღო და იქნა მორწმუნე, და მან აღასენასიონი სამშვილდისა“.

მე-6 საუკუნის დასასრულს აგებული მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარის თავზე (შიგნიდან) ჩადგმულ ფილაზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ტაძრის ამ ნაწილის მაშენებელი ვინმე თემესტია. როგორც ჩანს, ქართლის ერისმთავართა ოჯახის ამ წევრმა გაიღო თანხა ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქალებისათვის განკუთვნილი სამთავისის (,,საყოფელის“) ასაგებად.

მეათე საუკუნის რამდენიმე ტაძრის სამშენებლო წარწერებში ქალების სახელების მოხსენიებული: ვალეს ტაძრის აღმ. ფასადზე ასომთავრულ წარწერაში - კრავაი, ლიხის ჯვრის სამხრ. კარის თავზე - ,,ფაბრონია, თუალოის ასული“, ურბნისის სიონის შემწედ მოხსენებულია ვინმე შუშანა, თავის მეუღლესთან ქავთართან ერთად.

დავით აღმაშენებლის ასულს თამარს, შირვანის დედოფალს, აუშენებია თიღვის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. იგი მოხსენებულია 1150 - 1152 წლების ტაძრის საქტიტორო წარწერაში.

კახთა მეფის ალაქსანდრეს (მე-15 ს.) დედა ნესტან-დარეჯანი იყო ,,მაშენებელი ეკლესიათა“. მის მიერ აღდგენილ მრავალ ეკლესიათა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ალავერდის დიდებული კათედრალი, რომელიც მან გუმბათიანად აღადგინა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართველი ქალები განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ჩვენამდე მოაღწია ქალთა მიერ წარმატებით შესრულებული არაერთი მისიის ამბავმა.

მე-11 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ბიზანტიის მომძლავრებული აგრესიის დროს, მეფე ბაგრატ მეოთხის დედა მარიამ დედოფალი მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, ,,ძიებად მშვიდობისა და ერთობისა“, ბიზანტიის დედაქალაქში იგი შეხვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს. ბიზანტიის კეისართან სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საქართველომ სასურველი მშვიდობა მოიპოვა. ბიზანტიიდან მარიამმა თავის ძეს საცოლე ჩამოუყვანა იმპერატორის ძმის ბასილის ასული ელენე და კეისრის ნაბოძები კურაპალატის ტიტულიც აახლა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენება, რომ ქართველთა მეფის, ბაგრატ მეოთხის, სილამაზით სახელგანთქმული ასული მარიამი, ბიზანტიის დედოფალი გახდა. იგი იყო მეუღლე ორი იმპერატორისა - მოქაელ VII დუკასი (1071-1078 წწ) და ნიკიფორე ბოტანიატისა (1078 - 1081 წწ.) ეს იყო უნიკალური შემთხვევა მეთერთმეტე საუკუნისათვის, როდესაც ბიზანტიის სამეფო ტახტზე კეისარს უცხოური წარმომავლობის მეფის ასული უმშვენებდა გვერდს. ფართოდ იყო ცნობილი მარიამ დედოფლის კულტურული მოღვაწეობა ბიზანტიაში. მისი მხარდაჭერით სარგებლობდნენ ბიზანტიელი მწერლები და მეცნიერები. მისი შეკვეთით უნდა შექმნილიყო ევსტრატე ნიკეელისა და თეოფილაქტე ოქრიდელის სამეცნიერო ტრაქტატები. პირველმა მათგანმა თავისი პოპულარული ნაშრომი კოსმოგრაფიის შესახებ მიუძღვნა მარიამ დედოფალს. აღსანიშანვია, რომ მარიამის სახე შემოგვინახა ხახულის ჭედური ტრიპტიქის კომპოზიციაში ჩართულმა მინანქარმა, რომელზეც მარიამი თავის მეუღლესთან, მიქაელ დუკასთან ერთად არის გამოსახული. კონსტანტინოპოლის სახელოსნოში დამზადებული ეს შესანიშნავი მინანქარი საქართველოში ალბათ თავად მარიამმა ჩამოიტანა, როდესაც 1072 წელს ჩამოვიდა მომაკვდავ მამასთან, ბაგრატ მეოთხესთან გამოსამშვიდობებლად.

ქალთა დიპლომატიური მოღვაწეობის იშვიათი მაგალითია თამარ მეფის დროს აჯანყებულ ფეოდალებთან ორი დიდგვაროვანი მანდილოსნის - კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის - მისია. მათ წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ საქმეს და საქართველოში შინა აშლილობა დაამშვიდეს.

მსოფლიო ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თამარ მეფის პიროვნება. ის, რაც მისი მეფობის ჟამს გადახდა თავს საქართველოს და რა წარმატებებსაც მისი მეთაურობით მიაღწია ქვეყანამ, ნებისმიერ ვაჟკაც მბრძანებელსაც გაუჭირდებოდა. დავიწყოთ იმით, რომ მეფეთა-მეფე თამარი თავად შეეგებებოდა ხოლმე საომრად შეკრებილ ქართველთ ლაშქარს, ამოწმებდა მის მზადყოფნას. მემატიანე მოგვითხრობს, თუ როგორ მიაცილებდა იგი ბრძოლის ველზე მიმავალ მეომრებს (იხილნა აბჯრითა კეთილთა და პატიოსანთა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათნი“), როგორ ლოცავდა ლაშქარს და გადასცემდა მთავარსარდალს „დროშას სვიანად ხმარებულს გორგასლიანს და დავითიანს“. ძნელია მეფეთა-მეფის თამარის ყველა ძლევამოსილი ლაშქრობის ჩამოთვლა. ასეთივე წარმატებული და ღირსეული იყო მისი საგარეო პოლოტიკა, დიპლომატია, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი მაინც მისი საშინაო პოლიტიკა იყო. დავუკვირდეთ და ჩავუფიქრდეთ მემატიანის სტრიქონებს: „მის დროს მონასტერსა დალეწასა ვერვინ იკადრებდა, ქარავანს ვერვინ ძარცვავდა, ამერი და იმერი.“ „ქვეყანაში მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო“... „და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა სწორად იმოსებოდეს“ (ლაშა გიორგის ისტორიკოსი).

სარწმუნოებისათვის, ერისათვის თავდადების, მამულისა და რწმენის ერთგულების სიმბოლოა ყოველი ქართველისათვის ქეთევან დედოფლის ნათელი სახე. „გაუტეხელი სიმტკიცე“ უწოდა დედოფლის თავგანწირვას გერმანელმა მწერალმა ა. გრიფიუსმა.

საქართველოს ისტორიამ ნიჭიერ პოეტ ქალთა სახელებიც შემოგვინახა. მათ შორის არიან: მეფე ბაგრატ მეოთხის მეუღლე ბორენა დედოფალი (XI ს.). მეფეთა-მეფე თამარს მიაკუთვნებენ „იამბიკოს“, შამქორის ომში (1195 წ.) მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავ პოეტურ ქმნილებას. ცნობილია ერეკლე მეორის თანამედროვე ქალი მანანა. მეფე ერეკლეს ასულები მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები პოეტური და მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ყველაზე უმცროსი ასული თეკლე ბაგრატიონი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა თანაგრძნობისა და დახმარებისათვის იგი თავის ორ ვაჟთან ერთად კალუგაში იყო გადასახლებილი.

საქართველოს ისტორიაში ქალის მნიშვნელიბის დამადასტურებელი კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტები ალბათ საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა წვლილი შეიტანეს ქართველმა ქალებმა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და რა დიდ ძალას წარმოადგენდა ქალის ფაქტორი საქართველოს ისტორიაში.

შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მონაცემი თანამედროვე საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა დარგში ქართველ ქალთა წვლილისა, მათი როლისა ქვეყნის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენთვის უკეთ ცნობილ შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროებს. ყველას კარგად მოეხსენება საქართველოს სახელოვან მეცნიერ ქალთა სახელები, მხატვარ, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარ ქალთა მიღწევები. განსაკუთრებული აღვნიშვნის ღირსია მსოფლიოს უდიდეს მოჭადრაკე ქალთა სახელები. მათი სწორუპოვარი წარმატებებიც ღრმა ისტორიულ ფესვებზეა აღმოცენებული.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ექსკურსი ერთ კონკრეტულ, პრაქტიკიულ მიზანს ისახავს, აქცენტი ჩვენს დღევანდელობაზე უნდა გადავიტანოთ. საქართველოს ისტორია ხომ უსასრულო კატაკლიზმების, განსაცდელებისა და გამანადგურებელი თავდასხმების უსასრულო წყებაა. პარადოქსია, მაგრამ დღესაც, ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან, საქართველო კვლავ უმძიმესი განსაცდელის - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნისათვის ამ უკიდურესად რთულ ვითარებაში, მშობლიური მიწის ნაწილის მოკვეთის შემზარავი პერსპექტივის წინაშე სწორი სამოქმედო გზის ძიებისას, აუცილებელია ისტორიულ ჭრილში გავიაზროთ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ჩვენი დღევანდელობის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ქალთა მდგომარეობა ქვეყანაში.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა სირთულე უმძიმეს ტვირთად სწორედ ქალის მხრებს დააწვა, რადგან ნებისმიერი პროფესიის ქალი ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, ესენია: საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და ოჯახის, შვილების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული, ხშირად თითქმის გადაულახავი სირთულეები. ამ თვალსაზრისით, თუკი რამეში დღეს შეიძლება დავინახოთ თანასწორუფლებიანობის პრინციპის გატარება - ეს არის უკიდურესი ეკონომიკური დაკნინებისა და გაჭირვების თანასწორუფლებიანობა ქალთა ყველა

ფენისათვის, მცირედი გამონაკლისის გარდა. თუკი ამგვარი მდგომარეობა კიდევ დიდხანს გასტანს, ქვეყანა დაკარგავს მოსახლეობის არსებითი და უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილის - ქალთა ინტელაქტუალური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის გამოყენების შანსს და ამით აუნაზღაურებელი ზარალი მიადგება ქვეყნის მომავალს, მის განვითარებას.

დღეს საქართველოში ქალთა შემოქმედებითი პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული. ამ მდგომარეობის შეცვლის აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა, ქალის მატერიალური მდგომარეიბის განმტკიცება. მთავრობამ, საზოგადოებამ, მეტი გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს ქალის მიმართ, უნდა შეიქმნას მისთვის შრომისა და შემოქმედებისათვის ნორმალური პირობები.

ქართველ ქალს დღითი დღე ახალი პრობლემები ემატება: შვილების განათლებასთან დაკავშირებული სიძნელეები (ფასიან სწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით), მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა (ისევ ფასიან მკურნალობაზე გადასვლის სირთულეები), ახალგაზრდობის კატასტროფული ემიგრაცია საქართველოდან (სწავლისა და მუშაობის პრობლემის გადასაწყვეტად) და სხვა. ამ საკითხთა მოუგვარებლობა საბედისწერო იქნება ქვეყნის მომავლისათვის.

ჩვენ შემთხვევით როდი შევეხეთ ქალის როლს საქართველოს წარსულში, როდესაც მას ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეჰქონდა თავისი ღირსეული წვლილი. იგი საუკუნეთა განმავლობაში იღვწოდა თავისი ქვეყნისათვის, რითაც კი შეეძლო ემსახურებოდა მის მომავალს. ეს უნარი ქართველმა ქალმა დღემდე მოიტანა და მას ამჟამადაც უნდა მისცეს თავისი უკიდეგანო პოტენციის გამოვლენის ელემენტარული საშუალება. ქალი - მუშა, ქალი მეცნიერი, ქალი დიასახლისი, ქალი - შემოქმედი ქვეყნის დასაყრდენია, მისი მომავლის საფუძველია. ქართველმა ქალმა საუკუნეთა მანძილზე შეინარჩუნა თავისი შემოქმედებითი მუხტი. ამიტომ აუცილებელია, ქალის უშრეტი ენერგია, მისი იშვიათი აქტიური ბუნება კვლავაც გამოვიყენოთ ქვეყნის სასიკეთოთ.

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-0l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.4&d=HASH7c2cdfc3df062b13a231d8.2

❖ **არგუმენტირებული ესე**

მსჯელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია არგუმენტაცია, ანუ პოზიციის დასაბუთება და ადეკვატური არგუმენტებით გამყარება. არგუმენტირებულ ესეში ავტორი წარმოაჩენს თავის სუბიექტურ მოსაზრებებს, გვთავაზობს საკუთარ პოზიციას და გვიჩვენებს, ეთანხმება თუ არა ამა თუ იმ შეხედულებას და მის მიერ მოხმობილი არგუმენტებით ლოგიკურად ასაბუთებს თავის სათქმელს. ამ ტიპის ესეს მიზანია დაარწმუნოს მკითხველი თავის მოსაზრებაში, შეცვალოს მისი დამოკიდებულება მკითხველის პოზიციის მიუხედავად, ეს ყოველივე კი არგუმენტირებული, ანუ დასაბუთებული მსჯელობით მიიღწევა.

ესეში ავტორი მკითხველს არა მარტო ინფორმაციას აწვდის, არამედ განსახილველი საკითხის შესახებ გადმოსცემს როგორც მხარდამჭერ, ისე საპირისპირო მოსაზრებებს.

არგუმენტირებული ესე რამდენიმე პრინციპით შეიძლება აიგოს:

ძირითადი დებულება
I არგუმენტი
II არგუმენტი
კონტრარგუმენტი
დასკვნა

ძირითადი დებულება
კონტრარგუმენტი
I არგუმენტი
II არგუმენტი
დასკვნა
ძირითადი დებულება
I არგუმენტი
II არგუმენტი
III არგუმენტი
დასკვნა

კონტარგუმენტს არგუმენტირებულ ესეში ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რადგან იგი მოხმობილია იმისათვის, რომ შემდგომი მსჯელობით აუცილებლად გაბათილდეს ავტორის მიერ მოყვანილი არგუმენტის სასარგებლოდ.

არგუმენტირებული ესესათვის თემატიკის შერჩევა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან ყველა საკითხი არ იძლევა არგუმენტირებული მსჯელობის აგების საშუალებას. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ ევროკავშირში თურქეთის გეოპოლიტიკურ როლზე, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ევროკავშირი არ მოიაზრება თურქეთის გარეშე და აქ კონტრარგუმენტები უბრალოდ არ არსებობს. ეს არც არგუმენტაციას საჭიროებს, რადგან უკვე ფაქტია. ასევე, არგუმენტირებული ესესათვის ძალიან ზოგადი საკითხია ნარკოტიკების ან აბორტის აკრძალვა. მართალია, ორივე პრობლემა როგორც სამედიცინო, ისე მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით მიუღებელია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში იგი სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებულია, უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში აუცილებელიცაა.

◈ ინტერპრეტაციული ესე

ინტერპრეტაციული ესე, ძირითადად, იქმნება მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს და მასში ესეს ავტორის სუბიექტური პოზიცია განმსაზღვრელია. მაგალითად, ხევისბერი გოჩას საქციელი ერთმა ავტორმა შეიძლება დადებითად შეაფასოს, ხოლო მეორესათვის იგი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს. ინტერპრეტაციული ესე შეიძლება შეიქმნას ისეთ თემებზეც, რომელთა შესახებაც საზოგადოებაში შეიძლება არაერთგავეროვანი დამოკიდებულება არსებობდეს ან, უფრო მეტიც, მის შესახებ მკვეთრად სუბიექტური მოსაზრების გამოთქმაც სურდეს ესეს ავტორს.

◺ ნიმუში:

ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ფატმან-ხათუნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟია. მართლაც, ტექსტი იძლევა იმის ფიქრის საშუალებას და ძნელი არ არის ადვილად შეამჩნიო მისი უაფყოფითი თვისებები, თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება ამ გმირს განსხვავებული პოზიციიდანაც შევხედოთ.

ფატმან-ხათუნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თავისთავადი პერსონაჟია. იგი თანამედროვე ადამიანს ჰგავს - მისი ცხოვრების წესი სრულიად უპირისპირდება დანარჩენი პერსონაჟებისას, გამოირჩევა იმით, რომ ცხოვრობს ისე, როგორც სურს – საკუთარი

სიამოვნებისთვის. ავტორი მას გვიხატავს ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარულ, მიწიერ, ნაწარმოების იდეალურ გმირთაგან სრულიად განსხვავებულ ქალად.

ფატმანი გულანშაროს მკვიდრია, ვაჭართა უხუცესის, უსენის, მეუღლე. ვაჭართა ქალაქში იგი კარგი მასპინძლობითა და მხიარული ხასიათითაა ცნობილი:

„ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,

პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი.“

ფატმანი გარეგნულად ლამაზი ქალი იყო, თუმცა მისი სილამაზე სრულიად განსხვავდება რუსთაველის მიერ დახატული სხვა პერსონაჟების მშვენიერებისაგან. მისი პორტრეტი სრულიად ხელშესახებია, მიწიერია, ჩანს, „ნაკვთად კარგმა და შავგვრემანმა“ ფატმანმა იცის, როგორ მოაჯადოვოს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები და თავის ამ უნარს ხშირად იყენებს კიდეც. გავიხსენოთ მისი სასიყვარულო ურთიერთობები ავთანდილსა და ჭაშნაგირთან.

კითხვის ნიშანს ბადებს ჭაშნაგირის მიმართ ფატმანის მიერ გამოჩენილი სისასტიკე და დაუნდობლობა, რაც, შესაძლოა, საკუთარი ოჯახისა და შვილების გადარჩენის სურვილით იყოს გამოწვეული, თუმცა, ბუნებრივია, ეს ოდნავადაც არ ამართლებს მის გადაწყვეტილებას.

რუსთაველი ფატმან-ხათუნს მრავალმხრივ ადამიანად გვიხატავს. ერთი მხრივ, ის მიწიერი, ფასეულობებზე მიჯაჭვული, ჩასაცმელ-დასახურისა და ლხინის მოყვარული ქალია. მეორე მხრივ კი, ამ „მუტრიბთა და მომღერალთა“ მოყვარულ ადამიანს შესანიშნავად შეუძლია ამაღლებულისა და მშვენიერის აღქმა და დაფასება. გავიხსენოთ, როგორი ემოციით ყვება იგი ნესტანთან პირველი შეხვედრის შესახებ, მის თავგადასავალს.

ყველაზე მთავარი კი, რაც ფატმანს ახასიათებს, მისი ერთგულება და გაბედულებაა. ფატმანის დადებით თვისებათა შორის უნდა დავასახელოთ ის, რომ მას შეუძლია სხვა ადამიანის ტკივილის, ტრაგედიის გულწრფელად გაზიარება. ნესტანის განსაცდელი თითქოს მის განსაცდელად ქცეულა, ამიტომაც მზად არის, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაეხმაროს ინდოეთის მეფის ასულს. ეს უკანასკნელიც უფასებს ფატმანს ამაგს და „დედისა მჯობ დედას“ უწოდებს და ბოლომდე ენდობა მას.

ფატმანს უდიდესი როლი მიუძღვის ნესტანის გამოხსნის საქმეში. სწორედ მისი დახმარებით გახდა შესაძლებელი მისი გათავისუფლება ქაჯთა ტყვეობიდან. დატყვევებული ნესტანის დახსნა სიმბოლურად კეთილის ბოროტზე გამარჯვებაა.

პოემის ფინალურ ნაწილში ჩვენ სრულიად სახეცვლილ ფატმანს ვეცნობით. მისი სიტყვები - „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი" - მის სულიერ მეტამორფოზაზე მიგვანიშნებს. ფატმან-ხათუნი მარადიული ფასეულობების არსს ჩასწვდა და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შეიმეცნა. მან საკუთარ თავში იპოვა ძალა, რომ ახალი ცხოვრება დაეწყო. „ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებიდან იგი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და დიდსულოვანი ადამიანია, ხოლო მისი სახე - ხელშესახები და რეალური.

რუსთაველის გენიალობა ის არის, რომ ამ, ერთი შეხედვით, არამყარი მორალური ფასეულობების ქალის სახეცვლილებას იგი სრულიად დამაჯერებლად და ბუნებრივად გვიხატავს, ხოლო მკითხველს სიმპათიით განაწყობს ამ პერსონაჟის მიმართ.

◈ მიზეზ-შედეგობრივი ესე

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მიზეზ-შედეგობრივ ესეში განხილულია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის მიზეზი და მისგან გამოწვეული ან მოსალოდნელი შედეგი. ამ ტიპის ესეში შეიძლება გამოიყენოთ წინადადებათა ჯაჭვური გადაბმის ხერხი. მიზეზ-შედეგობრივი ესე გამოიყენება ისეთი მსჯელობისას, როდესაც ავტორი შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას გამომწვევ მიზეზზე, რათა ლოგიკურად და მარტივად მიიყვანოს მკითხველი მოსალოდნელ შედეგამდე და გახადოს უშუალო თანამონაწილე ამ პროცესისა. ავტორი შეგნებულად უსვამს ხაზს უშუალოდ მიზეზსა და შედეგს და გვერდს უვლის სხვა დამატებითი ინფორმაციის ან სხვა ტიპის მსჯელობის შემოტანას. ასეთი ესე ეფექტურია საჯარო გამოსვლების, სააგიტაციო სიტყვის მომზადების დროს, ზეპირი პრეზენტაციისას, სარეკლამო ფუნქციის ტექსტის შექმნის დროსაც, რადგან მკითხველი კონცენტრირებულია სწორედ შედეგზე. ამ ტიპის ესეში მიზეზის ჩვენება უფრო დამხმარე საშუალებაა, დამხმარე რგოლია შედეგის კარგად გასაცნობიერებლად, გასაანალიზებლად და შედეგის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე ყურადღების გასამახვილებლად. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზის გამოკვეთა მეორეხარისხოვანი ფუნქციის მქონეა, მის სწორად მიწოდებას დიდი ყურადღებით უნდა მოეპყროს ავტორი. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ მიზეზსა და შედეგს შორის ლოგიკური კავშირი თვალნათლივ უნდა ჩანდეს, რათა არ დაიკარგოს მკითხველის ნდობა ავტორისადმი, რაც, საბოლოოდ, ესეს მიზანს განაპირობებს. გახსოვდეთ, რომ მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დაცვა აუცილებელია სათქმელის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებისათვის.

◣ ნიმუში:

გლობალური დათბობა – კაცობრიობის ახალი თავსატეხი

შესავალი:
ბოლო პერიოდში მეცნიერები შეშფოთებას გამოთქვამენ გლობალური დათბობის გამო.

მიზეზები:

- ეკობალანსის დარღვევა;
- ენერგომატარებლების მოხმარების ზრდა;
- ადამიანთა დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულება პრობლემისადმი;
- მეცნიერთა პროგნოზის უგულებელყოფა.

გარდამავალი წინადადება:

ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზი ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების წინაშე აყენებს კაცობრიობის მომავალს და, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მისი შედეგები გაცილებით უფრო მძიმე იქნება, ვიდრე იყო ეპიდემიებისა და მსოფლიო ომების დროს.

შედეგები:

- გლობალური დათბობის შედეგი კაცობრიობამ უკვე იწვნია თავის თავზე:
- საშუალო წლიური ტემპერატურის რამდენიმე გრადუსით მატება;
- ყინულოვანი საფარის შემცირება;
- უხვნალექიანობა, წყალდიდობების გახშირება;
- ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება.

დასკვნა:
ეს ფაქტორები ფატალურ შედეგებამდე მიიყვანს კაცობრიობას და საჭიროა გონივრული და გეგმაზომიერი ქმედება პრობლემის მოსაგვარებლად.

მიზეზისა და შედეგებების განაწილება ესეში საჭიროების მიხედვით ხდება. ამისათვის გთავაზობთ რამდენიმე მარტივ სქემას, რომლებიც დაგეხმარებათ ესეს სტრუქტურის მოხერხებულად აგებაში. გახსოვდეთ, რომ მთავარია კარგად გაიაზროთ მიზეზი და შეარჩიოთ შესაფერისი მოდელი სათქმელის უკეთ გამოსახატავად. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია

შექმნათ შესავალი და დასკვნითი ნაწილი, ხოლო რიგ შემთხვევებში გარდამავალი წინადადების გამოყენებაც დაგჭირდებათ.

I ვარიანტი:

შესავალი
I მიზეზი
II მიზეზი
III მიზეზი
გარდამავალი წინადადება
I შედეგი
II შედეგი
დასკვნა

II ვარიანტი:

შესავალი
I მიზეზი
II მიზეზი
III მიზეზი
გარდამავალი წინადადება
შედეგი
დასკვნა

III ვარიანტი:

შესავალი
შედეგები
გარდამავალი წინადადება
I მიზეზი
II მიზეზი
III მიზეზი
დასკვნა

IV ვარიანტი:

შესავალი
I მიზეზი
I შედეგი
II მიზეზი
II შედეგი
III მიზეზი
III შედეგი
დასკვნა

ზემოთ შემოთავაზებული ესეს მონახაზი აგებულია პირველი ვარიანტის მიხედვით. ავტორის სურვილისა და კონკრეტული ამოცანის შესაბამისად ესე შესაძლებელია ამ ოთხიდან ნებისმიერი ვარიანტის მიხედვით აიგოს ან შეიქმნას სხვა ვარიაციაც. თუმცა, უმთავრესია ძირითადი პრინციპების დაცვა და გათვალისწინება იმისა, რომ შედეგი უნდა გამომდინარეობდეს მიზეზიდან და არ იყოს მხოლოდ ავტორის სურვილის მიხედვით მოწოდებული. აზრის

მდინარების ლოგიკური ჯაჭვი არ უნდა დაირღვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ესე ეჭვს აღძრავს მკითხველში და თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს.

მიზეზ-შედეგობრივი ესეს აგების ენობრივი საშუალებები:

მიზეზი:
ამის გამომწვევი მიზეზებია... ეს იწვევს იმას, რომ... ვინაიდან... რადგან... ამიტომაც... მას შემდეგ, რაც... ამან გამოიწვია ის, რომ... ეს ყველაფერი გახდა იმის მიზეზი, რომ... შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი მიზეზები... რამდენადაც... იმდენად რამდენადაც... ამაზე გავლენა იქონია...

შედეგი:
შედეგად... აქედან გამომდინარე... შესაბამისად... ასე რომ... შედეგად მივიღეთ ის, რომ... ამის შედეგია... ამას მოჰყვა... ლოგიკურად გამომდინარეობს... ამდენად... ამიტომ... სწორედ ამიტომ... თუნდაც ამიტომ...

ნიმუში:

უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა რეკლამა სახელმწიფო კონტროლს?

არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებსაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი, ვფიქრობ, სახელმწიფო მკაცრად უნდა აკონტროლებდეს – მათ შორისაა სარეკლამო ბიზნესიც.

რატომ უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო რეკლამას, რისი პროპაგანდა ან რა სახის მიუღებელი ინფორმაცია ვრცელდება რეკლამით? რეკლამა დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება. როგორც წესი, ამ კანონებში არის მრავალი აკრძალვა. აკრძალვა შეიძლება ეხებოდეს ალკოჰოლისა და სიგარეტის რეკლამას ან სათამაშო ბიზნესის რეკლამის დღის საათებში არგაშვებას და ასე შემდეგ.

სარეკლამო ბიზნესში გამოვყოფდი, ძირითადად, საფრთხის ორ კატეგორიას, რომლებსაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან: 1. რეკლამის მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელება

და 2. ისეთი სარეკლამო ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ზიანს მოუტანს საზოგადოებას. ხშირია შემთხვევები, როცა რეკლამის მიერ ამა თუ იმ პროდუქციის თვისებების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ამით ზიანდება მომხმარებელი. იგი, ფაქტობრივად, მოტყუებულია პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის მიერ. უფრო რთულად არის საქმე, როდესაც პროდუქციას აქვს უკუშედეგი და მოაქვს პირდაპირი ზიანი მომხმარებლისთვის. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება სილიკონის მწარმოებელი ერთ–ერთი ფრანგული კომპანიის საქმე, რომლის პროდუქციის მომხმარებლებიც დაავადდნენ სიმსივნით. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო კონტროლს რეკლამაზე საკუთარი მოქალაქეების დასაცავად არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მეორე კატეგორიის საფრთხეში, ანუ რეკლამის მიერ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებას, ვგულისხმობ, ალკოჰოლის, სიგარეტისა და სათამაშო ბიზნესის რეკლამას. არ გამოვრიცხავ, რომ ამ სახის რეკლამამ გარკვეული გავლენა იქონიოს ახალგაზრდობაზე. განსაკუთრებით პრობლემატური დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში სათამაშო ბიზნესია და თითოეული ჩვენგანის გარშემო მოიძებნება მინიმუმ ერთი ადამიანი, რომელსაც სერიოზული ფინანსური პრობლემები შეჰქმნია ფულით თამაშზე დამოკიდებულების გამო. რაკი ვცხოვრობთ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში და რეკლამას დიდი შემოსავალი მოაქვს როგორც კერძო სექტორის, ასევე სახალმწიფოსათვისაც, მსგავსი რეკლამების აკრძალვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. უპრიანი იქნებოდა სარეკლამო დრო განსაზღვრულიყო ღამის საათებით, რათა, მინიმუმ, ბავშვები მაინც დაგვეცვა მსგავსი რეკლამის გავლენისაგან.

თანამედროვე საზოგადოებაში წარმატებული რეკლამა პროდუქციის კარგად გასაღების გარანტიაა. შესაბამისად, ბიზნესი საკუთარი ნაწარმის გასასაღებლად უკან არაფერზე დაიხევს და რეკლამაც კანონდარღვევით შეიძლება დაამზადოს და გამოიყენოს. სწორედ აქ არის სახელმწიფოს ფუნქცია, რომ არ დაუშვას საკუთარი რიგითი მოქალაქეების დაზარალება და მკაცრად გააკონტროლოს სარეკლამო სფერო.

◈ შ ე დ ა რ ე ბ ა - დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი თ ი ე ს ე

შედარება-დაპირისპირებითი ესე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორს სურს მკითხველს მიაწოდოს ორი ან მეტი პოზიციის, დებულების, მოვლენის, ფაქტის, საგნის შედარება ან დაპირისპირება. ავტორმა შეიძლება შედარება-დაპირისპირების შედეგად მიღებული პოზიცია თავადვე დააფიქსიროს ესეში ან შესაძლოა მკითხველს დაუტოვოს არჩევანის საშუალება. აუცილებელია, რომ ავტორი იყოს ობიექტური, თანაბრად წარმოაჩინოს ამა თუ იმ საკითხის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე, რათა მოიპოვოს მკითხველის ნდობა და ესემ ბოლომდე შეასრულოს თავისი ფუნქცია.

ეს მოდელი ეფექტურია სამეცნიერო ან ანალიტიკური ესეს შექმნისას, საკითხის მიმოხილვისას. ამ ტიპის ესე იმეორებს კლასიკური ტიპის ესეს სტრუქტურას, მაგრამ ძირითად ნაწილში მინიმუმ ორი პარაგრაფი ან აბზაცი უნდა გამოიყოს: პირველში წარმოჩნდება საერთო ნიშნები მოცემულ საგნებსა ან მოვლენებს შორის (იგულისხმება, რომ აქ შევა თეზისი, არგუმენტი, საჭიროების შემთხვევაში - ქვეარგუმენტი), ხოლო მეორეში – განმასხვავებელი ნიშნები და მახასიათებლები იმავე საგნებსა და მოვლენებს შორის.

შედარება–დაპირისპირებითი ესეს სქემა ასეთი იქნება:

I. შესავალი
ძირითადი წინადადება, თეზისი

II. ძირითადი ნაწილი

1) მსგავსებები (მთავარი წინადადება, ამხსნელი წინადადება, შემაჯამებელი წინადადება)
2) განსხვავებანი (მთავარი წინადადება, ამხსნელი წინადადება, შემაჯამებელი წინადადება)

III. დასკვნა

⅓ ნიმუში:

სათაური: კერძო სექტორი თუ სახელმწიფო სტრუქტურა

I. შესავალი

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მთელ მსოფლიოში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული კერძო სექტორში, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურაში.

II. ძირითადი ნაწილი

1) **მსგავსებები**

• ორივე სტრუქტურაში თანაბრად შეიძლება პიროვნული მონაცემების სრული რეალიზაცია;

• მოტივირებული და ინიციატივიანი ადამიანი ორივე სტრუქტურაში აღწევს წარმატებებსა და თანამდებობრივ წინსვლას;

• ორივე სისტემა მეტ-ნაკლებად გულისხმობს კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობას;

2) **განსხვავებანი**

• კერძო სტრუქტურა შედარებით უფრო მაღალანაზღაურებადია, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულება;

• კერძო სტრუქტურაში უფრო ადვილად და სწრაფად ინერგება ინოვაციები, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურაში;

• კერძო სტრუქტურაში შვებულებისა და დასვენების დღეები შედარებით ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებებში;

III. დასკვნა

საბოლოოდ, თითოეული პიროვნების გადასაწყვეტია, თუ სად იმუშაოს.

შედარება-დაპირისპირებითი ესეს აგების ენობრივი საშუალებები:

შედარება
როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში... პარალელი შეიძლება გავავლოთ... თუ შევუდარებთ... ორივეგან ჩანს, რომ... ორივე შემთხვევაში იკვეთება... ორივე ფაქტს/მოვლენას აერთიანებს ის, რომ... მათ შორის ჩანს მსგავსებაც... აღნიშნულ მოვლენებს/ფაქტებს აქვს გადაკვეთის წერტილი... აშკარად ვლინდება მსგავსება...

დაპირისპირება
ერთი მხრივ... მეორე მხრივ... ერთი თვალსაზრისით... მეორე მოსაზრებით... ამ პოზიციიდან გამომდინარე... სამაგიეროდ... თუ... თუ ეს დებულება მისაღებია, მაშინ... ამის საპირისპიროდ... ამისაგან განსხვავებით... სრულიად საპირისპიროა... რადიკალურად განსხვავებულია... აშკარად ვლინდება განსხვავება...

ნიმუში:

არდადეგების გატარების ორი გზა - მოგზაურობა თუ შინ დასვენება?

თანამედროვე საზოგადოებაში არდადეგების სახლში გატარება დასვენების ერთ-ერთი პოპულარული და გავრცელებული საშუალებაა. ის განსაკუთრებით ხელსაყრელია რამდენიმე მიზეზის გამო: იაფია, შედარებით უსაფრთხოა და მარტივი, ზოგავს ჩვენს დროს, ფინანსებსა და ენერგიას.

საკუთარ სახლში ან/და ეზოში დასვენება თანამედეროვე დასავლურ სამყაროში საკმაოდ გავრცელებულია განსაკუთრებით მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისების ფონზე. თუმცა, ნამდვილად არსებობს რამდენიმე სერიოზული მიზეზი იმის სამტკიცებლად, რომ მოგზაურობა არის დასვენების უკეთესი საშუალება, მიუხედავად მოსალოდნელი ხარჯებისა და ყველა იმ უსიამოვნო პროცედურისა, რომლებიც მოგზაურობის ორგანიზებას ახლავს თან.

მოგზაურობისას ადამიანს უაქტიურდება აღქმა და სხვა შეგრძნებები, როდესაც მისთვის უცხო და ახალ გარემოში ხვდება. უმჯობესია, უცხო ქვეყნების სამზარეულო თავად დააგემოვნო, ვიდრე მეგობრის მონაყოლით ან სატელევიზიო კულინარიული გადაცემით შეიქმნა წარმოდგენა ამა თუ იმ კერძზე. რა თქმა უნდა, ადამიანთა უმეტესობა პირველ შესაძლებლობას მიანიჭებდა უპირატესობას. უფრო მეტიც, „დისქავერისა“ და „ნეიშენელ ჯეოგრაფიკის“ მიერ მომზადებულ გადაცემებში ნაჩვენებ ტურისტულ სანახაობებსა და ეგზოტიკურ ადგილებს ან რომელიმე ინტერნეტბლოგსა თუ სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურაში წაკითხული ინფორმაციით გამოწვეულ ემოციას ბევრად აღემატება საკუთარი თვალით ნანახი და უშუალოდ განცდილი შთაბეჭდილებები. ამავე დროს, ადამიანს მოგზაურობისას უყალიბდება საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ ადგილის, კულტურის, ტრადიციების მიმართ, განსხვავებით სხვის მიერ მომზადებული მასალის გაცნობისაგან.

გარდა ამისა, მოგზაურობისას ადამიანს აქვს არჩევანის თავისუფლება - შეუძლია თვითონ დაგეგმოს თავისი მარშრუტი, გასინჯოს საკვები, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებს, ეწვიოს ადგილებს, რომელთა დათვალიერებაზეც დიდხანს ოცნებობდა და შეიძინოს ადგილობრივი სუვენირები ან ტრადიციული სამოსი. მოგზაურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ახალ ადამიანებთან შეხვედრა, პატარ-პატარა აღმოჩენები, რომლებიც მთელი ცხოვრების მოგონებადაც კი შეიძლება იქცეს.

როგორც ცნობილია, მოგზაურობა შეჩვეული გარემოსა და ყოველდღიური რუტინისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც ხშირად ანტიდეპრესანტის ფუნქციას კი შეუძლია შეასრულოს.

მოგზაურობა განათლების მიღების ერთ-ერთი ალტერნატიული და გამოცდილი გზაცაა. უფრო მეტიც, მან შეიძლება მთლიანად შეცვალოს ჩვენი ცხოვრების წესი და ახალ ადამიანად გვაქციოს.

მიუხედავად ამდენი უპირატესობისა, ადამიანები ხშირად სვამენ კითხვას - ღირს კი მოგზაურობაზე ამდენი ფულის დახარჯვა? ან ხომ არ სჯობს სახლში დარჩენა, სადაც ადამიანი ყველაზე კომფორტულად და დაცულად გრძნობს თავს, მით უმეტეს, თუ ეს ყველაფერი ნაკლებ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული? თანამედროვე ადამიანი ძალიან დაკავებულია, პრაქტიკულად არ რჩება დრო გართობის ან საყვარელი საქმისათვის. ამიტომ სახლში დარჩენისას და არდადეგების ამ ფორმით გატარებისას უფრო მეტად არის შესაძლებელი და უფრო მეტი დრო შეიძლება დავუთმოთ საყვარელი წიგნების წაკითხვას, ფილმების ყურებას, დიდი ხნის სასურველი საქმიანობით დაკავებას, თუნდაც ნამცხვრის გამოცხობას ან ხატვას, დაბოლოს, არაფერზე ფიქრი და კარგად გამოძინება ყველასთვის ერთ-ერთი სასურველი აქტივობაა.

თუ სახლში გავატარებთ არდედეგებს, ნამდვილად შეგვეძლება საკუთარი სივრცის მოწესრიგება, საკუთარ თავში ჩაღრმავება, სამომავლო გეგმების დასახვა, ყოველდღიური რუტინა ან, თუნდაც, აქტიური მოგზაურობა ამის საშუალებას კი ნაკლებად გვაძლევს.

ამ დროს მეტი შესაძლებლობა გვაქვს, ვიურთიერთოთ ადამიანებთან, გავიხსენოთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები, მოვიწვიოთ ისინი ვახშამზე და გავუმასპინძლდეთ ბებიას რეცეპტის მიხედვით საკუთარი ხელით მომზადებული ხაჭაპურით.

მიუხედავად ამისა, დასვენების ორივე ფორმას შეიძლება მოვუძებნოთ უარყოფითი მხარეები. მოგზაურობა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ დამღლელი, სახლში დარჩენა კომფორტულია, მაგრამ ნაკლებად აღძრავს ახალ ემოციებსა და მძაფრ შეგრძნებებს.

ბუნებრივია, ისმის შეკითხვა - დასვენების რომელ ფორმას ვანიჭებ უპირატესობას? ჩემთვის სიახლეებს, ახალ გამოცდილებას, ახალ ადამიანებს, ახალ განცდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მირჩევნია, სახლში დარჩენისა და ნებივრობის მაგივრად უცხო ადგილები მოვინახულო და აქტიური დასვენება მოვიწყო.

✎ **საკითხის შეჯამება:**

ესეს შექმნის წინ დავფიქრდეთ:

- *რა შინაარსის ესეს ვწერთ;*
- *ესეს რომელ ტიპს გამოვიყენებთ და რატომ;*
- *გაითვალისწინეთ მიზანი, აუდიტორია და გამოიყენეთ ესეს შექმნის სტრუქტურული და ენობრივი საშუალებები.*

პრაქტიკული სამუშაო:

▣ *განსაზღვრეთ ესეს ტიპი და დაასაბუთეთ თქვენი ვარუდი:*

I. გიორგი სააკაძე

გიორგი სააკაძე XVI – XVII საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი გამოჩენილი ქართველი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. გიორგი სააკაძე წარმოშობით ქართლელი აზნაური იყო, თუმცა ენათესავებოდა სამეფო ოჯახს. მისი და ლუარსაბ II-ის მეუღლე და ქართლის სამეფოს დედოფალი იყო.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გიორგი სააკაძე ტრაგიკული და გაორებული პიროვნება იყო. ის იბრძოდა სპარსელების მხარეს და აოხრებდა კახეთს. ამავე დროს, მან მსხვერპლად გაიღო საკუთარი ვაჟის სიცოცხლე და სპარსელებსაც დიდი ზარალი მიაყენა. თუმცა, ისტორიული პიროვნების შეფასებისათვის ეს კრიტერიუმები არ არის საკმარისი და გამოყოფენ შემდეგ კატეგორიებს:

რა სამსახურს უწევს ის თავის ქვეყანას;
რა როლი აქვს მას ცივილიზებული მსოფლიოს განვითარებაში.

გიორგი სააკაძე, როგორც სპარსული არმიების სარდალი, მონაწილეობდა კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კამპანიაში, რაც მიზნად ისახავდა აქ ეთნიკური წმენდის ჩატარებას, ანუ კახელების ამოწყვეტას. ეს ფაქტი როგორც კონკრეტული მოვლენების თანამედროვეებს, ასევე შემდგომ თაობებს სააკაძის პიროვნების მიმართ უარყოფით ემოციებს აღუძრავდა. მათი აზრით, ის მოღალატეა და სხვა არაფერი.

მოგვიანებით გიორგი სააკაძემ, როგორც ქართული ლაშქრის სარდალმა, სპარსულ არმიებს დიდი ზარალი მიაყენა მარტყოფთან და მარაბდის ველზე გამართულ ბრძოლებში (1625 წ.). აქედან გამომდინარე, ის პატრიოტი და შორსმხედველი პოლიტიკოსია.

ამ შეფასებამ ვერ გააბათილა მოსაზრება სააკაძის მოღალატეობის შესახებ და დღესაც ორივე მათგანი აქტუალურია. სააკაძის თანამედროვეთა შეფასებას სპეციფიკური მოტივაცია ჰქონდა. გიორგი სააკაძის შიდაპოლიტიკური რეფორმაციის მიზანი თავადთა და აზნაურთა წოდებრივი გათანაბრება იყო, შესაბამისად, მას ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა, რადგან თავადები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მის სურვილს მათ აზნაურებთან გათანაბრების შესახებ. სწორედ ამ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა თავდაპირველად სააკაძისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა ქვეყანა

დაეტოვებინა, სპარსეთში გადასახლებულიყო და ირანის შაჰის სამსახურში ჩამდგარიყო.

ახლა განვიხილოთ გიორგი სააკაძის როლი მსოფლიო საისტორიო პროცესებთან მიმართებით. ის, როგორც ირანის სარდალი, არბევს ქრისტიანული და ევროპული ქვეყნების უკანასკნელ დასაყრდენს – ქართლს. ფაქტობრივად, იგი შლიდა ევროპის საზღვარს, რაც ხელს უშლიდა საერთო საკაცობრიო პროცესს, ცივილიზაციის განვითარებას, რადგან ევროპა ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით უსწრებდა აზიას. მარაბდისა და მარტყოფის ბრძოლების დროს კი იგი ამაგრებდა ევროპის საზღვარს.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ გიორგი სააკაძე რთული პიროვნება იყო და მისი ცალსახად შეფასება შეუძლებელია.

II. დასავლეთი – ქართული სახელმწიფოს არჩევანი

ქართული სახელმწიფოს წინაშე ათასწლეულების განმავლობაში იდგა საკითხი, რომელი პოლიტიკური ორიენტაცია აერჩია - დასავლური თუ აღმოსავლური. სიტუაციის მიხედვით ქვეყანა იხრებოდა ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით.

თუკი შევთანხმდებით, რომ წამოყენებული ვარაუდები მცადრი არ არის, ქართული საზოგადოება ვერც ტრადიციულ დასავლურ მოდელში ჯდება და ვერც აღმოსავლურში. შესაბამისად, ქართული საზოგადოების ლოკალიზება სივრცეში (ორიენტირები აღმოსავლეთი/დასავლეთი) შეუძლებელია.

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ კანონის პატივისცემა და კანონმორჩილება საზოგადოების ძლიერების განმსაზღვრელია. განსხვავებული, თითქმის პარადოქსული სიტუაციაა ქართულ საზოგადოებაში. რაში მდგომარეობს ეს პარადოქსულობა?

საქმე ის არის, რომ საუკუნეების განმავლობაში დამპყრობლებისა და მეტროპოლიების კანონებისადმი ხაზგასმულმა დაუმორჩილებლობამ, მათდამი აგდებულმა დამოკიდებულებამ ჩვენში ჩამოაყალიბა კანონმორჩილების დაბალი კულტურა, მაგრამ იმავე გარემოებებმა გააძლიერა როგორც თავისუფლების ხარისხი, ისე ქართული ინდივიდუალიზმის წარუშლელი ღირებულება. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ქართული საზოგადოება აშკარად არ არის ევროპული საზოგადოება, რადგან დაბალია კანონმორჩილების ხარისხი, ინტენსიური შრომის კულტურა, მწირი სამოქალაქო განათლება და ა. შ.), მაგრამ ეს არ არის არც აზიური საზოგადოება (უშიშარი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, და ა. შ).

▣ მოცემულია სტრუქტურულად გაუმართავი ესეს ნიმუში. დაალაგეთ იგი შემდეგი სქემის მიხედვით: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

კარგი განათლება – გზა წარმატებული ცხოვრებისაკენ

საზოგადოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ განათლება ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერი პოლიტიკური წყობის დროს, ნებისმიერ სოციალურ ვითარებაში დიდი კაპიტალია. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, რომ ცოდნას არაფერი მოაქვს ადამიანისათვის, მისი მოსაზრება განწირულია მარცხისათვის.

მთელ მსოფლიოში ადამიანი, რომელსაც სათანადო განათლება აქვს მიღებული, იოლად შოულობს მაღალანაზღაურებად სამსახურს. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციას აქვს ვაკანსია, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა პირველ ეტაპზე შეისწავლის პრეტენდენტთა საბუთებს და უმრავლეს შემთხვევაში გასაუბრებაზე იბარებს იმ კანდიდატურებს, რომლებსაც პრესტიჟული უნივერსიტეტები აქვთ დამთავრებული.

გარდა ამისა, კვალიფიციური ადამიანები იოლად მოიპოვებენ საზოგადოების კეთილგანწყობას. ისინი ადვილად პოულობენ მეგობრებს და მეორე ნახევრებს, რადგან განათლებულ ადამიანთან ურთიერთობა საინტერესოა, ხოლო ნაკლებად განათლებული ადამიანები მოკლებულნი არიან ამ ყოველივეს.

ბოლო ხანებში ხშირია, როდესაც ადამიანები ამტკიცებენ, რომ განათლება გაუფასურდა, ჯობია გქონდეს მცირე ბიზნესი, ვიდრე წლები ხარჯო უნივერსიტეტის დიპლომის მისაღებად, შემდეგ კი უმუშევართა რიგებს შეუერთდე.

სანამ ძირითად სათქმელზე ვისაუბრებთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სინამდვილეში დიპლომი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ განათლებას. დღეს დამქირავებელს საშუალება აქვს, ტესტირების ან გასაუბრების საშუალებით შეარჩიოს მომავალი თანამშრომლის კვალიფიკაცია და შეამოწმოს მისი ცოდნის რეალური დონე.

▣ შექმენით შესავალი ნაწილი:

რატომ უნდა გამოვავლინოთ კონფლიქტი

როცა ადამიანები უზრუნველად ცხოვრობენ და საკმარისი ძალაუფლება და რესურსები აქვთ თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისინი ვერ ამჩნევენ ან უარს აცხადებენ გააცნობიერონ, რომ სხვები შევიწროვებულნი ან

გარიყულნი არიან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კონფლიქტის გამოვლენა, რათა აუცილებელი გახდეს აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

ადამიანები, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების განვითარების და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ხშირად იძულებულნი არიან გააცნობიერონ, რომ იღვწიან არა კონფლიქტის გადასაწყვეტად, არამედ გასამძაფრებლად და გამოსამზეურებლად, რათა პრობლემა გააცნობიეროს საზოგადოების ფართო წრეებმა და მიღებულ იქნას ქმედითი ზომები მის მოსაგვარებლად. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში XX საუკუნის განმავლობაში რეფორმებისათვის მებრძოლი აქტივისტები ცდილობდნენ გამოემზეურებინათ ფარული კონფლიქტები ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათ სასურველი გზით წარმართვა და მოგვარება.

სპეციალისტების ეს დებულება უეჭველად არის მიჩნეული და პრაქტიკით განმტკიცებული. ამდენად, ამ სფეროში მომუშავე პიროვნებები უნდა დაეყრდნონ ამ გამოცდილებას.

▣ თინეიჯერის მშობელი საუბრობს შვილთან ურთიერთობის პრობლემებზე. მოცემული ტექსტისათვის შექმენით მცირე ზომის შესავალი და დასკვნა, აგრეთვე დაასათაურეთ:

სათაური: ----------

შესავალი:----------

ქ-ნი ნინა ორჯონიკიძე ინტერვიუში აცხადებს:

– ბოლო პერიოდში ვგრძნობ, რომ მე და ჩემს შვილს ურთიერთობა გაგვიფუჭდა. მე ამას მის მძიმე ასაკს ვაბრალებ, თუმცა მიზეზი, ალბათ, ჩემს თავშიც უნდა ვეძებო. თუ ჩემს თინეიჯერ შვილს გამუდმებით ვაკრიტიკებ, შენიშვნებს ვაძლევ, მხოლოდ იმიტომ მივმართავ ამას, რომ მორიგი განკარგულება გავცე (როდემდე უნდა იარო ასე გაბურძნგულმა, რას გიგავს ეგ თავი?! გამორთე ტელევიზორი და წადი დაიძინე! მორჩი ტელეფონზე ლაპარაკს, დროა, საქმეს მიხედო!). დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ვამჩნევ, რომ ჩემთვის შეუმჩნევლად ჩვენ შორის თავს იჩენს გაუცხოება. შედეგად კი ის იქნება, რომ როდესაც ჩემს შვილს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დასჭირდება, იმოქმედებს სპონტანურად, მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით ან მისი თანატოლი მეგობრის გავლენით და არავითარ შემთხვევაში არ მომმართავს მე რჩევისათვის. ეს კი ჩემდამი უნდობლობის ნიშანი იქნება.

თუმცა, მე ჯერ კიდევ მაქვს შანსი, რომ ოდნავ გამოვასწორო მდგომარეობა. მაგალითად, შემიძლია ვუყიდო ჟურნალი კომპიუტერული სიახლეების შესახებ,

რომელიც ასე უყვარს, ან დავპატიჟო კინოში, ან, უბრალოდ, ვთხოვო დახმარება (მაგალითად, მომიძებნოს რამე ინფორმაცია ინტერნეტში). ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იქნება ვესაუბრო და მოვუსმინო მას კრიტიკის, ჭკუის სწავლებისა და საკუთარი ბიოგრაფიიდან მაგალითების გარეშე. არაა გამორიცხული, თავიდან გაუკვირდეს და დაიძაბოს კიდეც (ნეტა რა უნდა დედაჩემს, ხომ არ გაგიჟდა?), მაგრამ იმედი მაქვს, ეს საბოლოო ჯამში პოზიტიურ შედეგს გამოიღებს და ჩვენი ურთიერთობაც გამოსწორდება.

დასკვნა: ----------

▣ მოცემულია შესავალი, რომელშიც დასმულია საქართველოსათვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა. დამხმარე კითხვების მეშვეობით შექმენით ძირითადი ნაწილი და დასკვნა, აგრეთვე დაასათაურეთ:

სათაური: ----------

შესავალი:

საქართველო ყოველთვის იყო ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი. მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ჩვენმა ქვეყანამ შეძლო და ამ სივრცეში თავი დაიმკვიდრა, როგორც დამოუკიდებელი კულტურისა და ტრადიციების მქონე სახელმწიფომ.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2005 წლის 19 მაისს შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც გულისხმობს ერთიანი ევროპული უმაღლესი საგანმა-ნათლებლო სივრცის შექმნას, საზოგადოების მხრიდან ამ პროცესმა არაერთგვაროვანი შეფასება და ინტერესი გამოიწვია.

ძირითადი ნაწილი:

დამხმარე კითხვები:

რატომ უნდა გახდეს საქართველო ბოლონიის პროცესის მონაწილე?

რას მოუტანს ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას?

დასკვნა: ----------

▣ დაწერეთ შედარება-დაპირისპირების ესე მოცემული მოდელის მიხედვით:

თემა: *ორენოვანი სწავლების უპირატესობა*

სათაური:

შესავალი:

ორენოვანი სწავლების ფორმა დამკვიდრებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებშიც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ, ამავე დროს, მათთვის სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა აუცილებელია.

ძირითადი ნაწილი:

1) ერთენოვანი, მონოლინგვური სწავლების მახასიათებლები:

1. მოსწავლე ერთ ენაზე იღებს განათლებას, მაგრამ სწავლობს სხვა ენას, როგორც უცხო ენას.
2. მოსწავლე საგანს ითვისებს მშობლიურ ენაზე.
3. მისი აზროვნება ერთენოვანია, მას თავისუფლად შეუძლია მსჯელობა და აზროვნება მშობლიურ ენაზე.

2) ორენოვანი, ბილინგვური სწავლების მახასიათებლები:

1. მოსწავლე სწავლის დაწყებისთანავე ორ ენაზე იწყებს განათლებას. ერთი არის მისი მშობლიური ენა, მეორე კი სახელმწიფო ენა.
2. სწავლის გასრულების შემდეგ მას თავისუფლად შეუძლია ორივე ენაზე აზროვნება.
3. მოქალაქე, რომელიც სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას, ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ გრძნობს თავს.

დასკვნა:

ბილინგვური სწავლების მნიშვნელობა საქართველოს რეალობისათვის.

▣ *დაწერეთ მიზეზ-შედეგობრივი ესე მოცემული გეგმის მიხედვით:*

თემა: *დემოკრატია – ქვეყნის მოწყობის საუკეთესო ფორმა*

სათაური:

შესავალი:

- კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დემოკრატია საზოგადოების მოწყობის საუკეთესო ფორმად ითვლება.

მიზეზები:

- დემოკრატიის მთავარი პირობაა ქვეყნის მოსახლეობის სრულად ჩართვა ქვეყნის მართვა-გამგეობაში.
- დემოკრატიული არჩევნები ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის აქტიურობას განაპირობებს.

შედეგები:

- ყოველი მოქალაქე პასუხისმგებელია ქვეყნის მომავალ ბედზე.
- პასუხისმგებლობა განაპირობებს მოქალაქეთა აქტიურობას.
- არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული პიროვნება პასუხისმგებლობას გრძნობს მოსახლეობის, ყოველი მოქალაქის წინაშე.
- დაპირებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლიტიკური მოღვაწე კარგავს ავტორიტეტს, ქვეყნის მართვის უფლებას.

დასკვნა:

- საზოგადოების თითოეული წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება ქვეყნის მომავალზე.
- დემოკრატია ქვეყნის მართვის საუკეთესო ფორმაა.

▣ ააგეთ მიზეზ-შედეგობრივი ესე მოცემული შედეგების გათვალისწინებით და დასათაურეთ. ყურადღება მიაქციეთ მიზეზების ლოგიკურად ჩამოყალიბებას:

თემა: *თბილისი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.*

სათაური:

შესავალი:

მიზეზები:

გარდამავალი წინადადება:

შედეგები:

1. თბილისის ეკობალანსის დარღვევა;
2. თბილისის დაბინძურება.

დასკვნა:

◙ ააგეთ მიზეზ-შედეგობრივი ესე მოცემული მიზეზების გათვალისწინებით და დაასათაურეთ. ყურადღება მიაქციეთ შედეგების ლოგიკურად აგებას:

თემა: *თაობათა შორის კონფლიქტი*

სათაური:

შესავალი:

მიზეზები:

- თაობათა შორის მენტალური სხვაობა;
- ტრადიციების რღვევა, ღირებულებათა გადაფასება და ახალი ეპოქის მოთხოვნები;
- მოდა;
- არჩევანი – თავისუფლების შეზღუდვა თუ თავისუფალი აზროვნება;
- ცხოვრებისადმი დამოკიდებულება.

გარდამავალი წინადადება:

შედეგები:

დასკვნა:

◙ ააგეთ შედარება-დაპირისპირებითი ესე თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებების გათვალისწინებით:

თემა: ჯანსაღი თუ გემრიელი კვება

სათაური:

შესავალი:

ძირითადი ნაწილი:

1. მსგავსებები

- ორივე ტიპის კვება ანაყრებს ადამიანს;
- ორივე ტიპის კვება ხელს უწყობს ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციებს.

2. განსხვავებანი

- ჯანსაღი კვება დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე;
- გემრიელი კვება იწვევს ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის შემცველობის ზრდას;
- ჯანსაღი კვება ახალნგრძლივებს ცხოვრებას;

- გემრიელი კვება იწვევს ორგანიზმის დაბერებას.

დასკვნა:

▣ თქვენ თავად შეარჩიეთ ესეს მოდელი მოცემული სათაურებისათვის და დაწერეთ შედარება-დაპირისპირებითი ან მიზეზ-შედეგობრივი ესე.

1. განათლების რეფორმა საქართველოში.
2. საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობა?
3. სამედიცინო დაზღვევა თუ უფასო სამედიცინო მომსახურება?
4. წიგნის კითხვა თუ ინტერნეტი?
5. ტექნოლოგიური მიღწევები და თანამედროვე საზოგადოება.

ჯგუფური სამუშაო:

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ესე, დაამუშავეთ, განავრცეთ, დაასათაურეთ და მიეცით შედარება-დაპირისპირებითი ესეს ფორმა:

თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობა განვითარების უფრო და უფრო მაღალ დონეებს აღწევს. იზრდება გამოგონებების რაოდენობა ტექნიკაში, მედიცინაში, მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ა.შ.

მაგრამ ყოველ ახალ გამოგონებას სჭირდება გამოცდა, ტესტი: მუშაობს თუ არა იგი, რამდენად სახიფათოა, რა გვერდითი ეფექტები აქვს და ა.შ.

ახალი პროდუქტის გამოსაცდელად არსებობს ორი განსხვავებული გზა. ორივეს ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რომლებიც სათანადო არგუმენტებით ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას და ორივეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

წინამდებარე ესე მიზნად ისახავს არსებული ორი პოზიციის მოკლედ მიმოხილვას და, აგრეთვე, შევეცდები წარმოვაჩინო ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ეწინააღმდეგება ცოცხალ ორგანიზმებზე ექსპერიმენტების ჩატარებას, მიაჩნია, რომ ექსპერიმენტატორებნა უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიები ან მოდელები თავიანთი მიზნებისათვის. მართლაც, არის შემთხვევები, როდესაც რაიმე მექანიკურ ობიექტს იყენებენ გამოსაცდელად. მანქანის უსაფრთხოების გამოსაცდელად ადამიანის ზომის პლასტმასის თოჯინას სვამენ მასში და აჯახებენ კედელს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ნაკლები რისკია მოსალოდნელი და, მინიმუმ, არავითარ ზიანს ამგვარი გამოცდა ცოცხალ ორგანიზმს არ მიაყენებს. თუმცა, თავისთავად ექსპერიმენტის შედეგი შესაძლოა ნაკლებად სანდო იყოს, რადგან ცოცხალ ორგანიზმს ასეთ დროს ახასიათებს ბუნებრივი რეაქციები: იგი ან მდომარეობას იცვლის, ან მოძრაობის მიმართულებას ცვლის, ან მოულოდნელი განსაცდელის გამო არაადეკვატურად იქცევა, ან, პირიქით, მაქსიმალურ მობილიზებას ახერხებს.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ექსპერიმენტისთვის აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმი, რათა შედები მაქსიმალურად სანდო და დამაჯერებელი აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ეს პროცესები ხშირად ამ ცოცხალი ორგანიზმისთვის რისკის შემცველია, რადგან ექსპერმენტები ცხოველებზე ტარდება. ეს ფაქტი კი განრისხებას იწვევს უამრავ ადამიანში, რადგან, მათი აზრით, ცხოველებზე მსგავსი ცდების ჩატარება არაჰუმანური და არაეთიკურია.

ერთი მხრივ, სრულიად გასაგებია, თუ რატომ არსებობს მსგავსი მოსაზრება. ძალიან ხშირად ექსპერიმენტები საკმაოდ დიდი სისასტიკით გამოირჩევიან: ზოგჯერ საჭიროა ცხოველის ცოცხლად გაკვეთა, ან მათზე ფატალური ცდების ჩატარება. უამრავი ცხოველი ეწირება ამ პროცესებს, ხშირად ტანჯვითაც. და ცხოველებს, მიუხედავ იმისა, რომ აზროვნება არ შეუზლიატ, გააჩნიათ გრძნობები, ემოციები და მათი ასე დახოცვა ერთი შეხედვით აშკარად არაჰუმანურია.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა მიზანი აქვთ ამ ექსპერიმენტებს: ისინი არ დარტება გასართობად, ვინმეს სადისტური მიზნების დასაკმაყოფილებლად ან დაუცველ არსებებზე ძალაუფლებსი გამოსავლენად. მათ აქვთ კონკრეტული მიზანი: გამოსცადონ ახალი პროდუქტები ან/და მეთოდები. და თუკი ამის შედეგად კაცობრიობის ყოფა გაუმჯობესდება, თუკი ადამიანების სიცოცხლე გადარჩება, მაშინ, ჩემი აზრით, იმ ცხოველთა სიცოცხლე ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანებისა.

რა თქმა უნდა, არსებობს ისეთ იექსპერიმენტები, რომელთა შედეგსაც კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი წინსვლა არ მოაქვთ. ეს ცხოველთა უაზრო წამებად მიმაჩნია, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ესქპერიმენტის შედეგები ადამიანთა გადარჩენას ემსახურება, ვთვლი, რომ ისინი გამართლებულია: რაც არ უნდა იყოს, მეც ადამიანი ვარ და თუმცა ეს ხედვა ეგოისტურია, მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენი კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოველებისა.

განხილული საკითხები:

1. გეგმის შედგენა;
2. შავი ნაწერის შექმნა;
3. ნაწერის გადახედვა, რედაქტირება და კორექტურა.

1. გეგმის შედგენა

სფეროსა და საკვლევი საკითხის განსაზღვრის შემდეგ იწყება უშუალოდ წერის პროცესი. საკითხის დამუშავებისას, ბუნებრივია, ჩნდება უამრავი მოსაზრება, რომელთაგან ზოგი მნიშვნელოვანია მიზნის მისაღწევად, ზოგი კი ნაკლებად. იმისათვის, რომ წერის პროცესის წინა ეტაპი არ იყოს ქაოტური და არ აცდეთ კონკრეტულ მიზანს, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ჩამოწერეთ ყველა მოსაზრება, რომლებიც საკითხზე ფიქრის დროს გაგიჩნდებათ;
- ჩამოწერეთ ყველაფერი ის, რაც ამ საკითხის შესახებ წაგიკითხავთ ან იცით;
- მოიფიქრეთ, როგორ დააკავშირებთ ამ აზრებს ერთმანეთთან;
- გამოხშირეთ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები;
- დააჯგუფეთ პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;
- წარმოიდგინეთ, როგორ ჩამოაყალიბებთ და განავითარებთ თქვენს პოზიციას და ეცადეთ ლოგიკურად ააგოთ მსჯელობა;
- ამის შემდეგ შეადგინეთ ესეს გაშლის დეტალური გეგმა.

◈ **დეტალური გეგმის შედგენა და მისი გაშლის საშუალებები:**

➢ ***გეგმის ნაწილები, დებულება, არგუმენტი***

დეტალური გეგმა წერის პროცესის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპია. **გაითვალისწინეთ, რომ გეგმა არ არის თხრობა ან მსჯელობა, არამედ წარმოადგენს უბრალო ჩამონათვალს იმ დებულებების, ფაქტებისა და არგუმენტებისა, რომელთაც გამოიყენებთ ესეს შექმნის პროცესში.** სწორად შედგენილ გეგმას ეყრდნობა მთელი ტექსტი და ეს ავტორს საშუალებას აძლევს, რომ ორგანიზებულად ჩამოაყალიბოს სათქმელი, არ გადაუხვიოს ლოგიკურ ხაზს და

არ გადატვირთოს მსჯელობა არასაჭირო ინფორმაციით. შეიძლება ითქვას, რომ გეგმას აქვს ერთგვარი მაკონტროლებელი ფუნქცია. გეგმის პირველი ვარიანტიც შეიძლება ჩასწორდეს მუშაობის პროცესში, მას შეიძლება დაემატოს პუნქტები ან, პირიქით, შეიძლება ამოიღოთ ან გადააადგილოთ მისი შემადგენელი ნაწილები.

ტრადიციულად გეგმა რამდენიმე ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

◈ **შ ე ს ა ვ ა ლ ი**

გეგმაში მოიაზრეთ ესეს დასაწყისი. შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტიც კი შექმნათ და მათ შორის ამოარჩიოთ საუკეთესო.

◈ **ძ ი რ ი თ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი**

➢ გეგმის ჩამოყალიბების დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ძირითადი ნაწილის სტრუქტურის შედგენა. **პირველ რიგში,** უნდა დაახარისხოთ და დააჯგუფოთ თქვენ ხელთ არსებული მასალა, რის შემდეგაც აუცილებელია ჩამოწეროთ ძირითადი დებულებები, იდეები და განსახილველი საკითხის გარშემო არსებული ყველა მოსაზრება, მიუთითოთ მათი შესაბამისი არგუმენტები მოკლედ.

➢ **მეორე ეტაპია** ძირითადი დებულებების დაჯგუფება და, საჭიროებისამებრ, გაცხრილვაც, რის შემდეგაც თქვენი მიზნის მიხედვით უნდა ააგოთ გეგმა. ეცადეთ, არ გაიმეოროთ დებულება ან მოსაზრება და თუ ამგვარი შემთხვევა აღმოაჩინეთ, აუცილებლად შეცვალეთ.

გთავაზობთ გეგმის შედგენის პროცესს. მაგალითად, როდესაც ვმსჯელობთ **აშშ-ში უცხოელი სტუდენტების პრობლემების** შესახებ, პირველად ჩამონათვალში შეიძლება შევიტანოთ ასეთი პუნქტები:

ენობრივი ბარიერი;
ბავშვებისაგან ზერელე დამოკიდებულება;
ახალი ენა;
ამერიკული ოჯახური ცხოვრება;
ოჯახში იშვიათად სადილობენ ერთად;
ღარიბი ლექსიკა;
ემოციების სააშკარაოზე გამოტანა;
ამერიკელები სწრაფად საუბრობენ;
ამერიკელები არიან მეგობრულები;
პროფესორებისა და სტუდენტების ჩაცმის თავისუფალი სტილი;
ადამიანები ყოველთვის ჩქარობენ დროის დეფიციტის გამო;
იყენებენ სლენგსა და იდიომატურ გამოთქმებს;

ოჯახის წევრები ერთად არ ატარებენ შაბათ-კვირასა და შვებულებას, ასევე დღესასწაულებს;

თავდაჯერებულობის ნაკლებობა;

სტუდენტებსა და პროფესორებს შორის თავისუფალი და არაფორმალური დამოკიდებულებაა;

ამერიკული საკვები არ არის ჯანმრთელი;

ყველა იკვებება სწრაფი კვების ობიექტებში;

უცხოელ სტუდენტებს უკვირთ უსახლკაროთა არსებობა;

საკლასო გარემო;

შემდეგ ხდება ამ ჩამონათვალის შინაარსობრივი გადაჯგუფება და გამოხშირვა არასაჭირო ან მიზნისთვის შეუსაბამო ინფორმაციისა. მაგალითად:

კომუნიკაციის პრობლემა	**საკლასო გარემო**	**ამერიკული ოჯახის ცხოვრება**
ენობრივი ბარიერი	მასწავლებელს მიმართავენ მხოლოდ სახელით	ბავშვები და მოზარდები უფრო მეტ დროს ატარებენ თანატოლებთან, ვიდრე მშობლებთან
~~უმოციების სააშკარაოზე გამოტანა~~	პროფესორებისა და სტუდენტების ჩაცმის თავისუფალი სტილი	ოჯახში იშვიათად სადილობენ ერთად
ამერიკელები საუბრობენ დაუსრულებელი წინადადებებით	საქალაქო ტრანსპორტი არ არის მოხერხებული და კომფორტული	ოჯახის წევრები ერთად არ ატარებენ შაბათ-კვირასა და შვებულებას, ასევე დღესასწაულებს
საქალაქო ტრანსპორტი არ არის მოხერხებული და კომფორტული	~~სტუდენტებსა და პროფესორებს შორის თავისუფალი და არაფორმალური დამოკიდებულებაა~~	ბავშვების ზერელე დამოკიდებულება
გაუგებარი გამოთქმები	~~პირადი ავტომანქანის აუცილებლობა~~	~~ამერიკული საკვები არ არის ჯანმრთელი~~
ახალი ენა		
ღარიბი ლექსიკა		

ამერიკელები სწრაფად საუბრობენ		
~~ამერიკელები არიან მეგობრულები~~		
~~ადამიანები ყოველთვის ჩქარობენ დროის დეფიციტის გამო~~		
იყენებენ სლენგსა და იდიომატურ გამოთქმებს		
თავდაჯერებულობის ნაკლებობა		
~~უცხოელ სტუდენტებს უკვირთ უსახლკაროთა არსებობა~~		
ცუდი გამოთქმა		

➢ **მესამე ეტაპი** უშუალოდ გეგმის შედგენას გულისხმობს. პირველ რიგში, ცხრილში მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით შექმენით ძირითადი დებულება. როგორც წესი, ეს არის სწორედ ის დებულებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა საკითხების დაჯგუფება და რომლებიც შემდგომი მსჯელობისას აბზაცის მთავარ წინადადებად იქცევა. შემდეგ ჩამონათვალიდან ირჩევთ იმ საკითხებს, რომლებიც მსჯელობისათვის მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და გამოგადგებათ ძირითადი დებულების გასაშლელად და დასასაბუთებლად, ეს არის ე.წ. მხარდამჭერი დებულებები, რომლებიც, თავის მხრივ, განივრცობა მხარდამჭერი დეტალებით. ეს აბზაცში ამხსნელ წინადადებებად შეიძლება მოგვევლინოს. შესაძლებელია ისიც, რომ ამ ჩამონათვალიდან ყველა არც გამოიყენოთ წერის პროცესში, მაგრამ საკითხთა ვრცელი ჩამონათვალი საშუალებას მოგცემთ აარჩიოთ მთავარი, ოპტიმალური და მნიშვნელოვანი.

ძირითადი ნაწილის ბოლოს აუცილებელია სათქმელის შეჯამება, რაც ესეში აისახება შემაჯამებელ წინადადებად.

◈ **ძირითადი დებულება:** ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც აშშ-ში ჩასულ უცხოელ სტუდენტს უჩნდება, არის ამერიკელებთან კომუნიკაციის დამყარება.

▪ **მხარდამჭერი დებულება:**	უცხოელ სტუდენტებს აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი;
▪ მხარდამჭერი დეტალი	სიტყვების ნაკლებობა;
▪ მხარდამჭრი დეტალი	ცუდი გამოთქმა.
▪ **მხარდამჭერი დებულება**	უცხოელი სტუდენტებისთვის რთულია ამერიკელების მეტყველების გაგება;
▪ მხარდამჭერი დეტალი	ამერიკელები ხშირად იყენებენ სლენგსა და იდიომატურ გამოთქმებს;
▪ მხარდამჭერი დეტალი	ისინი სწრაფად ლაპარაკობენ.
▪ მხარდამჭერი დეტალი	გაუგებარი გამოთქმები;
▪ მხარდამჭერი დეტალი	ამერიკელები საუბრობენ დაუსრულებელი წინადადებებით.
▪ **შემაჯამებელი დებულება**	შეიძლება ითქვას, რომ ამერიკაში სასწავლებლად ჩასულ სტუდენტებს პირველ ხანებში საკმაოდ დიდი პრობლემები ექმნებათ სრულფასოვანი კომუნიკაციის დამყარებაში.

◈ დასკვნითი ნაწილი

გეგმის შედგენისას მიაქციეთ ყურადღება, რომ დასკვნითი ნაწილი მოცულობით არც ისე დიდია და მასში კონცენტრირებული უნდა იყოს ძირითადი სათქმელი. კიდევ ერთხელ დაკვირვებით გადახედეთ თქვენ მიერ შედგენილ გეგმას და გამოკვეთეთ მიზანი. ამის შემდეგ თქვენ უკვე შეგიძლიათ განავრცოთ გეგმა და შექმნათ სრულფასოვანი ესე.

✍ დეტალური გეგმის ნიმუში:

ესეს სათაურის შესაძლო ვარიანტები:

- რას უნდა შეებრძოლოს მთელი საზოგადოება?
- განგაშის ზარები;
- საზოგადოების სატკივარი;
- რა ხდება თბილისის სკოლებში?!

1) შესავალი ნაწილი:
დასაწყისი: რა შეიძლება იყოს იმაზე უარესი, რომ მოზარდი კლავს თავისსავე თანატოლს!
მიზნის გამოკვეთა:
1) მოზარდთა შორის დანაშაულის ზრდა;
2) მოზარდთა შორის აგრესიულობის მომატება;
3) პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა.

2) ძირითადი ნაწილი:
ძირითადი დებულებებია:
1) პრობლემის ზოგადი ანალიზი;
2) ოჯახისა და საზოგადოების როლი;
3) რელიგიური ცნობიერების შესუსტება;
4) კრიმინალური მენტალიტეტის იდეალიზება;
5) მძიმე სოციალური ფონი;
6) მოზარდთა შორის კრიმინალური ცნობიერების შეცვლის გზები.

3) დასკვნა:
1) პრობლემის აქტუალობისა და ტრაგიკული შედეგების კიდევ ერთხელ ხაზგასმა;
2) საზოგადოებისადმი მოწოდება.

---

2. შავი ნაწერის, ანუ პირველი ვარიანტის შექმნა

დეტალური გეგმის შედგენის შემდეგ ვიწყებთ ესეს წერას. პირველ რიგში იქმნება პირველი ვარიანტი, რომელსაც **შავ პირს** უწოდებენ. **შავი ვარიანტის** წერისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

▪ სასურველია, წინ გვედოს გეგმა, რომელსაც მივყვებით;

- ვწეროთ ისე, რომ შემდგომ შესწორება, ჩამატება ან შენიშვნის მიწერა შევძლოთ. ამიტომ მოსახერხებელია ან რვეულის ცალ გვერდზე წერა, ან ერთი ხაზის ინტერვალით;

- დებულების განვითარებისათვის თქვენს თავს დაუსვით რამდენიმე დამხმარე კითხვა: რატომ ფიქრობთ ასე? როგორ ასაბუთებთ თქვენს დებულებას?

- დაფიქრდით, არის თუ არა მკითხველისათვის თქვენი დებულების (მსჯელობის) განვითარება ისეთივე ნათელი, როგორიც თქვენთვის?

- უკავშირება თუ არა თქვენი მსჯელობის ცალკეული მონაკვეთები ერთმანეთს ლოგიკურად და ხდება თუ არა აზრის ლოგიკური განვითარება (გაიხსენეთ თქვენი თეორიული ცოდნა პარაგრაფებისა და აბზაცების აგების შესახებ).

- შავი ვარიანტის შექმნის დროს წერეთ სწრაფად და ეცადეთ, რომ მიჰყვეთ აზრის მდინარებას. არ შეგეშინდეთ, თუკი სწრაფი წერისას შეცდომა ან ხარვეზი გაგეპარებათ, რადგან გადათეთრებისას ყველაფრის გამოსწორების საშუალება გექნებათ;

- თუკი თქვენს გეგმაში ძირითადი დებულებები და არგუმენტები მოკლედ გაქვთ წარმოდგენილი, შავი ვარიანტის წერისას ისინი განავრცეთ მსჯელობით;

- არ მოერიდოთ თქვენი პირადი აზრისა და დამოკიდებულების თამამად გადმოცემას, თუმცა, ზედმეტი და არასაჭირო მსჯელობით არ გადატვირთოთ თქვენი ნაწერი;

- აკადემიური წერის უმთავრესი პრინციპია წეროთ მარტივი, ნათელი და ტევადი ფრაზებით;

- შეარჩიეთ სათანადო ენობრივი საშუალებები, მოერიდეთ ტავტოლოგიას, ზედმეტსიტყვაობასა და ალოგიზმებს;

- თუ ყოველი მომდევნო მონაკვეთის წერისას შეყოვნდით, აზრთა განვითარებისას თუკი პრობლემა შეგექმნათ, გადაიკითხეთ უკვე დაწერილი ტექსტი, რაც წერის ლოგიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ეს, ამასთანავე, ახალ იმპულსს მოგცემთ.

3. ნაწერის გადახედვა, რედაქტირება და კორექტურა

ნაწერის საბოლოო ვარიანტის შექმნამდე აუცილებელია რამდენჯერმე წაიკითხოთ ტექსტი. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

პირველი წაკითხვისას კრიტიკულად გადახედეთ ტექსტს. დარწმუნდით, რომ მსჯელობა ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა განვითარებული, შეესაბამება დასახულ მიზნებს, მოყვანილი მაგალითები, ფაქტები, ციტირება და ა. შ. ორგანულად უკავშირდება ძირითად სათქმელს და არც ერთი მონაკვეთი არ არის კონტექსტიდან ამოვარდნილი. პირველი წაკითხვისას ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივ მხარესა და ორგანიზებაზე. ამისათვის შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი:

- ყურადღებით გადაიკითხეთ მთლიანი ტექსტი, ყურადღება გაამახვილეთ მსჯელობის ზოგად განვითარებაზე. შენიშვნები შეგიძლიათ მიაწეროთ მინდორზე;

- გადაამოწმეთ, რამდენად მიაღწიეთ დასახულ მიზანს;

- სწორედ ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის ჩამატება, ჩასწორება, გადაკეთება ან ამოღება;

- დაუკვირდით, რამდენად ნათლად არის განვითარებული მსჯელობა, ანუ გამოკვეთილია თუ არა მთავარი აზრის შემცველი წინადადება, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები;

- შეამოწმეთ, დაცულია თუ არა ესეს ძირითადი სტრუქტურა, ანუ შესავალში გამოკვეთილია თუ არა საკითხის არსი და მიზანი, განვითარებულია თუ არა ყოველივე ეს ძირითად ნაწილში და არის თუ არა ამომწურავი დასკვნითი მსჯელობა;

- გაიაზრეთ, არის თუ არა ეფექტურად გამოყენებული გარდამავალი მსჯელობა და სათანადო ენობრივი საშუალებები;

- დაუკვირდით, ხომ არ გადადიხართ ერთი საკითხიდან მეორე საკითხზე მოულოდნელად და შემამზადებელი მსჯელობის გარეშე.

შესწორებული ვარიანტის შექმნის შემდეგ კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი. შემდეგ ეტაპზე უკვე ყურადღება მიაქციეთ გრამატიკულ, ორთოგრაფიულ, სინტაქსურ და სტილისტურ შეცდომებს.გულდასმითა და ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული სიტყვა და წინადადება;

- განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება მორფოლოგიურ, ორთოგრაფიულ და სინტაქსურ შეცდომებზე;

- ყურადღება მიაქციეთ, რომ ხშირად არ გაიმეოროთ ერთი და იგივე სიტყვა, ასეთი ტიპის ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალეთ იგი სინონიმური ცალით;

- კიდევ ერთხელ შეამოწმეთ, სწორად გაქვთ თუ არა გამოყენებული შემოკლებისა და ციტირების წესები;

- შეამოწმეთ, რამდენად სწორად გაქვთ გამოყენებული პუნქტუაციის ნიშნები;

- კორექტურისას შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ტექნიკური ნიშნები:

– იწერება ერთად;

– იწერება ცალ-ცალკე;

√ – ჩამატება;

√ √ √ – რამდენიმე ჩამატება;

Z – აბზაცი;

– ასოთა ან სიტყვათა გადასმა.

გაითვალისწინეთ: რედაქტირება და კორექტურა უფრო მოსახერხებელია ხელნაწერ ან ამობეჭდილ ვერსიაში. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ კომპიუტერულ ვერსიაში გამოცდილ რედაქტორებსა და კორექტორებსაც კი უჭირთ მუშაობა.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

◙ გაასწორეთ ტექსტი კორექტურის ნიშნების გამოყენებით:

რევაზ ინანიშვილის გაკვეთილები

„საქართველოში ყველას თავისი რეზო

ინანიშვილი ყავს მე ჩემს რეზოზე გიამბობთ"
თ. მაღლაფერიძე

ავტორი იმისა, რასაც ქვემოდ წაიკითხავთ, ცხადია, რევაზ ინანიშვილია ოღოდ ამ სახით წარმოდგენა გაკვეთილებისა ჩვენ ვცადეთ. ბატონი რეზოს ბრწყინვალე ჩანაწერები მისი გაცნობის მსურველს კარგ სამსახურს გაუწევს. მეც გავბედე, ამგვარად დამელაგებინა კლასიკოსი მწერლის ნააზრევი. დიდი ხნის წინათ, გასული საუკუნის სამოცდა ათიანი წლების დასაწყისში, გამოვაქვეყნე ნაშრომი. ჩემი ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია იყო და ცხადია, მიხაროდა. მაგიდაზე გამოსაჩენად მედო. ჩემს ბიძაშვილთან ვცხოვროდბი იმჟამად. რევაზ ინანიშვილი ოჯახის მეგობარი იყო და ხშირად სტუმრობდა ჩვენთან.

ჰოდა, მობრძანდა ერხელ ბატონი რეზო. ის ჟურნალიც გადაათვალიერა.

იმასაც მიხვდა, რატომ იდო იქ. მშვიდად განაგრძო საუბარი: ამასწინათ ერთმა პროფესორმა ჩემს მოთხრობებზე საზიზღარი ქება გამოაქვეყნა. აი, იმ მოთხრობაზე სწერდა, ორი პერსონაჟი ჰყავს, მოხუცი მეწისქვილე და ბიჭი გენაო. მეწისქვილე, რომ ბიჭს გენას (შემოკლებული ფორმა სიტყვისა „გენაცვალე") ეძახის, სახელი ეგონაო.

▣ შექმენით დეტალური გეგმა მოცემულ თემებზე:

1. საქართველოში ჩამოსული უცხოელი სტუდენტების პრობლემები;
2. ქალი საჭესთან.

▣ მოცემული გეგმის მიხედვით შექმენით ტექსტი თქვენთვის ნაცნობი ხერხების გამოყენებით:

I.
სათაური: თორმეტწლიანი სკოლის უპირატესობანი

1) შესავალი
სასკოლო რეფორმა – ნებისმიერ საზოგადოებაში მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი.

2) ძირითადი ნაწილი
1. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმის მოკლე ანალიზი (ერთიანი ეროვნული გამოცდები, ახალი სახელმძღვანელოები)...
2. თორმეტწლიანი სასკოლო განათლების შემოღების წინაპირობები:
ა) ქართული საგანმანათლებლო სივრცის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება;
ბ) პროფესიის არჩევისას 16-17 წლის ახალგაზრდა მზად არ არის;
გ) სწავლის ხანგრძლივობა – სიცოცხლის ხანგრძლივობის ხელშემწყობი;
დ) ჩვენი კანონმდებლობით, 18 წლის მოქალაქეს შეუძლია მუშაობის დაწყება.
3. არსებობენ მოწინააღმდეგეები.

3) დასკვნა
1. გადაწყვეტილება ემყარება ხანგრძლივ კვლევებს.
2. გადაწყვეტილების ავტორები იმედოვნებენ, რომ სასურველ შედეგს აუცილებლად მიიღებენ.

II.
სათაური: *ტურიზმი – საქართველოს მომავალი*
1. შესავალი ნაწილი:

მიზნის გამოკვეთა:
1) ტურიზმი – საქართველოს ეკონომიკის განვითარების რეალური შესაძლებლობა;
2) ტურისტების მოზიდვისათვის საქართველოს საკმაოდ სერიოზული რესურსები აქვს.

2. ძირითადი ნაწილი:

ძირითადი დებულებები:

1) პრობლემის ზოგადი ანალიზი;
2) ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში დღეს არსებული ვითარება;
3) სოციალური ფონი;
4) ადგილობრივი მოსახლეობის როლი ტურიზმის განვითარებაში;
5) უცხოელი მოქალაქეების დაინტერესება საქართველოს სიძველეებით, ბუნებრივი პირობებით.

3. დასკვნა:

1) პრობლემის აქტუალობისა და მოსალოდნელი შედეგების კიდევ ერთხელ ხაზგასმა;
2) გამოსავალი – 1. ინვისტიციების განხორციელება ტურიზმის სფეროში;
2. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
3) პარალელი თქვენთვის ნაცნობ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან.

II ნაწილი
ტექსტის მომზადება საჯარო გამოსვლისთვის

I თავი

განხილული საკითხები:

1. ტექსტის მომზადება სხვადასხვა ტიპის საჯარო გამოსვლისთვის;
   - სამეცნიერო მოხსენება;
   - ესეს პრეზენტაცია;
   - დისკუსია.

1. ტექსტის მომზადება სხვადასხვა ტიპის საჯარო გამოსვლისათვის

ყველა ის პრინციპი, რომლებიც ჩვენ ზემოთ შევისწავლეთ, დაგეხმარებათ ნებისმიერი ტიპის ტექსტის შექმნის დროს. საჯარო გამოსვლის ტექსტიც იქმნება აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ საპრეზენტაციო ტექსტი უფრო მოკლეა, რადგან ზეპირი გამოსვლა, როგორც წესი, დროში შეზღუდულია. იმისათვის, რომ გამოსვლა მაქსიმალურად ეფექტური და წარმატებული იყოს, უნდა გაითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საჯარო გამოსვლა – ეს არის ზეპირი მონოლოგის, დიალოგის ან პოლილოგის ტიპის გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე. იგი მიზნად ისახავს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას და პუბლიკის დარწმუნებას დასახული მიზნის სისწორეში. საჯარო გამოსვლის სახეებია: **პოლიტიკური სიტყვა ან მიმოხილვა, დიპლომატიური გამოსვლა, სააგიტაციო სიტყვა, კამათი, დისკუსია, პრესკონფერენციასა და ბრიფინგზე წარმოსათქმელი სიტყვა, ლექცია, მოხსენება, სამეცნიერო მიმოხილა ან ინფორმაცია, საიუბილეო სიტყვა.**

საჯარო გამოსვლისას მნიშვნელოვანია აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება. აუცილებელია, რომ მსმენელი გრძნობდეს მომხსენებლის მხრიდან პატივისცემას, გამომსვლელი უნდა აღიარებდეს აუდიტორიას პარტნიორად და აფასებდეს მის აზრს. ამდენად, მნიშვნელოვანია გამომსვლელის გარეგნული მხარე, იერსახე, ჩაცმულობა. აუდიტორიასთან უშუალო კონტაქტის დამყარებაში

გამომსვლელს ეხმარება არავერბალური კომუნიკაცია, დიდი ყურადღება ექცევა ხმის ტონს, ჟესტებს, პოზას, მზერას.

იმისათვის, რომ **მოხსენება** იყოს საინტერესო და ცოცხალი, სასურველია დამხმარე ვიზუალური საშუალებების გამოყენება, მათ შორის: პოსტერების, სლაიდ შოუს, სურათების და ა. შ. ზეპირი პრეზენტაციისას მოხსენების შინაარსის შესაბამისად შესაძლებელია აუდიტორიისათვის ე. წ. ჰენდაუთების დარიგებაც, რომლებშიც მოკლედ იქნება წარმოდგნილი მოხსენების შინაარსი, ანუ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ძირითადი დებულებები და მთავარი არგუმენტები. ყველა სხვა ინფორმაცია ზეპირი გზით გადაეცემა მსმენელს.

რაც შეეხება **მოხსენებას,** მიზნის შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს მონოლოგური, დიალოგური ან პოლილოგური. მონოლოგურია ლექცია, მოხსენება, საიუბილეო სიტყვა და ა. შ. ხოლო ყველა დანარჩენი შესაძლებელია იყოს დიალოგური ან პოლილოგური ფორმის.

ზეპირი გამოსვლის ერთ-ერთი სახეა **პრეზენტაცია.** ეს არის საზოგადოებრივი "წარმოდგენა", რომელიც გარკვეული თემის ან პრობლემის დემონსტრირებასა და გაცნობას ემსახურება. პრეზენტაცია ეხმარება ავტორს, დადებითად განაწყოს აუდიტორია თავისი საქმიანობის მიმართ. პრეზენტაციის **მიზანია:**

• შექმნა მაღალკვალიფიციური ადამიანის შთაბეჭდილება, რომელიც შემოქმედებითად უდგება თავის საქმიანობას;

• გამოავლინო ინიციატივიანობა და ორგანიზაციული ნიჭი;

• გამოავლინო ინტელექტუალური პოტენციალი და ლიდერის თვისებები;

• დაარწმუნო სხვები, რომ გაიზიარონ შენი იდეები, თვალთახედვა, პოზიცია;
პრეზენტაცია საშუალებას აძლევს ავტორს ან ავტორთა ჯგუფს, რომ:

• გაავრცელოს ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის (სამეცნიერო კვლევების, მიმდინარე ან შესრულებული პროექტების და ა. შ.) შესახებ;

• აამაღლოს საზოგადოების მოთხოვნა საკუთარი ნაშრომის, წიგნის, საქმიანობის სფეროს მიმართ;

• აამაღლოს ჯგუფის ან პირადი ცნობადობა, იმიჯი;

• იპოვოს ახალი გზები და საშუალებები, რომ იმოქმედოს მათზე, ვისკენაცაა მიმართული მისი მუშაობა (დონორი ორგანიზაცია, საგამომცემლო სახლები, ამომრჩევლები, პოტენციური მყიდველები).

არსებობს ორი ტიპის პრეზენტაცია: პირველი მიმართულია მსმენელთა ვიწრო წრისადმი და, როგორც წესი, ტარდება კოლეგებს შორის, რაც შეეხება

პრეზენტაციის მეორე სახეს, ის უფრო ფართო მოცულობის აუდიტორიას გულისხმობს. შესაძლებელია, ამასთანავე, აუდიტორიაც იყოს არაერთფეროვანი, რაც გამომსვლელისაგან მეტ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

საპრეზენტაციი ტექსტის სქემა შემდეგი სახისაა:

- მისალმება/ყურადღების მიპყრობა;
- პრეზენტაციის მიზნის განსაზღვრა;
- ძირითადი ნაწილი (ა. არგუმენტები; ბ. კონტრარგუმენტი და მისი გაბათილება);
- პრეზენტაციის დასრულება.

პრეზენტაცია აუდიტორიისა და მომხსენებლის ცოცხალ კონტაქტს გულისხმობს, ამიტომ მშრალი, მოსაწყენი სიტყვა სასურველ ეფექტს ვერ აღწევს და მსენელს მალე ბეზრდება მისი მოსმენა. არსებობს რამდენიმე მარტივი წესი, რომელთა გათვალისწინებაც პრეზენტაციას ეფექტურს ხდის.

- საპრეზენტაციო ტექსტი არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი, რომ ის ლექციას არ დაემსგავსოს;

- აუდიტორიას წინასწარ უნდა მიაწოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია მან არ იცოდეს;

- ნათლად უნდა წარმოაჩინოთ მიზანი;

- ეცადეთ, გამოთქვათ მხოლოდ მთავარი იდეა და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია ან კითხვა-პასუხის დროს გამოიყენოთ, ან პრეზენტაციის შემდგომ გამართულ საუბარში;

- ჩართეთ აუდიტორია პრეზენტაციის პროცესში, აგრძნობინეთ მსმენელებს, რომ მათი ყველა მოსაზრება თქვენთვის მნიშვნელოვანია;

- მადლობა გადაუხადეთ აუდიტორიას შენიშვნებისათვის.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ მივცეთ უკვე შექმნილ ესეს ან სამეცნიერო ნაშრომს საპრეზენტაციო სახე და როგორ წარვუდგინოთ ეფექტურად საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, იქმნება ესე ან სამეცნიერო ნაშრომი თქვენთვის უკვე ნაცნობი წესებისა და ხერხების გამოყენებით. ესე და სამეცნიერო ნაშრომი ფიქსირებული ტექსტებია, შედარებით ვრცელი მოცულობისაა და გამიზნულია მკითხველისათვის, მაგრამ საზოგადოების წინაშე წარდგენა და ცოცხალი კონტაქტის დამყარება განსხვავებული წესების დაცვას მოითხოვს: უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინეთ, რომ პრეზენტაცია არის დროში

შეზღუდული და წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით შეიძლება თითოეული მოხსნებისათვის განკუთვნილი იყოს 5, 10 ან 15 წუთი. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაეთმოს გამომსვლელს მეტი დრო, რის შესახებაც აუდიტორიას წინასწარ ეცნობება, ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მოცულობის ტექსტის მიწოდება პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოთ ეს, როცა რამდენიმე მომხსენებელი ატარებს პრეზენტაციას. პრეზენტაციის ტექსტი იწერება ძირითად ტექსტზე დაყრდნობით, რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით:

• თუ თქვენ წინასწარ წარგადგენენ, მაშინ შეიძლება მისალმებით დაკმაყოფილდეთ, მაგრამ თუ თქვენთვის უცნობი საზოგადოების წინაშე გიხდებათ გამოსვლა, თქვენვე უნდა წარუდგინოთ თქვენი პიროვნება აუდიტორიას,

ენობრივი საშუალებები, რომლებიც მისალმებისას შეიძლება გამოიყენოთ:

მოგესალმებით, მე გახლავართ ...; მოგესალმებით, ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ... მოგესალმებით ორგანიზაციის სახელით...– მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო; – ქალბატონებო და ბატონებო, მადლობას გიხდით მობრძანებისათვის; – მივესალმებით დამსწრე საზოგადოებას და მადლობას მოვახსენებთ მობრძანებისათვის; – იმედი გვაქვს, ჩვენი შეხვედრა საინტერესო იქნება თქვენთვის; – პატივცემულო სტუმრებო, შევეცდებით, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბროთ.

- მადლობა უნდა გადაუხადოთ საზოგადოებას მობრძანებისა და ყურადღებისათვის და სთხოვოთ, რომ აქტიურად ჩაერთოს პრეზენტაციის პროცესში და გამოთქვათ მზადყოფნა, რომ უპასუხებთ მათ შეკითხვებს და გაითვალისწინებთ მათ რეკომენდაციასა თუ შენიშვნებს;

- პრეზენტაციის შესავალ ნაწილში კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი ძირითადი მიზნები და სიახლე;

- პრეზენტაციის ძირითად ნაწილში უნდა გამოკვეთოთ თქვენს ნაშრომში წარმოდგენილი მთავარი დებულებები, რომლებიც ავითარებს თქვენს მსჯელობას;

- შემდეგ კი ისაუბროთ იმ არგუმენტებზე, რომლებიც თქვენი საკითხისათვის ძირითადი და მნიშვნელოვანია;

- საპრეზენტაციო სიტყვის შექმნისას სასურველია მიჰყვეთ ძირითადი ტექსტის ლოგიკას, ეცადეთ არ დაარღვიოთ მისი სტრუქტურა;

- ზოგჯერ ნაშრომი იმგვარადაა აგებული, რომ ძირითადი დებულებების გადმოცემასთან ერთად პრეზენტაციისას აუცილებელი იქნება კონტრარგუმენტების მოყვანა და მათი თქვენეული გაბათილება, რათა თქვენი პოზიცია უფრო კომპაქტურად და დამაჯერებლად წარმოდგინოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ უნდა იყოთ თანმიმდევრული, ობიექტური და ლაკონური. კონტრარგუმენტის გაბათილებისას ეცადეთ, იყოთ მაქსიმალურად კორექტული, არაკატეგორიული, მაგრამ სასურველია ერთგვარი თავდაჯერებულობა ახლდეს თქვენს გამოსვლას.

ენობრივი საშუალებები:

ჩვენ ვეცდებით, წარმოგიდგინოთ ჩვენი აზრი... ჩვენ დაბეჯითებით ვფიქრობთ... მართალია, არსებობს სხვა პოზიცია, მაგრამ, ჩვენი აზრით... მართალია, მიჩნეულია, რომ... მაგრამ კონკრეტული ფაქტები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს... აღნიშნული არგუმენტები მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას... შევეცდებით დაგარწმუნოთ, რომ...; ჩვენი მთავარი სათქმელი ის არის, რომ...; იმედი გვაქვს გვეთანხმებით, რომ...; ეს რომ ასეა, შემდეგი ფაქტიც მიუთითებს; შევეცდებით არგუმენტირებულად დაგისაბუთოთ...; ჩვენი არგუმენტი ადასტურებს, რომ...

- დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი თქვენს პოზიციას, წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობას და პერსპექტიულობას.

ენობრივი საშუალებები:

იმედი გვაქვს, დამაჯერებლად წარმოვადგინეთ ჩვენი თვალსაზრისი... ვფიქრობთ, შევძელით მოხსენებაში ნათლად წარმოგვეჩინა ჩვენი პოზიცია/პრობლემის არსი... იმედი გვაქვს საზოგადოების მხარდაჭერისა...

- გამოსვლის ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა გადაუხადოთ მადლობა ყურადღებისათვის მსმენელს და გამოთქვათ მზადყოფნა დისკუსიისათვის.

ენობრივი საშუალებები:
დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის... დიდი მადლობა საკითხით დაინტერესებისათვის... მადლობას გიხდით და მზად ვართ შენიშვნების მოსმენისა და კითხვებზე პასუხისათვის... ახლა კი მზად ვართ ვუპასუხოთ თქვენს შეკითხვებს... _ იმედი გვაქვს, ჩვენმა გამოსვლამ დაგარწმუნათ, რომ...; _ გვჯერა, პრეზენტაციამ მიზანს მიაღწია და... - ვფიქრობთ, ჩვენი სათქმელი თქვენთვის გასაგები იყო; _ მზად ვართ ვუპასუხოთ თქვენს ყველა შეკითხვას; _ იმედი გვაქვს, მოვიპოვებთ თქვენს მხარდაჭერას…

პრეზენტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალური მასალის სწორად შერჩევასა და მიწოდებას. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ

თქვენი გამოსვლა არ გადატვირთოთ ზედმეტი თვალსაჩინოებით, რათა მსმენელის ყურადღება არ გაფანტოთ, ამიტომ თუ თქვენი ვიზუალური მასალა დიდია, ეცადეთ შეარჩიოთ მხოლოდ აუცილებელი, მიმზიდველი, ეფექტური და მნიშვნელოვანი ნიმუშები. გახსოვდეთ, რომ ვიზუალური მასალა უნდა განალაგოთ ისე, რომ იგი მწყობრად მიჰყვებოდეს თქვენი მსჯელობის თანმიმდევრობას.

სასარგებლო რჩევები:

პრეზენტაციის მსვლელობის პროცესს უფრო ეფექტურად წარმოაჩენს არავერბალური საშუალებები, მათგან მთავარია:

- *მომხსენებელი უნდა გამოიყურებოდეს აკურატულად, მისი გარეგნული მხარე პრეზენტაციის შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს (მაგალითად, აკადემიურ სივრცეში აკადემიურად უნდა გამოიყურებოდეს) და უნდა იგრძნობოდეს, რომ იგი საგანგებოდ მოემზადა მოხსენებისათვის, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაცმულობას, აქსესუარებს, ვარცხნილობას, რათა მსმენელის ყურადღება არ გაიფანტოს მეორეხარისხოვან დეტალებზე დაკვირვებით; დაუშვებელია ხელების ჯიბეებში ჩაყოფა ან გადაჯვარედინება საუბრისას;*

- *გაუმართლებელია ერთ ადგილას უმოძრაოდ დგომა ან ზედმეტი მოძრაობები;*

- *მიუღებელია საათზე ყურება და მობილურ ტელეფონზე პასუხი;*

- *აუდიტორიასთან კონტაქტის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია მომხსენებელი უშუალოდ მიმართავდეს აუდიტორიას და მზერა გადაჰქონდეს ერთი მსმენელიდან მეორეზე, რათა ყველა დარწმუნდეს იმაში, რომ თქვენ მათ მიმართავთ;*

- *დაუშვებელია თვალმოუშორებლად ტექსტის კითხვა; ეს ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ თქვენ მოუმზადებელი ხართ, რის გამოც შეიძლება აუდიტორიის უნდობლობაც დაიმსახუროთ; ამის თავიდან ასაცილებლად, შეგიძლიათ მონიშნოთ ტექსტში თქვენთვის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები და საჭიროების შემთხვევაში უცებ მოძებნოთ ისინი;*

- *არ უნდა ისაუბროთ ზედმეტად სწრაფად, რათა აუდიტორიას საშუალება მიეცეს აღიქვას და გაიაზროს თქვენი ნათქვამი; ამის თავიდან ასაცილებლად სასურველია წინასწარ გაიაროთ ერთგვარი რეპეტიცია;*
- *მიუღებელია ძალიან ხმამაღლა, ან პირიქით, ძალიან ხმადაბლა საუბარი;*

- *დაუშვებელია ზედმეტი ფამილარობა.*

◈ **სტილი:**

▪ საპრეზენტაციო ტექსტის შემთხვევაში ყველაზე მიღებულია სხვადასხვა სტილის კომბინირებით საპრეზენტაციო სიტყვის წარმართვა, ე. წ. "ნარევი სტილი". მაგალითად, ექსპრესიული სტილის გამოყენება მისაღებია შესავალსა და დასკვნით ნაწილებში, თუმცა ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა. ხოლო ტექსტის ძირითადი ნაწილი სასურველია მიჰყვეს იმ სტილს, რომლითაც ძირითადი ტექსტია აგებული;

▪ დაუშვებელია ჟარგონის, ბარბარიზმების, ანაქრონიზმებისა და არქაიზმების გამოყენება. ეს თქვენს ტექსტს აკადემიურ სახეს უკარგავს და მსმენელს უარყოფითად განაწყობს თქვენ მიმართ;

▪ დასაშვებია იუმორი, თუმცა ძალიან ზომიერი;

▪ დაუშვებელია ისეთი "პარაზიტი სიტყვების" გამოყენება, როგორებიცაა: "ესე იგი", "მაშასადამე", "ნუ", "მოკლედ" და ა. შ;

▪ მოხსენება უნდა წარიმართოს თავაზიანი ფორმით, მათ შორის I პირის შემთხვევაშიც. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, "მე ვფიქრობ", უმჯობესია ვთქვათ: "ჩვენ ვფიქრობთ", "ჩვენი აზრით"...

ნიმუში:

სიტყვა, რომლითაც "Apple"-ისა და "Pixar"-ის მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა, სტივ ჯობსმა, მიმართა სტენფორდის უნივერსიტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულებს. ეს გამოსვლა მალე გახდა პოპულარული და იქცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოტივატორად.

– მეამაყება, რომ დღეს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის მიერ ხარისხის მინიჭების დღეს, თქვენთან ვარ,. სიმართლე რომ გითხრათ, უნივერსიტეტი არასდროს დამიმთავრებია. დღეს ყველაზე მეტად მივუახლოვდი ამ ხარისხს. დღეს მინდა გიამბოთ სამი ისტორია ჩემი ცხოვრებიდან. მეტი არაფერი, უბრალოდ სამი ამბავი.

პირველი ისტორია ეხება წერტილების შეერთებას. რიდის უნივერსიტეტში სწავლას თავი დავანებე პირველი 6 თვის შემდეგ, თუმცა კიდევ 18 თვე ვიყავი, სანამ საბოლოოდ გამოვიდოდი. რატომ გამოვედი?

ეს ამბავი ჩემს დაბადებამდე დაიწყო. ჩემი ბიოლოგიური დედა ახალგაზრდა, დაუქორწინებელი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სტუდენტი იყო. მან ჩემი გაშვილება გადაწყვიტა. მისი სურვილი იყო, განათლებულ ადამიანებს ვეშვილე. ყველაფერი გადაწყდა, მე დაბადებისთანავე მიშვილებდნენ ადვოკატი და მისი ცოლი. მაგრამ როცა დავიბადე, აღმოჩნდა, რომ მათ გოგონა სურდათ. ჩემს მშობლებს, რომლებიც მომლოდინეთა სიაში იყვნენ, შუაღამით დაურეკეს და ჰკითხეს: "მოულოდნელად ბიჭი გაჩნდა, გსურთ მისი აყვანა?" მათ უპასუხეს: "რა თქმა უნდა." ჩემმა ბიოლოგიურმა დედამ მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ დედაჩემს არასდროს დაემთავრებინა უნივერსიტეტი, ხოლო მამაჩემს სკოლის დამამთავრებელ კლასებშიც არ ევლო. ამიტომ საბუთებზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეარბილა მოთხოვნები, როცა ჩემმა მშობლებმა პირობა მისცეს, რომ განათლებას მივიღებდი. ეს ჩემი ცხოვრების დასაწყისი იყო.

17 წლის შემდეგ სტუდენტი გავხდი. მაგრამ მიამიტად ავირჩიე ის სასწავლებელი, რომელიც თითქმის ისეთივე ძვირი იყო, როგორიც სტენფორდი. ჩემი მშობლების მთელი დანაზოგი ჩემს სწავლაზე იხარჯებოდა. 6 თვის შემდეგ ჩემთვის ეს ფასეული აღარ იყო. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მექნა ჩემი ცხოვრებისთვის და არც ის ვიცოდი, სწავლა როგორ დამეხმარებოდა ამაში. და მე ვხარჯავდი იმ ფულს, რომელსაც ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება ზოგავდნენ. ამიტომ გადავწყვიტე, გამოვსულიყავი უნივერსიტეტიდან და იმედი მქონოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. იმ მომენტში ძალიან მეშინოდა, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში მიღებული ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება. მაშინვე შევწყვიტე იმის სწავლა, რაც არ მაინტერესებდა. სამაგიეროდ მივაშურე იმას, რაც უფრო მეტად მიზიდავდა.

ყველაფერი არ წარმართულა რომანტიკულად – მე არ მქონდა საძინებელი ოთახი, ამიტომ მეგობრების ოთახებში მეძინა. ვაბარებდი კოკა-კოლას ბოთლებს 5 ცენტად, რომ საჭმელი მეყიდა. ყოველ კვირა საღამოს 11 კმ-ს გავდიოდი, რათა კვირაში ერთხელ მაინც კარგად მევახშმა ჰარი კრიშნას ტაძარში. ის, რაც შემემთხვეოდა ჩემი ცნობისმოყვარეობისა და ინტუიციის გამო, მოგვიანებით ფასდაუდებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო.

იმ დროს რიდის კოლეჯში თითქმის საუკეთესოდ ასწავლიდნენ კალიგრაფიას. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოველი აფიშა და ყოველი ეტიკეტი გაფორმებული იყო ლამაზი ხელნაწერით. მე უნივერსიტეტიდან წამოსული ვიყავი და ჩვეულებრივ ვერ დავესწრებოდი ლექციებს, ამიტომ კალიგრაფიის კურსებზე სიარული გადავწყვიტე, რათა კარგად შემესწავლა. ვისწავლე Serif და San serif სტილი, რამხელა დაშორება უნდა ყოფილიყო სხვადასხვა კომბინაციას შორის, თუ რა აქცევს დიდებულ კალიგრაფიას დიდებულად. ამან მე მომხიბლა.

წესით არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონოდა პრაქტიკული გამოყენება ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ 10 წლის შემდეგ, როცა ვმუშაობდით "მაკინტოშის" პირველი კომპიუტერის დიზაინზე, ეს ყველაფერი გამომადგა. გამოვიყენეთ "მაკინტოშში" და ვაქციეთ პირველ კომპიუტერად, რომელსაც ლამაზი კალიგრაფია ჰქონდა. მე რომ არასდროს გამევლო ეს კურსი, "მაკინტოშს" არ ექნებოდა მრავალგვარი ფონტი. და, გამომდინარე იქიდან, რომ "ვინდოუსმა", უბრალოდ, გადაიწერა ისინი, არც სხვა პერსონალურ კომპიუტერებს ექნებოდათ. მე რომ უნივერსიტეტიდან არ წამოვსულიყავი, არ შევიდოდი კალიგრაფიის კურსზე და პერსონალური კომპიუტერები, ალბათ, ამ საოცარი კალიგრაფიის გარეშე დარჩებოდნენ. ცხადია, წერტილების დაკავშირება შეუძლებელი ჩანდა მაშინ, როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მაგრამ ძალიან ნათელი იყო 10 წლის შემდეგ, როცა უკან ვიყურებოდი.

ისევ და ისევ, ვერ დააკავშირებთ წერტილებს, თუკი იყურებით წინ. მათი დაკავშირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა უკან იყურებით. ამიტომ უნდა დაიჯეროთ, რომ წერტილები როგორღაც შეერთდებიან თქვენს მომავალში. საამისოდ რაღაცის უნდა გჯეროდეთ – თქვენი ნებისყოფის, ბედისწერის, ცხოვრების, კარმის ან რაც გინდათ, იმის. რადგან როცა წერტილების შეერთების გჯერათ, ეს მოგცემთ გამბედაობას, გზაზე სიარულისას მიჰყვეთ თქვენს გულს, გინდაც გიბიძგებდეთ გაცვეთილი ბილიკისკენ და ყველაფერს სხვაგვარად აქცევს.

ჩემი მეორე ისტორია ეხება სიყვარულსა და დანაკარგს. მე იღბლიანი ვიყავი – ცხოვრების ადრეულ ეტაპზე ვიპოვე ის, რისი კეთებაც მსიამოვნებდა. მე და ვოზმა (Steve Wozniak) "ეფლზე" მუშაობა ჩემი მშობლების ავტოფარეხში დავიწყეთ, როცა მე 20 წლის ვიყავი. ვმუშაობდით ბეჯითად და 10 წელიწადში "ეფლი" ჩვენ ორიდან გაიზარდა 2 მილიარდი დოლარის ღირებულების კომპანიამდე, რომელსაც 4000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა. 1 წლით ადრე გამოშვებული გვქონდა ყველაზე შესანიშნავი ქმნილება – მაკინტოში, მე კი სულ 30 წლის ვიყავი. შემდეგ დამითხოვეს. როგორ შეიძლება დაგითხოვონ იმ კომპანიიდან, რომელსაც შენ ჩაუყარე საფუძველი? როცა "ეფლი" გაიზარდა, დავიქირავეთ ადამიანი, რომელიც, ჩემი აზრით, იყო ძალიან ნიჭიერი, რათა ერთად გვემართა კომპანია. დაახლოებით 1 წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა. შემდეგ გაიყო ჩვენი შეხედულებები მომავლის გეგმებზე და კამათი მოგვივიდა. დირექტორთა საბჭო მას მიემხრო, ამიტომ 30 წლის ასაკში გამათავისუფლეს. ის, რაც ჩემი ახალგაზრდობის ყურადღების ობიექტი იყო, დავკარგე. ყველაფერი განადგურდა.

რამდენიმე თვის განმავლობაში არ ვიცოდი, რა მექნა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს კვერთხი გამივარდა მაშინ, როცა გადმომაწოდეს. შემდეგ შევხვდი დევიდ პაკარდსა და ბობ ნოისს და ბოდიში მოვუხადე. ეს დიდი მარცხი იყო და გაქცევაზეც კი ვფიქრობდი. შემდეგ ნელ-ნელა გონება გამინათდა – მე ისევ მიყვარდა ის, რასაც ვაკეთებდი. "ეფლში" მომხდარ მოვლენებს ეს ოდნავადაც არ შეეცვალათ. მე უარმყვეს, მაგრამ სიყვარული ისევ დარჩა ჩემში. ამიტომ გადავწყვიტე, ხელახლა დამეწყო.

მაშინ სხვანაირად ჩანდა, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ "ეფლიდან" გათავისუფლება საუკეთესო რამ იყო, რაც კი შეიძლებოდა დამმართნოდა. წარმატების სიმძიმე შეიცვალა ისევ დამწყებად ყოფნის სიმარტივით, რასაც მოსდევდა ყველაფრის მიმართ ნაკლები ნდობა. ეს წარმიძღვა მე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე შემოქმედებითი პერიოდისკენ.

შემდეგი 5 წლის განმავლობაში დავიწყე მუშაობა ახალ კომპანიაზე, რომელსაც ერქვა "NeXT", სხვა კომპანიაზე, სახელად "Pixar" და შემიყვარდა საოცარი ადამიანი, რომელიც შემდეგ ჩემი ცოლი გახდა. "პიქსარმა" შექმნა მსოფლიოში პირველი კომპიუტერული ანიმაციური ფილმი, სახელად "Toy Story". დღეს კი ყველაზე წარმატებული ანიმაციური ფილმების სტუდიაა. მოვლენების შესანიშნავად შემობრუნების შედეგად "ეფლმა" შეიძინა "ნექსთი", მე კი "ეფლში" დავბრუნდი. ტექნოლოგია, რომელიც განვითარდა "ნექსთში", წარმოადგენს "ეფლის" ამჟამინდელი რენესანსის ბირთვს. მე და ლორენმა კი საოცარი ოჯახი შევქმენით.

დარწმუნებული ვარ, ეს ამბები არ მოხდებოდა, "ეფლიდან" რომ არ გავეთავისუფლებინეთ. ეს მწარე წამალი იყო, მაგრამ პაციენტს სჭირდებოდა. ზოგჯერ ცხოვრება თავში აგურს გირტყამთ, მაგრამ რწმენა არ დაკარგოთ. მჯერა, რომ ერთადერთი, რაც წინსვლაში მეხმარებოდა, იყო ის, რომ მიყვარდა ის საქმე, რომელსაც ვაკეთებდი. იპოვეთ ის, რაც გიყვართ. ეს ეხება თქვენს სამსახურსაც და საყვარელ ადამიანსაც. სამუშაო თქვენი ცხოვრების დიდ ადგილს იკავებს. ამიტომ ერთადერთი გზა, რომ სავსებით დაკმაყოფილდეთ, არის ის, რომ აკეთოთ, რაც დიდ საქმედ მიგაჩნიათ. დიდი საქმის კეთების ერთადერთი გზა კი ისაა, რომ გიყვარდეთ, რასაც აკეთებთ. თუ ჯერ კიდევ არ გიპოვიათ ასეთი რამ, განაგრძეთ ძებნა და არ მოდუნდეთ. როცა მას იპოვით, მთელი გულით შეიგრძნობთ. ასევე ნებისმიერი დიდი ურთიერთობა მხოლოდ უმჯობესდება წლების გასვლასთან ერთად. ასე რომ, განაგრძეთ ძებნა და არ მოდუნდეთ.

ჩემი მესამე ისტორია სიკვდილზეა. 17 წლის რომ ვიყავი, დაახლოებით ასეთი ციტატა წავიკითხე: "თუკი ყოველდღე ისე იცხოვრებ, თითქოს ბოლო დღეა, ოდესმე მართალი აღმოჩნდები." ამან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ, ბოლო 33 წელია, ყოველ დილას ვიხედები სარკეში და ჩემს თავს ვეკითხები: "დღეს რომ ჩემი ცხოვრების ბოლო დღე იყოს, გავაკეთებდი იმას, რის გაკეთებასაც ვაპირებ?" როცა მიყოლებით რამდენიმე დღის განმავლობაში პასუხი არის "არა", ე.ი. რაღაცა უნდა შევცვალო.

ფიქრი იმაზე, რომ მალე ცოცხალი აღარ ვიქნები, აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი, რაც კი ოდესმე მქონია ცხოვრებაში დიდი გადაწყვეტილებების მისაღებად. რადგანაც თითქმის ყველაფერი – მომავლის პერსპექტივები, სიამაყე, მარცხის ან დაბრკოლების შიში – მნიშვნელობას კარგავს სიკვდილის საფრთხის წინაშე. რჩება მხოლოდ ის, რაც მართლაც მნიშვნელოვანია. გახსენება იმისა, რომ მალე მოკვდები, ჩემთვის ცნობილი საუკეთესო გზაა, აღარ იფიქრო, რომ შეიძლება რაღაც დაკარგო. შენ უკვე შიშველი ხარ. არ გაქვს მიზეზი, რომ არ მიჰყვე გულს.

1 წლის წინ კიბოს დიაგნოზი დამისვეს. დილის 7:30 სთ-ზე გამიკეთეს სკანირება, რომელმაც ნათლად აჩვენა სიმსივნე პანკრეასში. მაშინ არც კი ვიცოდი, პანკრეასი რა იყო. ექიმებმა მითხრეს, რომ ეს იმ ტიპის სიმსივნე იყო, რომელიც არ იკურნებოდა, ამიტომ 3-დან 6 თვემდე სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ჩემმა ექიმმა მირჩია, სახლში წავსულიყავი და საქმეები მომეგვარებინა, რაც ექიმის შიფრია სიკვდილისთვის მოსამზადებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ შვილებს რამდენიმე თვეში უნდა უთხრა ის, რის თქმასაც შემდეგი 10 წლის განმავლობაში აპირებდი. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი კარგად უნდა დაალაგო, რათა შენი ოჯახისთვის იყოს იმდენად ადვილი, რამდენადაც შესაძლებელია. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა დაემშვიდობო მათ.

მთელი დღე ამ დიაგნოზით გავატარე, საღამოს კი ბიოფსია ჩამიტარეს, რომლის დროსაც ყელიდან მუცელსა და კუჭ-ნაწლავში ენდოსკოპი ჩაუშვეს, მივიდნენ პანკრეასამდე და სიმსივნიდან უჯრედები აიღეს. მე მშვიდად ვიყავი, მაგრამ ჩემმა ცოლმა, რომელიც იქვე იდგა, მოგვიანებით მითხრა, რომ როცა ექიმებმა მიკროსკოპში უჯრედები იხილეს, ტირილი დაიწყეს – აღმოჩნდა, რომ ეს იყო პანკრეასის კიბოს ძალიან იშვიათი ფორმა, რომლისგან განკურნებაც ქირურგიული ჩარევით შეიძლებოდა. ოპერაცია ჩამიტარეს და, საბედნიეროდ, ახლა მშვენივრად ვარ.

ეს იყო მომენტი, რომლის დროსაც ყველაზე ახლოს ვიყავი სიკვდილთან და ვიმედოვნებ, ასეთადვე დარჩება მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ: არავის სურს სიკვდილი. იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც სამოთხეში უნდათ მოხვედრა, არ სურთ სიკვდილი იქ მოსახვედრად. და მაინც, სიკვდილი არის დანიშნულების ადგილი, რომელიც საერთოა ყველა ჩვენგანისთვის. მას ვერასდროს ვერავინ გაქცევია და ასეც უნდა იყოს, რადგან სიკვდილი სიცოცხლის საუკეთესო გამოგონებაა. ის სიცოცხლის ცვლილების მიზეზია. ის ასუფთავებს გზას ძველებისგან, რათა დაუთმოს ახლებს. ამ მომენტში ახლები თქვენ ხართ. მაგრამ ოდესმე, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, თქვენ იქცევით ძველად და მოგიშორებენ. მაპატიეთ დრამატულობისთვის, მაგრამ ეს სრული სიმართლეა.

თქვენი დრო შეზღუდულია, ამიტომ ნუ გაფანტავთ მას სხვისი ცხოვრებით. ნუ შეგიპყრობთ დოგმა, რომელიც სხვა ხალხის აზრებით ცოცხლობს. ნუ მისცემთ უფლებას სხვების აზრების ხმაურს, გადაფაროს თქვენი შინაგანი ხმა. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გქონდეთ გამბედაობა, რათა მიჰყვეთ თქვენს გულსა და ინტუიციას. მათ საიდანღაც უკვე იციან, რა გინდათ, სინამდვილეში რომ იყოთ. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

ჩემს ახალგაზრდობაში გამოდიოდა საოცარი პუბლიკაცია სახელად “The Whole Earth Catalog”, რომელიც ჩემი თაობის ერთ-ერთ ბიბლიას წარმოადგენდა. მისი შემქმნელი იყო სტიუარტ ბრენდი, რომელმაც ამ გამოცემას პოეტური გრძნობებით ჩაჰბერა სიცოცხლე. ეს იყო 60-იანი წლების ბოლოს, სანამ პერსონალური კომპიუტერები და დესკტოპები გამოვიდოდა. ასე რომ, ყველაფერი კეთდებოდა საბეჭდი მანქანითა და პოლაროიდის კამერებით. ეს პუბლიკაცია რბილყდიანი “გუგლის” მსგავსი იყო – 35 წლით ადრე, ვიდრე

“გუგლი” დაარსდებოდა: იდეალისტური და სავსე, მარჯვე იარაღებითა და დიდი იდეებით.

სტიუარტმა და მისმა გუნდმა “The Whole Earth Catalog”-ის რამდენიმე გამოცემა გააკეთეს და როცა თავისი თავი ამოწურა, ბოლო პუბლიკაცია გამოუშვეს. ეს იყო 70-იანი წლების შუა ხანებში. მაშინ მე თქვენხელა ვიყავი. ბოლო გამოცემის უკანა ყდაზე სოფლის გზის დილით გადაღებული ფოტო იყო. ისეთი, როგორსაც მაშინ გაივლით, როცა თავგადასავლების საძიებლად ხართ წასული ლაშქრობაზე. მის ქვემოთ ასეთი სიტყვები იყო: “დარჩი მშიერი, დარჩი სულელი.” ეს იყო მათი დასამშვიდობებელი გზავნილი წასვლის წინ. დარჩი მშიერი, დარჩი სულელი. მე ამას ყოველთვის ვნატრობდი ჩემთვის. და ახლა, როცა ამთავრებთ უნივერსიტეტს, რათა ახალი ცხოვრება დაიწყოთ, თქვენც იმავეს გისურვებთ.

დარჩით მშიერი, დარჩით სულელი.

დიდი მადლობა ყველას.

❖ **პაუერპოინტში მომზადებული პრეზენტაციის საფუძვლები**

რამდენიმე რჩევა პრეზენტაბელური პრეზენტაციისათვის

პრეზენტაციის ძირითადი წესები

პაუერპოინტში მომზადებული პრეზენტაცია ძალიან გავრცელებული და ეფექტური გზაა იდეების, მოსაზრებების და ა. შ... წარდგენისა. შევეცდებით, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის წესები და ხერხები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი პრეზენტაცია საინტერესო იყოს მსმენელისათვის, ერთი მხრივ, და, აგრეთვე, პრეზენტატორმაც თავის მიზანს მიაღწიოს. პრეზენტაციის მომზადებისას ავტორმა უნდა იფიქროს როგორც მის შინაარსობრივ, ისე გარეგნულ მხარეზე.

ვიზუალური მხარე

პრეზენტაციის დროს ვიზუალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ ვიზუალური კონტრასტი ადვილად აღსაქმელია, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ფურცელზე ეფექტურია მუქი ტექსტი ღია ფონზე, ხოლო პროექტორზე – ღია ტექსტი ნახევრად მუქ ფონზე.

- ფონად ერთი ფერი გამოიყენეთ. ფონი ერთგვარი "სცენაა" თქვენი ინფორმაციისათვის, თუმცა მისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება და ზედმეტად გაფორმება დროის ტყუილუბრალოდ ხარჯვაა.

- ნუ შეეცდებით მსმენელის მოხიბვლას გრაფიკითა და დიზაინით, მთავარია ინფორმაცია.

- მედია არ არის მესიჯი, მესიჯი არის ინფორმაცია.

ვიზუალური ბალანსი

- ბულეტებს ცენტრში ნუ დასვამთ, რადგან ეს თვალისთვის მძიმე აღსაქმელია.

- ბულეტები მარცხენა მხარეს მოათავსეთ, რადგან ეს აკურატულობის, მოწესრიგებულობის განცდას იწვევს მნახველში და ადვილი წასაკითხია.

- ცენტრირებული გრაფიკა ცოტა ადგილს ტოვებს ტექსტისათვის, ამიტომ ნუ განათავსებთ გრაფიკას ცენტრში, რათა მეტი სივრცე გქონდეთ ტექსტისათვის.

- მარცხნივ მოთავსებული გრაფიკა მკითხველის ყურადღებას ტექსტისაკენ წარმართავს.

ძირითადი წესები

იყავით ზომიერი ფონტების შერჩევისას; ფონტი გონივრულად შეარჩიეთ

- არ გამოიყენოთ მთავრული ასოები – ძნელი წასაკითხია.
- გამოიყენეთ სტანდარტული შრიფტები.
- არ არის საჭირო განსაკუთრებული ფონტის გამოყენება, გარდა სათაურებისა.
- *იტალიკი ძნელი წასაკითხია.*
- გამოიყენეთ **ბოლდი** , როცა რომელიმე სიტყვის ხაზგასმა გინდათ.
- ზომა შეარჩიეთ ზუსტად აუდიტორიისა და დამსწრეთა რაოდენობის მიხედვით. გაითვალისწინეთ აუდიტორიის ასაკიც, თუკი ეს შესაძლებელია. პატარა ოთახში და ახლო დისტანციაზე შესაძლებელია 24 pt საკმარისი იყოს, ხოლო ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია 48 pt-ს გამოყენება დაგჭირდეთ.

თავი აარიდეთ გადატვირთულ ტექსტს

ძალიან ვრცელმა ტექსტმა ეკრანზე შეიძლება პაუერპოინტის მიზანი "დაჩრდილოს", ანუ დაგაკარვინოთ აუდიტორია. ამ დროს სლაიდი გამოიყურება, როგორ არეული ტექსტის მასა და ძნელია წასაკითხად და გასარჩევად. ხალხი ცდილობს, რომ ყველაფერი წაიკითხოს ან ჩაიწეროს და მოსმენის ინტერესს კარგავს. სლაიდზე მოათავსეთ მხოლოდ ძირითადი იდეები. თუ დიდი მოცულობის ინფორმაცია გაქვთ, გამოიყენეთ მეტი სლაიდი ან დაარიგეთ ჰენდაუტები.

ძირითადი წესები, რომლებიც აუცილებელია კარგი პრეზენტაციისათვის

- ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომა პაუერპოინტის პრეზენტაციისას ის არის, რომ პრეზენტატორები ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი ინფორმაცია გაათავსონ. დაიმახსოვრეთ, რომ აქ პრეზენტატორი თქვენ ხართ და არა პაუერპოინტი. და, რაც მთავარია, აუდიტორია წარმოთქმულ სიტყვებს უკეთ აღიქვამს.

ენა

წერეთ რაც შეიძლება მარტივად:

- ტექსტი გასაგებად ადვილი უნდა იყოს. ნუ გამოიყენებთ რთულ წინადადებებსა და კონსტრუქციებს.
- გამოიყენეთ მარტივი სიტყვები.
- ბულეტები უნდა გადმოსცემდეს მთავარ, ცენტრალურ აზრებს/იდეებს.
- თავი აარიდეთ აბრევიატურებისა და რთული ტერმინების გამოყენებას.
- გამოიყენეთ "მშენებლობის" პრინციპი _ ინფორმაცია თანდათან დაამატეთ.
- არ განათავსოთ ექვსი სიტყვაზე მეტი ერთ ხაზზე და ექვსი ხაზზე მეტი თითო გვერდზე.

ფერების გამოყენება და კომბინაციები

- შეარჩიეთ ფერები შემოქმედებითად, მაგრამ გაითვალისწინეთ პრეზენტაციის მიზანი, პოტენციური აუდიტორია და რა იქნება მისთვის მისაღები.
- რაც კომპიუტერზე ლამაზად ჩანს, შესაძლოა ეკრანზე არ იყოს მიმზიდველი, ამიტომ წინასწარ შეამოწმეთ, როგორ გამოიყურება ის ეკრანზე.
- გამოიყენეთ გამოკვეთილი, კონტრასტული ფერები, რომლებიც ადვილად აღსაქმელია.
- შეარჩიეთ ღია ფერები მუქი ფონისათვის და მუქი ფერები – ღია ფონისათვის.
- შეარჩიეთ ფერების სწორი კომბინაცია ასოებსა და ფონს შორის: ლურჯი, იისფერი – ყვითელი; შავი და თეთრი; ლურჯი, მწვანე – წითელი... პრეზენტაციის შინაარსის გათვალისწინებით. აკადემიური შინაარსის პრეზენტაციას ფერებიც „აკადემიური" შეურჩიეთ და პირიქით.

კლიპარტი და გრაფიკა

უმთავრესი წესი, რომლითაც კლიპარტისა და გრაფიკის შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ, შემდეგია: მათი გამოყენება თვითმიზანი არ არის, ისინი პრეზენტაციის შინაარსს უნდა ავსებდეს და დამატებით და ღირებულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს აუდიტორიას.

- ცოტა და ხარისხიანი გრაფიკა უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე ბევრი და უხარისხო.
- თემატურად და კონცეპტუალურად სწორად შერჩეული ფოტოები და გრაფიკა ძალიან ეფექტურია.
- ფოტოები და გრაფიკა გამოიყენეთ ზომიერად! სრულიად უსარგებლოა თემატურად დაუკავშირებელი ვიზუალური მასალის გამოყენება პრეზენტაციის „გასალამაზებლად“.

პაუერტპოინტში მომზადებული პრეზენტაციის ოქროს წესი

დაიმახსოვრეთ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ ზემოთ ვისწავლეთ, მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი, დამხმარე საშუალებაა პრეზენტაციისათვის. აუდიტორიისათვის უმთავრესი შინაარსია, ამიტომ მაქსიმალური კონცენტრირებაა საჭირო საპრეზენტაციო საკითხის მომზადებაზე. პრეზენტაცია უინტერესო ხდება, თუკი მომხსენებელს იმაზე მეტი არაფერი აქვს სათქმელი, რაც ეკრანზე ჩანს. ამიტომაც მაქსიმალური ძალისხმევა სწორედ პრეზენტაციის შინაარსისკენ უნდა მიმართოთ.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ შეავსეთ გამოტოვებული ადგილები კონტექსტისათვის შესაფერისი თქვენთვის ნაცნობი ფრაზებით, რომლებიც გამოიყენება პრეზენტაციისას:

1. – ძვირფასო სტუმრებო, მადლობას გიხდით მობრძანებისათვის და შევეცდებით, რომ . . . . . .

2. – . . . . . გაგაცნოთ ახალი სახელმძღვანელო, რომელიც გამომცემლობა "ლამპარმა” გამოსცა.

3. – . . . . . , რომ ამ პრობლემის მოგვარება არც ისე რთულია.

4. – ტელევიზორის მოწინააღმდეგეებს კონტრარგუმენტად მოჰყავთ, რომ ტელევიზორთან ბავშვი ბევრ დროს ატარებს, რის გამოც მას ხელი ეშლება

გაკვეთილების მომზადებაში. . . . . ., რადგან შესაძლებელია ბავშვმა ტელევიზორი არ ჩართოს, მაგრამ მაინც არ იმეცადინოს.

5. – ჩვენი გამოსვლის ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ახლა კი . . . . . ., რომლებიც გაგიჩნდებათ.

▣ *ერთმანეთს დაუკავშირეთ ის სიტყვები და გამოთქმები, რომელთა გამოყენება ერთსა და იმავე სიტუაციაში შეიძლება:*

დიდი მადლობა მობრძანებისათვის;	ეს არგუმენტი არადამაჯერებელია;
ყველა შეკითხვას სიამოვნებით ვუპასუხებთ;	ძვირფასო სტუმრებო, მადლობას გიხდით პრეზენტაციაზე დასწრებისათვის;
ამ არგუმენტის მიღება არ შეგვიძლია;	გვჯერა, პრეზენტაციამ მიზანს მიაღწია.
იმედი გვაქვს, თქვენი მხარდაჭერა მოვიპოვეთ.	ახლა კი თქვენს შეკითხვებს ვუპასუხებთ;

▣ *გადააკეთეთ ეს ტექსტი საპრეზენტაციო ტექსტად; გამოიყენეთ ნაცნობი სიტყვები და გამოთქმები:*

გამომცემლობა "დიოგენემ" გამოსცა "ტომ სოიერის თავგადასავალი". ეს არის წიგნი, რომელიც ნათარგმნია მსოფლიოს 100 ენაზე და რომელსაც ინტერესით კითხულობენ დიდებიც და პატარებიც. წიგნში საინტერესო ილუსტრაციებია და საკმაოდ იაფი ღირს. გამომცემლობის ხელმძღვანელები მოუწოდებენ ყველას, შეიძინონ ეს წიგნი.

▣ წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და იმსჯელეთ, რამდენად პასუხობს იგი საჯარო გამოსვლის მოთხოვნებს, რამდენად სრულყოფილად არის წარმოდგენილი მიმართვა, ძირითადი ტექსტი, დასკვნითი ნაწილი? საჯარო გამოსვლის რა ხერხებია ტექსტში წარმოდგენილი? გამოყავით სათანადო ენობრივი საშუალებები. რამდენად ეფექტურია ტექსტი საჯარო გამოსვლისათვის? რას შეცვლიდით მასში? აღნიშნეთ ტექსტის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ნარკომანია, როგორც სოციალური სენი

მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო. მე გახლავართ ანტინარკოტიკული ცენტრის ექსპერტი თინათინ აბაშიძე. ჩვენი დღევანდელი პრეზენტაციის მიზანია გაგაცნოთ ნარკომანის უარყოფითი მხარეები. იმედი გვაქვს, დღევანდელი შეხვედრა საინტერესო იქნება თქვენთვის.

ნარკომანია გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, ვიდრე ბუნებრივი კატაკლიზმები, ტერორიზმი და ეპიდემიური დაავადებები. ასეთ შემაშფოთებელ დასკვნას აკეთებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ნარკომანიის შესახებ.

ნარკოტიკებისადმი ავადმყოფური დამოკიდებულება ადამიანს მრავალგვარ საშიშროებას უქმნის. უმთავრესი მისი ჯანმრთელობაა. სამედიცინო ლექსიკონში განმარტებულია, რომ ნარკოტიკული საშუალებები იწვევს ფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციების დარღვევა-მოშლას, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების პარალიზებას, სქესობრივი ფუნქციის მოშლას. ნარკომანთა შთამომავლები ხშირად პათოლოგიებით იბადებიან. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება... ზოგ ადამიანს მიაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრობლემა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების არმქონე პირებსაც შეიძლება გაუჩნდეთ. რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ ამ არგუმენტს ვერ გავიზიარებთ, რადგან, სტატისტიკის თანახმად, ნარკომანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადება 6-ჯერ უფრო ხშირად უვითარდებათ.

შევეცდებით დაგისაბუთოთ, რომ ნარკომანია საფრთხეს უქმნის მთელ საზოგადოებას. იგი მოედო მის ყველა ფენას და თუ ადრე მისი ტერიტორიული გავრცელების არეალად მხოლოდ ლათინოამერიკულ (კოლუმბია, პანამა) ქვეყნებსა და ზოგიერთ აზიურ სახელმწიფოს ასახელებდნენ, დღეს იგი მთელი მსოფლიოს თავსატეხი გახდა, რადგან იგი ხშირად ხდება ადამიანის სოციალური ფუნქციის მოშლის (განქორწინება, სამუშაო ადგილის დაკარგვა, თვითშეფასების დაქვეითება), კრიმინალური ქმედებების (ქურდობა, მკვლელობა, ყაჩაღობა), და, რაც ყველაზე მთავარია, განუკურნებელი დაავადების, შიდსის, გამომწვევი მიზეზი.

სკეპტიკოსები, ისევე როგორც ზემოთ განხილულ შემთხევევაში, არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და თვლიან, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხე არსებობს არანარკომანებს შორისაც.

რასაკვირველია, ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ისევ და ისევ სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ნარკომანთა შორის ყველა ეს სოციალური უბედურება გაცილებით ფართოდაა გავრცელებული. ამდენად, მოწინააღმდეგეთა არგუმენტის გაზიარება არ შეიძლება.

ცნობილია, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ნარკომანები ხელახლა ჩადიან დანაშაულს, რისი მოტივიც ნარკოტიკული საშუალების მოპოვების სურვილია. უმუშევრობა ერთ-ერთ მთავარ სოციალურ პრობლემად ითვლება მსოფლიოში. ადამიანი იბრძვის სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის. ეს მოითხოვს, პროფესიონალიზმთან ერთად, ენერგიას, ძალას, მიზანსწრაფულობას. ნარკომანებს კი ამის უნარი არა აქვთ, ამიტომაც ირჩევენ "იოლ" ხერხს - დანაშაულის გზით ფულის შოვნას.

რაში ხედავს საზოგადოება გამოსავალს? პრობლემა იმდენად რთულია, რომ მისი მოგვარებისათვის ცალსახა გზა არ არსებობს. მსოფლიოში უამრავი ფონდი და საქველმოქმედო საზოგადოებაა, რომლებიც ეხმარებიან ამ სენით დაავადებულ ადამიანებს. ცნობილი პიროვნებები აგიტაციას უწევენ ანტინარკოტიკულ ცხოვრების წესს, ტელევიზია გადასცემს სარეკლამო კლიპებს და აწყობს გადაცემებს, რომლებიც ნარკოტიკების მავნებლობას ეძღვნება, თუმცა ეს ყველაფერი ნაკლებად ეფექტურია. როგორც ჩანს, საჭიროა ძლიერი „შეტევა" ნარკოტიკების გამავრცელებლებზე.

ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საქმეა. საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის წინ აშშ-ში დაიჭირეს პანამის პრეზიდენტი, რომელიც ამ საქმიანობას ეწეოდა და იქვე გაასამართლეს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემა საზოგადოების ყველა ფენისათვის აქტუალურია.

ექსპერტები იძლევიან რჩევას, რომ, გარდა აგიტაციისა, ნარკომანიას უნდა დაუპირისპირდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი და მოზარდმა ბავშვობიდან გააცნობიეროს მისი უპირატესობა. სპეციალისტებს ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად რწმენის განმტკიცება მიაჩნიათ.

საქართველო ნარკოტიკების მოხმარების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. არსებული ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოში 60 000-ზე მეტი ნარკომანი და 120 000-ზე მეტი ნარკოტიკის მომხმარებელია. ვარაუდობენ, რომ არარეგისტრირებულ ნარკომანთა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია. თუ პრობლემის გადაჭრის რეალური გზა არ მოიძებნა, ქვეყნის მოსახლეობას უდიდესი სოციალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ვფიქრობთ, ჩვენმა გამოსვლამ დაგარწმუნათ, რომ საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ პრობლემასთან. იმედი გვაქვს, გვეთანხმებით, რომ ნარკომანიას მთელი საზოგადოება უნდა შეებრძოლოს.

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის და ველოდებით თქვენს შეკითხვებს.

ჯგუფური სამუშაო:

მოამზადეთ პრეზენტაცია თემებზე:

1. სოციალური რეკლამა - გადავარჩინოთ ტყე - მწვანე აქცია;
2. საზღვარგარეთ მოსწავლეთა გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა;
3. ახალგაზრდული ტელეგადაცემა - „თაობა - ტრადიცია და თანამედროვეობა“ - სატელევიზიო საინფორმაციო რგოლი;
4. ფოტოგამოფენის „მე ვარ თსუ სტუდენტი“ საზეიმო გახსნა;
5. წიგნის ყოველწლიური ფესტივალის საიუბილეო აღნიშვნა;
6. ფოტოგამოფენა „ჩემი საქართველო“;
7. ახალგაზრდა შემოქმედთა ცენტრის გახსნის ცერემონიალი;
8. ესეების კონკურსის დაჯილდოებაზე წარმოსათქმელი სიტყვა.

III ნაწილი

სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები და მისი მოამზადება

I თავი

განხილული საკითხები:

1. სამეცნიერო ნაშრომი;
2. სამეცნიერო აპარატი.

1. სამეცნიერო ნაშრომი

◈ რას ნიშნავს სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ნაშრომი გადმოსცემს რომელიმე სფეროში დასრულებული ან მიმდინარე კვლევის შედეგებს. უნდა აღინიშნოს ის, რომ ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის ღირსებად ითვლება მეცნიერული სიახლე, რომელიც მასშია გადმოცემული. სამეცნიერო ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის და, როგორც უკვე განვიხილეთ, იქმნება სამეცნიერო სტილით. შეიძლება გამოვყოთ სამეცნიერო ნაშრომის სამი სახეობა:

• საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომი;
• სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი;
• სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომი.

სამივე სახეობას აქვს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

• საკუთრივ **სამეცნიერო ნაშრომი** განკუთვნილია მკითხველთა შედარებით ვიწრო წრისათვის. ამ სახეობაში შედის: მონოგრაფია, დისერტაცია, მოხსენება და ა. შ. გადმოცემის სტილი არის მკაცრი, აკადემიური. საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომის მიზანი არის კვლევის შედეგების წარმოჩენა, სამეცნიერო წრისათვის გაცნობა და სიახლის დაფიქსირება. ამ ტიპის ნაშრომი იქმნება დარგის სპეციალისტის მიერ და განკუთვნილია ამავე ან მონათესავე დარგის

სპეციალისტებისათვის. იგულისხმება, რომ მკითხველებს აქვთ საბაზისო ცოდნა, ამდენად ცალკეული დეტალებისა და ტერმინოლოგიის განმარტება აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტორი თავად ქმნის ახალ ტერმინს ან თეორიას. ზოგჯერ სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს საკითხის დასმის წესით. ამ შემთხვევაში სათაურში აუცილებლად უნდა მიეთითოს ამის შესახებ, შესაძლებელია სათაურის შემდეგ დაიწეროს ფრაზა – საკითხის დასმისათვის. თუმცა, ეს წესი უფრო ხშირად გამოიყენება ზეპირი მოხსენების დროს, რათა ავტორს საშუალება მიეცეს გაითვალისწინოს საზოგადოების დამოკიდებულება კვლევის ამ მიმართულებისადმი და მხედველობაში მიიღოს მათი შენიშვნებიც.

• განსხვავებული ფუნქცია აქვს **სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს.** მისი დანიშნულებაა არაპროფესიონალთათვის სამეცნიერო მიღწევების გაცნობა. მკითხველში მოიაზრება ის ადამიანი, რომელსაც არა აქვს სათანადო ცოდნა, ამიტომ ამგვარი ნაშრომი არ უნდა იყოს გადატვირთული ტერმინოლოგიით, ხოლო თუ ამის აუცილებლობა მაინც დგება, მაშინ თითოეული მათგანი უნდა განიმარტოს. ამ ტიპის ნაშრომი ეფუძნება ორ რადიკალურად განსხვავებულ მეთოდს: ერთი მხრივ, ლოგიკური მსჯელობა და ემოციური ელფერი, მაგალითების უხვად მოხმობა, ობიექტური დამოკიდებულება საკითხისადმი, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის სუბიექტური განწყობის წინ წამოწევა.

• რაც შეეხება **სამეცნიერო-სასწავლო ტიპის ნაშრომს,** აქ ვლინდება ორივე ტიპის სამეცნიერო ნაშრომის მახასიათებლები. საკუთრივ სამეცნიერო სტილთან მას აერთიანებს ტერმინოლოგიის გამოყენება, სისტემურობა, ლოგიკურობა და არგუმენტირება. რაც შეეხება სამეცნიერო-პოპულარულ სტილთან სიახლოვეს, მათ შორის საერთოა ის, რომ ორივე უნდა იყოს ადვილად აღსაქმელი და მისაწვდომი, აგრეთვე, უხვად ილუსტრირებული. ასეთი შეიძლება იყოს სასწავლო სახელმძღვანელო, ლექცია, სასემინარო მოხსენება, საცნობარო ლიტერატურა, საენციკლოპედიო სტატია, ანოტაცია და ა. შ.

◈ როგორ იქმნება სამეცნიერო ნაშრომი

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ნაშრომის მთავარი ღირსებაა საკითხის სიახლე და მისი მიწოდება მკითხველისათვის, ამიტომ სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას აუცილებელია დავიცვათ შემდეგი წესები:

• აუცილებელია საკვლევი საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;

• საკითხის ევოლუციური განვითარების ჩვენება, ანუ საკითხის ისტორია;

• პრობლემის სიახლე და მისი განვითარების ჩვენება, ანუ როგორ მივიდა ავტორი ამ დასკვნამდე;

• განსახილველ საკითხზე ჩატარებული სამეცნიერო ექსპერიმენტის შედეგების ჩვენება.

სამეცნიერო ნაშრომში საკითხის განვითარებისა და დამუშავებისათვის აუცილებელია დაისვას რამდენიმე შეკითხვა, რომლებსაც, ფაქტობრივად, უპასუხებს სამეცნიერო ნაშრომი:

• რა პრობლემაა განხილული? – ამ კითხვას პასუხი გაეცემა შესავალ ნაწილში.

• რამდენად აქტუალურია დასმული საკითხი და რატომ გახდა იგი კვლევის საგანი? – ეს შეიძლება იყოს მსჯელობის გარდამავალი ეტაპი შესავალსა და ძირითად ნაწილს შორის.

• კვლევის რა მეთოდებია ნაშრომში გამოყენებული?

• რა დასკვნაა მიღებული და რა გზით?

• რა სიახლეა კვლევაში?

• რა პრობლემები დარჩა განსახილველი?

თუკი სამეცნიერო ნაშრომში ყველა ამ კითხვას გაეცა სწორი და ამომწურავი პასუხი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაშრომმა შეასრულა თავისი დანიშნულება.

სამეცნიერო ნაშრომის აგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამეცნიერო აპარატის შექმნა. სამეცნიერო აპარატი გულისხმობს ყველა იმ დამხმარე ტექნიკურ საშუალებას, რომლებიც გამოიყენება კვლევის გაფორმების დროს. სამეცნიერო აპარატში იგულისხმება **სქოლიო, შენიშვნა, ბიბლიოგრაფია, სხვადასხვა ტიპის საძიებელი.**

2. სამეცნიერო აპარატი

◈ სქოლიო

ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოიყენება სქოლიო. სქოლიოში მოცემულია:

• დამოწმებული სტატიის ან მონოგრაფიის მითითება;
• შენიშვნა;
• ავტორისეული განმარტება;
• დამატებითი ტექსტი.

სქოლიო მოთავსებულია ძირითადი ტექსტის ქვეშ, გვერდის ბოლოში ან იშვიათად სტატიის ბოლოს. Microsoft Word-ის პროგრამაში სქოლიოს დასმა ხდება შემდეგნაირად:

I. ერთდროულად აკრიფეთ შემდეგი კლავიშები Ctrl Alt და F;

II. შედით მენიუში insert - reference - footnote.

◈ დამოწმებული სტატიის ან მონოგრაფიის მითითება

დამოწმებული სტატიის ან მონოგრაფიის მითითება ხდება შემდეგნაირად: თუ მოსაზრება დამოწმებულია სტატიიდან, აუცილებელია სქოლიოში მიეთთითოს ეს სტატია შემდეგი თანამიმდევრობით: პირველად დასახელდება ავტორის გვარი, შემდეგ ინიციალი, სტატიის სათაური, პერიოდული გამოცემის ან კრებულის სახელწოდება, ტომი ან ნაწილი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და გვერდი.

◈ ნიმუში:

სტატიის მითითება
[1] ოსიძე, ე., სიბილანტთა შესატყვისობის შესახებ ქართველურ ენათა ჰარმონიულ კომპლექსებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XVI, თბ., 1989, გვ. 17.

მონოგრაფიის მითითება:
[2] ჟღენტი ს., ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938წ., გვ. 87.

რამდენიმე ავტორის მონოგრაფიის მითითება:
გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965წ., გვ. 62

შენიშვნა:

• მითითებული სტატიის ან მონოგრაფიის ხელმეორედ გამოყენების დროს სტატიის ან მონოგრაფიის სრული სათაური აღარ იწერება და გამოიყენება ამგვარი შემოკლება:

---

[1] გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., დასახ. ნაშრ., 62

• იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მითითება იმავე გვერდზე და მომდევნოდ მეორდება, შეიძლება ამგვარ ხერხსაც მივმართოთ:

---

[1] იქვე, 64

• თუ თქვენთვის საინტერესო მოსაზრების შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს, შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე ძირითადი სტატია ან მონოგრაფია ისე, რომ არ განიხილოთ ნაშრომში და მკითხველს შესთავაზოთ მათი დასახელება დამატებითი ინფორმაციის სახით. ამ შემთხვევაში იყენებენ შემდეგ ფორმას:

---

[1] იხ. აგრეთვე შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980წ., გვ. 79.

შენიშვნა:

ხშირად ავტორს შენიშვნა ან გარკვეული ინფორმაცია ჩააქვს სქოლიოში, რადგან მას დამატებით ფუნქციას ანიჭებს და ამ გზით გამიჯნავს თავის შენიშვნას ძირითადი ინფორმაციისაგან. შენიშვნაში, ასევე, შეიძლება მიეთითოს ზეპირი ინფორმატორის ვინაობა და მისდამი დამოკიდებულებაც.

◣ ნიმუში:

---

[1] ეს მოსაზრება პირველად გამოთქვა ნიკო მარმა.

[2] ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით რ. აბაშიძეს.

◈ ავტორისეული განმარტება:

ავტორისეული განმარტება არის ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ავტორს სურს მიაწოდოს მკითხველს, მაგრამ არ მიაჩნია პირველხარისხოვნად ან ორგანულად არ ჯდება ძირითად ტექსტში. შენიშვნისაგან განმარტებას განასხვავებს ის, რომ ეს უკანასკნელი უფრო ვრცელია, ვიდრე შენიშვნა.

◣ ნიმუში:

[1] ეს ტერმინი პირველად გამოიყენა აკაკი შანიძემ თავის გრამატიკაში 1936 წელს, მაგრამ შემდგომ გამოცემაში მან შეცვალა ტერმინი და სწორედ ეს უკანასკნელი დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

◈ დამატებითი ტექსტი:

დამატებითი ტექსტი არც თუ ისე მცირე მოცულობისაა და ავტორს ეხმარება იმაში, რომ მკითხველს მიაწოდოს სათქმელთან არაპირდაპირ დაკავშირებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია (სხვათა ნააზრევი, ციტატა, მსჯელობის ფრაგმენტი, მეცნიერული თეორიების ძირითადი დებულებები და ა. შ.). ამ გზით ავტორს ეძლევა საშუალება, შეინარჩუნოს ძირითადი მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობა, ერთგვაროვნება, მაგრამ მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს მკითხველს სქოლიოს სახით.

◣ ნიმუში:

[1] აღიშნული მოსაზრება სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც გვხვდება, მაგრამ გ. ბერიძე ფუნდამენტურად მიმოიხილავს ამ საკითხს და, ფაქტობრივად, იგი ითვლება ამ თეორიის ავტორად, რადგან სწორედ მის ნაშრომში ჩაეყარა საფუძველი ამ ტიპის კვლევას.

◈ ლიტერატურის მითითება:

ლიტერატურის მითითება შესაძლებელია ნაშრომის ბოლოსაც. ბოლო ხანებში ეს ხერხი უფრო გავრცელებულია ადგილის ეკონომიის მიზნით. ამის რამდენიმე ხერხი არსებობს.

• ძირითად ტექსტში დამოწმებული ინფორმაციის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილში დაიწერება ციფრი, სტატიის ბოლოს კი სათანადო ციფრის გასწვრივ მიეთითება სრული ინფორმაცია. გაითვალისწინეთ, რომ სტატიის ბოლოს მითითებისას ჯერ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალი, შემდეგ გვარი და შემდეგ სტატიის ან მონოგრაფიის დასახელება, გამოცემის ადგილი და გამოცემის წელი.

◺ ნიმუში:

[1] მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989

• ძირითად ტექსტში დამოწმებული ინფორმაციის შემდეგ ფრჩხილში დაიწერება ავტორის გვარი, ნაშრომის გამოქვეყნების თარიღი და გვერდი, სტატიის ბოლოს კი პირდაპირ უცვლელად გადადის სტატიაში გამოყენებული მითითება, შემდეგ იწერება ტირე და უკვე სრული ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ამგვარ შემთხვევაში გამოყენებული ლიტერატურა ლაგდება ანბანთრიგზე.

◺ ნიმუში:

ჭაბაშვილი, 1989, 78 - მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ მოცემული ინფორმაციის მიხედვით შექმენით სამეცნიერო ნაშრომი, დაამატეთ თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებები, რომლებიც ამ ინფორმაციას აქცევს მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომად. ამისათვის გაიხსენეთ, ასევე, ის ხუთი კითხვა, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს სამეცნიერო ტექსტი.

1. ტექსტის ანალიზი ქმნის ლიტერატურის თეორიული კვლევის განსხვავებულ მოდელებს;

2. ტექსტის ანალიზმა გაიარა არაერთი მნიშვნელოვანი ეტაპი;

3. ლიტერატურის თეორია არის მუდამ ცვალებადი. ის ვერ ჩერდება მიღწეულზე, რადგან მისი კვლევის საგანი – ლიტერატურა – მუდმივად ცვალებადი ინფორმაციული ნაკადია და ითხოვს ახალ თეორიულ ხედვებს;

4. დღეს თეორიული ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალური თემებია:

ა) ლიტერატურისათვის სისტემის ანალიზი – ეპოქისათვის ნიშანდობლივი ზოგადკულტურული კანონზომიერებების დონე;
ბ) სხვადასხვა ლიტერატურული სისტემის ანალიზი ერთი რომელიმე კულტურული მოდელის დონეზე;
გ) ლიტერატურული სისტემის ანალიზი სხვადასხვა კულტურულ სისტემათა დონეზე;

5. ქართული ლიტერატურის კვლევა ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ მიმდინარეობს;

6. ქართული ლიტერატურა მისი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე აკმაყოფილებდა ევროპული ლიტერატურული მოთხოვნების სტანდარტებს;

7. ქართული ლიტერატურა იძლევა ქართული ლიტერატურის ევროპულ და მსოფლიო ლიტერატურასთან ინტეგრაციის საშუალებას;

8. ამ თვალსაზრისით, ქართული ლიტერატურის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

▣ პირველ ბლოკში მოცემულია ინფორმაცია, მეორე ბლოკში მოყვანილია ციტატები პროფ. ნინო დობორჯგინიძის სამეცნიერო სტატიიდან „რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ.“ ციტირების, პერიფრაზის, თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებებისა და სამეცნიერო აპარატის, სქოლიოს, ლიტერატურის მითითების წესების გამოყენებით შექმენით მცირე ზომის სამეცნიერო ნაშრომი.

---

1. ენათა კლასიფიკაციას სალიტერატურო, სამწერლობო და არასალიტერატურო, არასამწერლობო ენებად დიდი ხნის ისტორია აქვს.

2. ეს კლასიფიკაცია, ისევე როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრება, არ ჩამოყალიბებულა საკუთრივ ენის შესახებ მოძღვრებაში. იგი ჩნდება როგორც გვიანანტიკურობის საისტორიო და თეოლოგიური დისციპლინების ერთ მნიშვნელოვან პრობელმასთან, ე. წ. „წმინდა ენის ისტორიასთან“ (historia sacra) უშუალოდ დაკავშირებული საკითხი.

3. ზოგადად ენების დიფერენცირება კულტურული ნიშნით: „“ (ელინური, ესე იგი, კულტურული, განათლებული და ყველა დანარჩენი, როგორც გაუნათლებელი ე. ი. ბარბაროსული), ცხადია, ბევრად უფრო ადრეც არსებობდა, მაგრამ კლასიფიკაცია სალიტერატურო სამწერლობო ტრადიციების მიხედვით სწორედ გვიანანტიკურობაში ჩნდება.

4. ავტორი მოკლედ ეხება ორ წყაროს, რომლებშიც პირველად დასტურდება ამგვარი კლასიფიკაცია: 1) იპოლიტე რომაელის 234/235 წლებში შედგენილი ქრონიკა, 2) ამ ქრონიკის თანადროული სექსტუს იულიუს აფრიკანუსის საისტორიო წყარო.
5. ერთ–ერთი პირველი და სანდოდ მიჩნეული საისტორიო ქრონიკები ადგენენ მაშინდელი მსოფლიოს ხალხთა და ენათა ნუსხას და გვთავაზობენ ენათა კლასიფიკაციას სალიტერატურო–სამწერლობო ნიშნის მიხედვით.

6. ამ კლასიფიკაციის შემცველი ტექსტები, რომლებიც დიამერიზმების სახელითაა ცნობილი, დაცულია III–XVIII საუკუნეების ქრისტიანულ, მათ შორის ბერძნულ, სირიულ, კოპტურ, ლათინურ, სომხურ, ქართულ და საეკლესიო სლავურ წყაროებში.

7. ირკვევა, რომ ამ კლასიფიკაციას იცნობდნენ ისლამური საისტორიო ქრონიკებიც.

8. რა კონტექსტშიც არ უნდა იყოს შექმნილი მოცემული წყაროები, ეს არის არაუგვიანეს მესამე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიის მიერ

სალიტერატურო სამწერლობო ენების კონცეპტუალიზაცია და იგი იმდროინდელ კულტურულ სამყაროში აღიარებულ თვალსაზრისს გამოხატავს.

რელიგიური ისტორიოგრაფიის მიხედვით, ბაბილონის გოდლის მშენებლობის, ანუ ენათა და ხალხთა განყოფის შემდეგ, ნოეს სამი ძმის სამოცდათრმეტი შთამომავალი და მათ ენები „წმინდა ისტორიის“ მონაწილენი ხდებიან. ამ სამოცდათორმეტიდან თხუთმეტი განსაკუთრებული ნიშნით – სალიტერატურო სამწერლობო ტრადიციებით – არის გამორჩეული.

დასახელებულ წყაროებს განვიხილავ არა პალეოგრაფიული, არამედ სოციოლინგვისტური, უფრო ზუსტად, კულტუროლოგიური ინტერესით. ანუ, ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, ფრაზაში „სა-ლიტერატურო–სამწერლობო ენები“ იგულისხმება თუ არა ორიგინალური დამწერლობის მქონე ენები, რომელია იბერიული დამწერლობა, როგორი ნიშნები უნდა ჰქონოდა მას და ა. შ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ III–XVIII საუკუნეებში სრულიად განსხვავებულ ისტორიულ, გეოგრაფიულ თუ რელიგიურ გარემოში შექმნილი უამრავი წყარო რომ ერთსა და იმავეს იმეორებს: მსოფლიოში არსებობს თხუთმეტი სალიტერატურო–სამწერლობო ტრადიციის მქონე ენა (მათ შორის კავკასიის იბერიული), ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რას ეყრდნობა ეს მათი, თუნდაც შეუმოწმებელი, დებულება.
ეს კონცეპტუალიზაცია შემდგომ ეპოქებში, ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად მკვეთრად დაშორებულ ტექსტებში თითქმის უცვლელი სახით გავრცელდა. ამის შესახებ რელიგიური ისტორიოგრაფიის ცნობილი მკვლევარი, ს. კრაუსი წერდა: „როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა რაღაც ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც თხუთმეტი სამწერლობო ენის არსებობა უნდა ყოფილიყო მიღებული. ეს არის გარკვეულ დროს შემუშავებული სქემა, რომელიც შენარჩუნებულ იქნა მას შემდეგაც, რაც ამ სქემის ჩამომაყალიბებელი დამოკიდებულებები შეიცვალა (S. Kraus,, “Zur Aahl der biblischen Volker” 1906, გვ. 43).

ნინო დობორჯგინიძე, „რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ,“ კრებული ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007

განხილული საკითხები:
1. რეფერატი;
2. სამეცნიერო სტატია – თეზისები; ანოტაცია; რეზიუმე.

1. რ ე ფ ე რ ა ტ ი

რეფერატი ლათინური სიტყვაა და ორი მნიშვნელობა აქვს:

1) ეს არის მოკლე წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა მეცნიერული ნაშრომისა, წაკითხული წიგნის შინაარსისა და სხვ.;

2) მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

აკადემიური წერისთვის ორივე მათგანი მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხმარება მკითხველს მოკლე, ლაკონური ფორმით გაეცნოს ინფორმაციას, რომლის მიღებასაც რეფერატის არარსებობის შემთხვევაში რამდენიმე ათეული ავტორის ნაშრომის გაცნობა დასჭირდებოდა.

როდესაც ავტორის მიზანია გადმოსცეს მეცნიერული ან სხვა ტიპის ნაშრომის შინაარსი, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- როგორც ნებისმიერ ნაშრომს, რეფერატსაც ესაჭიროება შესავალი ნაწილი, რომელშიც განსაზღვრავთ მიზანს და ჩამოთვლით იმ ავტორებს, რომელთა ნაშრომების რეფერირებასაც აპირებთ.

რეფერატის შესავალი ნაწილის შექმნისათვის დამხმარე ენობრივი საშუალებები:

რეფერატში ვისაუბრებთ... პრობლემაზე; ჩვენი მიზანია განვიხილოთ... საკითხი; სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა... დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მწვავედ დგას... პრობლემა;
რეფერატის მიზანია შეაჯეროს არსებული თვალსაზრისები... საკითხის ირგვლივ; ამ საკითხის ირგვლივ არსებობს მრავალფეროვანი ლიტერატურა, ჩვენ კი შევეცდებით წარმოგიდგინოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები... წარმოგიდგენთ ... ავტორების პოზიციას... საკითხთან დაკავშირებით; შევეცდებით გაგაცნოთ ყველა მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; ამ საკითხთან მიმართებით არსებულ სხვადასხვა თვალსაზრისს ქვემოთ წარმოგიდგენთ; გაგაცნობთ ამ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვას და ა. შ.

- მაქსიმალურად დაუახლოვეთ სტილი ავტორისეულს. ეს განსაკუთრებით ეხება სამეცნიერო ნაშრომებს, ხოლო მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების მიხედვით შექმნილ რეფერატში ავტორმა თავად შეიძლება შეარჩიოს სასურველი სტილი.

- უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია და მთავარი ინფორმაცია მიეწოდოს ამომწურავი, მაგრამ ლაკონური და კონკრეტული სახით. შესაძლებელია ინფორმაციის დამოწმების დამხმარე საშუალებები (სქოლიოები, დამოწმებები, შენიშვნები) ნაკლებად გამოვიყენოთ.

- უნდა მოვერიდოთ საკუთარი მოსაზრებებისა და ინტერპრეტაციის წარმოჩენას, რადგან ამ ტიპის რეფერატი არ ითვალისწინებს ამგვარ დამოკიდებულებას. თუ ეს მაინც და მაინც აუცილებელია, თქვენი პოზიცია სქოლიოში უნდა გაიტანოთ ან ფრჩხილებში ჩაისვას, რათა გაიმიჯნოს იგი სხვათა მოსაზრებებისაგან.

- არ შეცვალოთ ავტორის ან ავტორების პოზიცია, არ დაამახინჯოთ ფაქტები.

- გაითვალისწინეთ აუდიტორია და იმის მიხედვით, თუ რა მოლოდინი აქვს მას, მაქსიმალურად მიაწოდეთ მოლოდინის შესაბამისი ინფორმაცია.

- შეეცადეთ, დააჯგუფოთ ის ნაშრომები, რომლებშიც მსგავსი მოსაზრებებია გატარებული, რათა რეფერატი უფრო ლოგიკურად იყოს აგებული და მკითხველიც იოლად გაერკვეს წარმოდგენილ პოზიციებში. რეფერატის შექმნა გაგიადვილდებათ, თუ მას ააგებთ შედარებით-დაპირისპირებითი ესეს სტრუქტურით.

- სათაურის შექმნისას გაითვალისწინეთ თქვენთვის უკვე ნაცნობი ხერხები, ეცადეთ სათაური იყოს მიმზიდველი, ტევადი და გადმოსაცემი საკითხის ადეკვატური. როდესაც ესეში განხილულია რამდენიმე თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე, საუკეთესოდ ითვლება სათაურის ისეთი ვარიანტი, რომელშიც აისახება ორი განსხვავებული პოზიცია, მაგალითად: ატომური ფიზიკა – კაცობრიობის მომავალი თუ აპოკალიფსი? გლობალიზაცია – პატარა ერების მომავალი თუ მათი ეროვნული თვითმყოფადობის დასასრული? და ა. შ.

- დასკვნაში შეაჯამეთ ავტორების პოზიციები. გამოყავით, რა არის საერთო და განმასხვავებელი ზემოთ წარმოდგენილ ნაშრომებში. დასკვნის შექმნისას გამოიყენეთ თქვენთვის უკვე ნაცნობი ენობრივი საშუალებები.

დამხმარე ენობრივი საშუალებები რეფერატის დასკვნითი ნაწილის შექმნისათვის:

როგორც ერთი, ისე მეორე ავტორი მიიჩნევს, რომ... როგორც ვნახეთ, განსხვავებულია ზემოთ ხსენებული ავტორების პოზიციები... ამ ორ (სამ) ავტორს აკავშირებს საერთო პოზიცია... ერთი მხრივ, ... თვლის, რომ... ხოლო, მეორე მხრივ, ... მიუღებელია აღნიშნული პოზიცია; აქ წარმოდგენილი იყო; რეფერატში წარმოდგენილი იყო; ვეცადეთ ამომწურავად წარმოგვედგინა ... პრობლემასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები...

ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:

ჯერ მოცემულია ნაწყვეტები სამი მკვლევრის სამეცნიერო ნაშრომიდან, ხოლო შემდეგ წარმოდგენილია განხილულ საკითხზე შექმნილი რეფერატი:

1. "ხევისბერი გოჩა", აკაკი ბაქრაძე

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამგვარი პათოლოგიური მოვლენა აღწერეს გოგოლმა, პროსპერ მერიმემ, ალექსანდრე ყაზბეგმა. ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხევისბერი აფექტის დროს კლავს ონისეს, ესე იგი, გოჩას საქციელი არაცნობიერია. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წინასწარმოფიქრებულად აკეთებენ. მეორეც, როგორც კი ხევისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, იგი გაგიჟდა. ბუნებრივია, ჩადენილი აქტის სიველურე თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალური გონება ვერ გაუძლებს ამას. თუ ზნეობრივი თვალსაზრისით შევხედავთ ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა), მაგრამ ხევისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით მან გონება დაკარგა, თავადვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი... მამამ, რომელმაც შვილი მოკლა... დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი უნდა დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი...

2. გრიგოლ კიკნაძე

რატომ მოკლა ხევისბერმა თავისი ვაჟი? იმიტომ რომ ის სამშობლოს მოღალატეა? სრულიადაც არა. ღალატი იქაა, სადაც რამდენადმე მაინც შეგნებული, წინასწარგანზრახული მოქმედება., რასაკვირველია, ასეთი რამ გამორიცხულია ონისეს საქციელში. მას უყვარს თავისი კუთხე, თავისი თემი და ამ მხრივ მასზე წინ არავინაც არაა.. ეს იცის თვითონ ხევისბერმაც და თემმაც, მაგრამ გოჩა მკაცრ განაჩენს გამოიტანს და თვითონვე მოჰყავს იგი სისრულეში.

ეგების ასე იმიტომ მოიქცა გოჩა, რათა სხვას აღარ გაემეორებინა ის, რაც ონისეს დაემართა? მაგრამ ასეთი ახსნა გულუბრყვილობაა: ონისეს ყველაფერი მისდაუნებლიეთ მოუვიდა...

ეგების გოჩა იმიტომ მოიქცა ასე, რომ შვილმა მისი რჩევა ვერ განახორციელა, მაგრამ დარიგების უნებლიე შეუსრულებლობისათვის დასჯა უახლოვდება შვილის მოკვლას პატივმოყვარეობის შელახვისათვის. ასეთი ბრალდება შეურაცხყოფდა გოჩას პიროვნებას.

მაშ რატომ მოკლა მამამ შვილი, თუ ეს უკანასკნელი მოღალატე არ არის და ეს იცის მამამაც და თემმაც. ეს ურთულესი კითხვაა. ურთიერთის საპირისპირო გრძნობები ერთად ცხოვრობენ პიროვნებაში. ეს არის ნაჩვენები ამ ნაწარმოებში.

3. ვახტანგ გოგუაძე

ის, რაც ეპატიება სხვის შვილს, არ ეპატიება მის შვილს – ასეთია გოჩას მრწამსი. ამას ჰქვია დიდი კაცი! დიდი კაცი ერს უფრო არწმუნებს, ვიდრე უმტკიცებს. დარწმუნების ერთადერთი შეუვალი არგუმენტია პირადული მსხვერპლი. ამიტომაც სხვადასხვაგვარი აღმოჩნდება სასჯელი ერთი და იმავე დანაშაულისა: გუგუა ფიჩიტაურს – თემიდან გაძევება, ონისეს – მამისაგან მახვილი მკერდში. ასეთია თემის თავკაცის განაჩენი.

ხევისბერი გოჩა – გმირის ზნეობრივი გამარჯვება თუ მარცხი?

მამის მიერ შვილის მოკვლის საკითხს არაერთი ცნობილი მწერალი შეეხო. მკვლევრები სხვადასხვანაირად აფასებენ ამ საქციელს. ჩვენ შევეცდებით მოკლედ წარმოგიდგინოთ სხვადასხვა პოზიცია ალექსანდრე ყაზბეგის "ხევისბერი გოჩას" გმირის უმკაცრესი განაჩენის – შვილის მკვლელობის შესახებ. განვიხილავთ სამი კრიტიკოსის – აკაკი ბაქრაძის, გრიგოლ კიკნაძისა და ვახტანგ გოგუაძის პოზიციებს.

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ გოჩას საქციელი გაუაზრებელია, ჩადენილია აფექტურ მდგომარეობაში. შესაბამისად, თავისი საქციელის გაცნობიერების შემდეგ იგი ჭკუიდან იშლება, რადგან მამის მიერ შვილის მოკვლა არ არის ბუნებრივი მოვლენა.

რაც შეეხება გრიგოლ კიკნაძეს, იგი ეძებს ამ საქციელის ახსნას და ჩამოთვლის შესაძლო მიზეზებს, თუმცა ცალსახა პასუხს ვერ პოულობს.

ვახტანგ გოგუაძე გოჩას საქციელს აფასებს, როგორც დიდი კაცის საქციელს, რომელიც ცდილობს გამოისყიდოს ონისეს ქმედება.

სამივე ავტორს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი მეტად მძიმე და რთულია, ამაში ისინი თანხმდებიან, თუმცა განსხვავებულია მათი დამოკიდებულება: აკაკი ბაქრაძე კრიტიკულად უდგება გოჩას საქციელს და მისთვის ხევისბრის ნაბიჯი არ არის გმირობის ტოლფასი. ვახტანგ გოგუაძე, პირიქით, ამართლებს მოხუც მამას, ხოლო გრიგოლ კიკნაძე ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს.

მეორე ტიპის რეფერატი გულისხმობს რომელიმე ვრცელი ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას. (განსაკუთრებით გავრცელებულია სადისერტაციო ნაშრომის რეფერატი). ამ ტიპის ნაშრომის შექმნის დროსაც უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი წესები:

• სათაური უცვლელად უნდა გადავიდეს რეფერატში;
• დაცული უნდა იქნეს ნაშრომის სტილი;
• რეფერატი უნდა შეიქმნას ორ ენაზე (ერთი იმ ენაზე, რომელზეც ნაშრომია შექმნილი, მეორე რომელიმე საერთაშორისო ენაზე, მაგ.: ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული),

რეფერატი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომლებიც შეიძლება კიდევ დაიყოს ქვეთავებად:

- ნაშრომის ზოგადი დახასიათება:
  ა) თემის აქტუალობა;
  ბ) კვლევის მიზანი და ობიექტი;
  გ) კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე;
  დ) ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;
  ე) კვლევის მეთოდები;
  ვ) ნაშრომის აპრობაცია;
  ზ) ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

- მეორე, ყველაზე ვრცელი, ნაწილია ნაშრომის მოკლე შინაარსი, რომელიც ძირითადი ნაწილია რეფერატისა და შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან იმის მიხედვით, თუ რამდენთავიანია თავად ნაშრომი. აქ პირველ ქვეთავად ავტორი გვთავაზობს თავისი ნაშრომის შესავლის მოკლე შინაარსს და საკითხის შესწავლის მოკლე ისტორიას. ამის მერე იწყება საკუთრივ კვლევის შემცველი ქვეთავები.

- მესამე ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები ვრცელი სახით, რათა მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს კვლევის შედეგები და მნიშვნელობა.

- ბოლოს ავტორი წარმოადგენს მოხსენებებისა და სამეცნიერო სტატიების ნუსხას, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო რეფერირებულ ჟურნალებში ან წაკითხული აქვს მოხსენებად სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე.

2. თეზისები; ანოტაცია; რეზიუმე

◈ თ ე ზ ი ს ე ბ ი

თეზისები არის მოხსნების, ლექციების, სამეცნიერო ნაშრომის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები და ნაბეჭდი სახე აქვს.

თეზისების შექმნისას უნდა ეცადოთ იყოს კონკრეტულები, ლაკონურად და მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი სათქმელი.

თეზისების დროს ძირითადი დებულებები სასურველია წარმოადგინოთ პუნქტობრივად.

თეზისების წერისას უნდა გამოიყენოთ სამეცნიერო სტილი, აღწერითი კონსტრუქციები.

როგორც წესი, თეზისები ფართოდ გამოიყენება კონფერენციებზე. საკონფერენციო მასალებს ავტორები თეზისების სახით წარმოადგენენ, კონფერენციის თეზისები უმეტესად კრებულის სახით გამოიცემა. დაიმახსოვრეთ, რომ თეზისების დროს არ გამოიყენება სქოლიოები, თუ მაინცდამაინც საჭიროა კონკრეტული ავტორის დასახელება, იგი მოიხსენიეთ ტექსტში შემდეგი სახით: "როგორც აკაკი შანიძე ამტკიცებს, ძველ ქართულში წრფელობითი დამოუკიდებელი ბრუნვა იყო."

თეზისის შექმნისას უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ აუცილებელია ჩანდეს ავტორის მოსაზრება, სიახლე, პოზიცია და არა ზოგადი დებულებები ან აუდიტორიისთვის კარგად ნაცნობი მოსაზრებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოთქმული.

შეეცადეთ გამოიყენოთ ყველა საშუალება იმისათვის, რომ სათქმელი იყოს ეფექტური, დამაჯერებელი და ნათელი. არ გადატვირთოთ თეზისები სხვათა მოსაზრებების ციტირებით, პერიფრაზით. ეს ყველაფერი ძირითად ტექსტში აისახება.

თეზისებში შესაძლებელია გამოიყენოთ აკადემიური წერის თქვენთვის უკვე ნაცნობი პრინციპები და მოკლედ წარმოადგინეთ მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია.

◈ ს ა კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ო მ ა ს ა ლ ე ბ ი

რაც შეეძება **საკონფერენციო მასალებს,** ეს თეზისების გავრცობილი ვარიანტია და ბოლო წლებში სწორედ ამგვარი ფორმაა დამკვიდრებული, რადგან ავტორს საშუალება ეძლევა, უფრო ვრცლად და დამაჯერებლად წარმოადგინოს თავისი პოზიცია და მოსაზრებები. მეორენაირად მასალებს ანოტაციასაც უწოდებენ.

სასურველია, მასალების შემთხვევაში თითო დებულება მოიცავდეს ოთხ-ხუთ სტრიქონიან აბზაცს და, ზოგადად, არ აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ გვერდს. სწორედ ამგვარი ფორმატია დამკვიდრებული როგორც ქართულ, ისე ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებაში.

მასალების შემთხვევაში ძირითად და ამხსნელ წინადადებებს ახლავს შემაჯამებელი წინადადებაც, ხოლო არგუმენტები მოყვანილია ვრცელ ნაშრომში.

თუმცა ზოგჯერ არგუმენტაცია წარმოდგენილია მასალებშიც, ოღონდ ძალიან მოკლედ. სწორედ ეს განასხვავებს თეზისებს მასალებისაგან. მითითება მასალებშიც ისევე ხდება, როგორც თეზისების შექმნისას.

გაითვალისწინეთ, რომ თეზისები და მასალები იქმნება სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით, ანუ ჯერ იქმნება სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო შემდეგ თეზისები ან მასალები. თუ პირიქით მოიქცევით, ყურადღების მიღმა დაგრჩებათ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც თავს იჩენს ხოლმე სამეცნიერო კვლევისას.

ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:

მაია კიკვაძე

ტერმინოლოგიისა და საერთო ენის ლექსიკის მიმართებისათვის

საკონფერენციო თეზისები

1 ჩვეულებრივი სიტყვა საგანს, პროცესს, მოვლენას ასახელებს, ხოლო ტერმინი – ცნებას.

2. ტერმინად ჩვეულებრივი სიტყვა იქცევა განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების შემთხვევაში.

3. მეცნიერების ენა იყენებს საერთო ენის ლექსიკას და სიტყვათა ტერმინოლოგიის გზით ივსება.

4. ტერმინი საერთო ენის ლექსიკის შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა ყველასათვის გასაგები ხდება. არსებობს სხვადასხვა გზა სიტყვების ტერმინებად ქცევისა, ზოგჯერ ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოება საერთო ქართულშივე ისახება.

საკონფერენციო მასალები

1. ძირითადი სხვაობა ჩვეულებრივ სიტყვასა და ტერმინს შორის იმაში გამოიხატება, რომ პირველი საგნის, პროცესის, მოვლენის დასახელებაა, ხოლო მეორე კი აუცილებლად – ცნებისა.

2. საერთო ენის სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინად, თუ მას განსაკუთრებული ფუნქცია მიენიჭა (მეცნიერების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა საურთიერთო საშუალებად იქცევა) და მას სპეციალიზებული მნიშვნელობა მიეცა. შეადარე [ჩვეულებრივი ყოფითი სიტყვა ქარი და მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა გამოთქმაში ქართა სქემა].

3. საერთო ლექსიკასა და ტერმინოლოგიურ ლექსიკას შორის მჭიდრო ურთიერთობაა. მეცნიერების ენა, ემყარება რა საერთო ენის ლექსიკას, ძირითადად სიტყვათა ტერმინოლოგიზაციის გზით ივსება და ვითარდება, ხოლო, თავის მხრივ, ტერმინი იქცევა რა ყველასათვის გასაგებ და საყოველთაოდ სახმარ სიტყვად, საერთო ენის ლექსიკის შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

4. საერთო ენის სიტყვების ტერმინებად ქცევა არა მხოლოდ სიტყვათა ცვლის სემანტიკური გზით ხდება, არამედ ქართული სალიტერატურო ენის სადერივაციო საშუალებებითა და სიტყვათა შედგენის სხვადასხვა ხერხით ხორციელდება. შესაძლებელია, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ცალკეული ფაქტები საერთო ქართულშიც იკაფავდეს გზას.

◈ რ ე ზ ი უ მ ე

რეზიუმე ძირითადი ტექსტის საფუძველზე იქმნება. მას გაბმული, თხრობითი ტექსტის ხასიათი აქვს. კარგად დაწერილი რეზიუმე 150-დან 300 სიტყვამდე შეიცავს (ძირითადი ტექსტის მოცულობის მიხედვით) და გადმოსცემს ამ ტექსტის მთავარ აზრს. ჩვეულებრივ, მასში გადმოდის ძირითადი და ამხსნელი წინადადებები. მკითხველს სრული შთაბეჭდილება რომ შეექმნას ტექსტზე, რეზიუმეს ავტორს არც ერთი ძირითადი მოსაზრება (თესიზი) ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. რეზიუმეს შექმნის ძირითადი პრინციპებია:

- სათაური – რეზიუმე;
- შესავალი და დასკვნა რეზიუმეს არ სჭირდება;
- სტილი მიჰყვება ძირითადი ტექსტის სტილს;
- ავტორის კომენტარები, მსჯელობა, შენიშვნები რეზიუმეში არ აისახება;
- რეზიუმეში მოცემულია ნაშრომში გადმოცემული კვლევის შედეგი.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ შეადგინეთ რეფერატი მოცემული ტექსტების მიხედვით და თქვენთვის ნაცნობი ხერხების გამოყენებით:

დიმიტრი ბენაშვილი

როდესაც "თავსაფრიან დედაკაცს" წაიკითხავთ, უნებურად გვაგონდება ოთარაანთ ქვრივი იმერეთის ლამაზი ბუნების ფონზე. ჩვენ ამით დამცირება კი არ გვინდა ნიკო ლორთქიფანიძის წერის ორიგინალური "მანერისა", არამედ გვსურს ამ მსგავსების არეში ჩვენ დავინახოთ იმერეთის ოთარაანთ ქვრივი თავის ახალ, ორიგინალურ ფორმაში, რომელსაც არ დაუკარგავს იმერეთის მსუბუქი კოლორიტი და ღრმა შინაარსი...

არც ილია ჭავჭავაძემ და არც ნიკო ლორთქიფანიძემ არ მისცეს არც სახელი და არც გვარი ბუნებით მდიდარ, ღრმა შინაარსის მქონე დედაკაცებს... განა ამაზე მეტი ტრაგიკულობა შეიძლება? სახელი დაკარგეს და მხოლოდ ნაცვალსახელები დაუტოვეს შთამომავლობას.

ტარიელ კვანჭილაშვილი

თავსაფრიან დედაკაცს ხშირად ოთარაანთ ქვრივს ადარებენ. მათ შორის საერთოა ქვრივობა, გაჭირვება, უტეხი ნებისყოფა, ამაყი ხასიათი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოთარაანთ ქვრივი უფრო მონუმენტურია, გაუბზარავი ხასიათისაა, შვილთან დამოკიდებულებაც მას სხვაგვარი აქვს. ილიას ნაწარმოები სოციალური ჟღერადობითაც გაცილებით ფართოა. რაც შეეხება სიტყვიერ ოსტატობას, ამ მხრივ ორივე ეს ნაწარმოები შესანიშნავია, თუმც შესრულების მანერა სავსებით განსხვავებულია.

შორენა ქაჯაია

თავსაფრიანი დედაკაცის ნათლობის სახელი საგანგებოდ "დაგვიმალა" მწერალმა, როგორც ოთარაანთ ქვრივისა – ილიამ. ამით ითქვა, რომ ამ ქალის პირადი ცხოვრება სიზმარივით განქარდა მეუღლის სიცოცხლესთან ერთად და საბოლოოდ დარჩა არა "ქალი" საკუთარი "მე"-თი, ვინც ადრე თუ გვიან გლოვას საზღვარს დაუდებდა და თავს მოიწონებდა...

თავსაფრიანი დედაკაცი და ოთარაანთ ქვრივი იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი ვერსასოდეს "გაალხინებენ სხვისა ჭირს", ხალხურ ლექსში ნაგულისხმევი აზრით – სხვისი ცოლობის წინადადება გასაგონადაც ებილწება თითოეულს.

◙ შეადგინეთ მოკლე რეფერატი მოცემული ორი ტექსტის მიხედვით:

კონსტანტინე კაპანელი

ისტორიამ დაღუპა ქართველი ქალი, ქართველმა ქალმა – საქართველო.

მხედრული, რაინდული ამპარტავნობა ისტორიულად განმტკიცდა ქართველი ქალის ბუნებაში და ეს იყო ერთგვარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ოჯახი ვერ მოეწყო, ოჯახის კულტი ისტორიულად ვერ განმტკიცდა, ვერ შემუშავდა. ქართველი ქალი მოკლებულია ოჯახის პატივისცემას, იგი სუსტია როგორც დედა.

გარდა ამისა, ქართველმა ქალმა არ იცის რომანი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქართველი ქალი თავისი სულიერი წყობითა და მსოფმხედველობით "მეშჩანკაა". ქართველი ქალის იდეალია გათხოვება.

როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, ქალი-მხედარი საქართველოში აღარ იყო საჭირო და ქართველი ქალი დარჩა უსაგნო, როგორც ლუარსაბ თათქარიძე.

დიმიტრი ჯანაშვილი

1877 წელს ქიზიყში ქალებმა სცემეს ორი ბობოლა კაცი უსამართლობისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს. ამ შემთხვევაში ქართველმა ქალებმა კიდევ გამოიჩინეს თავისი ისტორიული თვისება, – სიმტკიცე და მედგრობა ხასიათისა, აგრეთვე ერის კეთილდღეობის სურვილი, სიყვარული და გამჭრიახობა. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ იმათი გული ჯერ კიდევ არ არის დაჩაგრული, როგორც მამაკაცებისა.

...დედაკაცების გავლენა კაცობრიობაზე მეტისმეტად საკეთილოა. მან შემოიტანა ცხოვრებაში იდეალური და რომანტიული ელემენტები, დაიცვა კაცი მარტო ჭამა-სმაზე მზრუნველობისაგან, გადაასხვაფერა და არ მისცა მას ნება ერთნაირად ცხოვრებისა, გამოქნა და დაალბო მათი სასტიკი ზნე.

ქართველებს არა გაუკეთებიათ-რა თავის ისტორიულ ცხოვრებაში, რომ ქალებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა იმ საქმეში. იმათ კაცებთან ერთად უომნიათ მტერთან სახლ-კარისა და თავისუფლების დასაცველად; ისინი არიგებდნენ და ამშვიდებდნენ მაჩხუბართ; იმათ ხელში იყო ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა. ისინი ამხნევებდნენ და აქეზებდნენ კაცებს მოქმედებისათვის.

◙ შეადგინეთ მოკლე რეფერატი მოცემული ტექსტების მიხედვით:

თენგიზ კიკაჩეიშვილი

მხატვრული სახის სრულყოფაში დიდ როლს ასრულებს გაპიროვნება. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, კერძოდ, მის პროზაში, გაპიროვნებას გამორჩეული ფუნქცია აკისრია. ტროპის ეს სახე მხოლოდ კონკრეტული მაგალითით არ გამოხატავს თავის როლს. ბევრი მოთხრობა თავად წარმოადგენს ერთ მთლიან გაპიროვნებას და ამით განსაზღვრავს თავის ხასიათს. ბუნების მოვლენები ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებაში გაცოცხლებულ-გაპიროვნებულია ამაღლებული იდეების ქადაგების მიზნით. აქ უდავოდ ეთიკურის პრიმატია წარმოდგენილი, მაგრამ ესთეტიკური ფუნქციაც მეტად მნიშვნელოვანია.

ვაჟა-ფშაველა აადამიანებს უსულო და სულიერ საგნებს, გამოხატავს მათ მოაზროვნე არსებებად და ამ ხერხის მეშვეობით გვიჩვენებს ცოხვრებაში მიმდინარე მოვლენებს, გამოხატავს ადამიანურ მისწრაფებებსა და ოცნებებს.. ვაჟა-ფშაველა გაპიროვნების მეშვეობით ახერხებს გააპოეტუროს სიტუაციის, მომენტის აღქმა, ხშირად დაჩაგრულის, შევიწროებულის მიმართ თანაგრძნობა უფრო ნათლად და ემოციურად გამოხატოს...

გაპიროვნების ხერხის ხმარება ვაჟას მიერ მოტივირებულია იდეურ-ესთეტიკური კონცეფციით. მწერალი გაპიროვნებით მიუთითებს ადამიანებს საკუთარ ნაკლოვანებებზე, მოუწოდებს მათ მორალური სიმტკიცისა და სულიერი სიწმინდისაკენ.

გრიგოლ კიკნაძე

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ეთიკურ პრობლემათა წრეში ტრიალებს, მას მხატვრულ შემოქმედებაში თითქმის არ ვხვდებით მორალიზების ტენდენციის, დარიგება-ჭკუისსწავლების გამომხატველ გამოთმქებს. მოთხრობებში ზნეობრივ პრობლემებს ვაჟა ისე აშუქებს, რომ პირადად თვითონ არ გვაწვდის მორალისტურ შენიშვნებს, მორალი თვით ამბიდან გამომდინარეობს. ნაამბობი ქადაგებს მაღალ ზნეობრივ იდეალებს ავტორის მიერ მათზე საგანგებო მითითების გარეშე...

ვაჟას პროზის ლირიკულობა უფრო სხვაგვარია, ვიდრე ლირიკული პროზა. ვაჟა პროზაში არ მიმართავს წერის ისეთ მანერას, რომელიც მის პიროვნებაზე მიუთითებს, არც პროზა გამოდის, როგორც მისი პიროვნების "აღსარება". ვაჟას პროზაში თავისებური მდგომარეობაა.

ე. ფაგე გარკვეული ტიპის მწერლის ღირსებათა გასათვალისწინებლად და მის თავისებურებათა ნათელსაყოფად ამბობს: "მე არ გეტყვით, წაიკითხეთ ეს გვერდი, არამედ გეტყვი: "შეხედეთ ამ მთებს, ისინი, იქ არიან, ისინი თქვენ წინაშე არიან აღმართულნიო." ვაჟა-ფშაველას პროზაც იმდენად მიმთითებელი არ არის, რამდენადაც დამსურათებელი. პოეტიც თითქოს ქრება, ვითარცა შემოქმედი. ვაჟას ისეთი ნიჭი აქვს, რომ იგი აღარც კი გაგონდება, როცა მის ნაწარმოებებს

კითხულობ. ხოლო ამაში კი, როგორც სამართლიანად შენიშნავენ, მდგომარეობს მწერლის მთავარი ღირსება...

ვახტანგ კოტეტიშვილი

"ბუნება მბრძანებელია, იგი მონაა თავისა", – ამ ფორმულით გამოსთქვა ვაჟამ ის დიდი საიდუმლოება, რომელიც მან ბუნებაში დაინახა. ორი წინააღმდეგობა, ერთი მეორის უარმყოფი, მოქცეულია ერთ დიდ მთლიანობაში, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ბუნება ყველაფერია და ადამიანი, რომელიც ამ ბუნებას კონფლიქტში ჩაუდგება, უძღებ შვილსა ჰგავს, რომელიც გარეწრობს, მაგრამ ბოლო იძულებული იქნება ისევ მშობლის კალთას დაუბრუნდეს, მით უმეტეს, რომ ბუნება მხურვალე მონაწილეობას იღებს ადამიანის სიცოცხლის ყოველ წვრილმანშიც კი. ბუნებას ვაჟა ისე კი არ ხატავს, როგორც საგნებს, არამედ გჯერა ამ ნატურის ცხოველმყოფელობა... ბუნების ყოველი მოვლენა განკაცებულია.

ვაჟამ მთელი ბუნება ისე მომართა, როგორც მისი გული იყო მომართული. აქ ორმაგი პროცესი იყო. თვითონაც ბუნების მოწაფე იყო. თავისი ადამიანობა ბუნებისაგან ისწავლა და არც იღლება დღე-ღამე ბუნების თვალში ცქერით. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი პრინციპი იყო: დასულიყო ყოველი მოვლენისა თუ საგნის საიდუმლო ძირამდე, ეპოვნა ყველა შორეული და უხილავი კავშირი, რომელსაც ვერ მივწვდენივართ და ბუნების საიდუმლოებას ვეძახით.

III თავი

განხილული საკითხები:

1. საბაკალავრო ნაშრომი;
2. სამაგისტრო ნაშრომი;
3. სადოქტორო ნაშრომი;
4. რეცენზია.

1. საბაკალავრო ნაშრომი;

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდი რამდენიმე საფეხურად იყოფა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს ბაკალავრის ხარისხს, კრიკულუმით (სასწავლო გეგმით) გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი იმ სფეროში, რომელი პროგრამაც მან აირჩია ძირითად სპეციალობად (Major). შესწავლილი საგნები სტუდენტს აძლევს პროფესიულ კომპეტენციას, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის დაცვით იგი აკადემიური საზოგადოების წინაშე წარმოაჩენს იმას, რომ მიღებული ცოდნის შედეგად მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა და შექმნას სამეცნიერო ნაშრომი. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს გარკვეული წესების დაცვით, რომლებსაც აწესებს სათანადო საუნივერსიტეტო ორგანო.

საბაკალავრო ნაშრომის მთავარი მოთხოვნებია:

- საკვლევი საკითხი უნდა იყოს დაკავშირებული სტუდენტის მიერ არჩეულ დარგთან;
- საკვლევი საკითხი უნდა იყოს აქტუალური და საინტერესო;
- ბაკალავრი კარგად უნდა იცნობდეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად სამეცნიერო ლიტერატურას და უნდა წარმოაჩინოს კრიტიკული დამოკიდებულება;
- საბაკალავრო ნაშრომში უნდა ჩანდეს სტუდენტის დამოუკიდებელი კვლევის უნარი;
- საბაკალავრო ნაშრომი უნდა ავლენდეს, რომ სტუდენტი კარგად იცნობს კვლევის სხვადასხვა მეთოდს და იყენებს კონკრეტული მიზნის შესაბამისად მისთვის სასურველს;

- საბაკალავრო ნაშრომში უნდა ჩანდეს მეცნიერული მსჯელობის ლოგიკა;
- საკვლევი საკითხი არ უნდა იყოს ძალიან ფართო, ამავე დროს საკითხი მეტ-ნაკლებად უნდა იყოს ამოწურული, თუმცა შესაძლოა ჩანდეს კვლევის პერსპექტივაც.

2. სამაგისტრო ნაშრომი

მაგისტრატურა სწავლების მეორე ეტაპია, რომლის დამთავრების შემდეგაც მაგისტრანტი იღებს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. ბაკალავრიატისაგან განსხვავებით, მაგისტრატურის სტუდენტი (მაგისტრანტი) ეუფლება კონკრეტულ სპეციალობას უფრო სიღრმისეულად და ამომწურავად. მაგისტრატურაში ისწავლება ის კონკრეტული საგნები, რომლებიც ესაჭიროება სტუდენტს შემდგომში პროფესიული საქმიანობისას.

მაგისტრატურაში სწავლის დასრულების ბოლო ეტაპია სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

ისევე როგორც საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომიც უნდა შესრულდეს გარკვეული წესების დაცვით, რომლებსაც აწესებს სათანადო საუნივერსიტეტო ორგანო.

სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მოთხოვნებია:

- საბაკალავრო ნაშრომისაგან განსხვავებით, სამაგისტრო ნაშრომში კვლევის თემატიკა უნდა იყოს შედარებით ფართო და ნაშრომი შედარებით დიდი მოცულობისა;
- ნაშრომში უნდა იყოს ნაჩვენები სიახლე, კრიტიკული და ორიგინალური მიდგომა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებებისადმი;
- სამაგისტრო ნაშრომში უნდა ჩანდეს ავტორის ხედვა და უნდა დაფიქსირდეს მისი პოზიცია;
- სამაგისტრო ნაშრომში ამომწურავად უნდა იყოს მიმოხილული საკვლევ თემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის უცხოურიც.

3. სადოქტორო ნაშრომი

დოქტორანტურა სამეცნიერო განათლების დამამთავრებელი ეტაპია, დოქტორანტურაში სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია საკვლევი თემის შერჩევა, რადგან დოქტორანტურაში სწავლის პერიოდის უმნიშვნელოვანესი დატვირთვა სწორედ ნაშრომის შესრულებაზე მოდის. ამ შემთხვევაში დოქტორანტი საფუძვლიანად უნდა გაეცნოს როგორც მოცემული საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ისე მომიჯნავე სფეროს კვლევებს. ასევე, დოქტორანტი უნდა გაეცნოს უახლეს სამეცნიერო მიღწევებსა და მეთოდებს მისთვის საინტერესო დარგში.

სადოქტორო ნაშრომი უნდა იყოს მონოგრაფიული ხასიათისა და, შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს მონოგრაფიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

სადოქტორო ნაშრომში ამომწურავად უნდა იყოს გაანალიზებული საკვლევი საკითხი და უნდა გადაიჭრას დასმული პრობლემები. რასაკვირველია, სადოქტორო ნაშრომში უნდა ჩანდეს სიახლე და თემის აქტუალობა.

სამივე ნაშრომი (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) ძირითადად იმავე ფორმატისაა, როგორიც მონოგრაფია.

4. რეცენზია

რეცენზია ლათინური სიტყვაა და განხილვას ნიშნავს. რეცენზია არის ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის, სპექტაკლის, კინოფილმისა და/ან სხვა ტიპის გარჩევა, კრიტიკული შეფასება.

არსებობს წინასწარი რეცენზია. მისი მიზანია ნაშრომის ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენამდე არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა. ასეთი რეცენზია არაფორმალური ხასიათისაა, თუმცა ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს რეცენზიაში მოცემული შენიშვნები, ხოლო რეცენზენტი ვალდებულია, გულდასმით წაიკითხოს წარდგენილი ნაშრომი.

რეცენზია იწერება დარგის კვალიფიციური სპეციალისტის მიერ და ქვეყნდება იმ პროფილის პერიოდულ გამოცემაში, რომელი დარგის ნაშრომიცაა განხილული. თუმცა, შესაძლებელია, სტუდენტური ნაშრომის რეცენზია სხვა სტუდენტმაც დაწეროს. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გაგვეცნო რეცენზიის სტრუქტურა და ძირითადი ენობრივი საშუალებები.

რეცენზია შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, ოღონდ ორივე შემთხვევაში რეცენზენტს მოეთხოვება მაქსიმალური ობიექტურობა და მეცნიერული ეთიკის დაცვა. რეცენზენტის ესა თუ ის მოსაზრება განმტკიცებული უნდა იყოს არგუმენტებითა და ციტაციით. რეცენზია იქმნება როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის, შესაბამისად, შესაძლებელია რეცენზია შეიქმნას როგორც სამეცნიერო, ისე პუბლიცისტური სტილით. პუბლიცისტური სტილით შექმნილ რეცენზიაში ექსპრესიული სტილის დეტალებიც შეიძლება იყოს გამოყენებული, ოღონდ აქ საჭიროა ზომიერების დაცვა.

რეცენზიას აქვს გარკვეული სტრუქტურა:

- პირველ რიგში მოცემულია ნაშრომის სათაური, ფორმატი, აღწერილია სარეცენზიო ნაშრომის სტრუქტურა, წარმოჩენილია სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები, რეცენზიის მეორე ნაწილში კი მოცემულია იმ შენიშვნათა ნუსხა, რომლებიც გაუჩნდება რეცენზენტს.

• შენიშვნები უნდა იყოს ობიექტური და არგუმენტირებული და შესაძლებელია დაისვას კითხვის სახითაც.

• დასკვნით ნაწილში რეცენზენტი ავლენს თავის დამოკიდებულებას, დადებითს ან უარყოფითს, და იძლევა კეთილგანწყობილ რჩევებს, რომლებიც ავტორს დაეხმარება მომავალ საქმიანობაში.

რეცენზიის მახასიათებლებია:

• სამეცნიერო რეცენზიის სათაური უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული. შესაძლებელია მასში განმეორდეს სარეცენზიო ნაშრომის სათაური და ქვემოთ, ძირითადი ტექსტის დაწყებამდე, მიეთითოს „რეცენზია"; ხოლო რა შეეხება პუბლიცისტური ხასიათის რეცენზიას, სათაურის შერჩევისას ავტორი თავისუფალია და შესაძლებელია სათაური ექსპრესიულიც იყოს.

• შესავალ ნაწილშივე წარმოდგენილი უნდა იყოს სარეცენზიო ნაშრომისა და მისი ავტორის წარდგენა მკითხველის წინაშე. როგორც წესი, რეცენზიის ეს ნაწილი არ აღემატება ხუთ-ექვს სტრიქონიან აბზაცს.

• რეცენზიაში სქოლიოები არ გამოიყენება; არ მიეთითება არც სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა კი რეცენზიის ავტორი აუცილებლად აღნიშნავს იმის შესახებ, არის თუ არა ნაშრომში სრულად ასახული სამეცნიერო ლიტერატურა. ამავე დროს, რეცენზენტი დაუსახელებს იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელთა გამოყენება სასურველი იქნებოდა და ავტორის ყურადღების მიღმა დარჩა.

• უარყოფით რეცენზიას შეიძლება დაერქვას კრიტიკული წერილი და ამავე ან რეცენზიის სახელწოდების გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემაში.

ენობრივი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება რეცენზიის წერისას:

შესავალი ნაწილი:

რეცენზიაში განვიხილავთ ....; ჩვენი რეცენზიის მიზანია...; ამ რეცენზიაში განვიხილავთ გამოკვლევის ზოგიერთ ასპექტს; რეცენზიაში წარმოვაჩენთ ნაშრომის როგორც ღირსებებს, ისე ნაკლოვან მხარეებს და ა. შ.

ძირითადი ნაწილი:

ჩვენთვის მისაღებია ავტორის პოზიცია...; ვეთანხმებით ავტორს...; ვიზიარებთ

ავტორის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც...; ავტორი ლოგიკურად ასაბუთებს თავის მოსაზრებას...; ნაშრომში არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი ავტორის შეხედულება და ა. შ.
ვერ გავიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ...; ავტორისეულ მსჯელობას აკლია დამაჯერებლობა; მიგვაჩნია, რომ მოყვანილი არგუმენტები არასაკმარისია ავტორის დებულების განსამტკიცებლად; მსჯელობა (გამოთქმული მოსაზრება) საეჭვოდ გვეჩვენება, რადგან...
კარგი იქნება, თუ ავტორი გაეცნობა . . . . . .-ის ნაშრომს; საკითხის კვლევისას უნდა გაეთვალისწინებინა . . . . . .-ის მოსაზრება; ავტორს უთუოდ წაადგებოდა . . . . –ის მოსაზრების გათვალისწინება.

დასკვნა:
ნაშრომი იმსახურებს მაღალ შეფასებას; ნაშრომი უდავოდ საინტერესოა; ამ ნაშრომში განხილული პრობლემატიკა და გადაჭრის გზები მნიშვნელოვანია საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის; ვფიქრობთ, ნაშრომი იმსახურებს მკვლევართა და სპეციალისტთა ყურადღებას; ნაშრომი უთუოდ წაადგება ამ საკითხის მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს.
ნაშრომი მოითხოვს შემდგომ სრულყოფას; ნაშრომი უკმარისობის განცდას იწვევს; სასურველი იქნებოდა საკითხის უფრო სიღრმისეულად წარმოჩენა; ვერ დავეთანხმებით ავტორს...

ნიმუში:

რეცენზია დიანა ამფიმიადის სამაგისტრო ნაშრომზე

დიანა ამფიმიადიმ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოგვიდგინა ნაშრომი „ქრონოტიპი ქართულ ენობრივ აზროვნებაში." (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ქუთელია).

სანამ ნაშრომის ანალიზზე გადავალთ, სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს არის საკმაოდ ორიგინალური ხედვისა და განათლებული ავტორის მიერ შესრულებული გამოკვლევა.

ნაშრომი მოცულობით კომპიუტერზე ნაბეჭდი 30 გვერდია, შედგება შესავლისა (I ნაწილი) და 3 ძირითადი ნაწილისაგან. ახლავს დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალ ნაწილში მაგისტრანტი მსჯელობს აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირის შესახებ. ამ თავში ავტორი განიხილავს სხვადასხვა ეპოქის ცნობილ ლინგვისტთა, მოაზროვნეთა და შემოქმედთა თვალსაზრისებს ენისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების, ენისა და აზროვნების, ენისა და

სამყაროს მიმართებების შესახებ. ფუკოს, ბორხესის, ჰაიდეგერის, ვიტგენშტაინის, რასელის ნააზრევი მოყვანილია სრულიად გამიზნულად და ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრის მიზანს _ მას ენა, თავისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, აინტერესებს როგორც ობიექტური სამყაროს ენობრივ სამყაროდ გარდაქმნის პროცესი, საგნის ამა თუ იმ თვისების განმაზოგადებელი რაობა.

ავტორს გულდასმით შეუსწავლია დროისა და სივრცის პრობლემა ფუნდამენტურსა და ფილოსოფიურ მეცნიერებებში. მას განხილული აქვს იმ ავტორთა თვალსაზრისები, რომლებიც დროსა და სივრცეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კატეგორიებად განიხილავენ (კანტი, ლაიბნიცი, ჰეგელი, ბერკლი) და ამ თეორიის მოწინააღმდეგეთა (ჰაიდეგერი, მამარდაშვილი) ნააზრევიც. რამდენადაც ეს ორი კატეგორია სხვა დარგის მკვლევრებისთვისაც ფუძემდებლურია, ავტორი გვერდს არ უვლის ორი უდიდესი მეცნიერის, ნიუტონისა და აინშტაინის, და მათი შემდგომი პერიოდის მკვლევართა დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი.

მიგვაჩნია, რომ გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს დიაგრამას, რომელიც წარმოდგენილია მეორე პარაგრაფში (დროსივრცული ფონოსემანტიკის ერთი ნიმუშისათვის). აქ წარმოდგენილ დიაგრამაში წარმოდგენილია ავტორის მიერ აგებული სისტემა. დიაგრამაში დაუშვებელია ერთმანეთთან დაუკავშირებელი სისტემების ელემენტების (ამ შემთხვევაში სალიტერატურო ენისა და დიასისტემის) წარმოდგენა. ამავე დროს, ცნობილია, რომ ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა აბსოლუტური სახით ქართულში არ გვაქვს და ყველა ქვესისტემაში (დიალექტები, ქართველური ენები) გვხვდება ერთი წევრის სხვა სისტემიდან "სესხება"-შეთვისება (აქ – მანდ – იქ; ეს – ეგ – ის). იმედი გვაქვს, ჩვენი მაგისტრანტი მომავალში კიდევ ერთხელ გაეცნობა ლ. შალვაშვილის, დ. მელიქიშვილის ნაშრომებს ამ საკითხთან დაკავშირებით და წარმატებით გამოიყენებს თავის კვლევებში.

დიანა ამფიმიადი მსჯელობს სუბიექტური პირის ნიშნად კბილბაგისმიერი ვ-ს, ბილაბიალური მ-ს ობიექტური პირის ნიშნად და I პირის ნაცვალსახელების ბაგისმიერი თანხმოვნებით გაფორმების შესახებ. ეს ჰიპოთეტური დებულება შესაძლებელია საინტერესო იყოს ბევრი დარგის მკვლევრისათვის, მაგრამ გვეჩვენება, რომ ნაკლებად არგუმენტირებულია და ორგანულად ვერ უკავშირდება საკვლევ საკითხს.

III პარაგრაფში საუბარია ზმნის შესახებ. ავტორი აცხადებს, რომ მისთვის "მნიშვნელოვანია ზოგადი აზროვნებითი პრინციპები სისტემათა ჩამოყალიბებაში" და მთელი თავის განმავლობაში ახერხებს ამ სისტემის, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ჩონჩხის" აგებას, რაც მის უდავო დამსახურებად მიგვაჩნია. შევნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისით ავტორს დიდად წაადგებოდა ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა ანალიზი მისთვის საინტერესო (სივრცული და დროითი) თვალსაზრისით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ნაშრომი არის სათანადო დონეზე წარმოდგენილი სამეცნიერო გამოკვლევა, რომლითაც

ავტორი ცდილობს, ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში დაამკვიდროს უკვე აპრობირებული ქრონოტოპის ცნება. ავტორი ოპერირებს ცნობილი ლინგვისტური დებულებებით და ზუსტად უსადაგებს მათ მისთვის საინტერესო მიმართებებს. ავტორი იჩენს დამოუკიდებელი კვლევის უნარს, ორიგინალურ აზროვნებას, მკვლევრისათვის აუცილებელ ალღოს და ინდივიდუალურ ხედვას მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ნაშრომი კარგად არის ორგანიზებული, თეორიული დებულებები განმტკიცებულია თვალსაჩინოებებით (დიაგრამები, ცხრილები). ავტორი იცნობს, აანალიზებს და საკუთარ პოზიციას აყალიბებს სამეცნიერო ლიტერატურის მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, დიანა ამფიმიადის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი "ქრონოტოპი ქართულ ენობრივ აზროვნებაში" იმსახურებს მაღალ შეფასებას.

წიგნით გაგრძელებული სიცოცხლე

ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა ახალი სამყაროა მკითხველისათვის, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შეიძლება ახლდეს განსაკუთრებული გამორჩეულობა. ბატონი კორნელი დანელიას წიგნი "ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან" (I ტ.) სწორედ ასეთ გამორჩეულ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება.

ვინც წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს ბ-ნი კორნელი დანელიას მოღვაწეობას, იგი ინტერესით ელოდა ამ დიდი მეცნიერის ნაღვაწის ერთად თავმოყრას.

წიგნი მოიცავს 1974-1992 წლებში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულ იმ ნაშრომებს, რომლებიც ქართული სამწერლობო ენის ისტორიის კვლევას ეძღვნებოდა. წიგნი გამოსაცემად თავად მეცნიერმა მოამზადა და ნაშრომები ცალკეულ თემატურ ჯგუფებად წარმოადგინა. პირველ ნაწილში გაერთიანებულია ის სტატიები, რომლებიც ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს ეხება – ესაა უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ სამწერლობო ქართულზე. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული შესწავლისათვის, რადგანაც, როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავდა, "საკითხის სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უცხო (ამ შემთხვევაში ბერძნული) ენის გავლენის კვალი ძველი სამწერლობო ქართულის ზედაპირს კი არ ატყვია, ვთქვათ, როგორც ლექსიკური ნასესხობანი, არამედ ენის შიდა სტრუქტურულ შრეებშია აღბეჭდილი". მეცნიერის ნაშრომებში გამოწვლილვითაა შესწავლილი ის თავისებურებები, რომლებიც ძველ ქართულს ახასითებდა და ნაჩვენებია ამგვარი ფორმებისა თუ კონსტრუქციების გაჩენის მიზეზები.

წიგნის მეორე ნაწილი ავტორს ამგვარად დაუსათაურებია: "ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან." მასში წარმოდგენილი ექვსი ნაშრომი ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის თუ რედაქციების ისტორიას ეხება.

წიგნის მესამე ნაწილად წარმოდგენილია შრომები მხატვრული ენის საკითხებს ეხება. ლინგვისტური თვალსაზრისით პოეტური ენის შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ ეს სფერო ქართულ ენათმეცნიერებაში ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ ამიტომ გ-ნი კორნელი დანელიას ამ საკითხისადმი მიძღვნილი ყოველი სტატია იმ საფუძვლად ჩნდება, რომელზეც მომავალი კვლევა უნდა დაეფუძნოს.

ნარკვევების პირველ ტომში ფილოლოგიით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებას ჰპოვებს და დიდი ინტერესით დაელოდება მომდევნო ტომის გამოსვლას, რათა ჭეშმარიტი მეცნიერის _ კორნელი დანელიას ღვაწლი ქართულ ფილოლოგიაში "თვალწინ გაისიგრძეგანოს".

კორნელი დანელიას ამ წიგნით ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე ისევ გაგრძელდება მანამ, სანამ მას მკითხველი ეყოლება. ეს კი მარადისობისკენ მიმავალი გზაა...

პრაქტიკული სამუშაო:

▣ *გამართეთ სტრუქტურულად გაუმართავი რეცენზია:*

(დანომრეთ აბზაცები რიგის მიხედვით)

"სოლომან მორბელაძე" გორის თეატრში

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესოა რეჟისორული გადაწყვეტა. ახალგაზრდა ხელოვანი კარგად გრძნობს ქართველი კლასიკოსის სატკივარს, მის მიერ დახატული პერსონაჟების ხასიათს, განწყობას, რომელსაც კლდიაშვილის მოთხრობა ბადებს და ახერხებს, რომ მაყურებლამდეც მიიტანოს ეს ყოველივე. იგი არ ქმნის ახალ რეალობას (ეს არც მოეთხოვება რეჟისორს), არამედ კლდიაშვილისეულ რეალობას აცოცხლებს და მაყურებელსაც ამ პროცესის თანამონაწილედ ხდის.

ეს სპექტაკლი პირველად სამი ათეული წლის წინ დაიდგა ქართულ სცენაზე, თუმცა მაშინ წარმოდგენას წარმატება არ მოჰყოლია. ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის სპექტაკლის წარუმატებლობის მიზეზების გარკვევა. ამ ფაქტის გახსენება

მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ ჩვენი მკითხველისათვის შეგვეხსენებინა _ საინტერესო ტექსტუალური მასალა სპექტაკლის წარმატების უპირობო გარანტია არ არის.

საგანგებო ყურადღება უნდა გავამახვილოთ მსახიობთა ოსტატობაზე. სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც ძველი თაობის მსახიობები, ისე სრულიად ახალგაზრდა არტისტები. მათი თამაშის მანერა ბუნებრივია, ყოველგვარი ყალბი პათოსისა და ზედმეტი მანერულობის გარეშე ახერხებენ, რომ კლდიაშვილის გმირებად გარდაისახონ. ეს გარდასახვა არ არის ზედაპირული, მხოლოდ პერსონაჟების "იმერულ მეტყველებაზე" ან ეთნოგრაფიულ (სამოსი, საცხოვრისი) შტრიხებზე დაფუძნებული. ეს შინაგანი გარდასახვაა, რომელიც პერსონაჟთა ბუნების ღრმა ცოდნასა და გათავისებას ემყარება და დიდ მსახიობურ შესაძლებლობებს მოითხოვს.

მას შემდეგ არც ერთ ქართულ თეატრს ამ ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი არ დაუდგამს. ალბათ ამანაც გამოიწვია მაყურებლის დიდი ინტერესი სპექტაკლისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლმა მოლოდინი გაამართლა.

მაყურებელმა სპექტაკლი დადებითად შეაფასა. ამას მოწმობდა ხანგრძლივი ოვაცია და ყვავილების ზღვა, რომელიც მსახიობებმა დაიმსახურეს. ვფიქრობთ, მაყურებელი არ შემცდარა. იმ საღამოს ყველანი ჭეშმარიტი თეატრალური დღესასწაულის მონაწილენი ვიყავით. იმედი გვაქვს, თეატრალური კოლექტივი კვლავაც არაერთ ლამაზ საღამოს აჩუქებს ქართველ მაყურებელს.

დეკორაცია მწირია. ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტაც რეჟისორის კონცეფციაში ჯდება და პერსონაჟის მატერიალური სიდუხჭირის გარდა მათ სულიერ სიღარიბეზე მიუთითებს.

გუშინ გორის სახელმწიფო თეატრში პრემიერა გაიმართა. ადგილობრივმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა დავით კლდიაშვილის `სოლომან მორბელაძე". ერთი შეხედვით, ქართველი კლასიკოსის ამ არც თუ ისე დიდი ზომის მოთხრობაში დასმული პრობლემატიკა კონკრეტულ დროსა და სივრცეშია შემოსაზღვრული და ფუნქციადაკარგული კუდაბზიკა იმერელი აზნაურების ყოფას ასახავს XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის და მკითხველი თუ მაყურებელი ხვდება, რომ პრობლემატიკა, რომელიც ნაწარმოებში წამოჭრილი, ყველა დროში, ნებისმიერი საზოგადოებისათვის აქტუალურია.

IV თავი

განხილული საკითხები:
1. მონოგრაფია;
2. ანოტაცია;
3. წინასიტყვაობა;
4. ბოლოსიტყვაობა;
5. სხვადასხვა ტიპის საძიებელი;
6. შინაარსი (სარჩევი);
7. ბიბლიოგრაფია.

---

1. **მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა :**

მონოგრაფია არის ვრცელი გამოკვლევა გარკვეული პრობლემის შესახებ. მასში მოცემულია როგორც საკვლევი საკითხის ისტორია, სამეცნიერო მიმოხილვა, ისე საკუთრივ ავტორის თვალსაზრისი, მსჯელობა და არგუმენტაცია სათანადო ვიზუალური თუ ვერბალური მასალისა და მაგალითების გამოყენებით. მონოგრაფია გულისხმობს საკითხის საფუძვლიან და ამომწურავ ანალიზს. ამის გათვალისწინებით მონოგრაფია შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან, თავისაგან, რომლებიც თავისთავად დაყოფილია შედარებით უფრო წვრილ ელემენტებად, მაგალითად, პარაგრაფებად, საკითხებად და ა. შ. საკითხის მონოგრაფიული კვლევა გულისხმობს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციისა და შეხედულებების თავმოყრას. რით განსხვავდება სამეცნიერო ნაშრომი მონოგრაფიისაგან? – თუ სამეცნიერო ნაშრომი ერთ კონკრეტულ საკითხს, მასთან დაკავშირებულ სიახლეს ან პრობლემას იკვლევს გარკვეული თვალსაზრისით, მონოგრაფიაში აუცილებელია საკითხის სიღრმისეული და გამოწვლილვითი ანალიზი. თუ სტატიაში შესაძლებელია მომავალი კვლევის პერსპექტივების დასახვა, მონოგრაფიაში, როგორც წესი, ამგვარი რამ არ ხდება, რადგან ის უკვე დასრულებული გამოკვლევაა საკითხის შესახებ. მონოგრაფია ძირითადად ერთი ავტორისაა, მაგრამ მას შესაძლებელია ორი ან რამდენიმე ავტორიც ჰყავდეს, რომელთაც საერთო შეხედულება აქვთ მოცემულ საკითხზე. ამგვარ შემთხვევაში სასურველია მიეთითოს, რომელი მკვლევარი რომელი ნაწილის ავტორია, თუმცა, ყოველმა ავტორმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყოველი ნაწილის ხარისხსა და სანდოობაზე.

მონოგრაფია იქმნება გარკვეული სტანდარტის მიხედვით:

• ისევე როგორც ყველა აკადემიური სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნებისაგან;
• შესავალ ნაწილში, როგორც წესი, განხილულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა მოცემული საკითხის შესახებ, აგრეთვე, მოცემულია კვლევის აქტუალობისა და მეთოდების ამსახველი პარაგრაფები;

• მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი, ფაქტობრივად, არის დამოუკიდებელი გამოკვლევების ერთობლიობა, ამიტომ თითოეულ საკითხს თავისთავად უნდა ჰქონდეს შესავალი, მიმოხილვითი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები;
• მონოგრაფიაში ძირითადად მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურის სქოლიოში მითითება;

2, **ა ნ ო ტ ა ც ი ა :**

მონოგრაფიას სატიტულო გვერდის შემდეგ მარცხენა მხარეს ყოველთვის ახლავს **ანოტაცია,** რომელშიც მოცემულია ნაშრომის მოკლედ გადმოცემული პრობლემატიკა, აქტუალობა და სიახლეები, აგრეთვე მითითებულია ის, თუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს ნაშრომი. **ანოტაცია** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ახლა იწყებენ საკითხის შესწავლას ან, უბრალოდ, დაინტერესებულ პირთათვის, რომლებსაც სურთ გაარკვიონ, რამდენად შეესაბამება ეს წიგნი მათ ინტერესებს. ამგვარად, ანოტაციას ერთგვარი სარეკლამო-საინფორმაციო ფუნქცია ეკისრება და მისი ენა უნდა იყოს მარტივი, ნათელი და გასაგები, არ უნდა იყოს გადატვირთული ტერმინებით.

ნიმუში:

ა. ჭილაია, რ. ჭილაია, "ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები".
წინამდებარე ნაშრომში მოცემულია 1000-მდე ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი, რომელთა წარმოჩენისას გათვალისწინებულია მათი როლი არა მარტო ქართულ, არამედ სხვა ლიტერატურებშიც. ტერმინები წარმოდგენილია სალექსიკონო დონეზე და ილუსტრირებულია ქართული სალიტერატურო მასალით. გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია წიგნის ბოლოს. წიგნი გამიზნულია სტუდენტი ფილოლოგების, მასწავლებლებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველე-ბისათვის.

"ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია".

წიგნში განხილულია ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ძირითადი ქვეყნის (შუამდინარეთის, ეგვიპტის, მცირე აზიის, ფინიკიის, პალესტინის, ასურეთის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვ.) ისტორია.
ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი გამოადგება აგრეთვე მეცნიერ-მუშაკებს,

მასწავლებლებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

• მონოგრაფიას უნდა ახლდეს **წინასიტყვაობა** ან **ბოლოსიტყვაობა,** იშვიათ შემთხვევაში ორივე ერთად;

3. წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინასიტყვაობა ძირითად იწერება ავტორის მიერ და მასში მოცემულია როგორც ავტორის დამოკიდებულება საკვლევი მასალისადმი, ისე აღნიშნულია კვლევის ძირითადი მიზნების შესახებ. წინასიტყვაობაში მოცემულია კვლევის მოკლე მიმოხილვა, რამაც უნდა დააინტერესოს მკითხველი და აღუძრას მონოგრაფიის წაკითხვის სურვილი, ინტერესი. აქვე შეიძლება ავტორმა მადლობა გადაუხადოს იმ პირებს ან ორგანიზაციას, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მონოგრაფიის გამოცემის საკითხში.

ენობრივი საშუალებები:
ეს ნაშრომი ეხება..., წინამდებარე ნაშრომში განხილულია..., ნაშრომი მოიცავს..., მონოგრაფია ეძღვნება..., მონოგრაფია წარმოადგენს მცდელობას..., მონოგრაფიაში ახალი კუთხითაა გაშუქებული..., მონოგრაფიაში დასმულია საკითხი... შესახებ..., ნაშრომის პრობლემატიკა ეხება...,
დიდ მადლობას მოვახსენებ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის..., მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო კოლეგები, რომელთაც..., მადლობას ვუხდი გაწეული დახმარებისათვის..., მადლობა მინდა გადავუხადო..., მნიშვნელოვანი და სასარგებლო შენიშვნებისა და საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისათვის...

4. ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ბოლოსიტყვაობა მონოგრაფიას დაერთვის ავტორის სურვილის მიხედვით. ბოლოსიტყვაობა მოჰყვება დასკვნით ნაწილს და მასში შეიძლება იყოს გადმოცემული ავტორის შენიშვნები და მიმართვა მკითხველისადმი. ავტორმა ბოლოსიტყვაობაში, ასევე, შეიძლება გადმოსცეს კვლევის შედეგები და მისი პირადი დამოკიდებულება როგორც საკვლევი საკითხისადმი, ისე ზოგადად საზოგადოებისადმი, ორგანიზაციისადმი ან იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც გარკვეული სამუშაო პირობები შეუქმნეს ნაშრომზე მუშაობის დროს. შესაძლოა, ავტორმა გადმოსცეს ნაშრომის შექმნის მოკლე ისტორია და ყოველივე ეს

დაწეროს მხატვრული ესეს სახით. შეიძლება ითქვას, რომ წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა ერთგვარად ემსგავსება ერთმანეთს ერთი ნიშნის მიხედვით - თუ მონოგრაფია წმინდა სამეცნიერო სტილით დაწერილი ტექსტია, წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა შესაძლოა უფრო ემოციურ და ექსპრესიულ ელფერს ატარებდეს.

ენობრივი საშუალებები:

სიამოვნებით გავიზიარებთ ყველა საგულისხმო შენიშვნას..., ავტორი მზადაა უპასუხოს ყველა კითხვას, რომლებიც დაინტერესებულ მკითხველს მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ გაუჩნდება...

5. სხვადასხვა ტიპის საძიებელი:

• სასურველია, მონოგრაფიას დაერთოს **სხვადასხვა ტიპის საძიებელი:**

- ✓ **პირთა საძიებელი;**
- ✓ **საგნობრივი საძიებელი;**
- ✓ **ტერმინოლოგიური საძიებელი;**
- ✓ **გეოგრაფიულ პუნქტთა საძიებელი;**

საძიებელი აუცილებლად უნდა იყოს გაწყობილი ანბანთრიგზე და მითითებული უნდა იყოს იმ გვერდის ნომერი, რომელზეც გვხვდება ესა თუ ის ტერმინი, სიტყვა, სახელი და ა.შ. თუ ეს სიტყვა გვხვდება რამდენიმე გვერდზე, აუცილებელია ყველა გვერდის ნომრის მითითება. ეს, რა თქმა უნდა, შრომატევადი საქმეა, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შრომა შედარებით შემსუბუქებულია. Microsoft Word-ის დოკუმენტში თქვენთვის საინტერესო სიტყვის მოძებნა შეიძლება ბრძანებით Clt + F. ამ ბრძანებით ტექსტში სათითაოდ მოიძებნება და მოინიშნება საძიებელი სიტყვა, ყოველი ახალი ერთეულის მოსაძებნად მიეცით შიდაბრძანება Find next.

ნიმუში:

საგნობრივი საძიებელი

არისტოკრატია 77, 89
კონტექსტი 17, 44
რესპუბლიკა 80, 91, 120

პირთა საძიებელი

დათუკიშვილი 5, 90
შუბითიძე 7, 40, 95
ჯავახიშვილი 100, 340

ტერმინოლოგიური საძიებელი

ანაქრონიზმი 97
მეტაფორა 40, 56
პერფექტი 80

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ანგოლა 11
სამეგრელო 15, 60, 80, 120, 177, 189
ჯავახეთი 12, 45, 89, 450, 477

---

6. შინაარსი (სარჩევი)

აუცილებელია, მონოგრაფიას თან ახლდეს **სარჩევი,** რომელსაც შინაარსსაც უწოდებენ. შინაარსი მონოგრაფიას ძირითადად უკან ერთვოდა, მაგრამ თანამედროვე გამოცემებში იგი დასაწყისშივეა წარმოდგენილი, რაც ძალიან მოხერხებულია მკითხველისათვის. იმის მიხედვით, თუ რა სტრუქტურა აქვს წიგნს, სარჩევში ჩამოთვლილი წიგნის ნაწილები, თავები და პარაგრაფებიც. თითოეული მათგანის პარალელურად მითითებულია, თუ რომელ გვერდზე იწყება ესა თუ ის ნაწილი.

7. ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, ასევე, უნდა ერთვოდეს მონოგრაფიას. ბიბლიოგრაფიის ფუნქციაა ლიტერატურის მოძიების საშუალება მისცეს მკითხველს.

ბიბლიოგრაფია არის რაიმე საგნის ან საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის სია. ბიბლიოგრაფია, აგრეთვე, არის პერიოდულ გამოცემებში სპეციალური განყოფილება, რომელშიც ქვეყნდება მოკლე მიმოხილვა ახლადგამოსული წიგნებისა. ბიბლიოგრაფია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია მონოგრაფიისა, რადგან, ერთი მხრივ, იგი ასახავს ავტორის მიერ ჩატარებულ მუშაობას, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მკითხველს განხილულ საკითხზე იოლად მოიპოვოს მისთვის სასურველი დამატებითი ინფორმაცია და საფუძვლიანად გაეცნოს გარკვეულ ლიტერატურას განხილულ საკითხზე. ბიბლიოგრაფია ეწყობა ანბანთრიგზე და მიეთითება სქოლიოში მიწოდებული ინფორმაციის მსგავსად. რაც შეეხება ინტერნეტიდან მოპოვებულ ნაშრომებს, ლიტერატურის მითითება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: უნდა მიუთითოთ ვებგვერდის მისამართი, ავტორი, ნაშრომის სახელწოდება, ნაშრომის შექმნის თარიღი (შესაძლებელია მიეთითოს ვებრგვერდზე შესვლის თარიღიც).

ნიმუში:

რ. ლუკანოვა, კომპიუტერული სემანტიკისათვის ბუნებრივ ენებში, 2005, http://stp.ling.uu.se/~rloukano/semantics.pdf.

გაითვალისწინეთ, რომ მონოგრაფიის შიგნით უცხოური ლიტერატურის დამოწმება აუცილებელია ქართულ ენაზე, ბიბლიოგრაფიაში კი შესაძლებელია ავტორის გვარი დაიწეროს ქართულად, დანარჩენი ნაწილი კი იმ ენაზე, რომელზეც ნაშრომია შესრულებული.

პრაქტიკული სამუშაო:

▣ მოცემულია გიორგი და თედო დუნდუების მონოგრაფიის "ქართული ნუმიზმატიკა" მოკლე შინაარსი. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ მონოგრაფიის მოკლე წინასიტყვაობა.

გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 2006წ. გამომცემლობა არტანუჯი

გიორგი და თედო დუნდუების "ქართული ნუმიზმატიკა" არის არა მხოლოდ მონოგრაფია, არამედ სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ის ეხება საქართველოს სამონეტო ემისიებს და საქართველოში გავრცელებულ უცხოურ მონეტებს ძვ. წ. აღ. VIს., ახ. წ. აღ. XVIს-ში. მონოგრაფიის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ 1969 წლის მერე განმაზოგადებელი ნაშრომი ქართულ ნუმიზმატიკაში არ დაწერილა. აქედან გამომდინარე, ყველა ის სიახლე, რომლებიც დაგროვდა ქართულ ნუმიზმატიკაში, როგორც მეცნიერებაში, აქ წარმოდგენილია სრულად. ეს ეხება როგორც უკვე ცნობილი სამონეტო ტიპების ატრიბუციას, ასევე ახალი ვარიანტების შემოტანას აკადემიურ სფეროში. მონოგრაფიაში წარმოდგენილია შემდეგი სამონეტო ჯგუფები და ახლებურად გააზრებულია საისტორიო კუთხით:

1. კოლხური თეთრი – დასავლეთ საქართველოში ბერძნული კოლხური ქალაქის, ფაზისის, მიერ განხორციელებული სამონეტო სერიები (ძვ. წ. აღ. IVს., ძვ. წ. აღ. IIIსს.);
2. ალექსანდრესა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტების კოლხური მინაბაძები (ძვ. წ. აღ. IIს., ახ. წ. აღ. Iსს.);
3. ელინისტურ ხანაში დასავლეთ საქართველოში განხორციელებული ფულადი ემისისები – დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები, არისტარქე კოლხის დრაქმა და ა. შ.;
4. ქალაქ ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებზე მზისა და სინათლის ღვთაების, მითრას, გამოსახულებით;
5. ე.წ. ქართულ-სასანური დრამები, რომლებშიც წმინდა ცეცხლის ჯვარი ჩაენაცვლება;
6. თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები;
7. ქართულ-ბიზანტიური მონეტები, საერთო ქრისტიანული იკონოგრაფიით (ღვთისმშობელი, ჭეშმარიტი ჯვარი და ა. შ.);

8. ე. წ. უწესოდ მოჭრილი ფულები (დემეტრე I, დავით V, გიორგი III, თამარი, ლაშა, რუსუდანი) არაბულ-ქართული წარწერებით, რომლებშიც ქართველი მეფეები მოიხსენიებიან მესიის მახვილებად და მეფეთა მეფეებად.
9. XIII-XIVს-ის თბილისის ზარაფხანის ემისიები, თბილისში მოჭრილი მონეტები:
1) მონღოლთა საოკუპაციო სერიები;
2) ქართველ მეფეთა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები.

მონოგრაფიაში უამრავი სიახლეა და გამოყენებულია უახლესი უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. თან ერთვის სამონეტო ტაბულები. ეს არის ქართული ნუმიზმატიკის I ნაწილი, II ნაწილის გამოშვება იგეგმება უახლოეს მომავალში.

◙ მოცემულია თეიმურაზ პაპასქირის მონოგრაფიის „დიდი სამეულის დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე 1944 წლის სექტემბერი – 1945 წლის მაისი“ ანოტაცია. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ მონოგრაფიის მოკლე ბიბლიოგრაფია.

1944წ. ზაფხულში ანტიჰიტლერული კოალიციის წამყვანი სახელმწიფოების – სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგად მეორე მსოფლიო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ნათელი გახდა, რომ გერმანიისა და იაპონიის საბოლოო დამარცხება მხოლოდ დროის საკითხად იქცა. სწორედ ამიტომ, „დიდი სამეულის“ ლიდერთა – საბჭოთა მთავრობის მეთაურის იოსებ სტალინის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის, უინსტონ ჩერჩილის, დიპლომატიურ ურთიერთობებში მთავარ თემად მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხები იქცა.

„დიდი სამეულის“ დიპლომატიური ურთიერთობები ფართოდაა გაშუქებული მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიაში, რასაც მოწმობს 1945 წლიდან დღემდე გამოსულ ნაშრომთა რეკორდული რაოდენობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლა სულაც არ არის დასრულებული. ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლადაა საკითხები, რომლებიც მკვლევართა შორის დავას იწვევს და რომელთა შემდგომი დამუშავება-დაზუსტება მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ომის დასკვნით ეტაპზე „დიდი სამეულის“ ლიდერთა შორის მიმდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ფარული, ხანდახან კი ღია ბრძოლა მსოფლიოს ომისშემდგომი გადანაწილებისათვის, რისი დადასტურებაცაა მათი

იმდროინდელი მიმოწერა თუ შეხვედრები. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ აღნიშნული პრობლემის მონოგრაფიულად დამუშავების ცდაა. კონკრეტულად, მასში გაანალიზებულია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე (1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი) სსრკ-ს, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ლიდერებს შორის გამართული დიპლომატიური მოლაპარაკებები, მათი მიმოწერა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1944–1945 წლები: 1944წ. სექტემბრიდან, როდესაც შედგა ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრა კვებეკში – 1945წ. 8-9 მაისამდე, ანუ გერმანიის კაპიტულაციამდე. ეს არის ერთგვარი გაგრძელება ჩვენ მიერ ადრე შესრულებული სამუშაოსი, რომელშიც შესწავლილი იყო დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების საკვანძო საკითხები. იმჟამინდელი კვლევა თეირანის კონფერენციით დავასრულეთ[1]. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ცხოვრება დიდი სამეულის ლიდერთა აღნიშნული სამიტის შემდეგაც საკმაოდ ნაყოფიერად გრძელდებოდა (განსაკუთრებით ეს ეხება ჩერჩილისა და რუზველტის ინტენსიურ მიმოწერას ოპერაცია „ოვერლორდის“ მზადების პერიოდში), თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვისობრივად ახალი, გადამწყვეტი ეტაპი აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მთავრობათა მეთაურებს შორის სწორედ 1944წ. სექტემბრიდან, კვებეკის II კონფერენციით დაიწყო. ამიტომაცაა წარმოდგენილი ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად აღებული 1944წ. სექტემბერი.

აღნიშნული პრობლემა ყოველთვის იყო მოქცეული ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დიდი სამეულის დიპლომატიური ურთიერთობები, განსაკუთრებით ომის დასკვნით ეტაპზე, იწვევს ყველაზე დიდ დაინტერესებას მკვლევართა მხრიდან. ამ საკითხის დამუშავება უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. „პირველ მერცხლებად“, ბუნებრივია, თვით ამ პროცესების მონაწილენი – უინსტონ ჩერჩილი, ედუარდ სტეტინიუსი, უილიამ ლიჰი, სამ-ნერ უელესი, რობერტ შერვუდი და სხვები მოგვევლინნენ. მათ დადებითად შეაფასეს ამ პერიოდის დიპლომატიური კონტაქტები, აღნიშნეს, რომ 1944წ. მეორე ნახევარსა და 1945წ. დასაწყისში დიდი სამეულის ლიდერთა ურთიერთობები ღია, გულწრფელი იყო და მათ შორის სრული გაგება სუფევდა. დიდი სამეულის ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციეს მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი გამოკვლევების ავტორებმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბ. ლიდელ ჰარტის, ჯ. ერმანის, ა. ტეილორის, ა. მიშელის, თ. გრისის, ჯ. კიგანის, პ. კალვოკორესის, გ. უინტისა და ჯ. პრიტჩარდის, მ. ჯილბერტის, ჰ. უილმოტის, მ. ჯიევანევსკის, ა. პერდიუს, ა. გროთის ნაშრომები. პრობლემა

[1] **თ. პაპასქირი.** მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1998; **თ. პაპასქირი.** მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.). თბ., 2002.

საკმაოდ ვრცლად არის განხილული მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ ზოგადი ხასიათის საბჭოურ გამოცემებშიც.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დიდი სამეულის ურთიერთობებს დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა თუ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შემსწავლელ მეცნიერთა გამოკვლევებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ლ. ვუდუორდის, მ. კიჩენის, ჯ. კომბსის, ჯ. სირაკუზას, ე. ბარკერის, ჯ. გედისის, გ. სმითის, რ. დალეკის, გ. მაგუაირის, ს. კაშმანის, გ. კოლკოს, ა. რეზისის და სხვ. ნაშრომები.

მოკავშირეთა ურთიერთობებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იკვლევდნენ საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მკვლევართა საქმიანობაზე ამ მიმართულებით დიდ გავლენას ახდენდა იმ დროის პოლიტიკური კონიუნქტურა. ვ. ისრაელიანის, ნ. იაკოვლევის, ლ. პოზდეევას, ი. კუზნეცის და სხვ. ნაშრომები მთლიანად გამსჭვალულია სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის ქება-დიდებითა და დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს პოზიციის კრიტიკით, რაც მათ მეცნიერულ ღირებულებას მეტად აკნინებს.

გარდა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომებისა, მრავლად არის ამ პერიოდის კონკრეტული დიპლომატიური პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიები თუ მონოგრაფიები.

მკვლევართა გაცილებით უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო 1944წ. ოქტომბერში მოსკოვში გამართულმა სტალინისა და ჩერჩილის შეხვედრამ, რომელზეც ძირითადი აქცენტი გაკეთდა ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხზე. სპეციალური გამოკვლევები ამ პრობლემის შესახებ გამოაქვეყნეს ნ. ბაჩიუმ, რ. ნადომ, რ. რააკმა, ა. რეზისმა, პ. ჰოლდიჩმა, ჯ. სირაკუზამ, ი. ზემსკოვმა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში არსებობს საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება და-სავლეთელ და საბჭოთა მკვლევართა შორის. ინგლისელ და ამერიკელ ისტორიკოსებს არასდროს არ ეეჭვებოდათ, რომ მოსკოვში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას გავლენის სფეროების შესახებ, თუმცა მათ ბოლო დრომდე არ გააჩნდათ ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტური მასალა იმ უბრალო მიზეზით, რომ შეხვედრების ოფიციალური ინგლისურენოვანი სტენოგრაფიული ანგარიშები არ იყო გამოქვეყნებული, საბჭოთა ჩანაწერებზე კი ხელი მხოლოდ განსაკუთრებით „სანდო“ საბჭოთა მკვლევრებს მიუწვდებოდათ. ამიტომაც ისინი ამ უკანასკნელ ხანებამდე მხოლოდ სამიტის უშუალო მონაწილეთა მემუარებს ეყრდნობოდნენ. საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც კარგად იყენებდნენ ამ გარემოებას და აცხადებდნენ, რომ რუსულ ოქმებში არანაირი შეთანხმება არ იყო დაფიქსირებული. მართალია, ისინი არ უარყოფდნენ ჩერჩილის მიერ ამ საკითხის დაყენებას, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ ამას სტალინის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია[2].

---

[2] **И. Земсков.** О так называемом „разделе“ Югославии на „сферы влияния“. – *Международная жизнь*, №3, 1958, გვ. 74; **В. Л. Исраэлян.** Дипломатия в годы войны. М., 1985, გვ. 317.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არც ისე სრულადაა დამუშავებული, არის ბერნის ინციდენტთან დაკავშირებული „დიპლომატიური სკანდალი“. გარდა მემუარული ლიტერატურისა, ამ თემაზე არსებობს მხოლოდ ერთი სპეციალური გამოკვლევა, რომლის ავტორია იტალიელი ისტორიკოსი ე. აგაროსი, შედარებით ვრცლად კი თავიანთ ნაშრომებში ბერნში გამართული მოლაპარაკებები გააშუქეს ჰ. ფეისმა, ჯ. ტოლანდმა და ვ. ისრაელიანმა. აღნიშნული მკვლევრები საკმაოდ განსხვავებულ აზრზე დგანან ინციდენტის შეფასებისას: ჰ. ფეისი და ჯ. ტოლანდი მიიჩნევენ, რომ ეს ნამდვილად იყო ომის სასწრაფოდ დასრულების მოსურნე გერმანელის ინიციატივა; ე. აგაროსის აზრით, ყველაფერი დალესის მხრიდან ომის ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე დასრულების სურვილმა გამოიწვია; ვ. ისრაელიანი კი მიიჩნევს, რომ აქ ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა შეთქმულებას ამერიკელებისა და ბრიტანელების მხრიდან. ყველა დანარჩენი მკვლევარი აღნიშნულ პრობლემას ან ზოგადად განიხილავს, ან საერთოდ არ ეხება მას, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურიცაა, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძაბა დიდი სამეულის შიგნით ურთიერთობები ბერნის ინციდენტმა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი დიდი სამეულის დიპლომატიური ურთიერთობები 1944-1945 წლებში, აღნიშნული თემის შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები სულაც არ არის ამოწურული. ცალკეული საკითხები ნამდვილად ითხოვს შემდგომ შესწავლასა თუ დაზუსტებას. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნულ პრობლემაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილებასა და მთელი რიგი საკითხების გაშუქებაში მეტი სიცხადის შეტანას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქართველი ისტორიკოსები პრაქტიკულად გამოთიშულნი იყვნენ მეორე მსოფლიო ომის გლობალური პრობლემების შესწავლა-დამუშავებას[3].

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურის, გენ. შარლ დე გოლის ვიზიტს მოსკოვში 1944წ. დეკემბერში და ამ პერიოდში საფრანგეთისა და საბჭოთა დელეგაციებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს. აღნიშნულია, რომ ამ სამიტის მსვლელობისას დადებული ხელშეკრულებები ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი და მხოლოდ ჩერჩილისათვის გახლდათ მიუღებელი. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ ფრანგებმა ფაქტობრივად ცნეს პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი. აქვე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა მკვლევრები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაემალათ სტალინის მიერ სსრკ-საფრანგეთის ორმხრივი პაქტის გაფორმების საკითხის დაკავშირება

---

[3] ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს **ვ. გურულის** ნაშრომები: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიოგრაფია მილიტარიზმისა და რევანშიზმის სამსახურში“; „ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში“; და „პარტიზანული მოძრაობის ისტორიის ფალსიფიკატორები“. – *მეორე მსოფლიო ომის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა*, 3 ნაკვეთად. თბ., 1985.

პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობის ცნობასთან.

წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მსოფლიო ისტორიის კათედრაზე. ნაშრომზე მუშაობისას ავტორს საშუალება ჰქონდა, ემუშავა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკის საჯარო ბიბ-ლიოთეკაში (1999-2000წწ.), აგრეთვე ვისკონსინის უნივერსიტეტის ბიბლი-ოთეკაში (2004-2005წწ.), რაც შესაძლებელი გახდა „ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს“ და ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის ახალგაზრდა ლექტორთა პროგრამაში მონაწილეობის შედეგად.

თეიმურაზ პაპასქირი, დიდი სამეულის დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე 1944 წლის სექტემბერი – 1945 წლის მაისი, თბ., 2006.

I თავი

განხილული საკითხები:
1. საქმიანი მიმოწერა;
2. საქმიანი წერილი;
3. ელექტრონული წერილი.

1. საქმიანი მიმოწერა

ადამიანს ყოველდღიურ და საქმიან ცხოვრებაში უხდება საქმიანი დოკუმენტების გაცნობაც და შექმნაც. დოკუმენტის შექმნა არ არის იოლი პროცესი. ის ავტორისაგან მოითხოვს ფორმალური წესების დაცვას, რომლებიც დამკვიდრებულია ამ ტიპის ტექსტების შექმნის დროს. გარდა ამისა, საქმიან ტექსტებში, ისევე, როგორც ნებისმიერ ტექსტში, ზუსტად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ავტორის მიზანი, არგუმენტაცია და ადრესატი. ნებისმიერი საქმიანი დოკუმენტის მიზანია, რომ მოახდინონ მასზე რეაგირება, ანუ ავტორი უნდა ეცადოს დაარწმუნოს ადრესატი ნათქვამში. ტექსტი უნდა იყოს მკაფიო, არგუმენტირებული, ოფიციალურ-საქმიანი სტილით შექმნილი. ამ ტიპის ტექსტებში დამკვიდრებულია კანცელარიზმები. სამწუხაროდ, მათი ბოლომდე თავიდან აცილება არ ხერხდება, თუმცა უნდა ვეცადოთ, რომ მათი გამოყენება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

საქმიანი მიმოწერა არის საქმიანი კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი. ცნობილია, რომ მსოფლიოში ერთი სამუშაო დღის განმავლობაში **ას მილიონზე მეტი** საქმიანი წერილი იქმნება. მიუხედავად თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მიღწევებისა, საქმიან წრეებში ბეჭდურ წერილს ჯერ კიდევ ანიჭებენ უპირატესობას, რადგან, ყველაფერთან ერთად, მას ერთგვარი წერილობითი კონტრაქტის ფუნქციაც აქვს, დოკუმენტურად ფიქსირდება ოფიციალური ფაქტები და მათი დავიწყება ან იგნორირება უბრალოდ შეუძლებელი ხდება. სრულყოფილი საქმიანი წერილის დაწერისას, როგორც ნებისმიერი სხვა წერილობითი დოკუმენტის შექმნისას, აუცილებელია გარკვეული პროცედურისა და პრინციპების დაცვა, ეტიკეტისა და ეთიკური ნორმების გათვალისწინება.

2. საქმიანი წერილი

◈ საქმიანი წერილის მიზანი

საქმიანი წერილის მიზანია ადრესატისათვის სპეციფიკური, საჭირო ინფორმაციის გაცნობა, თუმცა საქმიან წერილით, ასევე, შეიძლება დაარწმუნოთ მიმღები, გაიზიაროს თქვენი იდეა ან შეიძლება დაითანხმოთ იგი თქვენს პროექტში მონაწილეობაზე. საქმიან წერილს, შესაძლოა, სარეკლამო ფუნქციაც ჰქონდეს. *როდესაც სატელეფონო კომპანია გზავნის წერილს ელექტრონულ მისამართებზე მომხმარებელთა სფეროს გაზრდის მიზნით ან როდესაც ვაკანტური ადგილის დასაკავებელ კონკურსში თქვენს საბუთებსა და პროფესიულ რეზიუმეს თან ურთავთ გარკვეულ დამატებით ინფორმაციას თქვენ შესახებ, ამ შემთხვევაში* საქმიან წერილს რეკლამის ხასიათი აქვს.

საქმიანი წერილი ეგზავნება როგორც სხვა კომპანიის წარმომადგენლებს, ისე ერთი კომპანიის თანამშრომლებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენგან მოელიან დეტალურ ინფორმაციასა და კონკრეტულ მითითებებს.

საქმიანი წერილის უმეტესობას აქვს ფორმალური, მაგრამ პოზიტიური ტონი. იმდენად, რამდენადაც საქმიან წერილს უგზავნით პროფესიონალებს, თქვენს საქმიან პარტნიორებს და იგი ემსახურება კონკრეტულ მიზანს, აუცილებელია გარკვეული ფორმალობის დაცვა. მაგ.: ზრდილობიანი მოკითხვა, დამშვიდობება და ა. შ.

◈ აუდიტორია

საქმიანი წერილის შექმნისას უნდა იცოდეთ, თუ როგორ მიიპყროთ მკითხველის ყურადღება, ისე რომ დაზოგოთ მისი დრო. უნდა გაითვალისწინოთ, რომ წამკითხველს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი თავისუფალი დრო ვრცელი გზავნილის წაკითხვისათვის.

საქმიანი წერილის შექმნისას უნდა გაითვალისწინოთ აუდიტორია, წინასწარ უნდა შეისწავლოთ მისი მოთხოვნები და განსაზღვროთ თქვენი მიზანი. შესაძლოა შექმნათ წერილის შავი ვარიანტიც და რამდენჯერმე გაასწოროთ კიდეც იგი.

➱ გ ა ხ ს ო ვ დ ე თ : ყოველთვის დაიტოვეთ წერილის ასლი, რათა საჭიროების შემთხვევაში გაიხსენოთ ან მოიპოვოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია.

წერილის შექმნისას უნდა გაითვალისწინოთ, თუ რა იცის უკვე ადრესატმა თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ, რა შესაძლო კითხვები შეიძლება გაუჩნდეს მას ამ პრობლემასთან დაკავშირებით, კიდევ რა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაა მისთვის აუცილებელი და ა. შ.

➪ *როდესაც ხართ სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენელი და სწერთ საქმიან წერილს ფაკულტეტის ადმინისტრაციას სტუდენტური ჟურნალის გამოცემის შესახებ, კარგად უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი მოტივაცია, მიზანი, დეტალურად უნდა დაასაბუთოთ ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა და, რაც მთავარია, უნდა დაფიქრდეთ და გაითვალისწინოთ, თუ რა იცის ადმინისტრაციამ თქვენი პროექტის, გეგმების, საქმიანობის შესახებ და ისე ჩამოაყალიბოთ თქვენი სათქმელი.*

➪ *თუ საქმიან წერილს ურთავთ თქვენს წერილობით ნაშრომს, სტატიას ან მოხსენებას, ჯერ უნდა გაითვალისწინოთ, რამდენადა ადეკვატურია თქვენი მიმართვა, უპასუხებს თუ არა აუდიტორიის მოთხოვნებს და შემდეგ ნათლად უნდა გადმოსცეთ, თუ რას ითხოვთ საბოლოოდ ადრესატისაგან.*

წერილის წაკითხვისას ადრესატს შთაბეჭდილება უნდა დარჩეს, რომ თქვენ უფრთხილდებით მის დროს, ზრუნავთ მის საქმიან რეპუტაციაზე და მზად ხართ ითანამშრომლოთ მასთან.

ეცადეთ, წინასწარ გამოიცნოთ, გათვალოთ ადრესატის რეაქცია და ეს აღნიშნოთ თქვენს კომენტარში. გამოიყენეთ შესაფერისი სიტყვები და ფრაზები.

➱ გ ა ხ ს ო ვ დ ე თ , რომ თქვენი სათქმელი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, მარტივი და გასაგები წინადადებებით. მოერიდეთ პროფესიული ჟარგონების ჭარბად ხმარებას, რადგან ადრესატმა შესაძლოა ვერ გაიგოს თქვენი სათქმელი. აუცილებელია დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები, არ დაუშვათ პუნქტუაციური შეცდომები, ვინაიდან ეს მეტყველებს თქვენს პროფესიულ იმიჯსა და განათლების დონეზე, ამით გარკვეულწილად დაიმსახურებთ ადრესატის კეთილგანწყობას.

◈ საქმიანი წერილის ტონი

წერისას ტონი გულისხმობს ავტორის დამოკიდებულებას მკითხველისა და გზავნილის შინაარსისადმი. გახსოვდეთ, რომ წერილის ტონი ადრესატზე ისეთივე ეფექტს ახდენს, როგორც საუბრის ტონი მსმენელზე.

საქმიან წერილს ისეთივე ტონი უნდა ჰქონდეს, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის საქმიან დოკუმენტს, მაგ.: მემოს, მოხსენებით ბარათს და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ გზავნილის ტონი მისი ავტორის ანარეკლია და პირდაპირ ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვავს მას მიმღები.

როგორ შევარჩიოთ გზავნილისათვის შესაფერისი ტონი?

თუ გიჭირთ სათანადო ტონის შერჩევა, დაუსვით თავს რამდენიმე შეკითხვა:

1) რა მიზნით ვწერ ამ წერილს?

2) ვის ვწერ და რის შეტყობინება მსურს?

3) როგორი ტონი უნდა შევარჩიო ამისათვის?

შეარჩიეთ ოფიციალური და ზრდილობიანი მიმართვის ფორმები.

ნიმუში:

გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია თქვენი კომპანიის საქმიანობის შესახებ.

დ ა ა რ ა

სასწრაფოდ მოგვაწოდეთ დეტალური ინფორმაცია თქვენი კომპანიის საქმიანობის შესახებ.

გზავნილში უნდა იგრძნობოდეს, რომ ხართ პროფესიონალი და საკუთართავში დარწმუნებული პიროვნება.

წერეთ ზრდილობიანი ფორმით და გულწრფელად. თქვენს წერილში არ უნდა იგრძნობოდეს სიყალბე.

მოერიდეთ ზედმეტ ემოციურობას, ყოველთვის კონკრეტულად და ობიექტურად ჩამოაყალიბეთ ფაქტები.

საქმიან წერილში არ უნდა გააკრიტიკოთ ან შეურაცხყოთ თქვენი კოლეგა.

თავი აარიდეთ უხეშ ფრაზებს, პირფერობას, თუმცა, ამავე დროს, არც ზედმეტად უნდა იყოთ მორიდებული.

არ შეიძლება წერილს ჰქონდეს ქედმაღლური ან მენტორული ტონი, გზავნილი არ უნდა ჰგავდეს იდეების ქადაგებას.

ყოველთვის გაამახვილეთ ყურადღება მკითხველის მოთხოვნებზე, ამისათვის წარმოიდგინეთ თქვენი თავი ადრესატის ადგილას.

◈ საქმიანი წერილის ფორმა

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიან წრეებში საქმიანი მიმოწერის დიდი ტრადიცია და გამოცდილება არსებობს, ამდენად საქმიან წერილს აქვს თავისი ფორმა და იქმნება საერთაშორისო აღიარებული სტანდარტის მიხედვით.

ამა თუ იმ კომპანიისა ან ორგანიზაციის სახელით საქმიანი წერილი ყოველთვის იწერება ბლანკზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მას ოფიციალური სტატუსი. ბლანკის თავფურცელზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის ან ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა ან ვებგვერდის მისამართი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საკუთრივ წერილის გაფორმებისას თავდაპირველად იწერება ადრესატის სახელი და გვარი, აგრეთვე კოორდინატები: მისამართი, საფოსტო კოდი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა. თუ შესაძლებელია, მიუთითეთ დაკავებული თანამდებობაც.

◣ ნიმუში:

ნათია დოინჯაშვილს
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, 0128
ტელ./ფაქსი + 995 22 23 09
doinjashvili@yahoo.com

რამდენჯერმე გადაამოწმეთ, თუ რამდენად სწორად დაწერეთ მიმღების სახელი და გვარი. გახსოვდეთ, რომ ადრესატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ადრესატის მონაცემების მითითების შემდეგ უნდა დაისვას თარიღი. ეს საქმიანი წერილის გაფორმების მეორე ეტაპია. ***გახსოვდეთ, ყოველთვის დაათარიღეთ თქვენი წერილი***. სასურველია თვე დაიწეროს სიტყვიერად.

მაგ.: 6 იანვარი, 2008წ.

საქმიანი წერილის ძირითადი ნაწილი იწყება მისალმებით. მისალმების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობა გაქვთ ადრესატთან. ოფიციალური მიმართვისას უნდა დაიწეროს: ***ბატონო გიორგი ან ქალბატონო დალი.*** გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა გამოიყენოთ სიტყვა პატივცემულოც. მაგ.: ***პატივცემულო ბატონო გიორგი ან პატივცემულო ქალბატონი დალი***. თუ თქვენს წერილს აქვს არაფორმალური ხასიათი, ადრესატს შეიძლება შემდეგნაირადაც მიმართოთ: ***ძვირფასო დავით***.

საქმიანი წერილის ეტიკეტის თანახმად, სასურველია ყოველთვის მიეთითოს კონკრეტული ადრესატის სახელი. მიმართვის შემდეგ კი იწერება მძიმე ან ძახილის ნიშანი:

ცალკე ბლოკში მოკლედ და კონკრეტულად უნდა გამოიყოს ძირითადი ინფორმაცია, თუ რის შესახებ იქნება წერილში საუბარი.

მაგ.:
ვებგვერდის განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ

ამგვარი ტიპის ინფორმაცია სასურველია დაიწეროს წერილის დასაწყისში, მარცხენა კუთხეში.

ძირითადი ტექსტი უნდა ჩამოყალიბდეს ლაკონურად და კონკრეტულად, ოფიციალურ-საქმიანი სტილით. მხატვრული სტილის ელემენტების ჭარბად

ხმარებამ და ლირიკულმა გადახვევამ შესაძლოა ადრესატის გაღიზიანებაც კი გამოიწვიოს.

ძირითადი ტექსტის ბოლოს შესაძლოა კონკრეტულად ჩამოაყალიბოთ თქვენი მოთხოვნა.

მაგ.:

გთხოვთ გაითვალისწინოთ; გთხოვთ მომელაპარაკოთ; გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები და ა. შ.

საქმიან წერილს ბოლოში უნდა დაუსვათ გამგზავნის ხელმოწერა. მარცხენა მხარეს თავსდება გამომგზავნის მონაცემები, კერძოდ, თანამდებობა, მარცხენა მხარეს ხელმოწერა.

მაგ.:
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, პროფ. **/თ. სილაგაძე/**

საქმიანი წერილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია კონვერტი, რადგან პირველ რიგში ყურადღება სწორედ კონვერტს ექცევა. გახსოვდეთ, რომ საქმიანი წერილისა და კონვერტის ხარისხი მეტყველებს კომპანიის ან ორგანიზაციის იმიჯსა და პროფესიულ დონეზე. კონვერტზე აუცილებლად უნდა მიუთითოთ ადრესატის სახელი და გვარი, ასევე მისამართი. შესაძლოა კონვერტზევე განთავსდეს ორგანიზაციის ან კომპანიის ლოგოც.

◣ ნიმუში:

გაეროს განვითარების პროგრამის
ეროვნულ კონსულტანტთა
ჯგუფის ხელმძღვანელს
ნათია დოინჯაშვილს
ტელ./ფაქსი + 995 22 23 09
doinjashvili@yahoo.com

ვებგვერდის განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ

ქალბატონო ნათია,

ფაკულტეტის ახალი კორპორატიული ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებით სპეციალურ სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობისათვის წარმოგიდგენთ ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტს, ქ-ნ ნათია გამეზარდაშვილს (საკონტაქტსო ტელ.: 997821).

გთხოვთ გაითვალისწინოთ.
პატივისცემით

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, პროფ. **/თ. სილაგაძე/**

◈ საქმიანი წერილის შინაარსი

საქმიან წერილს მრავალფეროვანი შინაარსი აქვს. მასში შეიძლება დაფიქსირდეს გარკვეული ცვლილებისა და კორექტივის შეტანა, შეიძლება ჰქონდეს სარეკლამო ხასიათი, გამოხატავდეს მადლობას ან თანაგრძნობას.

3. ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული ფოსტა (შემოკლებით იმეილი **E-mail**) მსოფლიოში თანამედროვე კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ჩვეულებრივი ფოსტის, ექსპრესგზავნილისა და ფაქსისაგან განსხვავებით, ელექტრონული ფოსტა გაცილებით კომფორტულია: 1) ელექტრონული ფოსტა უფასოა; 2) ელექტრონული ფოსტით კავშირის დამყარება მარტივია; 3) ელექტრონული ფოსტა გიზოგავთ დროს.

აქედან გამომდინარე, დღეს ელექტრონულ ფოსტას მილიონობით მომხმარებელი ჰყავს.

ერთი შეხედვით, ელექტრონული წერილი ინდივიდუალურია, მაგრამ არსებობს მთელი რიგი სტანდარტული ნორმებისა, რომელთა დაცვაც აუცილებელია ამა თუ იმ ტიპის იმეილის შექმნისას.

◈ ელექტრონული ფოსტის დანიშნულება და მახასიათებლები

ზოგი თვლის, რომ ელექტრონული წერილი კომუნიკაციის არაფორმალური საშუალებაა და, ამდენად, შესაძლებელია და დასაშვები წერისას სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევა. მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა. იმეილი ისევე მეტყველებს ავტორის ბუნებასა და კულტურაზე, როგორც ჩვეულებრივი წერილი. გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სინტაქსური წესები აქაც ისევე უნდა დავიცვათ, როგორც ნებისმიერი დოკუმენტის შექმნისას. აქედან გამომდინარე, თუ გსურთ ადრესატზე შთაბეჭდილების მოხდენა, წერეთ გამართულად და დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ელექტრონული ფოსტა შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე საქმიანი ხასიათის. თუ სწერთ, მაგალითად, ორგანიზაციას, რომელთანაც თანამშრომლობთ, უნდა დაიცვათ საქმიანი სტილი, საქმიანი კომუნიკაციის ნორმები. თუ წერილს უგზავნით მეგობარს, შესაძლებელია თქვენი ტონი იყოს არაფორმალურიც.

იმის მიხედვით, თუ რომელ სისტემას იყენებთ, ელექტრონული ფოსტის გაგზავნისა და მიღების პროცედურა შეიძლება განსხვავებული იყოს.

ელექტრონული ფოსტის მისამართი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მაგ.:

sandroJgenti@yahoo.com



- თუ თქვენი სახელი ძალიან გავრცელებულია, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა დამხმარე ნიშანი, მაგ.: **nino_nakaSiZe**, ან ციფრები (მაგ.: დაბადების თარიღი), მაგ.: **nino1975@yahoo.com.**

- ამა თუ იმ ორგანიზაციამ შესაძლოა ლოკალური საინტერნეტო ქსელი შექმნას. ამ ქსელის მომხმარებლის ელექტრონული მისამართიც შესაფერისი იქნება.

მაგალითად:
tamila@parliament.ge *– თამილა საქართველოს პარლამენტის ლოკალური ქსელის მომხმარებელია.*

სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციას შესაძლოა თავისი ქსელური მისამართი ჰქონდეს:

მაგალითად:
tsu.edu.ge edu (**education**) – აღნიშნავს განათლების სისტემის ორგანიზაციას.
gov.**ge gov** (**goverment**) – აღნიშნავს სახელმწიფო დაწესებულებას.

- დააკვირდით ელექტრონული მისამართის **tamila@parliament.ge** ქსელური ნიშნის ბოლო ნაწილს: **ge** – აღნიშნავს საქართველოს.

ყველა ქვეყანას თავისი აბრევიატურა აქვს, რომელთა ცოდნაც სასურველია:

ge – საქართველო
usa – ამერიკის შეერთებული შტატები
ru – რუსეთი
de – გერმანია
es – ესპანეთი
ua – უკრაინა
hu – უნგრეთი და ა. შ.

◈ ელექტრონული გზავნილის შექმნის პროცედურა

ელექტრონული წერილის გაგზავნისას უნდა დაიცვათ სათანადო პროცედურები.

1. გრაფაში – **To** უნდა ჩაწეროთ ადრესატის სახელი და გვარი (იმ შემთხვევაში თუ მისი ელფოსტის მისამართი ინახება მისამართების ყუთში), ან უშუალოდ ელექტრონული ფოსტის მისამართი.

მაგალითად:

To: datoadamia@parliament.ge

2. თუ წერილს უგზავნით რამდენიმე პირს, მაშინ ამავე გრაფაში ყველა ადრესატის ელექტრონული მისამართი უნდა განათავსოთ. ჩამონათვალისას, მისამართებს შორის, უნდა დაიწეროს მძიმე.

მაგალითად:

To: datoadamia@parliament.ge, niako2002@hotmail.com

3. გრაფაში **Cc** უნდა ჩაწეროთ იმ პირთა ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლებსაც ნამდვილად სურს თქვენი გზავნილის მიღება და დაინტერესებულია ამაში.

Cc: ninodobro@gol.ge, eka23@yahoo.com

4. გრაფაში **Bcc** უნდა ჩაწეროთ იმ პირთა ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლებსაც უგზავნით ბრმა ასლებს, ისე რომ ადრესატებმა ამის შესახებ არაფერი იციან.

Bcc: aleksishvili@gol.ge>, en_antiodromia@hotmail.com

5. ცუდ ტონადაა მიჩნეული ბრმა ასლების გაგზავნა იმ პირთათვის, რომლებიც თქვენს ორგანიზაციაში მუშაობენ. ეს ხელს შეუშლის კოლეგებს ურთიერთობაში.

6. თუ ელექტრონულ წერილს იმ პირებს უგზავნით, რომლებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს, სჯობს მათი მისამართები განათავსოთ გრაფაში **Bcc** მოსალოდნელი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში გრაფაში **To** მიმღებს დაეწერება "*უცნობი ადრესატი*" ან მსგავსი რამ.

7. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ დაუსრულებელი წერილის გაგზავნის შემთხვევა, ადრესატის მისამართი გრაფაში **To** სჯობს ყველაზე ბოლოს ჩაწეროთ.

8. ძალიან მნიშვნელოვანია გრაფის **Subject** შევსება. **Subject** გრაფა გულისხმობს თქვენი წერილის საგანს, იმას, თუ რა ინფორმაციას შეიცავს თქვენი გზავნილი.

ამდენად, ფრთხილად და გულისყურით უნდა შეარჩიოთ მთავარი საკვანძო სიტყვა.

Subject: konferenciis TariRi

9. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ საქმიანი ადამიანი დღეში 100-ზე მეტ ელექტრონულ გზავნილს იღებს, ამდენად, საკვანძო სიტყვამ უნდა დაიტიოს ის ინფორმაცია, რომელიც ყურადღებას გაამახილებინებს ადრესატს თქვენს წერილზე და დაუყოვნებლივ წაიკითხავს მას.

10. ყურადღების გამახვილების მიზნით შესაძლოა გამოიყენოთ სპეციალური სიმბოლო, მაგალითად ძახილის ნიშანი !.

გთავაზობთ ელექტრონული ფოსტის შევსებული თავფურცლის ნიმუშებს:

Date:	Thu, 14 Oct 2004 22:00:13 +0200
Subject:	enatmecnierebis sak'itxebi
From:	winfried.boeder@uni-oldenburg.de Add to Address Book Add Mobile Alert
To:	shubladze@yahoo.com

From:	"Parnassus Books" <parnassusbooks@gol.ge> Add to Address Book Add Mobile Alert
To:	<elene_ch@gmx.net>, "Elene Kubaneishvili"<iremadze2000 @yahoo.com>, "Elene Saradova" <elenka90@hotmail.com>, "Gela Kvashilava" <gela@gfsis.org>, "Giorgi Aleksishvili" <aleksishvili @gol.ge>,"Giul Shabashvili" <shabashvili@yahoo. com>, "Irakli Bokolishvili"

Subject:	PREZENTACIA
Date:	Thu, 4 Nov 2004 11:43:57 +0400

◈ **ელექტრონული გზავნილის ნეტიკეტი**

1. ელექტრონულ წერილს, როგორც ნებისმიერ საქმიან დოკუმენტს, აქვს თავისი ეტიკეტი (ე. წ. ***ნეტიკეტი*** = გლობალური ქსელის ეტიკეტი) და ფორმა.

2. ელექტრონული გზავნილის შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმეილი, ნებისმიერი ჩვეულებრივი წერილის მსგავსად შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

I – **მისალმება**;

II – **ძირითადი ნაწილი**;

III – **დამშვიდობება**;

IV – **ხელმოწერა და ავტორის საინფორმაციო ბლოკი**.

3. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ნაწილს აქვს თავისი სტანდარტული, საყოველთაოდ აღიარებული ფორმა.

I. მისალმება:

1. ნებისმიერი წერილის გაგზავნისას, არ აქვს მნიშვნელობა პირადულია იგი თუ საქმიანი, აუცილებელია მისალმება. ოფიციალური მიმართვის შემთხვევაში შესაძლებელია მისალმების შემდეგი ფორმულების გამოყენება:

მოგესალმებით, ბატონო გიორგი!
გამარჯობა, ბატონო ვინფრიდ!

მისალმების შემდეგ შეიძლება დასვათ ძახილის ნიშანი.

2. თუ ადრესატს პირადად იცნობთ, სასურველია მოიკითხოთ და დაინტერესდეთ მისი საქმიანობით:

მაგალითად:

როგორ ბრძანდებით?
როგორ მიდის თქვენი საქმეები?

3. ოფიციალური მიმართვისას სახელის წინ შეიძლება დავწეროთ სიტყვები _ ძვირფასო, პატივცემულო.

მაგალითად:

ძვირფასო ქალბატონო თამარ!
პატივცემულო ბატონო დავით!

II. ძირითადი ნაწილი

გზავნილის ძირითადი ნაწილის შექმნისას რამდენიმე ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ:

I – ელექტრონული წერილის მოცულობა და შინაარსი, დანიშნულება;

II – ელქტრონული წერილის ტონი, კორექტულობა.

◈ ელექტრონული წერილის მოცულობა და შინაარსი, დანიშნულება

1. ეცადეთ, თქვენი ელექტრონული გზავნილი იყოს მოკლე და კონკრეტული. აუცილებელია წეროთ მარტივი და გასაგები წინადადებებით.

2. იმისათვის, რომ ელექტრონული გზავნილი ადრესატმა მიიღოს თქვენთვის სასურველი ფორმით, თითოეული ხაზი არ უნდა შეიცავდეს 70 ასო-ნიშანზე მეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმღების კომპიუტერში თქვენი წერილი შემდეგ სახეს მიიღებს და დაკარგავს სათანადო ეფექტს:

ძვირფასო ბატონო დიმიტრი!

თქვენმა პასუხმა ძალიან გამახარა, ვიმედოვნებ
ამ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში
ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება.

გულწრფელად თქვენი
ნინო რუხაძე

❖ ***შენიშვნა***:

თუმცა, მიმღების საინტერნეტო პროგრამამ შესაძლოა სათანადოდ დააფორმატოს თქვენი გზავნილი, რაც, სავარაუდოდ, გამოასწორებს ზემოაღნიშნულ ხარვეზს.

2. ელექტრონული ფოსტის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს ერთ ამონაბეჭდ გვერდს ან თქვენი ეკრანის მოცულობას.

❖ ***შენიშვნა:***

თუმცა, ხანდახან აუცილებლობა მოითხოვს უფრო დიდი ინფორმაციის განთავსებას. როგორც წესი, გრძელი წერილი შეიძლება შეიცავდეს მოხსენებას, რეზიუმეს, კონტრაქტს ან სხვა სახის დოკუმენტს. ამ შემთხვევაში უნდა მიმართოთ მიბმის პროცედურას (ე.წ. ეთეჩმენტი).

3. ეცადეთ, ერთი წერილის ფარგლებში ყურადღება გაამახვილოთ ერთ კონკრეტულ ინფორმაციაზე. თუ ადრესატისთვის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიწოდება გსურთ, სასურველია, ისინი გამიჯნოთ ერთმანეთისაგან და თვალსაჩინოებისათვის დასაწყისში დაურთოთ სარჩევი.

4. თუ თქვენი ელექტრონული ფოსტა შეიცავს დიდ ინფორმაციას, გზავნილის დასაწყისში სასურველია გამოიყოს სამი მნიშვნელოვანი პუნქტი:

- დოკუმენტის მოკლე რეზიუმე;
- შეტყობინება, თუ რამდენად სასწრაფოა პასუხის მიღება;
- სარჩევი.

◈ ***დოკუმენტის მოკლე რეზიუმე***

ამ პუნქტში ადრესატის ყურადღების გამახვილების მიზნით მოკლედ უნდა განთავსდეს მთავარი ინფორმაცია.

⇨ ***მაგალითად***:

*მოგესალმებათ არასამთავრობო ორგანიზაცია "**საქართველო და მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები**". მოცემული წერილი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას კონფერენციის სამუშაო დღის შესახებ.*

◈ *რამდენად სასწრაფოა პასუხის მიღება*

როგორც წესი, ადრესატი ყურადღებით კითხულობს წერილის დასაწყისს, ამდენად, სასურველია აქვე მივუთითოთ, რომ პასუხის გაცემა აუცილებელია და სასწრაფო.

⇨ ***მაგალითად**: გთხოვთ, ორშაბათამდე გვაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას სასტუმრო "მერიოტში" გამართულ შეხვედრაში?*

◈ *სარჩევი*

სარჩევი მომხმარებელს საშუალებას მისცემს ყურადღებით წაიკითხოს წერილის ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებს. ეს ადრესატს გაუადვილებს თქვენ მიერ მიწოდებულ მასალაში გარკვევას.

⇨ ***მაგალითად**:*
სარჩევი
- რეგისტრაციის ფორმა
- გამომსვლელთა სია
- დღის წესრიგი
- დასათვალიერებელი ადგილების ჩამონათვალი
- მენიუ
- სადაზღვევო პოლისი

III. დამშვიდობების ფორმა

1. როგორც საქმიანი, ისე პირადი წერილის დაწერისას სასურველია დამშვიდობება.

2. თუ წერილი იწყება ოფიციალური მისალმებით, დამშვიდობებასაც სასურველია ჰქონდეს ამგვარი ტონი.

3. თუ წერილი განეკუთვნება ერთ პირს, დამშვიდობებისას შესაძლებელია მისი სახელისა და გვარის დართვაც.

4. საქმიან მიმოწერაში მიღებულია დამშვიდობების სპეციალური ფორმულები:

⇨ *მაგალითად*:

ნახვამდის; მომავალ შეხვედრამდე; საუკეთესო სურვილებით; პატივისცემით; დიდი პატივისცემით; გულწრფელად თქვენი ნათია დავითაია.

◈ *ხელმოწერა და ავტორის საინფორმაციო ბლოკი*

1. დამშვიდობების შემდეგ, წერილის ბოლო ხაზზე უნდა დაიწეროს თქვენი სახელი და გვარი ან მხოლოდ სახელი.

2. თუ წერილი იგზავნება ორგანიზაციის სახელით და განკუთვნილია უკვე ნაცნობი პარტნიორებისათვის, ბოლოში შეიძლება დაურთოთ მხოლოდ თქვენი სახელი და კომუნიკაციისათვის საჭირო მონაცემები: ტელეფონის ნომრები, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი.

⇨ *მაგალითად*:

ელისაბედი

ტელ.: +995 22 29 11 11

მობ.ტელ.: +995 99 72 88 72

ფაქსი: +995 22 29 11 12

ელ.მისამართი: **elisabed@sanet.ge**

3. სხვა შემთხვევაში სახელი და გვარი უნდა დაიწეროს სრულად, სასურველია, ასევე, დაერთოს ორგანიზაციის ვებმისამართიც.

4. თუ თქვენ სამსახურს ეძებთ და სთავაზობთ თანამშრომლობას ამა თუ იმ ორგანიზაციას, ბოლოში ტელეფონის, ფაქსის ნომრების, ელექტრონული ფოსტისა და საცხოვრებელი მისამართის შემდეგ უნდა დაურთოთ თქვენი სამსახურეობრივი გამოცდილებისა და შესათავაზებელი მომსახურების სერვისის მოკლე აღწერილობა.

5. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ადრესატს შესაძლოა გაუგზავნოთ თქვენი ელექტრონული ხელმოწერა საგანგებო ფაილის სახით, ისე რომ

აიცილოთ თავიდან ხელმოწერილი დოკუმენტის ჩვეულებრივი ფოსტით გაგზავნის პროცედურა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის ქსელში საკვანძო სიტყვების "**E-SIGN - electronic signatures**" (ელექტრონული ხელმოწერა) მეშვეობით.

ნიმუშები:

ძვირფასო კანდიდატო,

გილოცავთ, თქვენ წარმატებით გაიარეთ კონკურსი. 60 კანდიდატიდან შევარჩიეთ რამდენიმე. მათ შორის ხართ თქვენც. გთხოვთ უპასუხოთ თანდართულ შეკითხვებს (იხილეთ მიბმული დოკუმენტი).

გთხოვთ მობრძანდეთ გასაუბრებაზე სამშაბათს, თორმეტის ნახევარზე.

პატივისცემით ადმინისტრაცია

ძვირფასო მომხმარებლებო!

პარასკევს, 5 ნოემბერს, ლიტერატურულ კაფე "პარნასში" გაიმართება პრეზენტაცია:

16 საათზე - ვახტანგ დავითაია "ამერიკული დღიური"
17 საათზე - შადიმან ხელაძე "სახალისო-სათავგადასავლო მათემატიკა"

პრესრელიზები იხილეთ დანართში.

წიგნის მაღაზია "პარნასი"

ი. ჭავჭავაძის გამზ. 22
თბილისი 0179, საქართველო
tel/fax: (+995 32) 25 39 86
e-mail: parnassusbooks@gol.ge

ძვირფასო ქალბატონო ნინო!

უღრმესი მადლობა ჟურნალ "ენათმეცნიერების საკითხების" ორი ტომის გამოგზავნისათვის (2, 2003; 1, 2004).

ამ წლის დასაწყისში გამოგიგზავნეთ ჩემი სტატია სახელწოდებით "ლექსიკალიზაციის ნიმუშები". მაინტერესებს, როდის დაიბეჭდება. თუ არ შეწუხდებით, შემატყობინეთ გამოსვლის თარიღი.

კეთილი სურვილებით
ვინფრიდ ბოედერი

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ დაწერეთ საქმიანი წერილის თქვენთვის ნაცნობი საშუალებების გამოყენებით:

1. წერილი ფაკულტეტის დეკანს სტუდენტური კონფერენციის ჩატარების შესახებ;

2. წერილი ქალაქის მერს ახალგაზრდა მწერალთა დაჯილდოების ღონისძიების ჩატარების შესახებ;

3. წერილი საქმიან პარტნიორს თქვენს ფირმაში მიმდინარე საქმიანობისა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

4. წერილი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს XIII საუკუნის ძეგლის რესტავრაციის შესახებ.

▣ დაწერეთ ელექტრონული წერილი თქვენთვის ნაცნობი საშუალებების გამოყენებით:

1. წერილი მეგობარს მოკითხვის მიზნით;

2. წერილი საქმიან პარტნიორს შეხვედრის გაუქმების შესახებ;

3. წერილი სამუშაო ჯგუფის წევრებს ტრენინგში მონაწილეობის მიღების შესახებ;

4. წერილი სასტუმროს ადმინისტრატორს ერთი კვირით საცხოვრებელი ნომრის დაჯავშნის შესახებ.

განხილული საკითხები:

1. განცხადება;
2. მოხსენებითი ბარათი;
3. ახსნა–განმარტებითი ბარათი;
4. მოკლე ბიოგრაფია;
5. სამოტივაციო წერილი;
6. ხელწერილი;
7. დახასიათება;
8. რეკომენდაცია.

1. განცხადება

განცხადება წერილობითი დოკუმენტია, რომელიც იწერება ცალკეულ პირთა მიერ რომელიმე ორგანიზაციის, წარმოება-დაწესებულების ან მისი ხელმძღვანელის სახელზე და შეიცავს თხოვნას, საჩივარს ან რაიმე ამბის შეტყობინებას. ასეთი სახის განცხადება შეიძლება იყოს კოლექტიური ხასიათისაც, თუკი მას ხელს აწერს ერთზე მეტი კაცი. განცხადების ავტორი შეიძლება იყოს ესა თუ ის პირი, ორგანიზაცია ან უწყება და წარმოადგენდეს ოფიციალურ, სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტს. მასში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ავტორის მიზანი, თუმცა ტექსტი ლაკონური და სადა ენით იწერება.

◈ **განცხადების ფორმატი შემდეგი სახისაა:**

1. პირველ სტრიქონზე, მარჯვენა ნაწილში იწერება ადრესატის ზუსტი მისამართი (სრული დასახელება წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაცია-უწყების ან თანამდებობის მქონე იმ პირისა, რომელსაც განცხადება ეგზავნება).

2. მომდევნო სტრიქონზე ზევით, მარჯვენა მხარეს, იწერება განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი (მისამართი მაშინაა სავალდებულო, როდესაც ადრესატისათვის განმცხადებლის ვინაობა და ადგილ-სამყოფელი უცნობია). დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე დაწერილ განცხადებაში აღინიშნება განმცხადებლის თანამდებობა;

3. გარკვეული ინტერვალის შემდეგ იწერება სიტყვა "განცხადება".

4. მომდევნო სტრიქონზე (აბზაცით) იწერება განცხადების შინაარსი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან.

ა) შესავალი, სადა ნაჩვენებია განცხადების დაწერის გამომწვევი მიზეზები;

ბ) ძირითადი ნაწილი (შინაარსის დასაბუთება) და

გ) დასკვნითი ნაწილი _ განმცხადებლისათვის მოსალოდნელ (სასურველ) შედეგზე მითითებით.

5. მარცხენა მხარეს, ქვემოთ – თარიღი;

6. ბოლოს – ხელის მოწერა.

ნიმუში:

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფ. . . . .

ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტ ნინო მერაბის ას. ბერიძის

განცხადება

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მჭირდება სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება. გთხოვთ, გამათავისუფლოთ ლექციებიდან 2007 წლის 17-18 დეკემბერს.

15. 12. 2005 (ხელის მოწერა)

"განცხადება" ეწოდება ისეთ დოკუმენტსაც, რომელშიც ესა თუ ის პირი, დაწესებულება, ცალკეულ პირთა ჯგუფი ან ამა თუ იმ საზოგადოების გამგეობა და ა. შ. იუწყება ამა თუ იმ სახის ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ. ეს შეიძლება იყოს კრების მოწვევა, თათბირის ჩატარება, სხდომა, კონფერენცია, დისპუტი და სხვა.

ამ სახის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სათაური ("განცხადება”);
- ღონისძიების ჩატარების დრო;
- ადგილი, სადაც ღონისძიება ტარდება;
- განცხადების შინაარსი და
- განცხადების ავტორთა დასახელება.

◣ ნიმუში:

განცხადება

სამშაბათს, 17 საათსა და 30 წუთზე, მერიის სააქტო დარბაზში ჩატარდება საჯარო ლექცია თემაზე "ადამიანის უფლებები და მისი დაცვის აუცილებლობა".

მომხსენებელი პროფესორი მარკ ჰოფმანი.

მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილება

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ გამართეთ განცხადება შინაარსობრივი და ფორმალური თვალსაზრისით.

საქართველოს პარლამენტის სამეურნეო განყოფილების უფროსს ბ-ნ გივი ხომასურიძეს საპროცედურო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტის ნინო წულუკიძის განცხადება

გთხოვთ გამოგვიყოთ 1 კომპიუტერი. მოგახსენებთ, რომ მწყობრიდან გამოვიდა ჩვენი კომპიუტერი. როგორც საინფორმაციო განყოფილების თანამშრომელმა, გ. ჟორჟოლიანმა, განაცხადა, კომპიუტერის აღდგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რის გამოც ფერხდება სხდომისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადება.
27/01/07
ნინო წულუკიძე

◙ შეადგინეთ განცხადება, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია მართავს თვითნასწავლ მხატვართა გამოფენა-გაყიდვას უპოვარ ბავშვთა დასახმარებლად.

◙ შეადგინეთ განცხადება დაწესებულების უფლების სახელზე სამუშაოზე მიღების თხოვნით (გაითვალისწინეთ, ამ ტიპის განცხადებაში უნდა აღინიშნოს თქვენი განათლების ცენზი და შრომითი გამოცდილება).

2. მოხსენებითი ბარათი (მემო)

საქმიანი დოკუმენტები მრავალფეროვანია და ყოველი მათგანი შექმნილია კონკრეტული მიზნით. მოხსენებითი ბარათი გამოიყენება თანამშრომლების ამა თუ იმ საკითხში დასარწმუნებლად (ანუ მათ ასამოქმედებლად) ან საკუთარი შეხედულებების მათთვის გასაცნობად. მოხსენებითი ბარათი, განცხადების მსგავსად, როგორც წესი, სტანდარტული ფორმატისაა. სათაური გვამცნობს, ვისთვის დაიწერა, ვისგან არის.

მასალას რომ მოწესრიგებული სახე მიეცეს, მოხსენებითი ბარათის ბოლო გვერდებზეც მიუთითეთ თარიღი და თემა. ეს ინფორმაცია დოკუმენტის სქოლიოში შეიძლება განთავსდეს. თავისთავად ცხადია, რომ, თუ მოხსენებითი ბარათი ერთზე მეტი გვერდისაგან შედგება, გვერდები უნდა დაინომროს.

მოხსენებით ბარათზე ხელი ან სრულად, ან ინიციალებით მოაწერეთ. თუ მოხსენებითი ბარათი თქვენი განყოფილებიდან გადის, საჭიროა, მიუთითოთ განყოფილების სახელწოდება, თქვენი სახელი და გვარი, თანამდებობა, რომ საჭიროების შემთხვევაში თქვენთან დაკავშირება შეძლონ. თუ მკითხველი ჩათვლის, რომ სხვასაც სჭირდება მოხსენებით ბარათში მითითებული ინფორმაციის ცოდნა, მას უფლება აქვს, სხვას გადასცეს ის. გადაცემისას გადამცემმა კვლავ უნდა მიუთითოს თავისი სახელი და გვარი ან ინიციალები, ხოლო შენიშვნები მინდორზე გააკეთოს.

მოხსენებითი ბარათი იერარქიული ჯაჭვის შესაბამისად იგზავნება. თუ სპეციალურად არავინ გთხოვათ, მოხსენებითი ბარათი ორგანიზაციის დირექტორს არ გაუგზავნოთ უშუალო უფროსის რეზოლუციის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში უშუალო უფროსი საქმის კურსში არ იქნება და ვერც სიტუაციას გააკონტროლებს.

მოხსენებითი ბარათი, ისევე როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტები, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

- შესავალი ნაწილი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნითი ნაწილი

ეს ორგანიზაციის შიგნით სამუშაო დოკუმენტია, ამიტომ იგი ნაკლებ ფორმალურია და შესაძლებელია ოფიციალურ-საქმიანი სტილი ბოლომდე არ იყოს დაცული.

◈ შესავალი ნაწილი

მოხსენებითი ბარათის შესავალ ნაწილში კონკრეტულად განისაზღვრეთ მიზანი: ვინ რას აკეთებს, როგორ, როდის, სად, რატომ? წერეთ მკითხველისათვის. მიაწოდეთ მათ ინფორმაცია, რომელიც მოქმედებისთვის სჭირდებათ. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მათ ადგილას და ჰკითხეთ თავს: ***რა მინდა ვიცოდე?*** მოხსენებითი ბარათისათვის უმნიშვნელოვანესია მთავარი აზრის დასაწყისშივე წარმოჩენა. მკითხველს პირველივე სიტყვებიდან კონკრეტულად უნდა უთხრათ, რას მოელით მისგან (ან რას სთავაზობთ მას). უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ან ქვესათაურით ან შავი შრიფტით გამოყავით. გაითვალისწინეთ, რომ მოხსენებითი ბარათი მაქსიმალურად იოლი წასაკითხი უნდა იყოს.

ენობრივი საშუალებები:
მოგახსენებთ, რომ.... გვინდა შეგატყობინოთ, რომ... გაწვდით ინფორმაციას ..... შესახებ; გთავაზობთ . . . . ..

◈ ძირითადი ნაწილი:

ძირითად ნაწილში ჩამოაყალიბეთ მოტივები და არგუმენტები, რომლებიც უკავშირდება თქვენს მიზანს და მოახდენს ზეგავლენას ადრესატზე. არგუმენტი უნდა იყოს მაქსიმალურად დამაჯერებელი. თუკი ესეში არგუმენტად შეიძლება იქცეს პირადი ან, ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილება, მოხსენებით ბარათში ამგვარი არგუმენტაცია გაუმართლებელია და ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. არგუმენტად შეგიძლიათ გამოიყენოთ სტატისტიკა, სამსახურებრივი გამოცდილება, კვლევების შედეგები და ან დოკუმენტურად დასაბუთებული კონკრეტული მიზეზები. ა. შ.

ენობრივი საშუალებები:

ჩვენი ნათქვამის გასამყარებლად მოვიყვანთ შემდეგ არგუმენტებს; ჩვენს ნათქვამს ადასტურებს შემდეგი სტატისტიკა; ამ საკითხზე მუშაობისას დავრწმუნდით, რომ...

◈ **დასკვნა**

დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ შეაჯამეთ თქვენ მიერ გამოთქმული აზრები უკვე ნაცნობო ენობრივი საშუალებების გამოყენებით..

◁ ნიმუში:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ანდღულაძეს

ამავე საბჭოს წევრის
თამარ მიქაბერიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ უკვე მესამე წელია, ვარ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი და აქტიურად ვმონაწილეობ საბჭოს საქმიანობაში. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ, მიუხედავად არაერთი პროექტის განხორციელებისა, საბჭოს მუშაობაში შეინიშნება გარკვეული შეფერხებები. კერძოდ, გვიანდება შემოსული პუბლიკაციების განხილვა, წიგნების რეცენზირება და უნივერსიტეტის გამომცემლობისათვის მათი დროულად გადაცემა. ბუნებრივია, ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია.

ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. საბჭოს წარმატებული და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია წევრთა ყოველთვიური სისტემატური შეხვედრები; 2. გაიზარდოს საბჭოს წევრთა რაოდენობა; 3. სასურველია ფაკულტეტის ყველა მიმართულებას ჰყავდეს თითო წარმომადგენელი. იმედი გვაქვს, ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს არსებული საბჭოს მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

საბჭოს წევრი, პროფ. /თამარ მიქაბერიძე/

17.10.08

პრაქტიკული სამუშაო:

◙ დაწერეთ მოხსენებითი ბარათი ფაკულტეტის დეკანის სახელზე, რომ გჭირდებათ დამატებითი ლექცია რომელიმე საგანში.

---

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი

თავისი სტრუქტურითა და შინაარსით მოხსენებით ბარათთან ახლოს არის ახსნა-განმარტებითი ბარათი, ოღონდ, ამ შემთხვევაში ავტორი ცდილობს უკვე მომდარი ფაქტების კომენტირებას, ახსნა-განმარტებას.

✍ ნიმუში:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს,
პროფ. დავით ნადიბაიძეს

ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
მალხაზ ქურდაძის

ახსნა-განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ა.წ. 15 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მივლინებული ვიყავი სტუდენტური პრაქტიკის ხელმძღვანელად ზემო აჭარაში, ხულოს რაიონში. რთული კლიმატური პირობების გამო იძულებული გავხდით მივლინება შეგვეწყვიტა ერთი კვირით ადრე. აღნიშნული მიზეზის გამო სამივლინებო თანხის ნაწილი აუთვისებელი დაგვრჩა, რასაც ვუბრუნებთ ფაკულტეტის სამივლინებო ხარჯების ფონდში.

ასოცირებული პროფესორი /დავით ნადიბაიძე/

15.10.08

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ დაწერეთ ახსნა-განმარტებითი ბარათი ლექტორის სახელზე, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძელით კოლოკვიუმის დაწერა.

---

4. მ ო კ ლ ე ბ ი ო რ გ რ ა ფ ი ა (C V)

CV უნდა გახდეს ინტერვიუზე მიწვევის საფუძველი. როგორც წესი, გასაუბრებაზე ინტერვიუს ჩამტარებელი ცდილობს დარწმუნდეს, რამდენად საიმედოა **CV**-ში ჩამოთვლილი ფაქტები.

მაქსიმალურად ეცადეთ **CV**-ში ისეთი დეტალები გაამუქოთ, რომელიც კონკრეტული ვაკანსიისათვის და ორგანიზაციისათვის არსებითია, ანუ **CV**-ს თითოეულ ახალ განაცხადს შესაბამისი კორექტირება გაუკეთეთ.

პოტენციურ დამქირავებლებს ან სტიპენდიის გამცემებს ბევრი განაცხადის კითხვა უწევთ. ამიტომ, ნებისმიერი გაპარული შეცდომა, თუნდაც ორთოგრაფიული, ან უზუსტობა თქვენს კანდიდატურას საფრთხის წინაშე აყენებს. ზოგადად დამქირავებელი პოტენციურ მუშაკში ორ რამეს ეძებს: ერთგულებასა და კომპეტენტურობას. ერთგულება ნიშნავს დაწყებულის ბოლომდე მიყვანას. ამაში შედის სიძნელეების საკუთარ თავზე აღება და, საქმის სირთულისდა მიუხედავად, მისი ბოლომდე მიყვანა. კომპეტენტურობა, ჩვეულებრივ, თქვენს სფეროში გაწონასწორებული დასკვნის (შეფასების) გაკეთებასა და ცხოვრებაში გადაწყვეტილების გატარების უნარს გულისხმობს, ან

ისეთი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც დასკვნის გაკეთებაში დაგეხმარებათ. გახსოვდეთ, სწორედ განათლება გაძლევთ ჰარმონიული დასკვნის გაკეთების უნარს. ეს უნარი უნდა გესწავლათ და ეს უნარი უნდა გამოავლინოთ პოტენციური დამქირავებლის წინაშე. მათ სურთ, რომ კონკრეტული უნარის ზოგად სფეროში გამოყენება შეძლოთ.

CV უნდა შეიცავდეს: პირად მონაცემებს; რამდენად არსებითია თქვენი საქმიანობა გამოცხადებული ვაკანსიისათვის; სად საქმიანობდით; საჭიროების შემთხვევაში როგორ დაგიკავშირდნენ. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს: მიუთითოთ სახელი და გვარი (თავში ნუ დაწერთ **CV**-ს, ყველასათვის ისედაც ცნობილია, რა არის ეს); საკონტაქტო ინფორმაცია, ელექტრონული ფოსტის მისამართის ჩათვლით; დაბადების თარიღი; განათლება; სამუშაო გამოცდილება; უნარ-ჩვევები, ენებისა და კომპიუტერის ცოდნის ჩათვლით.

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ფორმატი მისაღებია. არც თანმიმდევრობას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ ყურადღების ცენტრში მკითხველი გეყოლებათ და მიზანი ცნობილი იქნება. ინფორმაცია ნათელი, ლაკონიური და მაქსიმალურად კონკრეტული უნდა იყოს. პრაქტიკაში ორი ფორმატი არსებობს, რომელიც აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: **ფუნქციური და შებრუნებული ქრონოლოგიით.**

ფუნქციურ ფორმატში ინფორმაცია კატეგორიებადაა დაჯგუფებული: განათლება, პროფესიული გამოცდილება და უნარ-ჩვევები. უნარ-ჩვევები შეიძლება შეიცავდეს კომპიუტერის, ენების ცოდნას ან სხვა, თქვენი პროფესიისთვის საჭირო უნარებს. ამას ემატება სხვა კატეგორიები თქვენი მიღწევებისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით: ჯილდოები, პუბლიკაციები, ინტერესთა სფერო ან გატაცება. **CV**-ში შეგაქვთ უმთავრესი მიღწევები იმ ელემენტებზე ხაზგასმით, რაც კონკრეტული თანამდებობისათვის მნიშვნელოვანი იქნება. თუ განაცხადი აკადემიურ საქმიანობაზე გაქვთ გაკეთებული, პუბლიკაციების ნუსხის შეტანა აუცილებელია. თუ კონკრეტული საქმიანობისათვის გუნდური მუშაობის გამოცდილებას ენიჭება უპირატესობა, ინტერესთა სფეროში შეგიძლიათ შეიტანოთ ისეთი ელემენტი, როგორიცაა, მაგალითად, ორკესტრში დაკვრა.

შებრუნებული ქრონოლოგიური წყობა ისეთი ფორმატია, სადაც პირველ ადგილას უახლესი გამოცდილება გადმოგაქვთ. მას მოჰყვება უფრო ადრინდელი გამოცდილება. ასეთი ფორმატი მოხერხებულია, რადგან შესაძლებლობას იძლევა, თვალი მივადევნოთ, როგორ და რა მიმართულებით ხდებოდა თქვენი განვითარება და რამდენად გამოდგებით იმ კონკრეტული საქმიანობისათვის, რომელზედაც განაცხადი გაქვთ შეტანილი. ქვედა მესამედში არის განყოფილება "სხვა გამოცდილება", სადაც ის ელემენტები შევა, რომლებიც მნიშვნელოვანია, თუმცა ქრონოლოგიურ წყობას სათანადოდ ვერ ერგება. ჩვეულებრივ, როდესაც განაცხადს სხვადასხვა ვაკანსიისათვის წარადგენთ, ყველაზე მეტი ცვლილება ამ ნაწილში იქნება გასაკეთებელი თითოეული საქმიანობიდან გამომდინარე.

მართალია, შებრუნებული ქრონოლოგიური წყობა საკმაოდ მწყობრი სისტემაა, მაგრამ ეს ფორმატი ქართული სინამდვილისათვის ნაკლებ

მოსახერხებელია, რადგან ბევრი ადამიანი საქართველოში რამდენიმე სახის საქმიანობას ერთდროულად ეწევა. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის კატეგორიებად დახარისხება უფრო მოსახერხებელია, ანუ უპირატესობა ფუნქციურ **CV**-ს ენიჭება. თუმცა ფუნქციური კატეგორიების შიგნით გამართლებულია შებრუნებული ქრონოლოგიური წყობის გამოყენება, ანუ თქვენი საქმიანობის სფეროში უახლესი ინფორმაცია წინ წამოსწიეთ.

მესამე ფორმატი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულია, **ქრონოლოგიური ფორმატია.** იგი იწყება სულ თავიდან, ანუ სკოლაში გატარებული წლებიდან და თქვენს მიღწევებთან ერთად ვითარდება. ეს ფორმატი წინ წამოსწევს ნაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციას და უკან გადააქვს უმთავრესი. ანუ, ამ შემთხვევაში მთავარი პრინციპის დარღვევა ხდება. ამიტომ გირჩევთ, ამ ფორმატს ნუ გამოიყენებთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის მოთხოვნა უშუალოდ კონკრეტული ორგანიზაციიდან მოდის. ეს წყობა მისაღებია მოკლე ბიოგრაფიისათვისაც, მაგალითად, კონფერენციის ფარგლებში, ან მხატვრის მიღწევების აღსაწერად.

რომელი ფორმატიც უნდა გამოიყენოთ, ერთ-ორ გვერდზე მეტს ნუ დაწერთ. აი, ეს იქნება თქვენი კომპეტენტურობის პირველი გამოცდა: როგორ მოვათავსოთ მთელი ინფორმაცია ერთ-ორ გვერდზე.

CV იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო მოზრდილიც იყოს. ეს მაშინ ხდება, როდესაც დეტალური ინფორმაცია წინასწარ არის საჭირო. მაგალითად, როცა მკითხველს არა აქვს შესაძლებლობა, პირადად შეგხვდეთ; ან რამდენიმე განსხვავებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დეტალურ აღწერას საჭიროებს, რადგან მკითხველისთვის უცნობია კომპანია, სადაც თქვენ მუშაობდით ან მისი საქმიანობის თავისებურება.

CV უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ აღწერა მაქსიმალურად ნეიტრალური იქნება. ეცადეთ, თავი აარიდოთ პირველ პირში თხრობას... ("მე შევძელი...“) და შეძლებისდაგვარად უპირო ფორმა გამოიყენეთ. ნურასდროს იტყვით "მაქვს შესანიშნავი/ განსაკუთრებული უნარი...", რადგან ასეთი განაცხადი დიდი საფრთხის წინაშე გაყენებთ. თუ მართლა ასეთი განსაკუთრებული ხართ, მიღწევებიც შესაბამისი გექნებათ. ეს დასკვნა, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ინტერვიუერმა ან რეკომენდატორმა უნდა გააკეთოს.

განათლების ნაწილში არ დაგავიწყდეთ აკადემიური ხარისხის მითითება. თუ მიგაჩნიათ, რომ ნიშნების ფურცელი თქვენი მუყაითობისა თუ საქმიანობის მაჩვენებელია, თან დაურთეთ. თუმცა მხოლოდ ხარისხის მითითება საკმარისი არ იქნება, მიუთითეთ სპეციალობა. თუ კურსი ჯერ კიდევ არ დაგიმთავრებიათ, მიუთითეთ დამთავრების სავარაუდო თარიღი. გარდა ამისა, ამ ნაწილში შეიტანეთ ყველა ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ამ ნაწილისთვის შესაფერისია და, თქვენი აზრით, მკითხველს დააინტერესებს.

თუ მიგაჩნიათ, რომ ინტერესთა სფერო ეხმიანება კონკრეტულ საქმიანობას, ან თუ თქვენი გამოცდილება ამ თანამდებობისათვის საკმარისი არ არის, ხოლო ჰობი მას შეავსებს, აღნიშნეთ. მხოლოდ იმ მხარეზე ისაუბრეთ, რაც თქვენ სასურველ შტრიხს შეგმატებთ. ინტერვიუერმა ჰობიზე საუბარი შეიძლება

იმიტომ დაგიწყოთ, რომ თავი მოხერხებულად გაგრძნობინოთ, ან რომ ნახოს, რამდენად მონდომებით შეგიძლიათ ამ მიმართულებით მუშაობა. თუ მან შენიშნა, რომ ინტერესთა სფეროზე ბევრი არაფერი გაქვთ სათქმელი, თქვენი განცხადება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

თუ რეკომენდაციის კონკრეტული მოთხოვნა არ არის, მაინც მიუთითეთ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციის წარმოდგენა შეგიძლიათ. თუ რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო თქვენი **CV** ერთზე მეტგვერდიანია, შეგიძლიათ რეკომენდატორების სახელისა და გვარის, მათი მისამართის, იმეილის მითითება, აგრეთვე, რა ურთიერთობა გქონდათ მათთან, ისინი თქვენი პედაგოგები იყვნენ, უფროსები თუ კოლეგები. თავისთავად ცხადია, ჯერ უნდა დარწმუნდეთ, რომ ისინი დაგთანხმდებიან რეკომენდაციის მოცემაზე და დადებითად დაგახასიათებენ.

განსაზღვრეთ, რა სახის სამუშაოზე აკეთებთ განაცხადს და გაიაზრეთ, რა იქნება თქვენი მოვალეობები. გადაწყვიტეთ, ნამდვილად გსურთ თუ არა ეს თანამდებობა და რა კუთხით მიგაჩნიათ, რომ კვალიფიციური ხართ ამ სამუშაოსათვის. ეს გულისხმობს, რომ თქვენ სერიოზულად უნდა შეისწავლოთ მოთხოვნათა კრიტერიუმები და განსაზღვროთ კონკრეტული უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის არსებითი იქნება. განსაზღვრეთ სამუშაოს როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე ყოველდღიური საქმიანობები და მოვალეობები. თუ ხელთ გაქვთ განაცხადი ვაკანსიის შესახებ, ყურადღებით შეისწავლეთ ის. გამოყავით და გაითვალისწინეთ დამქირავებლის უმთავრესი მოთხოვნები და მათ მოარგეთ თქვენი **CV** და თანდართული წერილი. მოიფიქრეთ, რას ეძებს პოტენციური დამქირავებელი, რა პოზიცია და მიზნები აქვს მას. ასევე ეცადეთ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნათ ორგანიზაციის მუშაობაზე.

საკუთარი გამოცდილება ისე წარმოაჩინეთ, რომ მოთხოვნებს მიესადაგებოდეს ან აჩვენოს თქვენი შესაძლებლობები: სამუშაო, სტაჟირება, მოხალისედ მუშაობა, პროექტები, კლასგარეშე აქტივობა, განათლება. გააანალიზეთ თქვენი გამოცდილება და ისეთ უნარად გარდაქმენით, რომელიც გამოცხადებულ ვაკანსიას შეესაბამება. ყურადღებით გადახედეთ. ყოველი საკითხი არგუმენტად არის ჩამოყალიბებული? ამობეჭდეთ უბრალო ფურცელზე და ხმამაღლა წაიკითხეთ. შემდეგ ბოლოდან დაიწყეთ კითხვა, თითოეული სიტყვა ისე წაიკითხეთ, რომ ორთოგრაფიული შეცდომის პოვნაში დაგეხმაროთ. წააკითხეთ ის **CV**-ს წერაში გამოცდილ ადამიანს. თუ საშუალება გაქვთ, დოკუმენტი ერთი ან ორი დღის შემდეგ კვლავ გადაიკითხეთ.

თუ ინტერვიუზე მიგიწვევენ, კვლავ წაიკითხეთ და პუნქტობრივად განავრცეთ აზრი. მაგალითად, როგორ შეგიწყოთ ხელი თითოეულმა გამოცდილებამ შემდგომ პროფესიულ ზრდაში, რა მოგცათ ახალი.

შეინახეთ **CV**-ის ელექტრონული ვერსია ლაზერულ დისკზე, რომ საჭიროების შემთხვევაში იოლად შეძლოთ მისი განახლება. ასევე ურიგო არ იქნება, თუ რამდენიმეგვერდიან პირველ ორიგინალს, ანუ ვრცელ მასტერ- **CV**-

საც შეინახავთ და მას კონკრეტული განაცხადების შესაბამისად ერთგვერდიან **CV**-დ გადააკეთებთ.

თუ **CV**-ს ელექტრონული ფოსტით აგზავნით, მისი გახსნის შემდეგ თავდაპირველი ფორმატი არ უნდა დაირღვეს.

იყავით მაქსიმალურად სრულყოფილი. სკურპულოზურად გაეცანით განცხადებას და არავითარ შემთხვევაში არ გადააცილოთ ვადას. აი, რა გვირჩია ერთმა ადამიანმა: "ერთხელ ვითხოვეთ, რომ ერთგვერდიანი **CV** გამოეგზავნათ და ისიც მხოლოდ ელექტრონული ფოსტით. მიუხედავად ამისა, ფაქსით და ხელნაწერ ორ და სამგვერდიან **CV**-ებს ვიღებდით. მე ეს არ მაღიზიანებდა, მაგრამ ზოგიერთი (მათ შორის, ჩემი უფროსი) ბრაზობდა და, უბრალოდ, მაშინვე იწუნებდა კანდიდატებს."

ნუ უგულებელყოფთ ამ რჩევას.

კვირკველია ეკა

0152, ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IIIმ/რ, III კვ., 52-ე კორპ., ბ. №13.
+995 93 550 886
+995
22 223 889
kvirkvelia-eka@yahoo.com

დაბადების თარიღი	*1985/07/22*
სამუშაო გამოცდილება	
2008/10/01 – დღემდე	**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი • უფროსი სპეციალისტი
2008	• **წმ. გიორგის სახ. საერო სკოლა,** გაზეთი "მერანი," რედაქტორი.
2006 – 2008	• **წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლა,** პედაგოგი
განათლება	
2007 – დღემდე	**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის მიმართულება, ძველი ქართული ენისა და ხელნაწერთმცოდნეობის სპეციალობა

2002 – 2006	• მაგისტრანტი. **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**, ფილოლოგიის ფაკულტეტი
1991 – 2002	• *ფილოლოგი* **წმ. პეტრეს სახელობის მე-10 სკოლა-გიმნაზია**
გავლილი ტრენინგები	
2007 – 2008	**დაწყებითი კლასების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა** „წიგნიერების ახალ მიჯნაზე," ხელმძღვ. პაატა პაპავა.
2006	**სწავლა-სწავლების მეთოდები და ეფექტური დაგეგმვა**, ხელმძღვ. კახა ჟღენტი.
2005	**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა**, ხელმძღვ. მაია ინასარიძე.
ენების ცოდნა	• **ქართული** – *მშობლიური* • **რუსული** – *კარგად* • **ინგლისური** – *კარგად*
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	• საოფისე პროგრამები • ინტერნეტი
საკონფერენციო თემები	• საქართველოს სულიერი აღმშენებლობის იდეა გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით • მაცხოვრის სიმბოლოები იოანე ოქრიპირის საკითხავებში სინური მრავალთავის მიხედვით • ილია ჭავჭავაძის ადრეული პერიოდის დაუსრულებელი მოთხრობები • რამდენიმე მხატვრული სიმბოლო კ. გამსახურდიას ნოველების მიხედვით
საკურსო ნაშრომები:	• სიმდაბლე-მორჩილების სათნოების განსახიერება ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ჰოგი	• ლაშა თაბუკაშვილი და მისი პიესა “მერე რა რომ სველია, სველი იასამანი?!” • ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის საკითხი • ხალხური მუსიკა • კითხვა • მოგზაურობა

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ შეადგინეთ კონკრეტული ვაკანსიებისათვის CV (იხ. www.jobs.ge საიტი და გამოცხადებულ ვაკანსიებს მოარგეთ თქვენი CV)

▣ შეადგინეთ CV სტუდენტურ ფესტივალზე გასამგზავრებელი დაფინანსების მოსაპოვებლად..

---

5. სამოტივაციო წერილი

ბოლო ხანს საქმიან ურთიერთობებში დამკვიდრდა სამოტივაციო წერილი, რომელსაც ავტორი ქმნის იმისათვის, რომ წარმოაჩინოს, რა მიაჩნია საკუთარ უპირატესობად, როდესაც ის მონაწილებს სხვადასხვა ტიპის კონკურსსა თუ გასაუბრებაში და არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება, ამა თუ იმ კონკურსში მონაწილეობის შესახებ. სამოტივაციო წერილი იწერება:

- ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე;
- სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსზე;
- პროექტის დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსზე და ა. შ.

კარგად დაწერილმა სამოტივაციო წერილმა სამ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი, თუმცა ეს არ ავალდებულებს მის ავტორს, მხოლოდ ამით შემოისაზღვროს. წერაში გაწაფული ადამიანი ახერხებს, რომ საკუთარი თავი მიმზიდველი კუთხით წარუდგინოს იმ ადამიანებს, რომლებიც, კონკრეტულ შემთხვევაში, მათ ბედს წყვეტენ. ეს შეკითხვებია:

1) რაზე კეთდება განაცხადი (და საიდან გაიგეთ ამ ვაკანსიის, კონკურსის შესახებ)?
2) რატომ მიგაჩნიათ, რომ ამ კონკრეტული ვაკანსიისათვის სათანადო კვალიფიკაცია გაქვთ?
3) რატომ დაინტერესდით?

სამოტივაციო წერილისათვის მისაღებია პუბლიცისტური სტილი ან პუბლიცისტურისა და ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნაზავი. ის თავისი სპეციფიკით და სტრუქტურით ესეს მოგვაგონებს (სხვათა შორის, ზოგჯერ მას ესესაც უწოდებენ), თუმცა უფრო შემოქმედებითად შეიძლება მიუდგეთ (მხატვრული ესეს პრინციპებით შექმნათ). არსებობს რამდენიმე წესი, რომელთა გათვალისწინება დადებით ზეგავლენას ახდენს მკითხველზე და

- სამოტივაციო წერილი არ უნდა იყოს კატეგორიული;

- სამოტივაციო წერილი უნდა იყოს სადა და გასაგები ენით დაწერილი;

- პირველ რიგში ჩამოაყალიბეთ ძირითადი არგუმენტები, რომელთა გამოც პოტენციური უფროსები ან დამფინანსებლები შეიძლება დაინტერესდნენ;

- უპირველეს ყოვლისა, თქვენს საქმიან თვისებებსა და გამოცდილებაზე გაამახვილეთ ყურადღება, რათა ადრესატი დაარწმუნოთ, რომ თქვენი სურვილი, რომ მოიპოვოთ დაფინანსება ან სამუშაო ადგილი, ეფუძნება თქვენს პროფესიულ კომპეტენციასა და გამოცდილებას;

- შესაძლებელია, საკუთარ სუსტ მხარეებზეც მიუთითოთ, თუმცა უნდა ახსნათ მისი მიზეზი და როგორ აპირებთ მათ გამოსწორებას. გულწრფელი აღიარება და ნაკლის გამოსწორების სურვილი დადებითად განაწყობს მკითხველს. მთავარია, ზომიერება დაიცვათ.

- მიუთითეთ, ინდივიდუალურ მუშაობას ანიჭებთ უპირატესობას, გუნდურს თუ ორივე მათგანი თანაბრად მისაღებია თქვენთვის;

- პოტენციური დამქირავებლისა და დამფინანსებლისთვის პრეტენდენტის პიროვნული თვისებებიც არანაკლებ საინტერესოა. აქ

შეიძლება მოკლედ ისაუბროთ თქვენი პიროვნული მხარეების შესახებ, ოღონდ ეს არ უნდა დაემსგავსოს დახასიათებას, შესაძლებელია თქვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ეპიზოდებიც კი აღწეროთ, რომ მკითხველმა თვითონ გამოიტანოს დასკვნა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი შეკითხვისაგან პირველს პასუხი პირველსავე წინადადებაში უნდა გაეცეს. მომდევნო ორი შეკითხვის პასუხი მრავალნაირი შეიძლება იყოს, თუმცა კონკრეტულობა სავალდებულო პირობაა. კონ-კრეტულად რას სთავაზობთ? დაწერეთ მხოლოდ სიმართლე. ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღების, შემჭიდროებულ ვადებსა და ზეწოლის პირობებში მუშაობის უნარი, ან, უბრალოდ, სანდო პიროვნება ხართ და გუნდური მუშაობისას საიმედო წევრი – თუკი ჩამოთვლილთაგან რომელიმე თქვენთვის დამახასიათებელია, აუცილებლად აღნიშნეთ..

რაც შეეხება თქვენს კვალიფიკაციას – წარსული მიღწევები კონკრეტული ვაკანსიის მოთხოვნებს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას თქვენი ამ ვაკანსიით დაინტერესების შესახებ. იყავით გულწრფელი. დამქირავებლები ენთუზიასტ მუშაკებს ეძებენ. ადამიანი თუ პროფესიონალია, ის ადვილად სწავლობს და იხვეწება. გარდა ამისა, ასეთ ადამიანთან სასიამოვნოა მუშაობა. თუ პოტენციურ დამქირავებელს უჩვენებთ, რომ თქვენ მოგწონთ ეს საქმიანობა, მეტია იმის ალბათობა, რომ აგირჩიონ. ამგვარად, განსაკუთრებით ჩაუღრმავდით საკითხს – რით გიზიდავთ ეს სამუშაო.

სამოტივაციო წერილში დაუშვებელია, რომ თუნდაც, ერთი შეხედვით, უწყინარი კორექტურული შეცდომა გაგეპაროთ! ამას თავისი ახსნა აქვს - ზოგ სამუშაოზე სერიოზული შეცდომა კომპანიას ძვირი უჯდება, ამიტომ მკითხველი თავს უფლებას ვერ მისცემს, რომ სამუშაოზე აიყვანოს ადამიანი, რომელიც უყურადღებობით შეცდომებს უშვებს. ამგვარად, ნურც ერთ შეცდომას ნუ დაუშვებთ, ერთი შეცდომის გამოც კი შეიძლება დაგიწუნონ.

სამოტივაციო წერილის დასასრულს მკითხველს უნდა აგრძნობინოთ, რომ მის გამოხმაურებას თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაში დაგეხმარებათ შემდეგი **ენობრივი საშუალებები:**

მოუთმენლად ველი თქვენგან შეხმიანებას... იმედი მაქვს, რომ შევძელი სათქმელის მკაფიოდ ჩამოვაყალიბეხა და თქვენი დაინტერესება... ველოდები თქვენს პასუხს და ა. შ.

თუ ორი კვირა ისე გავა, რომ არავინ არაფერს შეგატყობინებთ, შეგიძლიათ ტელეფონით თავაზიანად იკითხოთ კონკურსის შედეგების შესახებ.

ნიმუში:

გაზეთ ”24 საათში” გამოქვეყნდა განცხადება ექსპერტის ვაკანსიის შესახებ პროექტში ”მულტიკულტურული განათლება ქვემო ქართლის რეგიონში”.

საქართველოსთვის, როგორც ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანესი საკითხია მოცემულ სოციო-კულტურულ გარემოში მოქალაქეთა იმ ნაწილის ინტეგრირება, რომელთა მშობლიური ენა ქართული არაა. ქართული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია, არაქართველმა მოსახლეობამ მოახდინოს პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. აქედან გამომდინარე, არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენის, როგორც ამ ქვეყნის სახელმწიფო ენის, სრულფასოვანი სწავლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

იმ მოქალაქეებმა, რომლებიც არაქართულ სკოლებს დაამთავრებენ, უნდა შეძლონ წარმატებული კომუნიკაციის დამყარება არა მარტო მათ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეეთან, ასევე ქართულენოვან სამყაროსთან, როგორც განსხვავებული ენის, კულტურისა და მენტალობის მქონე ადამიანებთან. საამისოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ უნდა უზრუნველყოს არაქართველი მოსწავლეებისთვის პირველ რიგში საკმარისი ენობრივი და შემდეგ კულტურული ინფორმაციის ეფექტურად მიწოდება, ძირითადი საკომუნიკაციო და სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ქართული ენობრივი და კულტურული სამყაროს მიმართ ინტერესისა და პატივისცემის გაღვივება.

იმ მეთოდებითა და განსაკუთრებით იმ სახელმძღვანელოებით, რომლებითაც დღემდე არაქართული სკოლები მუშაობდა, ამ ამოცანების გადაჭრა ვერ მოხერხდება. პირველ რიგის ამოცანა, ალბათ, იქნება არაქართული სკოლების მასწავლებელთათვის იმგვარი სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებიც მეორე ენის სწავლების წარმატებულ პრაქტიკას დაემყარება და მოცემული გარემოს ეთნო-კულტურულ და ლინგვისტურ თავისებურებებს გაითვალისწინებს.

მეორე ენის ფუნქციონირებისა და საერთოდ პოლიგლოტურ გარემოში ადგილობრივი ენისა და მასთან შედარებით ფუნქციურად მაღლა მდგომი ენის ისტორიული ურთიერთობის პრობლემებზე მუშაობის გამოცდილება გამაჩნია. ვმონაწილეობდი არაერთ უცხოურ პროექტში, რომელიც დიგლოსიის პრობლემებს ამუშავებდა. დაბეჭდილი მაქვს სტატიები უცხო ენებზე. ალექსანდრე ჰუმბოლდტის ფონდის პროექტის ფარგლებში გერმანულ ენაზე დავწერე (რეცენზირებულია და გადაცემულია დასაბეჭდად) გამოკვლევა (312 გვ.) შუა საუკუნეების დიგლოსიური პროცესების შესახებ.

ვფიქრობ, დიგლოსიის და საერთოდ, სოციოლინგვისტიკის სფეროში, მუშაობის გამოცდილება, დამეხმარება, დავწერო მასწავლებლის

სახელმძღვანელო ბროშურა საკომუნიკაციო და სამეტყველო უნარ-ჩვევების შესახებ.

ჩემთვის სამუშაო, უპრველეს ყოვლისა, საინტერესოა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. თუმცა, ფინანსურ დაინტერესებაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ველი თქვენს შეხმიანებას.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

▣ დაწერეთ სამოტივაციო წერილი, რომ აწყობთ თემატურ ფოტოგამოფენას და გესაჭიროებათ დაფინანსება დარბაზისა და ტექნიკური საშუალებების დასაქირავებლად.

▣ წაიკითხეთ თქვენი მეგობრის ესე და დაწერეთ დასკვნა, ამ მოტივაციის განხილვის შემდეგ დააფინანსებდით თუ არა ამ პროექტს.

---

6. დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელები საქმიანი დოკუმენტია დახასიათება, რომელსაც პიროვნება ან ორგანიზაცია გასცემს. იგი საჭიროა სამსახურში მიღების, თანამდებობრივი გადანაცვლების, ამა თუ იმ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს. პიროვნების დახასიათებაში ფასდება მისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება.

თუ არაოფიციალური პირი გასცემს დახასიათებას ოფიციალურ უწყებაში წარსადგენად, დახასიათების ავტორის ხელის მოწერა დადასტურებული უნდა იქნეს ნოტარიული წესით ან რომელიმე უწყების პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. წინააღმდეგ შემთხვევაში დახასიათება დოკუმენტად არ ჩაითვლება.

დახასიათება იწერება ოფიციალურ-საქმიანი სტილით. ტექსტი ლაკონური და სადაა. მასზე პასუხისმგებელია დახასიათების ავტორი.

◈ **დახასიათება ფორმდება შემდეგნაირად:**

1. სათაური ("დახასიათება");
2. გვარი, სახელი და მამის სახელი, ვისაც დახასიათება ეძლევა;
3. დახასიათების ძირითადი ნაწილი – აქ წარმოდგენილია პიროვნების ყველანაირი მონაცემი: წლოვანება, მუშაობის სტაჟი, განათლება, თანამდებობა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარისხი, რა სახის საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა, როგორი რეპუტაცია ჰქონდა თანამშრომლებს შორის და ა. შ.
4. დახასიათების გაცემის თარიღი;
5. დახასიათების გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელის მოწერა;
6. დახასიათების ავტორის კოორდინატები;
7. ბეჭედი.

ნიმუში:

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

ნუგზარ გიორგის ძე აბაშიძე, დაბადებული 1980 წელს, უმაღლესი განათლებით, 2003 წლიდან მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში საფინანსო განყოფილების გამგედ.

ნუგზარ აბაშიძე უმაღლესი განათლებითაა. 2001 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიიღო ფინანსისტის კვალიფიკაცია. 2002 წელს სტაჟირება გაიარა კალიფორნიის უნივერსიტეტში, ხოლო 2003 წელს – ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში ფინანსისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით. ნუგზარ აბაშიძე წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხშირად არის ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი, კოლეგებთან და პარტნიორებთან აქვს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა.

სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

დ. აბაშიძე (ხელმოწერით)

ტელეფონები: 57-58-26 (სამსახური)

896 47 58 68 (მობილური)

პრაქტიკული სამუშაო:

▣ დაახასიათეთ თქვენი თანაკურსელი, რომელსაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, თუმცა არაორგანიზებულია და კონფლიქტური.

▣ დაახასიათეთ თქვენი მეგობარი, რომელსაც სურს, რომ მუშაობა დაიწყოს სტუდენტური დასაქმების პროექტში.

7. რეკომენდაცია

თავისი დანიშნულებით დახასიათებასთან ახლოს დგას რეკომენდაცია, რომელისაც გასცემს კერძო პირი ან რომელიმე ორგანიზაცია აგრეთვე კერძო პირის ან ორგანიზაციისათვის. როგორც წესი, რეკომენდაციას ითხოვენ სტუდენტური სესხების, ამა თუ იმ დაფინანსების, სამსახურში მიღების, გაცვლით სემესტრში მონაწილეობის დროს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ დახასიათებასა და რეკომენდაციას მსგავსი ფუნქციები აქვთ, ფორმალურად ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რეკომენდაციის შექმნისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- რეკომენდაცია იქმნება პუბლიციტური ან ოფიციალურ-საქმიანი სტილის მიხედვით. შესაძლებელია, ტექსტი ამ ორი ფუნქციური სტილის შერევითაც შეიქმნას.

- რეკომენდაციის ტექსტი არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი. ოპტიმალური ვარიანტად ითვლება ნახევარი გვერდიდან ერთ გვერდამდე რეკომენდაცია, თუმცა მკაცრი შეზღუდვა არც აქ არსებობს. უბრალოდ, საქმიანი ეტიკეტი მოითხოვს, რომ გავუფრთხილდეთ სხვის დროს და არ გადავტვირთოთ მკითხველი იმ ტიპის ინფორმაციით, რომელიც კონკრეტული მიზნისათვის ნაკლებად საინტერესოა.

- წარმოადგინეთ თქვენი თავი ან ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენთ და პიროვნება ან ორგანიზაცია, ვისაც სარეკომენდაციო წერილს უწერთ.

ენობრივი საშუალებები:
მე გახლავართ სტუდენტ . . . . . ლექტორი და რეკომენდაციას ვუწევ მას, რომ მონაწილეობა მიიღოს ...; ჩვენი ორგანიზაცია. . . . . რეკომენდაციას უწევს . . . . . მონაწილეობა მიიღოს;

- შეეცადეთ დამაჯერებლად წარმოაჩინოთ არგუმენტები და მიზეზები, რომელთა გამოც გადაწყვიტეთ რეკომენდაციის მიცემა.

- აღნიშნეთ, რამდენი ხანია, რაც იცნობთ პიროვნებას და რომელი უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების გამო იმსახურებს კანდიდატურა დაფინანსების მოპოვებას ან პოზიციის (თანამდებობის) დაკავებას. შეეცადეთ, იყოთ კონკრეტული და არ შემოიფარგლოთ მხოლოდ ზედსართავი სახელების ჩამოთვლით, არამედ მიუთითოთ როგორ გამოავლინა ეს თვისება.

მაგალითად: *ნოდარ ავალიანი გამოირჩევა ორგანიზატორული ნიჭით. სტუდენტობის წლებში იგი იყო სტამბულისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ექვსი წარმატებული პროექტი ნ. ავალიანის უშუალო ხელმძღვანელობით.*

- სარეკომენდაციო წერილი არ უნდა იყოს კატეგორიული ტონით დაწერილი, თუმცა უნდა ჩანდეს, რომ ავტორი ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსცემს წერილში მოყვანილ ფაქტებს და პასუხისმგებელია თავის ნათქვამზე.

- მოკლედ შეაჯამეთ თქვენი სარეკომენდაციო წერილი.

- მიუთითეთ, რომ მზად ხართ, საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს მიაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

- დოკუმენტის ბოლოს აუცილებელია კიდევ ერთხელ მიუთითოთ თქვენი თანამდებობა და დაადასტუროთ ხელმოწერით.

- მიუთითეთ თარიღი და თქვენი კოორდინატები.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ნინო გურგენიძეს ვიცნობ 2000 წლიდან, როდესაც იგი ჩემი სტუდენტი იყო. ნინო გურგენიძე არის კარგი პედაგოგი. იგი რამდენიმე წელია ასწავლის ქართულ ენას არაქართველ მსმენელებს და მისი გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, მეთოდური გამართულობითა და ახალი სტრატეგიების კარგი ცოდნით. ნინო გურგენიძე მზარდი პიროვნებაა, მას მუდმივად სურს სრულყოს თავისი ცოდნა და აიმაღლოს პროფესიული დონე. რამდენიმე ხნის წინ მან გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ნინო ამ კურსებზე დაეუფლა უახლეს მეთოდებსა და სტრატეგიებს, ამით სრულყო თავისი ცოდნა. თუნდაც ეს ფაქტი ავლენს იმას, რომ იგი მუდმივად განვითარებადი პიროვნებაა.

ნინო გურგენიძე არის ნინოწმინდის `ენის სახლის~ თანამშრომელი. იგი არის ორგანიზებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნება. მისი დამოკიდებულება მსმენელებთან და მოსწავლეებთან მართლაც გამორჩეულია, იგი არის მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს სამართლიანობის გრძნობით ჯილდოებული პედაგოგი, ამიტომ მასთან მოსწავლეები მუდამ კომფორტულად გრძნობენ თავს.

უნდა აღინიშნოს მისი ერთ-ერთი გამორჩეული თვისება, იგი უკომფლიქტო პიროვნება და, ამავე დროს, გუნდური მუშაობის უნარით დაჯილდოებული კოლეგაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ ნინო გურგენიძეს, რათა მან დაიკავოს ნინოწმინდის მესამე საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა.

ეკა შარაბიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ეუთოს ექსპერტი ქართული ენის სწავლების საკითხში
30. 04. 2008 წ.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო :

◙ შეავსეთ გამოტოვებული ადგილები დეტალებით, რომლებიც სრულყოფილ სახეს მისცემენ დოკუმენტს:

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რეკომენდაციის უწევს ამავე ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ლაშა ფერაძეს, მონაწილეობა მიიღოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში "კულტურა და ცივილიზაცია".

რეკომენდაციის მიღების გადაწყვეტილება ფაკულტეტის პროფესურამ და ადმინისტრაციამ ერთობლივად მიიღო, რადგან…. .. . . . . ლაშა ფერაძეს ვიცნობთ 2005 წლიდან და ამ პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა. . . . . .

იგი მრავალხრივი ინტერესების მქონე ახალგაზრდაა. კულტუროლოგიური საკითხებით იგი შარშან დაინტერესდა და . . . . ამდენად, მისი მონაწილეობა ამ კონკურსში გამართლებულად მიგვაჩნია.

ლაშა ინიციატივიანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდაა. . . . . .

იგი გამოირჩევა დამოუკიდებელი და ორიგინალური აზროვნების უნარით. . . . . .

სტუდენტი ფერაძე ხასიათდება საუკეთესო პიროვნული თვისებებით. იგი კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, თავაზიანი ახალგაზრდაა. . . . . .

ამდენად, მისი პიროვნული თვისებებისა და საქმისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით, სიამოვნებით ვუწევთ რეკომენდაციას ლ. ფერაძეს, მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ კონკურსში.

საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი
ტელ.: 22 21 08
ელ. ფოსტა: Humanities@tsu.ge

◙ დაუწერეთ რეკომენდაცია თქვენს თანაკურსელს, რომელიც აპირებს საზაფხულო ბანაკის მოწყობას ხევსურეთში.

◙ დაუწერეთ რეკომენდაცია ადამიანს, რომელიც მიემგზავრება უცხოეთში სასწავლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, რიტორიკის შესავალი, თბილისი, 2005

ქეთევან გოჩიტაშვილი, ნანა დანელია, ფუნქციური წერა, თბილისი, 2006

ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი, 2007

ნათია ფირცხალავა, არგუმენტაცია, არგუმენტის შექმნის გზები და სტრატეგიები, თბილისი, 2005

გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე, წერის ტექნიკა, თბილისი, 2008

Janet Giltrow, Rick Gooding, Richard Gooding, Daniel Burgoyne, Marlene Sawatsky, Academic Writing, Second Edition: An Introduction, 2009

Diana Hacker, Nancy Sommers, A Writer's Reference, 2010

Ilona Leko, Academic Writing: Exploring Processes and Strategies, 1998

http://grammar.ccc.commnet.edu/grammar/five_par.htm

http://www.austincc.edu/dws/essay.html

http://www.rscc.cc.tn.us/owl&writingcenter/OWL/Argument.html

http://grammar.ccc.commnet.edu/grammar/composition/argument.htm

http://vivovoco.rsl.ru/VV/PAPERS/SCILANG/HOLD.HTM